საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

# საქართველო და მსოფლიო

18 - 24 ივლისი, 2012

№27 (165)

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

ბობ უოლში: ამერიკა საქართველოს მოსახლეობაში პოპულარული არ არის 11

საააკაშვილის დალაქის საიდუმლო 2

ჰანს ქრისტიან დემოკრატები 7

თუ ამ არჩევნებში «ნაცმოძრაობა» გაიმარჯვებს, საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებს 8

თადარიგის კაპიტნის სკანდალური ნაამბობი 12

„არავის უნდა ჯარში ყოფნა, ყველა გასაქცევადაა შემართული, მაგრამ ბანკებიდან აქვთ გამოტანილი კრედიტები და ამით არიან ამ სამსახურს იძულებით მიჯაჭვულები“

გოდერძი გელბახიანი:

# ბიძინა ივანიშვილმა ბოდიში მომიხადოს! 6



# NDI გამოკვლევები! 10




# ერი და ბერი თუ მერი და ბერი?.. 9



რუის-ურბნელი მიტროპოლიტი მეუფე იობი

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მთავარი გზავნილი, რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერმა გორში (ცხადია, არა პირდაპირი ტექსტით) გააჟღერა, ძალიან მარტივი და გასაგები იყო: ივანიშვილი უდრის მშვიდობას. თუ არ იქნება მშვიდობა, უკან დაგვრჩება სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, საყოველთაო დაზღვევა და გაზრდილი პენსიები. ეს ელემენტარული, ფუნდამენტური რამ, არცთუ იშვიათად გვავიწყდება. ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ სააკაშვილი უდრის ომს, ახლა იმის დადგენაღა დაგვრჩა, მოგვიტანს თუ არა ივანიშვილი მშვიდობას, რის შემდეგაც არჩევანთან დაკავშირებით, ალბათ, საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით.**

# სააკაშვილის დალაქის საიდუმლო

**მიხეილ სააკაშვილი მაზოხისტია, — ამ დასკვნამდე შეიძლება არაერთი კომენტატორი მივიდეს, რადგან ქართულ პოლიტიკას არ ახსოვს შემთხვევა, როდესაც ადამიანმა თვე-ნახევრის განმავლობაში ერთი და იგივე შეცდომა სამჯერ დაუშვა, ამდენჯერვე ჩავარდა ორმოში და, დამამცირებელი მარცხის მიუხედავად, იმავე ორმოსკენ მიმავალი გზა მეოთხედ გაიარა. ხელისუფლებამ სამჯერ სცადა, დაეშინებია რეგიონების მოსახლეობა, რათა „ქართული ოცნების“ ხალხმრავალი აქციების ჩატარებისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ სამივე მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. გორის აქციის წინ მან აბსოლუტურად იგივე გაიმეორა, თანაც ისეთი მონდომებით, თითქოსდა მას არა პოლიტიკური, არამედ მართლაც რომ მაზოხისტური მოტივები ამოძრავებდა.**



გონიერი პოლიტიკოსები ყოველთვის ცდილობენ, რომ მათთვის არასასურველ მოვლენებს ნაკლები ყურადღება მიექცეს, ხოლო საზოგადოების დამოკიდებულება მათდამი, როგორც მინიმუმი, ორაზროვანი გახდეს. სააკაშვილი საპირისპიროს აკეთებს, თავისი კონტრქმედებებით ის ახდენს საყოველთაო ყურადღების მობილიზებას და მის მიმართვას მომავალი თავყრილობის მიმართ. ასე მაგალითად, **კარალეთის შეტაკებამ და წინმსწრები ინციდენტების სერიამ გორის მიტინგისთვის ერთგვარი პრომო-აქციის როლი შეასრულა. ამის გამო აქციამდე 3-4 დღით ადრე, თითოეული ცნობა შიდა ქართლიდან, დამოუკიდებელ მედიასა და სოციალურ ქსელებში განსახილველი საკითხების ტოპ-ხუთეულში ლამის ავტომატურ რეჟიმში ხვდებოდა;** საზოგადოება დაინტერესდა, — რა კულმინაცია ექნება ამ დაპირისპირებას. ბოლოს ყველაფერი ისე დასრულდა, რომ მომხდარისთვის სხვა შეფასების მიცემა, სააკაშვილის მორიგი მარცხის გარდა, პრაქტიკულად შეუძლებელი შეიქნა. მართალია, დაშინებამ გარკვეული შედეგი გამოიღო და გურიაში დამყარებული რეკორდის მოხსნას ადგილი არ ჰქონია (იმათ ვინ აჯობებს...), თუმცა მომიტინგეთა რაოდენობა, ნებისმიერ შემთხვევაში, შთამბეჭდავი იყო; **გააფთრებული წინააღმდეგობის, მიტინგის სავარაუდო დარბევაზე ჭორების მიზანმიმართული გავრცელების მიუხედავად, აქცია შედგა.**

ყოველივე ეს სააკაშვილმა საკუთარ თავს თვითონ დამართა, ზედიზედ მეოთხედ, ყოველგვარი იძულებისა და ძალდატანების გარეშე. იმის ნაცვლად, რომ ეცადა, ჩაეჩოჩებინა ეს მიტინგი საზოგადოების ყურადღების პერიფერიაზე, მან, თავისი ნაბიჯებით, მას ლამის სიკეთისა და ბოროტების გადამწყვეტი შერკინების დატვირთვა შესძინა, რომელშიც, ტრადიციისამებრ, დამარცხდა.

**სააკაშვილი, როგორც ჩანს, მართლა ჩაიციკლა ივანიშვილზე და ამაზე უკვე ანეგდოტები დადის: ვანო მერაბიშვილი შედის საპარიკმახეროში და ხედავს, რომ დალაქი სააკაშვილს ყურში ჩასჩურჩულებს: „ბიძინა, ბიძინა, ბიძინა...“. „რას შვები?!“ — ეკითხება გაკვირვებული მერაბიშვილი. „ასე თმები ყალყზე უდგება და კარგად ვჭრი“, — პასუხობს დალაქი.**

დროებით დავტოვოთ „ნაცმოძრაობის“ ბელადი გამოცდილი დალაქის ხელში; ამით არაფერი დაუშავდება, ბოლობოლო ეს პარიკმახერია და არა სანიტარი და „ქართული ოცნების“ გორის აქციას დავუბრუნდეთ. იყო ერთი გარემოება, რომელიც მას თბილისის, ქუთაისის, ოზურგეთისა და მცხეთის თავყრილობებისგან განასხვავებდა. გორში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში, მომიტინგეები აპროტესტებდნენ უსამართლობას, სიღარიბეს, ტერიტორიების დაკარგვას, უმუშევრობას და ხელისუფლების უგუნურ პოლიტიკას, მაგრამ, ამასთანავე, **გორის ქუჩებში გამოსულმა ქართლელებმა უთხრეს ხელისუფლებას ის, რასაც აგვისტოს ომის შემდეგ ოთხი წელი გულით დაატარებდნენ. ეს იყო მათი პასუხი იმაზე, რაც სააკაშვილმა ამ კუთხეს დამართა, პასუხი ომზე, მშვიდობიანი მოსახლეობის მიტოვებაზე, ღალატზე, ქვეყნის დანაწევრებაზე, ტკივილსა და სირცხვილზე, რომელიც მან საქართველოს 2008-ში მოუტანა.**

აქ, ალბათ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართლელები გამორჩეულად მედგარი ადამიანები არიან, ტკივილის გადატანა ზედმეტი ისტერიკის, სპეკულაციებისა და თეატრალური ჟესტების გარეშე შეუძლიათ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას საერთოდ ვერ გრძნობენ, ან იმას, რომ რაიმე დაავიწყდათ. **აგვისტოს ომმა თავისი პროლოგითა და ეპილოგით, რომელიც დღემდე გრძელდება, ამ რეგიონის ცხოვრებაზე განმსაზღვრელი ზემოქმედება მოახდინა და გასაკვირი არაა, რომ თემები, რომლებიც მას პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდებოდა, გორის მიტინგზე დომინანტური იყო.**

კაცი, რომელიც მეხუთე აბზაცში საპარიკმახეროში ყალყზე დამდგარი თმებით დავტოვეთ, 2008 წლის მოვლენებს ისე აღწერს, თითქოს თითოეულ ეპიზოდში, უმძიმესი ფაქტორების ზეწოლის ქვეშ, ის შესაძლებელთაგან მოქმედების საუკეთესო ვარიანტს ირჩევდა. არც ერთ, თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვან, ეპიზოდზე მას არ უთქვამს „აქ შევცდი“ ან „მინდა პატიება გთხოვოთ“. ამდენი „სწორი“ გადაწყვეტილება და კატასტროფული შედეგი ერთმანეთთან აშკარა წინააღმდეგობაში მოდის. საბოლოოდ, **„სააკაშვილის უცოდველობის დოგმატის“ დაცვის ჟინით შეპყრობილმა სახელისუფლო პროპაგანდამ აგვისტოს ომის პოლიტიკური ისტორია ურთიერთწინააღმდეგობრივი, ხშირ შემთხვევაში, აბსურდული მითების კრებულად აქცია.** სააკაშვილის ყმაწვილკაცობიდან მოყოლებულმა სურვილმა (კომპლექსმა?) — მუდამ ხუთოსნად წარმოჩინდეს, ხელი შეუშალა მას, საზოგადოებისთვის 2008 წლის მოვლენების დამაჯერებელი, სიმართლესთან ასე თუ ისე ახლოს მდგომი ინტერპრეტაცია შეეთავაზებია. ამის გამო ჩვენ მუდამ ვუბრუნდებით აგვისტოს ომის ბურუსით მოცულ ეპიზოდებს, ვეძებთ პასუხებს და ამ პროცესში სააკაშვილი უამრავ ქულას კარგავს. **გორი იყო ის ადგილი, რომელშიც ბიძინა ივანიშვილს მკაფიოდ უნდა დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი ამ ომზე და მისი უმძიმესი შედეგების აღმოფხვრაზე; აუდიტორია ამას ელოდა.**

„ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქართული სოფლების დაბომბვის შემდეგ სამხედრო მოქმედებები ისე დაიწყო, რომ ვერ გათვალა შესაძლო შედეგები. ხელისუფლების მოქმედებები იმ დღეებში ვერ უძლებდა ვერანაირ კრიტიკას. მაღალი თანამდებობის პირები სრულიად სამარცხვინოდ იქცეოდნენ. უზნეობაა, ლამის გამარჯვებულად გამოაცხადო ომი, რომელსაც 100-ზე მეტი სოფლის ოკუპაცია მოჰყვა“, — განაცხადა „ქართული ოცნების“ ლიდერმა, თუმცა გაცილებით მეტი დრო მომავალს, კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივებზე საუბარს დაუთმო. ნორმალიზაციას, მისი აზრით, საფუძვლად ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა უნდა დაედოს; გაიხსნება ერგნეთის ბაზრობა, რაც მნიშვნელოვნად გააფართოებს სივრცეს სახალხო დიპლომატიისთვის; ცხინვალელ ოსებთან პირდაპირი მოლაპარაკებები დაიწყება.

ცხადია, არ შეიძლება ერგნეთის ძველი ბაზრობა მიწიერ სამოთხედ წარმოვაჩინოთ, მიუხედავად იმისა, რომ ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ქართველებსა და ოსებს შორის დაახლოების საქმეში, მას კონტრაბანდა, კორუფცია და უკანონო გარიგებები უკავშირდებოდა. დღეს, სახელისუფლო მედიასაშუალებები ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ ივანიშვილი ძველი ბაზრობის აღდგენას აპირებს, „ქართული ოცნების“ ლიდერი, ალბათ, უნდა დაკონკრეტდეს და დაამტკიცოს, რომ ახალ პროექტზე საუბრობს, რომელიც წარსულიდან მხოლოდ კარგს აიღებს. თუმცა უკვე **დღეს, შეგვიძლია თამამად ვივარაუდოდ, რომ ქართლში მის ინიციატივას დადებითი რეაქცია მოჰყვება, იქ ერგნეთის ბაზრობა დამატებით შემოსავალთან და, რაც მთავარია, მშვიდობასთან ასოცირდება. ივანიშვილი ქართლელებს რუსული ბაზრის გახსნასაც დაჰპირდა, რაც ამ რეგიონს ჰაერივით სჭირდება.**

ნიშანდობლივია, რომ ივანიშვილმა თავის გამოსვლაში ცხინვალელ ოსებთან ურთიერთობების დალაგება პირველ ადგილზე დააყენა, რითაც საქართველოში გავრცელებული, მანკიერი ტრადიცია დაარღვია. რა დასამალია და, ჩვენში ფართოდ გავრცელებულია აზრი, რომ მთავარია დარეგულირება მოსკოვთან, ხოლო ოსების ინტერესები და მათი პოზიცია სათვალავში ჩასაგდები, პრინციპში, არ არის და, ფელდმარშალი ფონ შლიფენი რომ იტყოდა, „უმნიშვნელო დაბრკოლებას“ წარმოადგენს. ჩვენ, ალბათ, ფატალური შეცდომა დავუშვით, როდესაც საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს მოსაზრება გაიზიარა.

**მთავარი გზავნილი, რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერმა გორში (ცხადია, არა პირდაპირი ტექსტით) გააჟღერა, ძალიან მარტივი და გასაგები იყო: ივანიშვილი უდრის მშვიდობას. თუ არ იქნება მშვიდობა, უკან დაგვრჩება სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, საყოველთაო დაზღვევა და გაზრდილი პენსიები. ეს ელემენტარული, ფუნდამენტური რამ, არცთუ იშვიათად გვავიწყდება. ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ სააკაშვილი უდრის ომს, ახლა იმის დადგენაღა დაგვრჩა, მოგვიტანს თუ არა ივანიშვილი მშვიდობას, რის შემდეგაც არჩევანთან დაკავშირებით, ალბათ, საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით.**

ორიოდე სიტყვით იმ საინტერესო თამაშზე, რომელსაც ივანიშვილი ხელისუფლების საკვანძო ფიგურებთან აწარმოებს. მიტინგზე მან მერაბიშვილს ძველი ცოდვები შეახსენა, ხოლო ჟურნალისტებთან საუბარში, „ნაციონალების“ ინიციატივას **„წინასაარჩევნოდ ქცევის წესების შესახებ ერთიანი დოკუმენტის შექმნის“** თაობაზე, რომელიც ძალადობაზე და ამომრჩევლის მოსყიდვაზე უარის თქმასთან ერთად გულისხმობს **„ცესკოს მიერ შეჯამებული და სანდო რეპუტაციის მქონე სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული არჩევნების შედეგების აღიარებას“,** შემდეგი კომენტარი მოაყოლა: **„მათგან მოწოდებულს არაფერს სერიოზულად არ ვღებულობ“.** ფორმულას **„ძალადობაზე უარის თქმა** (ენ-დი-აი-ს მიერ „გაპრავებული“) **შედეგების აღიარების სანაცვლოდ“,** ცოტა არ იყოს, შანტაჟის ელფერი დაჰკრავს, თუმცა, ამასთანავე, ის ნაწილობრივ ზღუდავს უხეში ძალისმიერი მეთოდების მომხრეებს (ასეთებად, როგორც წესი, სააკაშვილი და ახალაია მოიაზრებიან) და წინა პლანზე გამოჰყავს ფიგურები, რომლებმაც შეიძლება, „სამშვიდობო პროცესის“ მოდერატორის როლი მოირგონ, მაგალითად, გიგა ბოკერია, რომელიც სამთავრობო კარუსელის დროს, მარტივად რომ ვთქვათ, გვერდზე გაწიეს. **ივანიშვილის პირველი გზავნილი, რომლის მიტანა მას მერაბიშვილის, ბოკერიასა და სხვა მმართველების ყურამდე სურდა, სავარაუდოდ, ის იყო, რომ მათ თანასწორუფლებიან პარტნიორებად არ განიხილავს და მათ მიერ შემოთავაზებული წესებით თამაშს არ აპირებს.** თუ ისინი თამაშის მის წესებს მიიღებენ, ხომ კარგი, თუ არა და, ის მათ სააკაშვილთან და ახალაიასთან „ერთ ქვაბში მოხარშავს“. საინტერესოა, რომ „ნაციონალების“ ინიციატივაზე საუბრის დასასრულს, მისი მიწასთან გასწორების შემდეგ, ივანიშვილმა (ერთობ პარადოქსულად) თქვა: **„თუ ამაზე მოწოდება იქნება, აუცილებლად შევუერთდებით“,** რაც შეიძლება იყოს გზავნილი დასავლელი პარტნიორებისადმი, პასუხისმგებლობა ამ ინიციატივაზე საკუთარ თავზე აიღონ (ან არ აიღონ), რადგან მერაბიშვილის, ბოკერიას ან ნებისმიერი სხვა თანამდებობის პირის თვითშემოქმედება ნაკლებად აინტერესებს. მოკლედ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ივანიშვილმა მიანიშნა სააკაშვილის გარემოცვის წევრებს, რომ ნებისმიერი ტაქტიკური ან სტრატეგიული ალიანსი სააკაშვილისა და ახალაიას წინააღმდეგ, შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ივანიშვილის პირობებს დათანხმდებიან და მის წამყვან როლს აღიარებენ.**

ამდენ საუბარში სულ დაგვავიწყდა, რომ სააკაშვილი საპარიკმახეროში, ექსპერიმენტატორი დალაქის ხელში, დავტოვეთ და მის დასახსნელად, ალბათ, საგანგებო ექსპედიცია უნდა მოვაწყოთ, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება შესაბამის სურვილს დააფიქსირებს.




**კაპიტალიზმი კლავს, ოღონდ ნელა და ლამაზად, ხანდახან — სწრაფად, თუმცა სიკვდილი სიკვდილია. მავანი იტყვის, მაინც ყველანი სიკვდილის შვილები ვართო, მაგრამ ღმერთმა ადამიანს სიცოცხლის, თანაც ადამიანური სიცოცხლის უფლება მისცა. ჩვენი ადგილობრივი ახლადგამომცხვარი კაპიტალისტები, ეს კი ძირითადად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაა, იმ გემზე აპირებენ ახტომას, რომელიც იძირება. კაპიტალიზმის გემზე კი პროლეტარიატის ადგილი არ არის.**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კაპიტალიზმი კლავს!

**ძალიან ზარმაცი უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ მიხვდეს – მსოფლიო ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი სულ უფრო ღრმავდება და ამას პოლიტიკური მიზეზები აქვს. სოციალისტური ბანაკის რღვევის შემდეგ ერთიანად „გაევროპელებულ-გაამერიკელებული“ ქვეყნების მოსახლეობა სულ უფრო ღატაკდება. მას რეალური სოციალური სიკეთეების ნაცვლად ვირტუალურ ბედნიერებას, ოდესმე მყისიერად გამდიდრების ილუზიას და დემოკრატიის სატყუარას სთავაზობენ. ზედმეტი ტვირთით შეწუხებული განვითარებული ქვეყნების მოსახლეობას კი სულაც არ სურს საკუთარი კეთილდღეობის მათთვის განაწილება. კაპიტალიზმის სანატრელი სავანე სინამდვილეში გადარჩენისთვის უმოწყალო ბრძოლის არენა აღმოჩნდა, რისთვისაც არც სოციალისტური ბანაკის მოსახლეობა და არც „შემოლობილი“ კაპიტალიზმის ქვეყნები არ აღმოჩნდნენ მზად.**




კომუნისტური საფრთხის გამო მუშათა კლასისთვის მინიჭებულ უფლებებს, ამ საფრთხის არარსებობის გამო, კაპიტალი ნელ-ნელა ზღუდავს, რასაც საპასუხო რეაქცია მოჰყვება.

**2007 წლიდან სწავლის საფასურის მომატების გამო კანადელმა სტუდენტებმა გაფიცვების მთელი სერია მოაწყვეს.**

2012 წელს მთავრობა კიდევ 75%-ით აპირებს სწავლის გადასახადის გაზრდას. სტუდენტები, უკვე 110 დღეა, გაფიცულნი არიან. ისინი ხელმისაწვდომ განათლებას ითხოვენ და ფულის გამო მდიდრებისა და ღარიბებისთვის განათლების განსხვებულ ხარისხს აპროტესტებენ.

2005 წლის გაფიცვამ კანადის მთავრობას სტუდენტების ძალა დაანახა. ახლა, 7 წლის შემდეგ, მთავრობამ დრაკონული 78-ე კანონი მიიღო, რომელიც „სწავლისთვის ხელის შეშლის გამო“ ათასდოლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. პროფკავშირებისთვის და ოფიციალური წარმომადგენლებისთვის ჯარიმა ასეულ ათასობით იზრდება. უკვე 40 დღის განმავლობაში ყოველ საღამოს გაფიცულები ქვაბებს აბრახუნებენ და დემონსტრაციებს მართავენ. თუ ადრე მუშები საკუთარ თავს ამ გაფიცვაში ვერ ხედავდნენ, 78-ე კანონის ამოქმედების შემდეგ ისინი სტუდენტების აქციებს შეუერთდნენ.

**5 ივლისს, ტიპოგრაფიების თანამშრომელთა გაფიცვის გამო, საფრანგეთი გაზეთების გარეშე დარჩა.** გაფიცვა თანამშრომელთა მასობრივმა დათხოვნამ გამოიწვია. გამომცემლობა Hersant-მა 670 თანამშრომელი დაითხოვა, ხოლო Presstails-მა — ათასი. ყოველდღიური პრესის ეროვნულმა კავშირმა გაფიცვა დაგმო. მათი აზრით, ბეჭდური პრესა ტიპოგრაფიების მძევლად იქცა.

**ნორვეგიაში ნავთობმომპოვებელი სექტორის მუშების გაფიცვამ მყისიერად იმოქმედა ნავთობის მსოფლიო ფასზე —იგი ერთბაშად ბარელზე 2 დოლარით გაძვირდა.** ნორვეგიამ განაცხადა, რომ შეიძლება ნავთობის მოპოვება შეწყვიტოს. გაფიცვის ორი კვირის განმავლობაში ნავთობის მოპოვება დღეში 15%-ით, ხოლო გაზის მოპოვება 7%-ით შემცირდა. ზარალმა 2 მილიარდი კრონა შეადგინა.

**250 დღეზე მეტია, საბერძნეთის მეტალურგები გაფიცული არიან.** პროფკავშირის მოხსენებაში ნათქვამია: **„ვიდრე ჩვენ გაფიცულები ვართ, საწარმოები ნაწილობრივ დასაქმებასა და ხელფასების შემცირებას მიმართავენ. მუშების წინააღმდეგ გამოყენებული მეთოდების არსენალი იზრდება. წამლები სამყოფად აღარ არის, სამედიცინო დაწესებულებებში მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება. სიღატაკე მატულობს. მთელი ფრონტის ხაზზე ნამდვილი ომია გაჩაღებული მუშათაკლასის წინააღმდეგ. ქარხნები და სიმდიდრე ჩვენს ხელში უნდა გადმოვიდეს. გაფიცულმა მეტალურგებმა დაამტკიცეს, ვინ არის სიმდიდრის შემქმნელი, „რომლის გარეშეც წარმოება ვერ იარსებებს“ და ვინ არის პარაზიტი“.**

**ივნისის ბოლოს პორტუგალიელი ავიადისპეტჩერების გაფიცვის გამო 150 რეისი გადაიდო.** გაფიცვა ხარჯების შემცირების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია. საბოლოო ჯამში, „ხარჯების შემცირება“ კომპანიას რამდენიმე მილიონი ევრო დაუჯდა.

**ივლისის დასაწყისში პაკისტანში ექიმები გაიფიცნენ.** ისინი ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. ხელისუფლებამ, მოლაპარაკების ნაცვლად, მუქარას მიმართა და რამდენიმე გაფიცული დააკავა კიდეც. დღე-ღამეში, სამედიცინო დახმარების გაუწევლობის გამო, 7 პაციენტი დაიღუპა.

**სამხრეთკორეელი ჟურნალისტები 3 თვის განმავლობაში იყვნენ გაფიცული მათ საქმიანობაში ჩაურევლობის მოთხოვნით.** ახალი ამბების სააგენტო Yonhap-ის რეპორტიორებმა განაცხადეს, რომ კომპანიის ხელმძღვანელები მათგან მოითხოვდნენ, არ გაეშუქებიათ მოვლენები, რომლებიც 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ პრეზიდენტ ლი მენ ბაკის პოლიტიკას ნეგატიურად წარმოაჩენდა. **Yonhap-ის ჟურნალისტებს სხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.** გაფიცვა მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც კომპანიის ხელმძღვანელობამ პირობა დადო, რომ ჟურნალისტების საქმიანობაში აღარ ჩაერეოდა.

**2 ივლისს ბრიუსელის საპასპორტო კონტროლის თანამშრომლები გაიფიცნენ. ისინი საერთაშორისო აეროპორტში შრომის მძიმე პირობებსა და პერსონალის სიმცირეს აპროტესტებდნენ.** ბელგიაში იანვარში ბოლო 20 წლის მანძილზე ყველაზე მსხვილმასშტაბიანი გაფიცვა ჩატარდა, რამაც ავიაფრენებისა და რკინიგზის მიმოსვლის სრული შეჩერება გამოიწვია.

**ივნისის ბოლოს ბრიტანეთი 24 საათით სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩა.** მიზეზი საპენსიო ასაკის 68 წლამდე გაზრდა იყო.

**ევროკავშირის წევრ ლიტვაში ივნისის ბოლოს გაფიცულ პოლიციელებსა და მეხანძრეებს მესაზღვრეებიც შეუერთდნენ.** ისინი „იტალიური გაფიცვის“ რეჟიმში გადავიდნენ, ანუ ყველა წესს ზედმიწევნით ზუსტად იცავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარზე მრავალკილომეტრიანი რიგი შეიქმნა. მათ შარსაც ვერავინ მოსდებდა, რადგან მუშაობაზე კი არ თქვეს უარი, არამედ მონდომებით და დეტალურად ამოწმებდნენ მანქანებს, რამაც საცობი გამოიწვია.

**„იტალიური გაფიცვა“ ერთობ ეფექტური ფორმაა, რადგან კანონმდებლობა არ ირღვევა, მაგრამ ყველა ინსტრუქციის შესრულების გამო საქმე ფუჭდება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოები საქართველოში სწორედ „იტალიური გაფიცვის“ პრაქტიკას მისდევენ: ისინი დროულად გამოხატავენ შეშფოთებას, ზომიერად აკრიტიკებენ მმართველ რეჟიმს, ისმენენ ოპოზიციის პრეტენზიებს, ყველაფერი კი ისევ ისე რჩება, როგორც მანამდე იყო.**

თუმცა დასავლეთისკენ მომზირალი ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ოდენ უცხოელების წარმომადგენელთა გაფიცვას განიცდიან, იმას კი არ იმჩნევენ, რომ კაპიტალიზმი, რომლისკენაც ასე ისწრაფვიან, ღრმა კრიზისშია. ისტორიის დასასრულად აღიარებულმა ფორმაციამ და მისმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ თვითდინებაზე რომ აღმოჩნდა მიშვებული, ერთი შეხედვით წარსულს ჩაბარებული კლასობრივი ბრძოლა გამოაცოცხლა.

გლობალიზაცია, რომელმაც „მფრინავი კაპიტალის“ სახე მიიღო, განვითარებულ დასავლეთს სასათბურე პირობებში აღარ ამყოფებს. **მითი იმის შესახებ, რომ დასავლეთის ქვეყნები განსაკუთრებული შრომის ეთიკის წყალობით გამდიდრდნენ, დაიმსხვრა. იგი მოქმედებდა, ვიდრე არსებობდა საზღვრები და რკინის ფარდა. დღეს, იაფი მუშახელის გამო, წამყვანი ფირმები განვითარებულ ქვეყნებს ტოვებენ და საწარმოები განვითარებად სახელმწიფოებში გადააქვთ.**

უმუშევრობას უკიდურესი უთანასწორობა ემატება და ჩვენი ლიბერალებისთვის სანატრელ ამერიკაში სწორედ სოციალური სამართლიანობის მოთხოვნით პერმანენტული აქციები იმართება.

**ბანკების მიერ სახლ-კარიდან გამოყრილ ამერიკელთა მრავალმილიონიან არმიას ისევე კვებავენ არაკებით, როგორც ისეთივე, ოღონდ კიდევ უფრო გაუმაძღარი ბანკების მიერ დაკაბალებულ ქართველებს.** წამყვანი ქვეყნები იძულებული ხდებიან, ისეთ პროტექციონისტულ ზომებს მიმართონ, რომლებიც ცხონებულ საბჭოთა კავშირს მოგაგონებთ; სხვაგვარად სახელმწიფო „ჩამოიშლება“ (როგორც სააკაშვილს უყვარს ხოლმე თქმა).

საკითხავია, **თუ საბჭოთა კავშირი ცუდი იმით იყო, რომ სახელმწიფო განაწილების პრინციპს ეყრდნობოდა, გეგმიური ეკონომიკა ჰქონდა და სოციალურ თანასწორობას ეყრდნობოდა, რატომ არის ყოველივე ეს კარგი დღეს, როცა „ისტორია დასრულდა“?** ეს არ არის პარადოქსი, ეს უფრო ცინიზმია. რაც ნებადართულია იუპიტერისათვის, აკრძალულია ხარისთვის. **დასავლური ცივილიზაცია მხოლოდ საკუთარ საზღვრებში და საკუთარი მოქალაქის მიმართ აღიარებს ადამიანის უფლებებს. სხვა დანარჩენზე ეს არ ვრცელდება.**

იმისათვის, რომ საკუთარ სახელმწიფოებში სტაბილურობა შეინარჩუნონ, ისინი სულ უფრო ხშირად მიმართავენ გარე რესურსებს და იყენებენ გარე საფრთხეებს. მთავარი ის კი არ არის, რომ ბანკმა ვალებში ყველაფერი წაგართვა, არამედ ის, რომ ლიბიაში (ეგვიპტეში, სირიაში და ა. შ.) დიქტატურაა! დღეს უნდა გავიჭირვოთ, რადგან დემოკრატიაა გადასარჩენი! ეს ზუსტად ის სქემაა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება იყენებს: **საქსტატი გვარწმუნებს, რომ ცხოვრება გაიაფდა, ხოლო მთავარი პრობლემა რუსეთია და არა საკუთარი მთავრობა!**

თუმცა ამ ზღაპრების აღარც საბერძნეთში სჯერათ, აღარც ინგლისში და აღარც ბელგიაში. უსასრულო ექსპერიმენტის მსხვერპლი საქართველოს მოსახლეობისგან განსხვავებით, იქაური მუშები არ აპირებენ იმ პრივილეგიების დათმობას, რომლებიც საბჭოთა კავშირის „საფრთხის“ წყალობით მიიღეს. სამყარო გლობალური გახდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დასავლური ცივილიზაციის პროლეტარიატი ჩინეთს მიაშურებს დასაქმებისთვის; იქაური მას არც ხელფასი ხიბლავს და არც ცხოვრების დონე. მუშები ისევ იქ დარჩებიან, გასვლით კი სამუშაო ადგილები გავა.

**საპროტესტო მოძრაობა არც სიცხის ბრალია და არც უგუნებობის. გიგანტური პირამიდა, რომელიც დღემდე როგორღაც აგრძელებდა არსებობას ამერიკული დოლარის მიმართ ბრმა ნდობის წყალობით, იშლება. ამ პროცესს ვერაფერი შეაკავებს, ახალი ომებისა და სხვა ქვეყნების ბუნებრივი რესურსების მიტაცების გარდა.** თუმცა ესეც დროებითი ზომაა; სამომხმარებლო საზოგადოება ვერ თმობს შეჩვეულ ცხოვრების წესს, ამ ბომონს კი სულ უფრო და უფრო მეტი მსხვერპლი ესაჭიროება.

**კაპიტალიზმი კლავს, ოღონდ ნელა და ლამაზად, ხანდახან — სწრაფად, თუმცა სიკვდილი სიკვდილია. მავანი იტყვის, მაინც ყველანი სიკვდილის შვილები ვართო, მაგრამ ღმერთმა ადამიანს სიცოცხლის, თანაც ადამიანური სიცოცხლის უფლება მისცა. ჩვენი ადგილობრივი ახლადგამომცხვარი კაპიტალისტები, ეს კი ძირითადად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაა, იმ გემზე აპირებენ ახტომას, რომელიც იძირება. კაპიტალიზმის გემზე კი პროლეტარიატის ადგილი არ არის.**

ჰილარი კლინტონს ახლად „გადემოკრატებულმა“ ეგვიპტელებმა პომიდვრები და ფეხსაცმელები დაუშინეს, საქართველოში კი პოზიცია-ოპოზიცია ერთნაირი აღფრთოვანებით დახვდა. ხალხი კი დუმს. ეს დუმილი შიშისმომგვრელია.

**დასავლური ცივილიზაცია მხოლოდ საკუთარ საზღვრებში და საკუთარი მოქალაქის მიმართ აღიარებს ადამიანის უფლებებს. სხვა დანარჩენზე ეს არ ვრცელდება**

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილმა, როგორც ჩანს, ვერ დაძლია თავისი, შიშებით დამძიმებული, ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ოპონენტზე (შეიძლება ითქვას, რომ დღეს ის ივანიშვილის გარდა ვერაფერს ხედავს) და შესაბამისად, ვერ იპოვა უკეთესი გადაწყვეტილება მისი პროგრამის კოპირებისა და მისთვის ხელის შეშლის გარდა, რამაც მმართველი პარტიის კამპანია მეორადი ტანსაცმელივით არამიმზიდველი, ივანიშვილის კამპანიაზე დამოკიდებული გახადა. ამასთანავე, ნათლად გამოჩნდა, რომ ვანო მერაბიშვილს, რომელსაც, იდეაში, შესამჩნევად ანერვიულებული „ნაციონალები“ უნდა დაემშვიდებია და განახლებული კამპანიის ლოკომოტივის როლი შეესრულებია, არ ჰყოფნის უნარ-ჩვევები საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობისთვის.**

# განხეთქილების ქვაშლი

**ჯონ ბასმა საქართველოში მოღვაწეობა დაასრულა, რიჩარდ ნორლანდი კი ჯერ კიდევ გზაშია. საგულისხმოა, რომ ქვების სროლა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ხელისუფლებამ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო. თავდასხმები ოპოზიციასა და მედიაზე ძალზე ინტენსიური, ყოველდღიური გახდა. როგორც ჩანს, ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალური ზიანი მიაყენოს ოპონენტებს, ვიდრე დაიწყება ოფიციალური ორთვიანი წინასაარჩევნო პერიოდი, როდესაც ის იძულებული გახდება, გაცილებით ფრთხილად იმოქმედოს და პროცესებში არ ჩაერთვება აშშ-ის ახალი ელჩი, რომელიც, იმისდა მიუხედავად, უჭერს თუ არა თეთრი სახლი მხარს ხელისუფლებაში სააკაშვილის დარჩენას, მაინც იძულებული გახდება, რეჟიმის გამორჩეულად ველური გამოხდომები გააკრიტიკოს და შეეცდება, ამ პრაქტიკაზე უარი ათქმევინოს. შესაძლოა, ამიტომ ჩქარობს სააკაშვილი და, გამორიცხული არაა, რომ მალე ,,ქართული ოცნების“ რეგიონულ ოფისებზე თავდასხმა და საშუალო რგოლების ლიდერებთან ანგარიშსწორება დაიწყოს.**





## არჩევნები ქვის ხანაში და დიდი ნადირობა ოპოზიციურ მამონტზე

### პალეოლითში ჩარჩენილები

ხელისუფლების ბოლო ნაბიჯები დიდ საიმიჯო დანაკარგებს დაუკავშირდა, გასულმა კვირამ თითქოსდა „ჩააბეტონა“ საზოგადოების აღქმაში სახე, რომლის დამალვას ადრე ის ნაწილობრივ მაინც ახერხებდა. აღნიშნული სახე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც წინასაარჩევნო პლაკატი, რომელზეც ორი პითეკანთოპია გამოსახული — ქალი, რომელიც ისტერიულად კივის და მამაკაცი, რომელიც ქვას ისვრის. ეს იყო ირიბი, თუმცა წინასაარჩევნო კონტექსტში, ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იმ „სპეცოპერაციისა“, რომლის ფარგლებში **ხელისუფლებამ შიდა ქართლის სოფლებში „ქართული ოცნებისთვის“ გზის გადაღობვა გამგეობის თანამშრომლების, მათი ოჯახის წევრებისა და ზონდერჯგუფების მეშვეობით სცადა. ათიოდე დღეში თითქმის არავის ემახსოვრება, ჩატარდა თუ არა შეხვედრა ამა თუ იმ სოფელში, მაგრამ ამ ადამიანების სიძულვილით დამახინჯებული სახეები ელექტორატის მეხსიერებიდან ასე იოლად არ წაიშლება.** ისე, ისტორიულ გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, ადრე თუ გვიან შურდულები, ბოლოს კი კატაპულტები უნდა გამოიგონონ, თუმცა, როგორც ჩანს, იქამდე ჯერ კიდევ შორია, ჯერ მამონტებზე ხეირიანი ნადირობა ვერ უსწავლიათ.

რა თქმა უნდა, შიდა ქართლის სოფლებში განვითარებულ მოვლენებს აქვს სამართლებრივი ასპექტი, რომლიც კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალიზებისთვის ხელის შეშლას და უამრავ სამართალდარღვევას მოიცავს. ზოგმა ყოველივე ამის მიღმა, რეჟიმის დასუსტების ნათელი ნიშნები დაინახა, მაგალითად, ის, რომ **სააკაშვილს იმდენად ცოტა აქტიური რიგითი მხარდამჭერი** (ე.წ. პეხოტა) **დარჩა, რომ იძულებული გახდა, ქუჩურ გარჩევებში მინისტრ ხაჩიძის ოჯახის წევრები და გამგებლები ჩაერთო** („დალაგებულ დიქტატურებში“ ასეთი ხალხი კადრს მიღმა რჩება). **შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ეს განგებ, იმისთვის გაკეთდა, რომ ამ ადამიანებს უკან დასახევი გზა მოეჭრას, რაც თავისთავად რეჟიმის მდგრადობაზე არამც და არამც არ მიუთითებს.** მაგრამ **მთავარი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მაინც საიმიჯო ასპექტია, მოვლენებმა ქართლში წინასაარჩევნოდ „ნაციონალური მოძრაობის“ სახელ ისტერიკაში ჩავარდნილი ზონდერი აქცია.**

იმდენი მოახერხეს, რომ საქმეში პატრიარქი ჩაერია და ძალიან მკვეთრი განცხადება გააკეთა: **„ეს არის სირცხვილი თქვენი და ქართველი ერისა. როგორ ბედავს ადამიანი, რომ იღებს ქვას და მეორეს ესვრის, სად არის თქვენი სარწმუნოება და სიკეთე?!“**

არადა, ბოლო საკადრო ცვლილებებმა თითქოსდა მისცა ხელისუფლებას შანსი, თავისი კამპანია, რომელსაც ძალზე უხეირო სტარტი ჰქონდა, სუფთა ფურცლიდან დაეწყო, თუმცა ამას ხელი ორმა ფაქტორმა შეუშალა. ჯერ ერთი, **სააკაშვილმა, როგორც ჩანს, ვერ დაძლია თავისი, შიშებით დამძიმებული, ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ოპონენტზე** (შეიძლება ითქვას, რომ დღეს ის ივანიშვილის გარდა ვერაფერს ხედავს) და შესაბამისად, **ვერ იპოვა უკეთესი გადაწყვეტილება მისი პროგრამის კოპირებისა და მისთვის ხელის შეშლის გარდა, რამაც მმართველი პარტიის კამპანია მეორადი ტანსაცმელივით არამიმზიდველი, ივანიშვილის კამპანიაზე დამოკიდებული გახადა.** ამასთანავე, **ნათლად გამოჩნდა, რომ ვანო მერაბიშვილს, რომელსაც, იდეაში, შესამჩნევად ანერვიულებული „ნაციონალები“ უნდა დაემშვიდებია და განახლებული კამპანიის ლოკომოტივის როლი შეესრულებია, არ ჰყოფნის უნარ-ჩვევები საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობისთვის.** მაგალითად, ინტერვიუ, რომელიც მან ტელეკომპანია „მაესტროს“ მისცა, საინფორმაციო თვითმკვლელობის აქტს მოგაგონებდათ. მერაბიშვილის ფონზე პავლე კუბლაშვილი და ნუგზარ წიკლაური შეიძლება დემოსთენედ და ციცერონად წარმოჩინდნენ, ის წარმოუდგენლად სუსტი ჩანდა.

შედარებით პერსპექტიულია ძველი შეცდომების გამოსწორების მიმართულება, მაგალითად, **ბენზინზე ფასის შემცირება ან ნაგვისა და ელექტროენერგიის გადასახადის ერთმანეთისგან გამიჯვნა, რის შესაძლებლობასაც ხელისუფლების წარმომადგენლები არ გამორიცხავენ.** თუმცა, იმის გარდა, რომ ასეთ ნაბიჯს აშკარა წინასაარჩევნო-პოპულისტური შეფერილობა ექნება, საჭირო გახდება „განტევების ვაცის“ მოძებნა, რომელმაც ხელისუფლებას ეს შეცდომა „დააშვებინა“, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახადების ასეთი სწრაფი შემოღება-გაუქმება სრული იდიოტიზმის შთაბეჭდილებას დატოვებს. **ხელისუფლება ორჭოფობს, მას, სავარაუდოდ, არ სურს წვალებით დაკავებული პოზიციების დატოვება და დამატებითი შემოსავლის დაკარგვა, თუმცა, თუ გარისკავს და ამ ნაბიჯს გადადგამს, ნეგატიური ემოციების გადამისამართება, ლოგიკურად თუ მივუდგებით, ქალაქის ხელისუფლებისკენ და გიგი უგულავასკენ მოხდება.**

მას საკმაოდ ცუდი პერიოდი დაუდგა: კობა სუბელიანი, რომელიც მის კადრად მოიაზრებოდა, უცერემონიოდ გაუშვეს მინისტრობიდან და პარალელურად დაიწყო უგულავას რეპუტაციისთვის გამანადგურებელი სკანდალი, რომელიც წმინდა სინოდის წევრებთან ურთიერთობაში მის არაკორექტულ ქცევას ეხება. ახლა კი შეიძლება დენი და ნაგავი შეახსენონ, ხატოვნად რომ ვთქვათ, მას „თბილისელი მეეზოვე კილოვატ საათოვი“ უახლოვდება.

**მთავარი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მაინც საიმიჯო ასპექტია, მოვლენებმა ქართლში წინასაარჩევნოდ «ნაციონალური მოძრაობის» სახელ ისტერიკაში ჩავარდნილი ზონდერი აქცია**

### პირველი სისხლის წინათგრძნობა

კრიზისის პირობებში იჩინა თავი პრობლემამ, რომელიც მმართველი პარტიისთვის დიდად აქტუალური არ იყო მაშინ, როდესაც პოლიტიკური ვაკუუმის პირობებში მოქმედებდა. **კონკურენციის შიშით, სააკაშვილმა, ფაქტობრივად, სრულად გაწმინდა მისი რიგები ქარიზმატული პიროვნებებისგან, რომელთაც იოლად შესამჩნევი ნაკლი არ ჰქონდათ; თან საქმის კეთება და თან ამომრჩეველთან დაუბრკოლებელი საუბარი, მისი მოსმენა შეეძლოთ.** ამ პროცესს შეიძლება **„არაბუნებრივი გადარჩევა“** ვუწოდოთ. შედეგად, მის გვერდით დარჩნენ ადამიანები, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, არც აზრის მწყობრი გადმოცემა, არც ამა თუ იმ ფენისთვის გასაგებ ენაზე საუბარი ძალუძთ. მათი გამოსვლები გადატვირთულია მკვდრადშობილი შტამპებით, ხოლო განათლება, ხშირ შემთხვევაში, საეჭვოა. ისინი სადღაც შუაში, ტრანზიტულ მდგომარეობაში გაიჭედნენ; მათ უმრავლესობას „თავისიანებად“ არც ერთი ფენა არ თვლის და მათ პრეტენზიებს ირონიულად უყურებს. მარჯვნიდან მათ ჩაესმით გამწარებული **„გლეხი კაცითვინ მაინც არავინაა“,** ხოლო მარცხნიდან მედიდური — **„ნუ ლაპარაკობ ასე, ნუ შეურაცხყოფ ჩემს ინტელექტს“** და დალაგებული პასუხის გაცემა არც ერთისთვის შეუძლიათ. ქვების სროლა (ფართო გაგებით), სავარაუდოდ, იმის გააზრებიდან დაიწყო, რომ ნაყოფიერი კომუნიკაცია შეუძლებელი გახდა.

**კაცმა რომ თქვას, თემურლენგიც კი ვერ დააზარალებდა „ნაციონალურ მოძრაობას“ ისე, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილმა მოახერხა. ის აიძულებდა მის გვერდით აღმოჩენილ მოლიბერალო ინტელექტუალებს, გაემართლებიათ ათასი საზიზღრობა ლტოლვილების გასახლებისა და მიტინგების დარბევის ჩათვლით, რამაც ისინი თავის წრეში მარგინალურ, მიუღებელ ფიგურებად აქცია.** არადა, ნებისმიერი „ნორმალური დიქტატორი“ ასეთ ვითარებაში მათ ზომიერი ოპონირების, უკმაყოფილო ბუზღუნის ნებას დართავდა. იმ ადამიანებს, რომელთაც პოტენციურად შეეძლოთ სოფლებსა და რეგიონულ ცენტრებში ავტორიტეტულ ფიგურებად ჩამოყალიბებულიყვნენ, ამა თუ იმ ძალისმიერი აქციით ფეხქვეშ სამართლიანობის იდეა გაათელინა, ანუ გააკეთებინა ის, რის გაკეთებაც რეგიონებში არამც და არამც არ შეიძლება (იქ, იდეაში, მრავალფეროვანი პოლიტიკის გატარებაა შესაძლებელი, მათ შორის საკმაოდ ხისტის, მაგრამ სამართლიანობის იდეის ხელყოფა და შეუზღუდავ ძალადობაზე გადასვლა პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასია). მოკლედ, **სააკაშვილი აკეთებდა ყველაფერს, რათა ეს ადამიანები გარშემომყოფებთან გადაულახავ კონფლიქტში შეეყვანა და საკუთარ თავზე მიება. მაგრამ ვის რაში სჭირდება ისინი დღეს, წინასაარჩევნოდ? რამდენი ამომრჩევლის მოზიდვა შეუძლია თითოეულ მათგანს?**

**დღევანდელი ძალადობა ხელისუფლების სისუსტიდან მოდის,** მეტი თვალსაჩინოებისთვის ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მორბენალი, რომელიც დისტანციაზე ჩამორჩა, ქვას სწვდა და ახლა ცდილობს, ლიდერს როგორმე კეფაში მოარტყას. ამას არაფერი აქვს საერთო სპორტთან და არჩევნებთან, ეს ყოვლისმომცველი სამოქალაქო დაპირისპირების დასაწყისს ჰგავს. ▶



**სიტუაცია კონტროლიდან გადის; სავსებით შესაძლებელი იყო, კარალეთში ქვების სროლას მსხვერპლი მოჰყოლოდა, ვერ გამოვრიცხავთ, რომ მალე ზონდერები ოპოზიციონერებზე თავდასხმის დროს ცივ, შემდეგ კი ცეცხლსასროლ იარაღს გამოიყენებენ, მითუმეტეს, რომ ესკალაცია ამ ალგორითმით „მესამე სამყაროს“ არაერთ ქვეყანაში არაერთგზის განვითარდა. საქართველოში ძალზე დაძაბული ატმოსფეროა, რომელსაც შეიძლება „პირველი სისხლის წინათგრძნობა“ ვუწოდოთ.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ეხ, გვარამია, გვარამია...

◀ **სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის გზავნილებს იმის თაობაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს, რომელთაც დანაშაული ჩადენილი არ აქვთ, არაფერი ემუქრებათ და მუშაობის უპრობლემო გაგრძელება შეეძლებათ, ორმაგი ეფექტი მოჰყვა. საშუალო რგოლში ეს, სავარაუდოდ, ისე გაიგეს, როგორც ივანიშვილს ჰქონდა ჩაფიქრებული, და გამორიცხული არაა, რომ საარჩევნოდ, არცთუ ცოტა ჩინოვნიკი სააკაშვილის გემის დატოვებას დაიწყებს. მაგრამ ქვედა რგოლში, იქ, სადაც ზონდერების ძირითადი მასა ბუდობს, ზოგიერთმა მისი სიტყვები თავისებურად გაიგო და, როგორც ამ რგოლში ხდება ხოლმე, საკუთარი თავისთვის სასურველი ინტერპრეტაცია მისცა** (ეს კერძო საუბრებშიც დასტურდება). **მათ ჩათვალეს, რომ შეიძლება გააგრძელონ დღევანდელი პრაქტიკა, ხოლო, თუ ივანიშვილი გაიმარჯვებს, ისინი „მსუბუქად მოინანიებენ“, რის შემდეგაც განსაკუთრებული პრობლემა არ შეექმნებათ. დღეს მათ, სხვა ყველაფერთან ერთად, დაუსჯელობის ეს წარმოსახვითი გარანტია აგულიანებთ და ივანიშვილმა, ალბათ, საგანგებოდ უნდა გააჟღეროს ახალი, კონკრეტული და არაორაზროვანი გზავნილი, რომელიც მათ ყურამდე მივა.**

სიტუაცია კონტროლიდან გადის; სავსებით შესაძლებელი იყო კარალეთში ქვების სროლას მსხვერპლი მოჰყოლოდა, ვერ გამოვრიცხავთ, რომ მალე ზონდერები ოპოზიციონერებზე თავდასხმის დროს ცივ, შემდეგ კი ცეცხლსასროლ იარაღს გამოიყენებენ, მითუმეტეს, რომ ესკალაცია ამ ალგორითმით „მესამე სამყაროს“ არაერთ ქვეყანაში არაერთგზის განვითარდა. **საქართველოში ძალზე დაძაბული ატმოსფეროა, რომელსაც შეიძლება „პირველი სისხლის წინათგრძნობა“ ვუწოდოთ.**

## თეფშოფობია: უკანასკნელი სტადია

**ის გააფთრება, რომლითაც ხელისუფლება გასულ კვირას სატელიტურ თეფშებს ებრძოდა, ჰანიბალის ნაგიჟარ საბრძოლო სპილოებსაც შეშურდებოდა.** მათი შეძენა და დამონტაჟება ერთობ პრობლემური გახდა (თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ანტენის ყიდვას სააკაშვილის ჯინაზე აპირებენ), როგორც ჩანს, ხმები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებამ მალაზიების მეპატრონეები და ხელოსნები დაამუშავა, უსაფუძვლო არ არის. დაყადაღებულია „მაესტროს“ კუთვნილი ანტენები, ვრცელდება ცნობები იმის თაობაზე, რომ **ზოგიერთ რეგიონში ხელისუფლების წარმომადგენლები ოჯახებში შედიან, ტელევიზორს რთავენ და თუ რომელიმე, მათი აზრით, „ოპოზიციურ არხს“ აღმოაჩენენ, მის ყურებას კრძალავენ. ამას, ცხადია, პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს, ეს ალალი შიზოფრენიაა, მის უკიდურეს, თეფშოფობიურ ფორმაში;** არც ერთი ხელისუფლება, რომელსაც არათუ დემოკრატიულობის, არამედ ფარდობითი ცივილიზებულობის პრეტენზია აქვს, ასეთ რამეს არ სჩადის, რადგან მშვენივრად იცის, რომ XXI საუკუნეში ინფორმაციისთვის გზის გადაღობვა გამორიცხულია.

**ქართველმა კომენტატორებმა არაერთი საათი დახარჯეს იმის გასარკვევად, თუ რატომ ეშინია სააკაშვილს კონკურენტების, წარმოსახვითი თვითმფრინავების, სხეულის გარკვეული ნაწილების ამპუტაციის და ა. შ. ალბათ, დროა, იმის დადგენა ვცადოთ, რა საფრთხეს ხედავს ადამიანი, რომლის მმართველობის წლებს მომავლის ისტორიკოსებმა, გამორიცხული არაა, „დიდი შიშიანობა“ უწოდონ, სატელიტური ანტენების უკან?**

მთავარი, რაც სააკაშვილს აშინებს, სავარაუდოდ, ტელევიზიის სამობილიზაციო პოტენციალია, ის, რომ მისი გამოყენებით ქუჩაში ასიათასობით ადამინის გამოყვანა, მეტიც, მათი მოქმედების კოორდინირებაა შესაძლებელი. მოვლენების განსხვავებული ინტერპრეტაციის შეზღუდვა ამ შემთხვევაში, ალბათ, მხოლოდ თანმდევი ამოცანაა, რადგან ადამიანი, რომელიც მსგავს აკრძალვას ეჯახება, არა მხოლოდ უკიდურესად ღიზიანდება, არამედ მყისიერად პოულობს ცენზურისგან თავისუფალი ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროს, გაზეთი იქნება ეს, ინტერნეტსაიტი თუ რადიოსადგური, თუმცა **ტელევიზიის პლუსი ისაა, რომ მას დროის ძალიან მცირე მონაკვეთში საზოგადოებრივ აზრზე განმსაზღვრელი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია, მაყურებელთა განწყობის ერთგვარი სინქრონიზაცია და, როგორც უკვე ვთქვით, მათი გარეთ გამოყვანა. იმავეს გაკეთება სხვა საშუალებებითაც შეიძლება და „ტვიტერული რევოლუციები“ ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, თუმცა ტელევიზია დღევანდელ საქართველოში მაინც გამორჩეულად ეფექტურია.**

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ხელისუფლება აპირებს „მასთ ქერის“ პრინციპზე უარი არჩევნების დასრულებისთანავე თქვას, რაც იმას ნიშნავს, რომ საკაბელოები ე. წ. ოპოზიციურ არხებს პრაქტიკულად დაუყოვნებლივ გათიშავენ. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამავე დროს ინტერნეტთან ან სულაც ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები შეიქმნება.

**ხელისუფლების ყველაზე დიდი კოშმარი ქუჩაში გამოსული ასიათასობით ადამიანია, რომლებიც არჩევნების გაყალბებას გააპროტესტებენ.** იმისათვის, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს, მან შეიძლება არა მხოლოდ მაქსიმალურად შეზღუდოს ამა თუ იმ ტელევიზიის ხელმისაწვდომობა, რასაც დღეს ცდილობს, არამედ შენობებშიც შეუვარდეს და მაუწყებლობა შეუჩეროს, როგორც ეს 2007-ში „იმედთან“ მიმართებაში გააკეთა. ასევე **უშუალოდ არჩევნების შემდეგ შეიძლება დააკავონ ოპოზიციის ის ლიდერები, რომელთაც ხელისუფლება განსაკუთრებით საშიშად აღიქვამს.**

მოკლედ, **ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ თბილისის (და სხვა ქალაქების) ცენტრში უზარმაზარი გამძვინვარებული მასა არ გამოვიდეს, რომლის დაშლა ხელკეტებითა და სპეცსაშუალებებით შეუძლებელი გახდება და ხელისუფლება საბედისწერო არჩევანის წინაშე დადგება — ისროლოს თუ არა ტყვია.**

ეს კი საკუთარი სიცოცხლის სასწორზე შეგდებას ნიშნავს, რაც სააკაშვილს ყველაზე ნაკლებად სურს. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მას ამ მომენტში რაიმე ზნეობრივი წინაღობა დააბრკოლებს, თუმცა შიშმა ნამდვილად შეიძლება შეაჩეროს. შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის შიში ქართული ოპოზიციის საუკეთესო მოკავშირეა, უბრალოდ, მას მართებული გამოყენება უნდა.

თუმცა, მთავარი ამ სიტუაციაში ისაა, რომ ხელისუფლება (სავარაუდოდ) ემზადება პოსტ-საარჩევნო დღეებისთვის იმ შაბლონების მიხედვით, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ და „არაბული გაზაფხულის“ გამოცდილების გააზრების შემდეგ შეიმუშავა. **თუ ოპოზიციის ტაქტიკა პრინციპულად განსხვავებული, ორიგინალური იქნება, სააკაშვილი, 99%-იანი ალბათობით, დაიბნევა და მართვის სადავეებს ხელიდან გაუშვებს. შეძლებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციურ საზოგადოებას მსგავსი ტაქტიკა შესთავაზოს? თუმცა, ვიდრე ამ კითხვაზე პასუხის ძებნას დავიწყებთ, ალბათ, მიზანშეწონილია, სხვა კითხვას ვუპასუხოთ: მივალთ თუ არა არჩევნებამდე საერთოდ? დღეს, ძალადობის სწრაფი ესკალაციის ფონზე, ამასთან დაკავშირებით სერიოზული ეჭვები გაჩნდა.**

**დიმიტრი მონიავა**

**ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ თბილისის (და სხვა ქალაქების) ცენტრში უზარმაზარი გამძვინვარებული მასა არ გამოვიდეს, რომლის დაშლა ხელკეტებითა და სპეცსაშუალებებით შეუძლებელი გახდება და ხელისუფლება საბედისწერო არჩევანის წინაშე დადგება — ისროლოს თუ არა ტყვია**

---

**კუზიანს სამარე მაინც გაასწორებს, ზნეობადაკარგულ, ყველაფრისმკადრებელ ადამიანს კი არც სამარე უშველის, იგი, როგორც ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრი პატარა მტაცებელი ცხოველი სკუნსი, სიმყრალით აიკლებს ხოლმე არემარეს.**



კატეგორიულად ვაპროტესტებთ ვინმე გოჩა გვარამიას მიერ „რია-ნოვოსტის“ ეგიდით გამართულ „მრგვალ მაგიდაზე“ დაყენებული სიცრუის და დეზინფორმაციის კორიანტელს. ამაზე თქვენი გაზეთი წერდა და დასაბუთებული პასუხიც გასცა პროვოკატორს, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ აღშფოთება, რომელიც ამ პერსონის მიერ დახვავებულმა ყურით მოთრეულმა ცრუ ფაქტებმა გამოიწვია, აუცილებელს ხდის ამ მცირედ შეპასუხებას.

**გვარამიას განცხადებები იმის თაობაზე, რომ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და მისი ლიდერი სეპარატიზმისკენ არიან მიდრეკილი, ანტიქართულ საქმეს აკეთებენ, არის სრული აბსურდი, ისევე როგორც სრული აბსურდია მის მიერ მოშველიებული, ბუნებაში არარსებული მეგრული საკვირაო სკოლები, რომლებიც თურმე ალექსანდრე ჭაჭიას ფოთში გაუხსნია.**

ეს ყველაფერი არის მტკნარი სიცრუე, პროვოკაცია, დესტრუქციული დავალების, მზაკვრული სპეცოპერაციის ნაწილი, რომლის მიზანია გვარამია-ვასაძის ტანდემმა თვითონ შეიქმნას საინფორმაციო ველი, მოახდინოს ინფორმაციის პერმანენტული „შემოგდება“ არარსებული მეგრული სეპარატიზმის შესახებ, რათა ამ თემამ ფორმალურად მაინც იარსებოს, მერე კი ხელები სხვებისკენ გაიშვიროს და ამ სასაცილო პოზით, რუსული სააგენტოს ოფისში გაპარპაშებულმა, უტიფრად განაცხადოს — მეგრული სეპარატიზმის კვალს მივაგენითო.

ვფიქრობთ, მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ ვისი ვიოლინო ვის როიალშია და როგორ გაშიფრა საკუთარი თავი გვარამია-ვასაძის ტანდემმა. მათ უნიჭოდ სცადეს, დაებრალებინათ სხვებისთვის ის, რასაც თვითონ აკეთებენ და აქვთ დავალებული „ზემოდან“. ამ ბინძურ საქმეში სამიზნედ ბატონმა გვარამიამ, ვასაძემ და კომპანიამ რატომღაც სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ შეარჩიეს, სავარაუდოდ მისი სახელწოდებიდან გამმიდინარე, მაგრამ ფეხი არ ჩაუვათ...

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ყოველთვის მოქმედებდა სწორედ ერთიანი საქართველოს და ზოგადქართული ინტერესების განსამტკიცებლად რასაც ადასტურებს კიდევაც ის პათოსი, რომელიც გასდევს როგორც ამ ორგანიზაციის საქმიანობას, ასევე მისი ლიდერის პრინციპულ პოზიციას და ყველა საჯარო გამოსვლას.**

**ძალიან მონდომებული და თავზეხელაღებული არამზადა უნდა იყოს ადამიანი, ვისაც ჭაჭიას თუნდაც ერთი პუბლიკაცია წაუკითხავს, რომ მას სეპარატიზმში დასდოს ბრალი.** ასევე არამზადობისა და ცრუპენტელობის კლასიკური მაგალითია გვარამიას განცხადება, თითქოს „გლობალიზაციის პრობლემების შემსწავლელი ცენტრი“, რომელსაც ჭაჭია ხელმძღვანელობს, მოსკოვში სპეცსამსახურების საფარქვეშ შექმნილი ორგანიზაციაა. ეს ორგანიზაცია საქართველოშია შექმნილი, თბილისში ფუნქციონირებს და მისი ერთ-ერთი თანამშრომელი ამ წერილის თანაავტორი გახლავართ. მაშ, საკითხავია, რომელი სპეცსამსახურის შექმნილია ეს ცენტრი და რომელი სპეცსამსახურის დავალებას ასრულებს გვარამია როდესაც რუსული სააგენტოს ოფისიდან ამ ცენტრს „რუსულობაში“ ამხელს?

**ჩვენ კარგად ვიცით რომ მეგრული სეპარატიზმი არ არსებობს, რომ მეგრელ კაცს როგორც იმ კუთხის შვილს, რომელიც ისტორიულად იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სივრცის ინიციატორი, კი აქვს პრეტენზია, თანაც გამოხატული, რომ თავი წარმოაჩინოს როგორც უფროობით ხარისხში ქართველმა, მაგრამ არასოდეს გამოთქვამს სეპარატისტულ მიდრეკილებებს. თუმცა კაცებზე ვსაუბრობთ და ამას ვერასოდეს გაიგებენ გვარამია და სხვა კაცუნები.**

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დედაქალაქში მეტწილად პროსომხური ელემენტების და ფსევდო-ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ წლების მანძილზე ინერგებოდა მეგრელის — როგორც ამ სივრცისთვის უცხო კლიშე. ამ კლიშეს კარგად იყენებდნენ სპეცსამსახურები და სამწუხაროა, რომ ამჯერადაც მეგრული გვარის მქონე ადამიანი — ვინმე გვარამია გამოიყენეს არარსებული „მეგრული სეპარატიზმის“ ტორპედირებისთვის.

გვარამიას და ვასაძეს „რიანოვოსტი“ მგონი არა რუსული, არამედ ჩინური სააგენტო ჰგონიათ, და ამ სააგენტოს კედლებიდან ბრალს გვდებენ რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით სეპარატიზმის კულტივირებაში.

ეს სასაცილოა — თუკი რომელიმე სპეცსამსახური ამ თემას ვინმეს მეშვეობით კულტივირებს, მაშინ ფაქტი უდაოდ სახეზეა, იგი ამისთვის გავლენის აგენტებად გვარამია-ვასაძის ტანდემს იყენებს და ამ ტანდემისთვის აშკარა რუსული კვალი რომ წაშალოს, სწორედ იმ საკითხებზე და იმ სპეცმეთოდებზე ასაუბრებს თავის გავლენის აგენტებს, რაც თეთრი ძაფით შეკერვის გამო ესოდენ თვალშისაცემია ხსენებული „მრგვალი მაგიდის“ მასალების გაცნობისას.

**ეს აბსურდის თეატრი კიდევ ერთი კოვზია, რომელიც ნაცარში ჩაუვარდათ „მეგრული სეპარატიზმით“ მოვაჭრე გრანტიჭამიებს, რომლებიც გაუგონარი სიცრუით და სხვებისთვის ლაფის შესხმით ცდილობენ მზისქვეშ ადგილის დამკვიდრებას.**

მათ უნიჭობაზე ის არგუმენტიც მეტყველებს, რომელიც „მრგვალ მაგიდაზე“ გვარამიამ ვინმე მურადიანთან ჭაჭიას არარსებული ინტერვიუს დასტურად — მოიყვანა — თუ არ მიუცია ჭაჭიას ეს ინტერვიუ, მაშინ რატომ არ უარყოო.

საინტერესო რა და სად უნდა უარეყო ჭაჭიას, ინტერვიუ რომელიც არ მიუცია და შესაბამისად, როგორც არარსებული, ნანახიც არ აქვს?

ეხ, გვარამია, გვარამია, ამ ლოგიკით პრესაში თქვენზეც დაწერეს „მეგიოხვენჯე“... ამის უარყოფა ან რაიმე დასტური, რომ ასე არ არის, არც თქვენგან წამოსულა... და რა ვქნათ ახლა, ვირწმუნოთ, რომ რადგან არ უარყოფთ, ესე იგი ფაიზალი „მეგიოხვენჯე“ ხართ?!

გაანებეთ, ბაბაია, თავი უკუღმა ჭრას და კერვას, გაანებეთ... არც ერთი გრანტი არ ღირს იმად, საქვეყნოდ რომ იჭრით თავს... სახელი გიტყდებათ, თორემ სიცრუის ტირაჟირებისთვის თავს არავინ გაგიტეხავთ... ისე, რომ იცოდეთ, სჯობია, სახელის გატეხვას ისევ თავის გატეხვა გერჩივნოთ.

**ზაურ გახარია**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ კოორდინატორი**

**ვიქტორ ცაავა**
**გლობალიზაციის შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე**

საქართველო და მსოფლიო
პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საინტერესოა, რას გულისხმობს ბიძინა ივანიშვილი, როცა ამბობს, რომ საჩხერეში არ ჩამესვლება. ამით საჯაროდ ხომ არ აცხადებს, რომ არ ჩამიშვებს, ან გამაძევებს, ან დამიჭერს? ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში ჯერ არ მოსულა და უკვე ასეთ განცხადებებს აკეთებს. კაცი, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს იწუნებს და ამბობს, რომ უზნეოდ ექცევიან, თავად ზნეობრივად მომექცა? ან დავიჯერო, მისი განცხადება დემოკრატიული და სამართლიანია? ბიძინა ივანიშვილი უზნეოდ მომექცა. მას არ აქვს უფლება, ყველას ტალახი ესროლოს.“**

## ვალერი გელბახიანი:

# ბიძინა ივანიშვილმა ბოდიში მომიხადოს

**ვალერი გელბახიანი ბიძინა ივანიშვილისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღირსების შელახვისთვის მის წინააღმდეგ სამართლებრივი ბრძოლის დაწყებას აპირებს. „საქართველო და მსოფლიოს“ საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩემი საქართველოს“ ხელმძღვანელი ვალერი გელბახიანი ესაუბრება.**

**— ბატონო ვალერი, „ქართული ოცნების“ გორის აქციაზე ბიძინა ივანიშვილის მიერ თითქოს ხუმრობით ნათქვამმა ფრაზამ თქვენი აღშფოთება გამოიწვია. მეტიც, ბრძოლაშიც კი გამოიწვიეთ. რას აპირებთ?**

— ბიძინა ივანიშვილს ხუმრობით არაფერი უთქვამს. ნათქვამის კონტექსტი ჩემთვის ძალიან გასაგები იყო. მან მოიყვანა შედარება, თითქოს ვალერი გელაშვილს ჩაესვლება ხაშურსა და საჩხერეში და მე — არა. მისი გამონათქვამი ცინიკური და დამამცირებელი იყო ჩემთვის. ეს იყო ჩემი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვის მცდელობა. ხოლო, როცა სერიოზული ტრიბუნიდან სერიოზული განცხადება კეთდება, იქ შეცდომაზე საუბარიც არ უნდა იყოს. **თუ ივანიშვილი შეცდომებს ასე ადვილად უშვებს, მაშინ მას ამდენი პრეტენზია და ამბიცია არ უნდა ჰქონდეს.**

მე ბიძინა ივანიშვილის შესახებ დამამცირებელი და ღირსების შემლახველი არასდროს არაფერი მითქვამს. როცა კაცთან არ გაქვს ურთიერთობა, არაფერი იცი მის შესახებ, არ უნდა ჩათვალო, რომ უფლება გაქვს, მასზე ყველაფერი ილაპარაკო, რადგან გამოდის, რომ სხვებს უჯერებ და რაღაც ჭორების მიხედვით აკეთებ შეფასებებს. თუ ასე არ არის, მაშინ გამოვიდეს და თქვას, რის საფუძველზე განაცხადა, რომ საჩხერეში არ ჩამესვლება. რამდენიმე დღეში, **ბიძინა ივანიშვილისგან ახსნა-განმარტებას საჯაროდ მოვითხოვ.**

**— აღნიშნეთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა თქვენ შესახებ ჭორებს დაუჯერა. რას გულისხმობთ?**

— არ ვიცი, უამრავი პარტია ჰყავს კოალიციაში, ჭრელი კონგლომერატია. თუმცა ჩემ მიმართ კოალიციის წევრების დამოკიდებულება, დიდი ხანია, ცხადი იყო. მაგალითად, როცა რამდენიმე ხნის წინ კოალიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჩემზე თქვა, მოსიარულე კომპრომატიაო (მაგრამ რა იგულისხმა კომპრომატში, არ დაუკონკრეტებია), არ მივაქციე ყურადღება და ჩავთვალე, რომ ეს აზრი ამ ადამიანის ჩემდამი პიროვნული დამოკიდებულების შედეგი იყო, მაგრამ დღეს ასე აღარ მოვიქცევი, რადგან უკვე მათმა ლიდერმა იგივე საჯარო ტრიბუნიდან განაცხადა.

**საინტერესოა, რას გულისხმობს ბიძინა ივანიშვილი, როცა ამბობს, რომ საჩხერეში არ ჩამესვლება. ამით საჯაროდ ხომ არ აცხადებს, რომ არ ჩამიშვებს, ან გამაძევებს, ან დამიჭერს? ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში ჯერ არ მოსულა და უკვე ასეთ განცხადებებს აკეთებს. კაცი, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს იწუნებს და ამბობს, რომ უზნეოდ ექცევიან, თავად ზნეობრივად მომექცა? ან დავიჯერო, მისი განცხადება დემოკრატიული და სამართლიანია? ბიძინა ივანიშვილი უზნეოდ მომექცა.** მას არ აქვს უფლება, ყველას ტალახი ესროლოს. თუ არის ზეკაცი და ღმერთი, სხვა საქმეა, მაგრამ მე ივანიშვილიც ჩვეულებრივი ადამიანი მგონია და ვინ მისცა მას უფლება, დამამცირებელ კონტექსტში ისაუბროს ჩემზე საჯარო ტრიბუნიდან? **ივანიშვილი გვპირდება, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღარ იქნება ხელისუფლების მხრიდან ხალხისადმი დამამცირებელი დამოკიდებულება, მაგრამ ამაზე მეტი დამცირება რა გინდათ, როგორც მე დამამცირა? იმას, რასაც სხვებს ჰპირდება, იმავე ტრიბუნიდან თავად არღვევს.**

**— რას გულისხმობდით, როცა განაცხადეთ, რომ ბრძოლას უცხადებთ ბიძინა ივანიშვილს?**

— რა თქმა უნდა, მხოლოდ სამართლებრივ ბრძოლას ვგულისხმობდი. გავაკეთებ იმას, რასაც ჩემი მოქალაქეობრივი და პროფესიული ეთიკა მოითხოვს. ჯერ **საჯაროდ მოვითხოვ, ბიძინა ივანიშვილმა ბოდიში მომიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაასახელოს რის საფუძველზე აკეთებს ასეთ განცხადებას და რა აქვს მხედველობაში, როცა ამბობს, რომ საჩხერეში არ ჩამესვლება.** რაიმე დანაშაული ან უწესო საქციელი მაქვს ჩადენილი? თუ ჩემი დეპუტატობის პერიოდში უსამართლოდ ვიქცეოდი? პირიქით, საჩხერეში ხალხს რომ უსამართლოდ იჭერდნენ, როცა დეპუტატი ვიყავი, ყველას ვეხმარებოდი.

**— ბიძინა ივანიშვილს ბრძოლა გამოუცხადეთ. არ ფიქრობთ, რომ მასთან ბრძოლაში დამარცხდებით? საზოგადოების მხარდაჭერა რამდენად გექნებათ მაშინ, როცა ივანიშვილს ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების დიდი ნაწილი უჭერს მხარს...**

— არ არის ასე. მოდი ასე ვთქვათ, **ეს ხალხი ბიძინა ივანიშვილს კი არ უჭერს მხარს, დღეს ეს ხალხი ამ ხელისუფლების სიძულვილით არის ივანიშვილთან მისული,** რადგან იმედი აქვს, რომ ის ხელისუფლებას შეცვლის. ამიტომ ის, რომ ხალხს უყვარს ივანიშვილი, ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია. ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე თუ მიხეილ სააკაშვილი, თავის დროზე, ხელისუფლებაში ხალხის მხარდაჭერით მოსული ლიდერები იყვნენ. პოლიტიკური ამბიციების მქონე ადამიანებისთვის კი ხალხის განწყობა სპეკულაციის საგანია, მაგრამ, როცა პოლიტიკოსი არჩევნებს იგებს და მოდის ხელისუფლებაში, უკვე ისიც მიუღებელი პერსონა ხდება იმავე საზოგადოებისთვის, რომელიც ერთ დროს მხარს უჭერდა.



**«ივანიშვილი გვპირდება, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღარ იქნება ხელისუფლების მხრიდან ხალხისადმი დამამცირებელი დამოკიდებულება, მაგრამ ამაზე მეტი დამცირება რა გინდათ, როგორც მე დამამცირა?»**

**— ანუ ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილიც „სააკაშვილად იქცევა“, როცა ხელისუფლებაში მოვა?**

— ჯერ არ მოსულა და ხომ ხედავთ, უკვე რა უაპელაციო განცხადებებს აკეთებს?! ვიღაც ენას მიუტანს და მერე ყოვლად უსაფუძვლო ინფორმაციას ახმოვანებს. თუ რაიმე პრეტენზია ჰქონდა ჩემ მიმართ, ელემენტარულად, სხვაგვარად შეეძლო ეთქვა ან დიპლომატიურად დაერეგულირებინა ურთიერთობა, მაგრამ ადგა და ჩემ წინააღმდეგ პოლიტიკური ტრიბუნა გამოიყენა. **ივანიშვილს, ალბათ, ეგონა, რომ მისი ნათქვამი რაიმეს დამაკლებდა. ვერაფერს დამაკლებენ, იცოდეს მაგანაც და სხვებმაც, იმიტომ, რომ ჩემთვის პოლიტიკური ბრძოლა „ახალი ხილი“ არ არის. რაც პოლიტიკაში ვარ, ყველა ხელისუფლებასთან ბრძოლა მიწევდა. დამაკლეს რამე? ვერ შემაშინეს, რადგან ყოველთვის სიმართლის მხარეს ვიდექი და მუდამ ვიდგები.**

კაცი, რომელსაც სახელმწიფოს მესაჭეობაზე აქვს პრეტენზია, ჭორებს აყოლილი არ უნდა იყოს.

**— როცა უპირისპირდებით და აკრიტიკებთ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ხელისუფლების დამარცხების ერთადერთი იმედია, თქვენ რა გამოსავალს, რა ალტერნატივას სთავაზობთ იმ საზოგადოებას, რომელსაც აღარ სურს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება?**

— ალტერნატივა იყო ოპოზიციის გაერთიანება, ამაზე დიდი ხანია ვსაუბრობ. ამიტომ, როცა ალტერნატივას აღარ ტოვებ და საზოგადოებას დამარცხებისთვის წირავ, მე მგონი, ეს საზოგადოების წინაშე ჩადენილი დიდი დანაშაულია, რადან ამომრჩეველი შეცდომაში შეგყავს და ამ შემთხვევაში მხოლოდ შედეგით კმაყოფილდები. ამასაც ვნახავთ, თუ არ იქნება შედეგით კმაყოფილი და თუ არ შევა პარლამენტში არჩევნების წაგების შემთხვევაშიც კი...

**— როდესაც „ქართული ოცნების“ ან ოპოზიციური სპექტრის სხვა წარმომადგენლები გაკრიტიკებენ, თქვენ მიმართ ერთ-ერთი პრეტენზია ის არის, რომ საქართველოში თქვენს ჩამოსვლას ხელისუფლებასთან გარიგებას უკავშირებენ.**

— მაგათი შიშით დედა არ მენახა და აღარ ჩამოსვულიყავი? მათი უზნეო აზრით, მომაკვდავი მშობელი და შვილი ნახავენ თუ არა ერთმანეთს, სააკაშვილზე ყოფილა თურმე დამოკიდებული. მე ჩემი გადასადგმელი ნაბიჯი გადავდგი და, თუ დამიჭერდნენ, ამისთვისაც მზად ვიყავი. არც ერთ მათგანს არ ვუსურვებ არც ციხეს და არც ემიგრაციას, მაგრამ, როცა გამოცდიან, მიხვდებიან, რა სისულელეს ლაპარაკობდნენ და რა ცინიზმი ახრჩობდათ. რა ვუპასუხო ამ უსინდისო და უზნეო ადამიანებს?!

**ასეთი საშინელი ტრაგედია მქონდა ოჯახში და იმის მაგივრად, რომ მოესამძიმრებიათ, სოციალური ქსელები გადააჭრელეს ჭორებით, ვითომ საქართველოში ხელისუფლებამ ჩამომიყვანა.**

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებთ, რომელსაც ინა გუდავაძე დააფინანსებს.**

— ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება და არ ვიცი, რატომ გავრცელდა.

**— მაგრამ თქვენ აღნიშნული ინფორმაცია პრესასთან დაადასტურეთ.**

— მე ვადასტურებ, რომ, **თუ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი გადაწყვეტს პოლიტიკაში მოსვლას, მე სიამოვნებით მივალ და მხარს დავუჭერ.** არ ვამბობ, რომ მაინც და მაინც პარტიის ხელმძღვანელი ვიქნები. პარტიის რიგით წევრადაც რომ მომიწიოს ყოფნა, ყოველგვარი მოტივაციების გარეშეც დავუჭერ მხარს, ვინაიდან **მე ვიყავი ბადრი პატარკაციშვილის თანამებრძოლი და არ მინდა ვიყო სხვისი თანამებრძოლი.**

**— ანუ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერი არ არის?**

— არც ვიცი, რეალურია თუ არა ეს ინფორმაცია. ვფიქრობ, ეს არის ჭორი, ჩემი მხრიდან პარტიის შექმნა გამორიცხულია. რაც შეეხება ინა გუდავაძის პოლიტიკაში მოსვლას, ესეც ჭორი მგონია, თუმცა, თუ რამე რეალობაა ამ ჭორში, მივესალმები.

**— თქვენ ამ საკითხზე პირადად არ გისაუბრიათ ქალბატონ ინასთან?**

— არა, არ მისაუბრია.

**— და ბოლოს, რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა NDI-ს კვლევების შედეგები, რომლის მიხედვითაც, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალურ მოძრაობას“ 36%, „ქართულ ოცნებას“ კი 18% უჭერს მხარს. რამდენად რეალურად შეიძლება ასახავდეს აღნიშნული სოციოლოგიური კვლევა ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო სურათს?**

— ხელისუფლება ძალიან ბევრ ბერკეტს ფლობს, რათა თავისი მხარდამჭერები აკონტროლოს. გააჩნია, რა კონტინგენტს შორის ჩატარდა ეს გამოკითხვა. რაიმე კომპაქტური დასახლება თუ გამოკითხა, მაშინ ეს რეალური ციფრებია და მთელ საქართველოში არსებულ ვითარებას, ცხადია, ეს კვლევა ვერ ასახავს. არც „ნაციონალების“ 36% მგონია ნამეტანი მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ ვფიქრობ, „ქართულ ოცნებას“, ალბათ, მათზე მეტი მხარდამჭერი ეყოლება.

ესაუბრა **შორენა ციჯქარაშვილი**

უმწეო ამომრჩევლის ცოდვით ტირილი მიშას მარტო უყვარს, თანამომტირლების გარეშე. ჰანს ქრისტიან დემოკრატი კი ტელეჟურნალ „დროებაში“ დაწყებულ „ცრემლიანი სიუჟეტების“ ციკლს ძველებურად განაგრძობს (ისე, რომ პროდიუსერი და შემოქმედებითი ჯგუფიც არ შეუცვლია) და ხან აფრიკაში, ხან სენაკში, ხანაც ჩუმლაყში აღვარღვარებს ცრემლებს ამომრჩევლის საცოდაობით.

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰანს ქრისტიან დემოკრატები

**დროშაზე უწერია „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“. ამ ეტაპზე ეს ტრიადა ახლით ჩაანაცვლა: „თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა“. სლოგანიც ახალი აქვს: „ერთიანი საქართველო — ყველა თაობისათვის“. გზავნილიც: „განათლება — შვილებს, დასაქმება — მშობლებს და დაფასება — პენსიონერებს“.**



ერთის მხრივ, აცხადებს: **„ჩვენ ვართ ევროპის მემარჯვენე ცენტრისტული პოლიტიკური ოჯახის წევრები“.** მეორე მხრივ, მოხუცებს, უმწეოებს, გლეხებს, დევნილებსა და სხვა დანარჩენ ამომრჩეველს უხვად აძლევს სოციალისტურ დაპირებებს.

მან სააკაშვილიც კი გამოიყვანა წყობიდან (რომელშიც ისედაც არასოდეს ყოფილა) და ამ წინასაარჩევნოდ ათქმევინა: **„ბევრი პოპულისტია. „ქრისტიან-დემოკრატები“ ყოველდღე ხალხს ახალ-ახალ რაღაცებს ჰპირდებიან. ბოლო კვირების განმავლობაში რომ დავითვალე, რამდენ რამეს დაჰპირდნენ, კინაღამ ავიღე ტელეფონი და დავურეკე გიორგი თარგამაძეს, დაახლოებით, 10 მილიარდის თამასუქები აქვთ გაცემული. ასე შორს ვერ წავალთ. ჩვენ, ვინც, დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებს მოვიგებთ, მოსახლეობას მსგავსს არაფერს ვპირდებით. მხოლოდ ამოვდივართ იქიდან, რა გააჩნია საქართველოს და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქვეყანა განვითარდეს“,** — ცხელ გულზე ამოთქვა მიხეილ სააკაშვილმა.

ჰანს ქრისტიანიც გამოეპასუხა: **„ჩვენ ხალხს ყოველთვის ვთავაზობთ კონკრეტულ გეგმას, რაც სახელმწიფოს რესურსების ფარგლებშია შესაძლებელი. ჩვენ ამაზე არა მხოლოდ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ვსაუბრობდით, რაც მიხეილ სააკაშვილმა დაითვალა, არამედ ადრეც. ამას მილიარდების დაპირება კი არ სჭირდება, არამედ ელემენტარული სურვილი, რომ გატარდეს დემოკრატიული პოლიტიკა, ხალხს სჭირდება ყურადღება“.**

გამოეპასუხა და აფრიკაში, პარკაიების ოჯახშიც, მიიპატიჟა. მას რომ სდიოს კარდაკარ, სააკაშვილს საკუთარი პარტიის წინასაარჩევნო კამპანია გვერდზე დარჩება. ასეც რომ არ იყოს, **უმწეო ამომრჩევლის ცოდვით ტირილი მიშას მარტო უყვარს, თანამომტირლების გარეშე. ჰანს ქრისტიან დემოკრატი კი ტელეჟურნალ „დროებაში“ დაწყებულ „ცრემლიანი სიუჟეტების“ ციკლს ძველებურად განაგრძობს** (ისე, რომ პროდიუსერი და შემოქმედებითი ჯგუფიც არ შეუცვლია) და ხან აფრიკაში, ხან სენაკში, ხანაც ჩუმლაყში აღვარღვარებს ცრემლებს ამომრჩევლის საცოდაობით.

**„მე დღეს ვიმყოფებოდი 3-სულიან ოჯახში, სადაც პატარა ბავშვია. ეს არის დევნილების ოჯახი, 12 წელია, ცხოვრობს 4 კვადრატულ მეტრში, სადარაჯო ჯიხურში. ჩემთან ერთად წამოვიდეს სააკაშვილი და დათვალოს, სჭირდება თუ არა 10 მილიარდი პარკაიების ოჯახის პრობლემის მოგვარებას“.**

რაკი სააკაშვილი მიპატიჟებას არ გამოეპასუხა, 15 ივლისს ჰანს ქრისტიანი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყის ტერიტორიაზე მცირე ბაზარს ესტუმრა და ატმის რეალიზატორებს გაესაუბრა. გული ისე დაეწვა ატმის გამყიდველების საცოდაობით, რომ იქვე თქვა, ტელეკამერების წინ: **„საქართველოს ხელისუფლებას ვურჩევ, რომ იფიქროს და იზრუნოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. დღეს კახელი გლეხი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რადგან მოყვანილი მოსავლის რეალიზებას ვერ ახდენს. მე ადგილზე გავეცანი მათ პრობლემებს და ვნახე, თუ როგორ დაბალ ფასად ყიდიან ისინი ატამს. ზოგი კი ამასაც ვერ ახერხებს და მოსავალი გადასაყრელი უხდებათ“.**

მერე მეგობარ სააკაშვილს ტოლი არ დაუდო და, რაკი რთველამდე კიდევ სამი თვეა დარჩენილი, აიღო და ჩუმლაყელი გლეხის — ოთარ მირიანაშვილის ატმის ბაღი მოინახულა, მოსავლის კრეფაში თავადაც მიიღო მონაწილეობა და გაუსაღებელ ატამს ერთი-ორი ვედრო კიდევ დაამატა. „ევროპის მემარჯვენე ცენტრისტული პოლიტიკური ოჯახის წევრმა“ ისიც გაასაჩივრა, რომ არც ერთი ხილის მიმღები და გადამამუშავებელი პუნქტი არ ფუნქციონირებს. არ არის

სამაცივრო-სასაწყობო ინფრასტრუქტურა, სადაც ხილს ჩააბარებენ, გლეხს გაისტუმრებენ, შემდეგ კი პროდუქტს სოლიდურ ფასად ექსპორტზე გაიტანენ.

**„ის, რაც ჩვენ ადგილზე ვნახეთ, ძალიან მკაცრი შეფასებების საფუძველს იძლევა მთავრობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ. სანამ სააკაშვილი ყვარელში თავის ბაღში არ დაიწყებს ატმის მოყვანას, მანამდე არ გაახსენდება, რომ კახეთში გლეხებს ამ მიმართულებითაც სჭირდებათ დახმარება. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ნათლად გამოხატავს უსისტემობას, უპროგრამობას და ქართული სოფლის მიმართ უგულო დამოკიდებულებას“,** — განაცხადა ჰანს ქრისტიანმა.

22 ივნისს ჰანს ქრისტიანი სენაკში, სამხედრო დასახლებაში, მცხოვრებ დევნილებს შეხვდა და მათ პრობლემებზე ესაუბრა. როგორც ირკვევა, იგი იქ მესამედ ჩავიდა, დევნილებს კვლავაც იგივე პრობლემები აწუხებთ, რაც წინა წლებში აწუხებდათ. **„თითოეულ ჩამოსვლაზე იგივე პრობლემები გვხვდება და კიდევ უფრო მეტი ემატება. მათ შორის, უპირველესად, ეს არის აქ არსებული გაზიფიცირების, წყალგაყვანილობისა და ანტისანიტარიის პრობლემები. თუმცა არის საკითხები, რომლებიც ამასთანავე ძალიან სწრაფად შეიძლება მოგვარდეს. ეს არის არსებული ბინების დაკანონება და საკუთრებაში გადაცემა დევნილებისთვის, რაც, დიდი ხანია, უნდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა“**, — განაცხადა ჰანს ქრისტიანმა.

იგი კასპის რაიონში მცხოვრებ დემეტრაშვილების ოჯახსაც ესტუმრა.

როგორც საპარლამენტო „დროების“ სიუჟეტიდან შევიტყვეთ, დემეტრაშვილები ქართულ თაფლს აწარმოებენ, თუმცა ოჯახი პროდუქტის რეალიზაციას ვერ ახერხებს. ჰანს ქრისტიანი მოითხოვს, ხელისუფლებამ შექმნას ლაბორატორია, რომელიც თაფლის ხარისხის კონტროლს უზრუნველყოფს და პროდუქტს ხარისხის სერთიფიკატს მიანიჭებს. **„აუცილებელია, ორი ლაბორატორია მაინც ფუნქციონირებდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, რომლებიც შესაბამისი სახის სერთიფიკატს გასცემენ, რაც ქართული თაფლის საერთაშორისო ბაზარზე გატანას განაპირობებს. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ქართველი მეფუტკრე ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი პროფესიის მქონე იქნება მთელი საქართველოს მასშტაბით“**, — დაგვპირდა ჰანს ქრისტიანი.

ლაბორატორიების გარდა, იგი მთავრობას ბიუჯეტის პროექტში თანადაფინანსებით სტუდენტების დაზღვევას, სახელმწიფოს ხარჯზე 5 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის დაზღვევას, ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიების გაზრდას, ომის ვეტერანებისთვის სადაზღვევო პაკეტის შემოღებას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსების გაზრდასაც სთავაზობდა.

მან არც ახალგაზრდები დაივიწყა და დაჰპირდა, რომ არ დარჩება არც ერთი სტუდენტი, რომელსაც არ ექნება დაფინანსება. **„ჩვენი პროგრამა ითვალისწინებს იმ სურათის შეცვლას, რაც დღეს გვაქვს, როდესაც 10-დან მხოლოდ 3 სტუდენტს მიუწვდება ხელი სასწავლო სტუდენტურ გრანტზე, ჩვენი წინადადება ითვალისწინებს იმას, რომ ათივე სტუდენტი მიიღებს 50%-იან დაფინანსებას, ანუ 1125 ლარს 2250 ლარიდან, დარჩენილი 50% კი მიიღებს კიდევ უფრო მეტს თავიანთი შედეგების გათვალისწინებით, 75%-იან ან 100%-იან დაფინანსებას“**, — განაცხადა ჰანს ქრისტიანმა.

მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა საქართველოში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ გააკეთა განაცხადი, ხოლო სააკაშვილმა იგივე იდეა თავისად გაასაღა, ჰანს ქრისტიანმა სააკაშვილის „პირველი ღამის უფლება“ ხმალამოღებულმა დაიცვა: **„ამასწინათ ერთი ძალიან საინტერესო ადამიანის მხრიდან, რომელსაც ძალიან ბევრი ფული აქვს** (აჰ, კიკუ, კიკუ! — თ. დ.), **მოვისმინეთ, რომ მისი ოცნების ერთ-ერთი ნაწილი არის საქართველოში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსება და მნიშვნელოვანი თანხებისა და რესურსების ჩადება იმისთვის, რომ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ქვეყნისთვის აუცილებელი კადრები გამოიზარდოს. ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს მთავრობა, უკვე ერთი წელია, აწარმოებს მოლაპარაკებებს ამერიკის შეერთებული შტატების მილენიუმის დახმარების პროგრამასთან, რადგან საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას წარმოადგენს ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის აშენება,“** — განაცხადა ჰანს ქრისტიანმა.

მისი თქმით, საქართველოს „ორი სათაური“, ანუ ორი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი არ სჭირდება და ხელისუფლებამ ივანიშვილთან მოლაპარაკებით უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი: **„ვუთხრათ „მილენიუმს“, რომ არ არის საჭირო ხელმეორედ ამ თანხის ხარჯვა და მთელი ეს ფული, დაახლოებით 200 მილიონი ლარი, გამოიყოს სწორედ სოფლის მეურნეობის პროგრამებისთვის“.** ერთი სიტყვით, ეგ 200 მილიონი აქეთ, ქართული ატმის, თაფლის და ჩემს სხვა პროექტებზე გამოუშვითო!

**ჯერ კიდევ ტელე-იმედიდან გამოყოლილი პროპაგანდისტული ხრიკები ჰანს ქრისტიანმა პოლიტიკურ მინდორზე გადმოიტანა** და უნებურად ის წამოსცდა, რაზეც გულში ფიქრობს: **„ხელისუფლების ნება რომ იყოს, მთელ მთავრობას გააუქმებდა და ერთ პროპაგანდის სამინისტროს შექმნიდა. სწორედ პროპაგანდაა, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ყველაზე კარგად გამოსდის“.** არადა, ცოდვა გამხელილი სჯობს, ეს პროპაგანდა არც მას გამოსდის ცუდად.

თუ სააკაშვილი თვითმფრინავის შტურვალს უზის, ჰანს ქრისტიანი ავტობუსს მართავს, თუ მიშა ველოსიპედზე ჯდება, ჰანსი ფეხით და უჰალსტუხოდ (როგორც ერთმა დიდმა პოეტმა თქვა, „ხვლიკს რად უნდა ჰალსტუხი“?) დადის, თუ მიშას კოორდინატორები ჰყავს, ჰანსს ქრისტიან-ჟურნალისტები ახვევია გარს. ერთი სიტყვით, **ის მუდამ ეკრანზეა: ხმლით, კალმით და წურბელებით კისერზე!**

ის უყურებს ახალ მთავრობას და თავადაც ვერ ხვდება, რომ მთავარი საიდუმლო გათქვა: **„ეს, ახალი მთავრობა კი არა, „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო შტაბია“!** შსს-ს ყოვლისშემძლე მინისტრი ახალ სავარძელში მაგიური ჩაქუჩით ნუსხავს ჰანს ქრისტიანს:

**„მიუხედავად კოსმეტიკური სამთავრობო ცვლილებებისა, არსი ერთია – როცა ერთადერთ იარაღად ჩაქუჩი დაგრჩენია, ყველა ლურსმნად გეჩვენება — პოლიტიკური ოპოზიცია, ბიზნესი, მედია. ვანო მერაბიშვილი თავად არის ამ რეპრესიული მანქანის ერთდროულად თანაშემოქმედიც და ნაწილიც, ამიტომაც დარწმუნებული ვარ, მიუხედავად მისი თაყვანისმცემლების ოპტიმიზმისა, მათი ვანო, „ნაცმოძრაობის“ უკვე საკმაოდ გაცვეთილი ძრავისთვის მაღალხარისხიანი ზეთის ფუნქციას ვერ შეასრულებს. ჩვენ ვამბობდით, რომ მნიშვნელოვანია წესრიგი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული სოფლის აღორძინება, რომ ქართული სახელმწიფოს ხერხემალი, ვანო მერაბიშვილი კი არა, ძლიერი ქართული ოჯახი იყოს“**, — განაცხადა ჰანს ქრისტიანმა.

ჩაქუჩები კი დუმან და ჩუმად ქირქილებენ; მათი ჩაკაკუნების გარეშე ჰანს ქრისტიანი და მისი მეგობრები ვერც ადრე შევიდოდნენ პარლამენტში და ვერც ოქტომბერში მოახერხებენ ამას. ლუის ნავაროს დედას გეფიცებით, ასე თუ არ იყოს!

და მიუხედავად იმისა, რომ ჰანსი ოპოზიციონერობს, ერთ საკითხში იგი სააკაშვილთან სრულ საჯარო უნისონშია: **„ძალიან ცოტა რამეში ვეთანხმებით ამ ხელისუფლებას, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი, რაც გვაერთიანებს, საქართველოში სამხედრო განათლების მხარდაჭერაა. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ქართული ძლიერი არმიის ჩამოყალიბების ხერხემალი სწორედ ახალი ქართული სამხედრო ელიტა უნდა იყოს, რომელიც სამხედრო აკადემიასა და კადეტთა კორპუსში იზრდება. ამის განვითარებას ხელს შევუწყობთ იმ შემთხვევაში, როცა ხელისუფლებაში მოვალთ და რას იტყვიან რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები ამასთან დაკავშირებით, ეს მეორეხარისხოვანია. საერთოდ, რუსეთის ოფიციალური პირები გარკვეული პერიოდულობით ყოველთვის აკეთებენ განცხადებებს საქართველოს აგრესიულ განწყობებთან დაკავშირებით, ეს იქნება ტერორისტული აქტების მზადებისთვის ხელშეწყობა თუ სხვა. ეს მათ იმისთვის სჭირდებათ, რომ რეგიონში მუდმივად არსებობდეს დაძაბულობის ფონი, რათა მათთვის საჭირო მომენტში იმოქმედონ ისე, როგორც 2008 წელს. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ და, სხვათა შორის, აშშ არის ერთ-ერთი გარანტორი იმისა, რომ მსგავსი ფაქტი არ განმეორდეს“**, — განაცხადა ჰანს ქრისტიანმა.

**აშშ იმის გარანტორიც არის, რომ ჰანს ქრისტიანი მომავალშიც საპარლამენტო ოპოზიციის სტატუსით სარგებლობდეს, მაგრამ აღდგომა და ხვალეო!**

ისე, რას ვერჩით კეთილ მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენს. სააკაშვილი და თარგამაძე ერთი ზღაპრის ორ შემოქმედს — ძმებ გრიმებს უფრო გვანან, ოღონდ ნამდვილი გრიმები გერმანული ენის ლექსიკონს წერდნენ, ეს ძმები კი ტყუილებით გვჩხიბავენ და ტელემაყურებელს აცუცურაკებენ.

არა, ძმები გრიმები არა — არნოლდ შვარცენეგერისა და დენი დე ვიტოს ტყუპები არიან, ოღონდ ეს კინო არ არის – ჩვენი ცხოვრებაა!

**თამარ დავითულიანი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუ „ნაცმოძრაობა“ არჩევნებს წააგებს და რეალურ საფრთხეს იგრძნობს საზოგადოებისგან, ქვეყანა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდება.
ვიღაცას ეს შეიძლება აბსურდად მოეჩვენოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაში არარეალური არაფერია. ნუ დაგვავიწყდება, რომ აქ საუბარია ხელისუფლებაზე, რომელსაც უკვე ჭკუა აღარ მოეკითხება, ამიტომ დღესდღეობით საქართველოში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება...“

მერაბ შათირიშვილი:



# თუ ამ არჩევნებში «ნაცმოძრაობა» გაიმარჯვებს, საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებს

**მოახლოებულ არჩევნებზე, ხელისუფლების მიერ განხორციელებულ საკადრო გადაადგილებებსა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი.**

**— ბატონო მერაბ, რამდენიმე დღის წინ „ნაცმოძრაობის“ ზონდერბრიგადების მიერ სოფელ კარალეთში გამოჩენილმა „თავდადებამ“ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ხელისუფლება არჩევნებს ცოცხალი თავით არ დათმობს. მეორე მხრივ, საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ არჩევნებზე ამყარებს იმედებს. თქვენ რა შთაბეჭდილება გრჩებათ და, საერთოდ, როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?**

— ის, რაც კარალეთში მოხდა, მხოლოდ დასაწყისია იმ უმძიმესი და უსასტიკესი რეპრესიებისა, რომელსაც ახალაიას გამინისტრების შედეგად უნდა ველოდეთ მომავალში. ერთის მხრივ, ეს, რა თქმა უნდა, მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ აპირებს დათმობას და, მეორე მხრივ, მიანიშნებს იმაზე, თუ რა გზით ეცდებიან გამარჯვების მოპოვებას. მიხეილ სააკაშვილს უკვე აღარ აინტერესებს ელექტორატი და ეს მის ყოველ გამოსვლაში იგრძნობა. ის, უბრალოდ, დარწმუნებულია, რომ ძალოვანი უწყებები ბოლომდე მიჰყვება, ჰყავს რამდენიმე საიმედო ადამიანი გარემოცვაში, რომლებიც, ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერ გაწუდგება „ნაცმოძრაობას“, ვინაიდან თავიდან ბოლომდე სიბინძურეშია ჩაფლული, და ჰყავს საკმაოდ გავლენიანი ლობისტური ჯგუფები სხვადასხვა დასავლურ სტრუქტურაში. სხვა დანარჩენი — ხალხი რას ფიქრობს, სააკაშვილს არ აინტერესებს, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მას ამომრჩეველთან უკვე, ფაქტობრივად, შანსი არ აქვს და მეორეც, მან იცის, რომ არჩევნების მოსაგებად ხალხის მხარდაჭერა არ არის აუცილებელი. ამისთვის სხვა გზაც არსებობს, მაგალითად: დაშინება, დატერორება, ქვების სროლა და ა. შ. ეს ბევრად უფრო იოლი და ეფექტიანი გზაა გამარჯვებისთვის. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: გამორიცხულია, ხელისუფლებამ ეს არჩევნები დათმოს და, რა მხარდაჭერაც უნდა ჰქონდეს მის რომელიმე კონკურენტს, ვინმეს მოაგებინოს. ეს, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ისეა, რაც შეეხება ოპოზიციას, კერძოდ ქართულ ოცნებას, როცა ხელისუფლება პირდაპირ გეუბნება, მე ვარ ყაჩაღი, არ მაინტერესებს ნამდვილი, ჭეშმარიტი პოლიტიკა, მხოლოდ პოლიტიკის ფასადს ვქმნიო, და მთელ ძალისხმევას გადაგატანინებს ამ ფასადზე, გამოდის, რომ უკვე შენი მხრიდანაც ფასადურია ეს ბრძოლა. ამ დროს შიგნით, საზოგადოებაში, სადაც მთელი შენი ყურადღება და აქცენტი უნდა გადაიტანო, ბევრი რაღაც გრჩება უყურადღებოდ. ამით რის თქმა მინდა: ჩემი აზრით, უკვე დროა, მთლიანად ოპოზიციამ და კერძოდ ბიძინა ივანიშვილმა, „ქართული ოცნების“ სხვა ხელმძღვანელობასთან ერთად, მთავარ პრიორიტეტად დაისახოს შიდარესურსთან მუშაობა. **ერთადერთი, ვინც ამ უბედურებისგან გვიხსნის და**

## «სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე ვდგავართ»

**გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას, არის ქართველი ხალხი, ამიტომ არ შეიძლება მხოლოდ ამერიკისა და ევროპის იმედზე არჩევნები ჩაატარო ან გამარჯვებაზე იფიქრო.** აქამდე ამან რა შედეგიც მოიტანა, ყველამ ვნახეთ და ახლაც თუ იგივე განმეორდა, ჩავთვალოთ, რომ დამთავრებულია ყველაფერი — ქვეყანა დაიღუპება...

**— გასულ კვირას ბიძინა ივანიშვილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა. რამდენად სწორადაა ეს ადამიანები შერჩეული, როგორ ფიქრობთ?**

— მე ვიცი, რომ საზოგადოებაში ამან უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და ეს ბუნებრივიცაა, იმიტომ, რომ ესენი არ არიან ის სახეები, ის ადამიანები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეების მობილიზებას მოახდენენ. **არ ვიცი, რა ნიშნით მოხდა მათი შერჩევა, მაგრამ ფაქტია, რომ „ქართულმა ოცნებამ“, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ჯერჯერობით ვერსად ვერ წარმოადგინა სერიოზული, ანგარიშგასაწევი კანდიდატები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოალიცია კადრების კუთხით კრიზისს განიცდის.** სხვათა შორის, ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა აქვს „ნაცმოძრაობას“ — სულ 75 მაჟორიტარობის კანდიდატი უნდა იყოს და აბსოლუტურად ყველგან, ყველა რაიონში, ასახელებენ მაქსიმალურად წონად ფიგურებს. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების კანდიდატებს მოსახლეობა მეტ-ნაკლებად იცნობს და, თავის მხრივ, კანდიდატსაც აქვს გარკვეული წარმოდგენა თავის რაიონზე. „ქართული ოცნების“ შემთხვევაში კი თითქოს არც ფიქრობენ ამაზე, ხალხი ისე ინიშნება და საქმეს ისე იბარებენ, რომ გაგებაში არ არიან, რა ხდება. იმ კანდიდატებიდან, რომლებიც გასულ კვირას წარადგინა ივანიშვილმა, ერთ-ერთმა განაცხადა, ჯერ არ ვიცი, რა პრობლემებია ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, მაგრამ ჩავალ, გავეცნობი, დავბრუნდები და ყველაფერს შევისწავლიო. დალოცვილო, ორი თვეა არჩევნებამდე დარჩენილი, ახლა გინდა მოსახლეობის პრობლემები შეისწავლო?! მაპატიეთ, მაგრამ, კაცი რომ ასეთ სისულელეს წამოროშავს, მერე არ უნდა გიკვირდეს, ქვებს თუ დაგიშენენ და ჯოხით გამოგიდგებიან...

**— მოკლედ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ, კანდიდატების შერჩევის მხრივ, ივანიშვილი იმდენად სერიოზულ შეცდომებს უშვებს, რომ ამის გამო მან შეიძლება არჩევნები წააგოს?**

— საბოლოო შედეგებზე ახლა ნუ ვისაუბრებთ, თუმცა **კოალიციამ რომ არაერთი შეცდომა დაუშვა, მე მგონი, ამაში ყველა დამეთანხმება. ჩემი აზრით, შეცდომაა ის იგნორირების პოლიტიკაც, რომელსაც ივანიშვილი თავიდანვე ატარებდა ხელისუფლების პროვოკაციული ქმედებების მიმართ.** ამან რეალურად არა თუ ვერ განმუხტა სიტუაცია, პირიქით, კიდევ უფრო დაძაბა ვითარება, ვინაიდან, რეჟიმს მიეცა სრული თავისუფლება და დღეს იგი ყოველგვარი შეზღუდვის, დაბრკოლების გარეშე აკეთებს ყველაფერს, რაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად სჭირდება.

## «დალოცვილო, ორი თვეა არჩევნებამდე დარჩენილი, ახლა გინდა მოსახლეობის პრობლემები შეისწავლო?!»

**— იქნებ დააკონკრეტოთ: ხელისუფლების პროვოკაციაზე არწამოგების პოლიტიკა თუ შეცდომა იყო, მაშინ რა მოქმედება იქნებოდა უფრო სწორი კოალიციის მხრიდან?**

— მე მიმაჩნია, რომ, თუ რეალურად რამე შედეგის მიღწევა უნდა, ივანიშვილმა უფრო ქმედითი და მყისიერი ნაბიჯები უნდა გადადგას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხომ ხედავთ, ხელისუფლება რას აკეთებს? — შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ კონკურენტები მიწასთან გაასწოროს. აგერ კარალეთში რა მოხდა, ახლა კიდევ რას ელოდები? უფრო დიდი რაღაც უნდა მოხდეს?! ეს გამორიცხულია, **უფრო ფართომასშტაბიან პროვოკაციაზე არ წავა ხელისუფლება; უბრალოდ, მუდმივად იქნება წერტილოვანი, ლოკალური შეტევები და ამით მიაღწევს კიდეც დასახულ მიზანს.** სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ასეთი ლოკალიზებული პროვოკაციებით გაანეიტრალა ხელისუფლებამ 2009 წლის აპრილის აქციები, ასე რომ, რა თქმა უნდა, კი, ერთის მხრივ კარგია, როცა ოპოზიციური სპექტრი ინარჩუნებს სიმშვიდეს და არ არის იოლად ფეთქებადი, მაგრამ **რეალურად ოპოზიციას ასევე უნდა შეეძლოს საკუთარი ძალის დემონსტრირებაც; არ შეიძლება, მუდმივად ჩვენ ვიყოთ გალახულები და დამ-**

## «კაცი რომ ასეთ სისულელეს წამოროშავს, მერე არ უნდა გიკვირდეს, ქვებს თუ დაგიშენენ და ჯოხით გამოგიდგებიან...»

**ცირებულები. როცა ის ლოკალურად გიტევს და ეს გრძელდება თვეობით, წლობით, შენ უნდა შეუტიო უკვე მასობრივად. სხვანაირად ძალადობას დასასრული არ ექნება და სამართლიანობის განცდა ვერ დამკვიდრდება ქვეყანაში.**

**— დასაწყისში აღნიშნეთ, რომ გამორიცხულია, ხელისუფლებამ არჩევნები დათმოს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქვეყანაში მორიგი არეულობა და საზოგადოებრივი მღელვარებაა მოსალოდნელი?**

— არა თუ მოსალოდნელია, **სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუ „ნაცმოძრაობა“ არჩევნებს წააგებს და რეალურ საფრთხეს იგრძნობს საზოგადოებისგან, ქვეყანა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდება.** ვიღაცას ეს შეიძლება აბსურდად მოეჩვენოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაში არარეალური არაფერია. ნუ დაგვავიწყდება, რომ აქ საუბარია ხელისუფლებაზე, რომელსაც უკვე ჭკუა აღარ მოეკითხება, ამიტომ დღესდღეობით საქართველოში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება...

**— და თუ ხელისუფლება მოიგებს არჩევნებს, ამ შემთხვევაში რა მიმართულებით უნდა ველოდეთ მოვლენების განვითარებას?**

— ამ ხელისუფლების გამარჯვება, მითუმეტეს, თუ ეს საზოგადოებამ დათმო, ნიშნავს, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, საბოლოოდ განწირულია. ამ შემთხვევაში, უბრალოდ, აზრს კარგავს ყველაფერი და ხალხსაც აღარ ექნება მოტივაცია. მე პირადად, თქვენი გაზეთის მეშვეობით, ვაცხადებ, რომ, **თუ ამ არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებს, რამდენიმე დღეში საქართველოს დავტოვებ. ასე მოიქცევა კიდევ უამრავი ადამიანი და ქვეყანა დაიცლება.**

ესაა ამათი მიზანიც და ამისთვის იბრძვის ეს ხალხი, მათ კარგად იციან ერთი რამ, თუ მე არ ვიქნები, თქვენ არ იქნებით, მეორე და მესამე, ვისაც სამშობლოზე გული შესტკივა, მოწინააღმდეგეც აღარ ეყოლებათ და რასაც მოინდომებენ, დაუბრკოლებლად განახორციელებენ. აი, ამაზე ოცნებობს სააკაშვილის რეჟიმი და ქართველმა ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რა გამოწვევის წინაშე ვდგავართ. მე არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ **ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა, ამიტომ ახლა თუ დავმარცხდებით, ეს არ იქნება მორიგი, ჩვეულებრივი დამარცხება, რაც აქამდე არაერთხელ გამოგვიცდია, ამით საბოლოოდ დასრულდება და დასამარდება ყველაფერი. ხაზგასმით ვამბობ, ვაფრთხილებ ყველას — თუ ამ არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებს, საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებს...**

**— ყოველთვის, როცა საუბარია არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლაზე, ოპოზიციის ერთი ნაწილი მუდმივად აცხადებს, რომ მოცემულ ვითარებაში გადამწყვეტი მაინც დასავლეთის ფაქტორია. კერძოდ, ლაპარაკია შეერთებული შტატების როლზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს იგი. თქვენი აზრით, იმ პირობებში, როცა ამერიკის სენატი ჯონ ბასის პირით თითქმის ყოველდღე გვახსენებს, რომ სააკაშვილი და მთლიანად „ნაცმოძრაობა“ მათი ფავორიტია, ხალხის ნებას რამდენად აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა?**

— სააკაშვილის რეჟიმი მუდმივად ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამერიკისთვის და ის არასოდეს მიგვატოვებს. ამასთან, „ნაცპროპაგანდაც“ 24-საათიან რეჟიმში გვიჩიჩინებს, ვაშინგტონი აღფრთოვანებულია აქ მიმდინარე რეფორმებითო. ამით ხელისუფლებას ორი რამის დამტკიცება უნდა, ერთი იმის, რომ თურმე ეს ქვეყანა თეთრი სახლის გეოპოლიტიკურ ინტერესებშია მოქცეული და მეორე იმის, რომ „ნაცმოძრაობა“ ამერიკის რჩეულია. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ერთგვარი ზეწოლა და ფსიქოლოგიური ზემოქმედება საზოგადოებაზე, რომელიც მოსახლეობაში შიშისა და უიმედობის გაჩენაზეა გამიზნული; სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აბსურდია, საქართველო და მთლიანად კავკასია, ისტორიული განვითარების არც ერთ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც მსოფლიო რუკაზე რუსეთი, როგორც ერთ-ერთი ზესახელმწიფო, გაჩნდა, დასავლეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებში რეალურად არასოდეს მოქცეულა.

**ახლა რა ხდება დღეს და რას წარმოვადგენთ ჩვენ ამერიკისთვის სინამდვილეში, ორი სიტყვით შეიძლება ამის ფორმულირება:** მიმდინარეობს ინტერესთა მუდმივი დაპირისპირება აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის. ორი დიდი სახელმწიფო, ამერიკა-რუსეთი, იბრძვის გავლენის სფეროების მოსაპოვებლად და ამ დროს **მთელ ამ დაპირისპირებაში ჩვენ ვართ ერთი პატარა ეკალი, რომლითაც ამერიკა, როცა დასჭირდება, უჩქმეტს ხოლმე რუსეთს.** სხვა მიზანი და ინტერესი ვაშინოტონს აქ არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ ეს რეგიონი ვერასოდეს იქნება მისი გავლენის სფერო. მეტსაც გეტყვით, მოგეხსენებათ, ახლა რა ხდება სირიაში და ერთადერთი, რაც იქ „ნატოს“ მოქმედებებს აბრკოლებს, ფაქტობრივად, რუსეთია. აქედან გამომდინარე, საკმარისია, მოსკოვმა გაეროში მწვანე შუქი აუნთოს ამერიკას ამ ▶

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საკითხზე, ცხადია, ის აუცილებლად მოითხოვს ვაშინგტონისგან რაიმეს სანაცვლოდ. მე ვფიქრობ, რომ, დიდი ალბათობით, ეს მოთხოვნა იქნება სწორედ კავკასიის ხელშეუხებლობა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია კრემლისთვის და, თუ ეს შეთანხმება შედგება, ამერიკას თავისთავად მოუწევს უარის თქმა საქართველოზეც. აი, მაშინ გამოჩნდება რეალურად, რამდენად მნიშვნელოვანი ვართ ჩვენ დასავლეთისთვის. ასე რომ, ცალსახად იმის თქმა, სააკაშვილი ამერიკის ფავორიტია და გადაყვებიან ზედ „ნაცმოძრაობასო“, არ არის მთლად ახლოს რეალობასთან... სააკაშვილისთვის მაქსიმუმ, რაც შეიძლება ამერიკამ გააკეთოს, არის ის, რომ უკიდურეს შემთხვევაში პიროვნულად არ გაწიროს. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, როცა დასჭირდებათ, გაგვყიდიან, როცა დასჭირდებათ, გვიყიდიან, ესაა გეოპოლიტიკური თამაშები და, სამწუხაროდ, ჩვენც, ისევე, როგორც უამრავი ჩვენისთანა მცირერიცხოვანი სახელმწიფო, დიდი ხანია, ამ თამაშში ჩათრეული ვართ.

**— თქვენ თქვით, რომ ამერიკა პიროვნულად არ გაწირავს სააკაშვილს. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს ყველაფერი ხომ არ შეაფერხებს მმართველი გუნდის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას?**

— საერთოდ, როგორც დამნაშავეთა სამყაროში არსებობს მაფია, ასევე არსებობს მაფია პოლიტიკის სფეროშიც და იგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებს. ეს პოლიტიკური მაფიოზები, როგორც წესი, ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები არიან და ყოველთვის ერიდებიან პოლიტიკოსის დასჯას. ამ ყველაფერს ერთადერთი მიზეზი აქვს — ისინი, უბრალოდ, დასჯის პრეცენდენტს არ ქმნიან. ამით კი, პირველ რიგში, საკუთარ თავს უფრთხილდებიან, იმიტომ, რომ არავინ იცის, ხვალ-ზეგ სად, როგორ და რა გზით წარიმართება პროცესები.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, რა თქმა უნდა, ამერიკა არ იქნება მომხრე, რომ „ნაცმოძრაობის“ თავკაცები საბრალდებო სკამზე აღმოჩნდნენ და, თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, პასუხი აგოს, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი, მთავარია, ხალხი რა დონეზე დააყენებს ამ მოთხოვნას. თუ საზოგადოება მთავარ აქცენტს გააკეთებს ამაზე, შედეგს აუცილებლად მივიღებთ, რა ძალებიც უნდა უჭერდეს მხარს სააკაშვილს და ვინც უნდა ჩაერიოს. ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალი მმართველი გუნდის პოზიციასაც ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი ნაადრევია. ერთი რამ კი ამთავითვე, ცხადია: **ვინც უნდა მოვიდეს ქვეყნის სათავეში, რომელი პოლიტიკური სუბიექტიც, ვერც ერთი მომავალი ხელისუფლება ვერ მოისვენებს ქართველი ხალხისგან, თუ კი ის არ დასჯის წინამორბედს. აქ ლაპარაკია ელემენტარულ სამართლიანობაზე და, არც მეტი, არც ნაკლები, კანონის უზენაესობაზე, იმიტომ, რომ ბოლოსდაბოლოს ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს დაუსჯელობის სინდრომისგან, რომელიც ბოლო ოცწლიანი პერიოდის განმავლობაში, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ფაქტობრივად, ერთგვარ ნორმად იქცა.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**მეუფე იობის ისტორიულმა განცხადებამ არა მხოლოდ შოკში ჩააგდო ხელისუფლება, არამედ გადაუჭრელი დილემის წინაშეც დააყენა — ერთის მხრივ, რაიმე სახის ზეწოლა უნდა მოახდინონ მასზე, რადგანაც, დიდი ალბათობით, რაც დრო გავა, მეუფე იობის განცხადებები მეტ სიმწვავეს შეიძენს და მეორე მხრივ, რა უნდა ქნან? მიუხედავად ტელე თუ სხვა სახის პასკვილებისა, ქვასროლია ზონდერებს ნაღდად ვერ მიუგზავნიან უშიშარ-მოუსყიდველ ღვთისმსახურს.**

# ერი და ბერი თუ მერი და ბერი?..



**„ჩვენ დიდგორი, ბასიანი წინ გვაქვს, თუ მომავალი არჩევნების შემდეგ ისევ ეს ხელისუფლება დარჩება, საქართველო აღარ იარსებებს. უფრო მეტიც, მას შეიძლება სახელიც კი შეუცვალონ“! ასე ბრძანა მეუფე იობმა ა. წ. 8 ივლისს, ანუ წმინდა სინოდის მორიგი „გაუგებარი“ განჩინებიდან მეორე დღესვე, საკუთარი მრევლის წინაშე ქადაგებისას...**

ამ ისტორიული განცხადების გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია, რადგან ეს პირველი შემთხვევაა საქართველოს უახლეს ისტორიაში, როდესაც ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ერთი უმაღლეს იერარქთაგანი, ყოველგვარი, უკაცრავად პასუხია და, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, აცხადებს იმას, რაც ბოლო ხანს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას „გულში აქვს ამოჭრილი“...

ამას დავუმატოთ ისიც, რომ **იმავე დღეს, ოღონდ სამების კათედრალში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით იქადაგა კიდევ ერთმა „ღირსმა მამამ“ სპირიდონ აბულაძემ — სხალთელმა ეპისკოპოსმა, რომელმაც „ქვა ქვაზე არ დატოვა“, ევროპა-ამერიკის „სტრატეგიული მოკავშირეების“ საქართველოს მიმართ „კეთილი განძრახვებისგან“**; ქადაგება სოციალურ ქსელში გავრცელდა სლოგანით „დასავლეთი რუსეთზე უარესი მტერია“; ისიც გავიხსენოთ, რომ **მისმა უწმინდესობა ილია მეორემ მისთვის აქამდე უჩვეულო სიმკაცრით დაგმო ქვასროლია ზონდერები.** ამდენად, არც იმის წარმოდგენა გაჭირდება, თუ რა „მუცლის გვრემას“ და, დიდ კონსტანტინე გამსახურდიას თუ დავესესხებით, რა „გველის კაჭრობას“ გამოიწვევდა ეს ყველაფერი ხელისუფლების ე. წ. ლიბერტარიანულ ფლანგზე!

თუმცა რა ფლანგი და ფრთა ავიტეხე — ლიბერასტულის გარდა, სხვა მიმართულება გააჩნიათ მიშნაცებს?!

მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი მეუფე იობის „განვლილ გზას“, ანუ როგორ მივიდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ზემოთ ხსენებულ ისტორიულ განცხადებამდე. მეუფე იობისათმი განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცემა მაშინ გამიჩნდა როდესაც გავიგე რომ უშიშარ მიტროპოლიტს ღიად განუცხადებია — **„ნაციონალებმა“ საქართველოს სულიერი ოკუპაცია მოახდინეს და, თუ საჭირო გახდა, ანაფორას გავიხდი და ჩემი ხალხის გვერდით დავდგები, როგორც ერთი რიგითი მებრძოლი!**

ეს ამბავი მაშინ მედიით არ გახმაურებულა და ამის შესახებ მეუფესთან შეხვედრის მონაწილემ, ბატონმა ლელიკო ჯაფარიძემ მიამბო...

შემდეგ იყო მეუფე იობის პრინციპული პოზიციის დაფიქსირება, როდესაც წმინდა სინოდმა თავისივე ატეხილი ქარიშხალი, საქართველოს დედაეკლესიის იურიდიული სტატუსის ირგვლივ თავადვე ჩააცხრო საზოგადოებისთვის გაუგებარ-მიუღებელი ფორმულირებით — ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ერთსულოვნების შენარჩუნების პრიორიტეტული „კომპრომისული განჩინებით“.

როგორც ამბობენ, მაშინ სახელმწიფოსთან გაერთსულოვნებული მეუფეებისთვის პირდაპირ მიუხლია მეუფე იობს — თქვენ კაცები არა ხართო!..

მოკლე ხანში, სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ დაიდო მეუფე იობის ქადაგების ის ნაწილი, რომელშიც იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ საქართველოს ხსნა, ნატო-ევროკავშირში კი არა, მართლმადიდებელ ერთა კავშირშია!

ვისი ეგიდით მოიაზრება ასეთი კავშირის შექმნა ოდესმე, თუ არა ერთმორწმუნე რუსეთის?..

და ბოლოს, სულ ახლახან კიდევ ერთი „ერესი“, როდესაც მეუფე იობი თავგანწირვის აუცილებლობაზე ალაპარაკდა, რომ თავგანწირვის, თავშეწირვის მაგალითები სამღვდელოებამ უნდა მისცეს საკუთარ ერსა თუ მრევლს!..

აი, ალბათ, არასრული ლოგიკური ჯაჭვი იმისა, თუ როგორ „მწიფდებოდა“ ზემოთ ხსენებული განცხადება, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, შოკში ჩააგდო ხელისუფლება. უფრო მეტიც, **ბიძინა ივანიშვილის ჩატარებულ მიტინგებზე, მეტი თუ არა, არანაკლები ზიანი, დიდი ალბათობით, მეუფე იობის განცხადებამ მიაყენა რეჟიმს,** რისი დასტურია თუნდაც ის ფაქტი, თუ როგორი ოპერატიულობით მიაყენა დარტყმა მეუფე იობს „რუსთავი 2“-ის P.S.-ში „ნატოს ოფისის დვარნიაშკა“ თენგიზ გოგოტიშვილმა იმავე საღამოს, როდესაც მეუფე იობი მცხეთაში, ბიძინა ივანიშვილის აქციაზე გამოჩნდა.

გოგოტიშვილის ვრცელ ტელე-პასკვილზე არაფერს ვიტყვი იმის გარდა, რომ თენგიზას მოწონებითი პათოსი სინოდის იმ განჩინების მიმართ, რომელიც „რომელიმე პარტიის“ აქციებში მღვდელთმსახურთა მონაწილეობას კატეგორიულად კრძალავს, სრულად გაიზიარეს ფსევდოოპოზიციის ვარსკვლავებმა: „გალსტუკიანმა ხვლიკმა“ გიორგი თარგამაძემ და ახალი მემარჯვენეების ძველმა პოლიტიკურმა თითლიბაზმა — დავით გამყრელიძემ!

ამ 10 წუთიან ტელე-პასკვილში „ნატოს ოფისის დვარნიაშკას“ „შემთხვევით გამორჩა“ მეუფე იობის ქადაგებიდან იმ „უმნიშვნელო“ პასაჟის კრიტიკა სადაც მეუფესათვის შემოდგომაზე ისევ მიშნაცების მთავრობის დარჩენა, საქართველოს უცილო დაღუპვას ნიშნავს! **„ჩვენი დიდგორი, ბასიანი წინა გვაქვს, თუ მომავალი არჩევნების შემდეგ ისევ ეს ხელისუფლება დარჩება, საქართველო აღარ იარსებებს. უფრო მეტიც, მას შეიძლება სახელიც კი შეუცვალონ“!** — ამ სიტყვების მთელი საქართველოსთვის გაგონება, თუნდაც კრიტიკის ქარცეცხლში გატარების ფონზე, ხომ დიდი საფრთხის შემცველი იქნებოდა ხელისუფლებისთვის?

**მეუფე იობი: სულის საუკუნო ცხონება მხოლოდ ინდივიდუალურად მარხვა-ლოცვით ვერ მიიღწევა. ამისათვის კიდევ სულ «მცირე რამ» არის საჭირო, რასაც ქვეყნის ტკივილით ცხოვრება ჰქვია**

სხვა, როგორც „ნატოს ოფისის დვარნიაშკას“ შესრულებით არაერთხელ გვინახავს, ამჯერადაც ყველაფერი ჩვეულ სტილში იყო — უნიჭო სარკაზმი და კიდევ ერთხელ ცინიზმი, ცინიზმი ყოველივე ქართულის, მართლმადიდებლურის, ტრადიციულისა და პირადად მეუფე იობის მიმართ, როგორც ამ ყველაფრის უკომპრომისო დამცველისა ქართულ სამღვდელოებაში...

**მიუხედავად სინოდის მკაცრი განჩინებისა, მეუფე იობი მაინც მიბრძანდა „რომელიმე პოლიტიკური პარტიის“ აქციაზე გორში, თუმცა ტელეკამერების წინ არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, კომენტარები გააკეთეს მისი ეპარქიის სასულიერო პირებმა, რომელთა ლაიტმოტივი ის იყო, რომ პატივს სცემენ სინოდის განჩინებასაც და პატრიარქსაც, მაგრამ...**

ამ „მაგრამში“ ის იგულისხმება, რაც წინამდებარე წერილის სათაურში, ანუ ერი და ბერი, როდესაც მამულს უჭირდა, ყოველთვის ერთად იდგა და ჩვენს სამშობლოს დღეს სწორედ ასეთი, პირველ რიგში, სულიერი შეჭირვების ჟამი უდგას, გნებავთ, „სულიერი ოკუპაციის“, რაც საკუთარი ბალღამისა და შხამის ნთხევის სამიზნედ აირჩია „ნატოს ოფისის დვარნიაშკამ“.

თენგიზ გოგოტიშვილის აზრით, რაც შეეხება სამღვდელოებაში არსებულ მცირერიცხოვან, მაგრამ გავლენიან დაჯგუფებას მეუფე იობის მეთაურობით, მოცემული დროისა და ვითარების გათვალისწინებით, შეიძლება სხვა, დღეს ჩრდილში მყოფი სხვადასხვა რანგის სასულიერო პირებიც შეუერთდნენ, რასაც მხოლოდ მიესალმება ქართველი საზოგადოება. ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო...

ეგეც არ იყოს, სულის საუკუნო ცხონება მხოლოდ ინდივიდუალურად მარხვა-ლოცვით ვერ მიიღწევა. ამისათვის კიდევ სულ „მცირე რამ“ არის საჭირო, რასაც ქვეყნის ტკივილით ცხოვრება ჰქვია. იმის მრავალი მაგალითიც იცის ჩვენმა ისტორიამ, როცა, მიუხედავად ამქვეყნიურ ცხოვრებაში მრავალი უმძიმესი ცოდვებისა, სულის ცხონება კი არა, წმინდანებადაც (დემეტრე თავდადებული, ლუარსაბ მეორე) კი შეურაცხავს ქართულ ეკლესიას...

თუმცა კიდევ ერთი გზა არსებობს, გზა, რომელიც არა ღვთისმოშიშობაზე, არამედ ქალაქის **„მერმოშიშობაზე“** გადის, რომელიც სულის საუკუნო ცხონებამდე ვერა, მაგრამ ამქვეყნიურ „ხორცის ცხონებამდე“ ნაღდად მივა!

**და ბოლოს, ისევ მეუფე იობის შესახებ, მეუფის, რომლის დანახვაზედაც კი მერმოშიშ სინოდის წევრებს მუხლებში შიშის ქარი უდგებათ. მეუფე იობის ზემოთ ნახსენებმა ისტორიულმა განცხადებამ არა მხოლოდ შოკში ჩააგდო ხელისუფლება, არამედ გადაუჭრელი დილემის წინაშეც დააყენა — ერთის მხრივ, რაიმე სახის ზეწოლა უნდა მოახდინონ მასზე, რადგანაც, დიდი ალბათობით, რაც დრო გავა, მეუფე იობის განცხადებები მეტ სიმწვავეს შეიძენს და მეორე მხრივ, რა უნდა ქნან? მიუხედავად ტელე თუ სხვა სახის პასკვილებისა, ქვასროლია ზონდერებს ნაღდად ვერ მიუგზავნიან უშიშარ-მოუსყიდველ მეუფეს.**

თუმცა ვინ იცის, ჩვენ ხომ ის ხალხიც ვართ, რომელმაც დიდ ილიას, ქვას ვინღა დაეძებს, ჯერ ტყვია ვესროლეთ და შემდეგ წმინდანად შევრაცხეთ!

ღმერთო, შენ დაიფარე მეუფე იობიც და ჩვენი სამშობლოც...

**დავით მხეიძე**

**P.S. მეუფე იობის მხარამჭერი საპროტესტო აქცია „რუსთავი 2“-ის ოფისთან არ გააშუქა არც ერთმა ტელევიზიამ! მათ შორის არც „მაესტრო“-„კავკასიამაც“!!!**

**არადა, მეუფის მოწოდება-ვერდიქტი — „ეს ხელისუფლება თუ დარჩება, საქართველო აღარ იარსებებს“, წესით, პერმანენტულად უნდა ტრიალებდეს ოპოზიციური ტელევიზიების ეთერში, რადგან მეუფე იობის ისტორიულმა განცხადებამ, მეტი თუ არა, არანაკლები დარტყმა მიაყენა ხელისუფლებას, ვიდრე ბიძინა ივანიშვილის აქამდე ჩატარებულმა ყველა აქციამ, ერთად აღებულმა!!!**

**მაგრამ რას იზამ, ეტყობა, რიგი ოპოზიცური ტელეარხების ოპოზიციურობა იქ მთავრდება, სადაც ლიბერტარიანული დასავლეთის ინტერესები იწყება...**

სოციოლოგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლუის ნავარომ ქართული პოლიტიკური სპექტრი დაგვიჯგუფა და პრიორიტეტებიც დაგვისახა. მთავარი ის კი არ არის, ჩვენ ვინ მოგვწონს, არამედ ის, თუ რა თანმიმდევრობით ჩამოგვიწერს „მოწონებულთა" სიას NDI. კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ იმ 38-42%-ს რაღა ვუყოთ, რომელიც NDI-ის კითხვებს ცოცხალი თავით არ პასუხობს?!**

# ჩემი კვლევა შენსას სჯობია, ანუ NDI გამოკვლევდა!

**დღე არ გავა, რომ ამერიკული დემოკრატიის მსტოვარმა საქართველოში — ლუის ნავარომ მორიგი სოციოლოგიური კვლევით არ გაგვაოცოს. ამჯერად მან უტეხი მზერითა და სანდომიანი ღიმილით გვამცნო, რომ ყოველი მესამე ამომრჩევლის შეხედულებებთან (გამოკითხულთა 34%) ყველაზე ახლოს სწორედ „ნაციონალური მოძრაობა" დგას! აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის მიხედვით, „ქართული ოცნების" შეხედულებებს ყოველი მეხუთე (რესპონდენტთა 20%) იზიარებს, ყოველი ოცდამეხუთე ამომრჩეველი (4%) ქდმ-ის ფანია, დანარჩენ ოპოზიციას 2% ემხრობა, კითხვაზე პასუხი არ იცის ყოველმა მეექვსემ (15%), თითქმის ამდენივემ კი პასუხზე უარი განაცხადა (16%).**




ციფრების მაგია ამით არ დამთავრებულა: NDI-ს კვლევის თანახმად, კითხვაზე — **ყველაზე მეტად ვის ისურვებდით საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად?**

— გამოკითხულთა იმ რაოდენობიდან, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა (77%), **22% „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატს ასახელებს. 20% აცხადებს, რომ ყველაზე მეტად საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად ივანიშვილის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს ისურვებდა, 6%, იმის მიუხედავად, რომ მიხეილ სააკაშვილს მესამე ვადით კენჭისყრის უფლება აღარ აქვს, მაინც მას ასახელებს, 4% – გიორგი თარგამაძეს, 3% პასუხობს, რომ არც ერთ კანდიდატს, 3% კი სხვა კანდიდატს ასახელებს.**

NDI-ს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლუის ნავარომ აღნიშნა, რომ საკმაოდ მაღალია პასუხზე უარის (17%) და „არ ვიცის" (25%) პროცენტული მაჩვენებლები. ეს ორივე მაჩვენებელი ერთად 42 %-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ **ნავაროს კვლევისა არც დამკვეთს უნდა სჯეროდეს და არც შემსრულებელს! თუ ეს უმისამართო ხმები სააკაშვილის კანდიდატს დაემატება, იგი 64%-ს მიიღებს, ხოლო თუ ივანიშვილისას – 62%-ს.** სასწაული რომ წარმოვიდგინოთ და ამ ადამიანებმა ერთბაშად გიორგი თარგამაძისკენ ქნას პირი, იგი პირველივე ტურში 46%-ს მიიღებს!

NDI-ს კვლევის თანახმად, **ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს,** იმ გამოკითხული რესპონდენტებიდან, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ (75%), **36% ხმას „ნაციონალურ მოძრაობას" მისცემდა, 18% — კოალიცია „ქართულ ოცნებას", 4% — არც ერთ პარტიას, 3% — „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას", ხოლო 1 % — სხვა ოპოზიციას.** სხვა ოპოზიციაში NDI ლეიბორისტულ პარტია", „დემოკრატიულ მოძრაობა – ერთიან საქართველოს", „ახალ მემარჯვენეებს", „ქართულ დასს", „თავისუფალ საქართველოს", „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას", მოძრაობას „სამართლიანი საქართველოსთვის", „თეთრებს", „ევროპელ დემოკრატებს" და „საქართველოს დემოკრატიულ პარტიას" გულისხმობს. აქაც, აღნიშნულ კითხვაზე რესპონდენტთა 22% პასუხობს, რომ არ იცის, 16% კი პასუხზე უარს ამბობს. ჯამში ეს 38%-ია, რომელიც NDI-ის ამ პარტიათაგან არც ერთისთვის არ ემეტება.

NDI-ს კვლევა 4-დან 22 ივნისამდე პერიოდში ჩატარდა და 6299 ადამიანი პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე გამოიკითხა. ნავარო კი ამტკიცებს, რომ კვლევის საშუალო ცდომილების ზღვარი პლუს-მინუს 2%-ია, მაგრამ მისივე წარმოდგენილი ციფრები ნათელს ხდის, რომ **რეალური ცდომილება 38-42 პროცენტს შეადგენს!** თავი მთლად აშკარად რომ არ მოიჭრას, **NDI-ს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი თავს იკატუნებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის" მაჩვენებელი, წინა კვლევასთან შედარებით, 11%-ით დაკლებულა, ხოლო კოალიცია „ქართული ოცნების" მაჩვენებელი 8%-ით გაზრდილა.**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რომ გამოკითხულთა 92%-ს მოსწონს, სადავო არ არის, მაგრამ გიგი უგულავას მომწონებელთა 60% და მიხეილ სააკაშვილის ფანების 58% აშკარად გასაკვირია**

ამ „კლების" მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობა NDI-ს კვლევების შედეგებით კმაყოფილია და საკუთარ ამომრჩეველს ემადლიერება. **„ჩვენ მადლობელი ვართ ჩვენი ამომრჩევლის იმიტომ, რომ ძალიან მაღალი მხარდაჭერა გვაქვს ამ პერიოდშიც კი, როდესაც ჯერ კამპანია არ დაგვიწყია",** — განაცხადა „ნაციონალური" უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გაბაშვილმა და დასძინა, რომ NDI-ს კვლევა ემთხვევა იმ მონაცემებს, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობას" სხვა კვლევების შედეგადაც აქვს.

გოკა გაბაშვილმა NDI-ს კვლევა შეუქო, მაგრამ იქვე მიანიშნა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" არჩევნებზე მიმსვლელ ამომრჩეველთაგან უფრო მაღალი მხარდაჭერაც კი აქვს.

**დეპუტატმა ხაზი გაუსვა, რომ მთავარი, რასაც NDI-ს კვლევა უჩვენებს, ის არის, რომ ხელისუფლება კიდევ უფრო მეტად უნდა კონცენტრირდეს იმ საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ხალხისთვის — დასაქმებაზე, ხელმისაწვდომ ჯანდაცვასა და სოფლის განვითარებაზე.**

თავის მხრივ, კოალიცია „ქართული ოცნება" NDI-ს კვლევის შედეგებს უნდობლობას უცხადებს. მიუხედავად ამისა, „ოცნება" დიდ პატივისცემას აფიქსირებს ამერიკული ორგანიზაციების მიმართ, ოღონდ რისთვის, ამას აღარ აზუსტებს. სწორედ რომ დროულად, **„ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციამ" ოქსფორდის უნივერსიტეტთან ერთად საქართველოს შესახებ ალტერნატიული კვლევა ჩაატარა. კვლევა რამდენიმე დღის წინ დასრულდა და ამჟამად მონაცემთა საბოლოო დამუშავება მიმდინარეობს. მისი პირველადი შედეგებით, ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი 43%-მდე გაიზარდა, ხოლო მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი 30,7%-ია.**

კვლევის დროს კითხვები დაისვა, ძირითადად, იმის შესახებ, თუ **რომელი კანდიდატი შეძლებდა პრობლემების მოგვარებას.**

კვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და 2500 რესპონდენტი გამოიკითხა.

ამ ციფრების ბაკქანალიაში ერთ-ერთი კითხვის პასუხი აშკარად დაჩრდილა პატრიარქის ავტორიტეტმა და აღარავის უკითხავს, NDI-ს კვლევაში კითხვაზე — **მოგწონთ თუ არ მოგწონთ ესა თუ ის პიროვნება,** რესპონდენტთა პასუხების შედეგების მიხედვით, პირველ სამეულში როგორ აღმოჩნდა სააკაშვილთან ერთად თბილისის მერი გიგი უგულავა. **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რომ გამოკითხულთა 92%-ს მოსწონს, სადავო არ არის, მაგრამ, გიგი უგულავას მომწონებელთა 60% და მიხეილ სააკაშვილის ფანების 58% აშკარად გასაკვირია. ახლადგაპრემიერებული ვანო მერაბიშვილი თურმე გამოკითხულთა 55%-ს მოსწონს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე — 53%-ს, ხოლო „ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერი გიორგი თარგამაძე — 50%-ს.** რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, იგი ყველა ზემოთჩამოთვლილ პერსონას ჩამორჩება, რადგან NDI-ის მიერ გამოკითხულთა მხოლოდ 46%-ს მოსწონს. ლუის ნავარომ აქაც დაგვამშვიდა, რომ გაიზარდა ის პროცენტული მაჩვენებელი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი მოსწონს, ხოლო გიგი უგულავას, მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, დავით ბაქრაძისა და გიორგი თარგამაძის მოწონების მაჩვენებლებმა წინა კვლევებთან შედარებით დაიკლო.

რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ლიდერებს, ინგა გრიგოლია მოსწონს 45%-ს, ნიკა გილაური — 43%-ს, დიმიტრი შაშკინი — 35%-ს, მაგდა ანიკაშვილი — 34%-ს, ვერა ქობალია — 34%-ს, სოზარ სუბარი — 33%-ს, ირაკლი ალასანია — 32%-ს, გიორგი ახვლედიანი — 29%-ს, ეკა ბესელია — 27%-ს, თინა ხიდაშელი — 26%-ს, კახა შარტავა — 23%-ს, ზვიად ძიძიგური — 23%-ს, ჯონდი ბაღათურია — 22%-ს, გუბაზ სანიკიძე — 22%-ს, დავით გამყრელიძე — 21%-ს, კობა დავითაშვილი — 20%-ს, დავით უსუფაშვილი — 20%-ს, შალვა ნათელაშვილი — 19%-ს, ლევან ვეფხვაძე — 19%-ს, გიორგი ტუღუში — 19%-ს, გიგა ბოკერია — 16%-ს, გიორგი ცაგარეიშვილი — 15%, კახა კუკავა – 15%, მამუკა კაციტაძე – 13%, მანანა კობახიძე — 12%, ნინო ბურჯანაძე — 12%, დიმიტრი ლორთქიფანიძე — 11%, თემურ შაშიაშვილი 11%, პაატა დავითაია — 10%, ზურაბ ტყემალაძე — 10%, გია თორთლაძე — 10%-ს, ბაჩუკი ქარდავა — 9%-ს, თეა წულუკიანი — 8%-ს, გურამ ჩახვაძე, ზურაბ ხარატიშვილი და ლევან ბეჟაშვილი – 5-5%-ს.

**ერთი სიტყვით, ლუის ნავარომ ქართული პოლიტიკური სპექტრი დაგვიჯგუფა და პრიორიტეტებიც დაგვისახა. მთავარი ის კი არ არის, ჩვენ ვინ მოგვწონს, არამედ ის, თუ რა თანმიმდევრობით ჩამოგვიწერს „მოწონებულთა" სიას NDI. კარგი, ეგრე იყოს, მაგრამ იმ 38-42%-ს რაღა ვუყოთ, რომელიც NDI-ის კითხვებს ცოცხალი თავით არ პასუხობს?!**

**ნავაროს კვლევისა არც დამკვეთს უნდა სჯეროდეს და არც შემსრულებელს! თუ ეს უმისამართო ხმები სააკაშვილის კანდიდატს დაემატება, იგი 64%-ს მიიღებს, ხოლო თუ ივანიშვილისას — 62%-ს**

**ლილი მიროტაძე**

„მე ვნახე ფილმი 26 მაისის შესახებ. ხალხის დარბევა — ხანდაზმულების, ქალების, ყმაწვილების უმოწყალოდ ცემა, სროლები. შემაძრწუნა. თუ არჩევნების დროს ხელისუფლება ძალას გამოიყენებს, ეს მიგიყვანთ ახალ 26 მაისამდე და უარეს სისხლისღვრამდეც. ამის აღკვეთა კი არჩევნების მხოლოდ დემოკრატიულად ჩატარებით შეიძლება“.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბობ უოლში:

# ამერიკა საქართველოს მოსახლეობაში პოპულარული არ არის



**ჩვენი ძველი მეგობარი — ამერიკის მოქალაქე, ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე ბობ უოლში საქართველოს ჰორიზონტზე შორეული ოთხმოციანი წლების შუაწელს გამოჩნდა.**
**მანამდე იყო მოსკოვი.**
**ბატონი უოლში ამერიკელი ნავთობის მაგნატის, „წითელი მილიარდერის“, ლეგენდარული არმანდ ჰამერის სახეშეცვლილი ვარიანტია, იმ ჰამერისა, რომელმაც 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფო წყობილებაში დაინახა ის მარცვლები, რომელთა განვითარებისთვის ხელშეწყობა მომგებიანი იქნებოდა მისი პირადი ბიზნესისთვის, ამერიკისთვის და, რა თქმა უნდა, საბჭოთა რუსეთისთვისაც.**
**ისტორიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი პიროვნებებშიც მეორდება.**
**ოღონდ ამისთვის დროა საჭირო...**
**ბობ უოლში უფრო საზოგადო საქმით არის გამორჩეული, უნიჭიერესი და მასშტაბური მენეჯერია.**

— საბჭოთა კავშირში სი-ენ-ენის მფლობელ ტედ ტერნერთან ერთად 1986 წელს ჩამოვედი, როგორც მისი პარტნიორი და როგორც „კეთილი ნების თამაშების“ ოთხი ორგანიზატორიდან ერთ-ერთი: საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ტელერადიო კომიტეტი, სახელმწიფო სპორტკომიტეტი, ტედ ტერნერი და მე — ბობ უოლში. ეს თამაშები მოსკოვსა და სიეტლში გაიმართა, როგორც აშშ-ისა და მოსკოვის მიერ ერთმანეთის ჯინაზე ბოიკოტირებული ლოს ანჟელესისა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების (1980 და 1984 წლები) ალტერნატივა და დიდი მნიშვნელობა შეიძინა ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების შერბილების თვალსაზრისით.

**ამ ტალღაზე ბობ უოლში საქართველოში ჩამოყავს მის მეგობარს — ვასილ მარგველაშვილს, უკავშირდება საქტელერადიო კომიტეტს და იწყება უოლშის მოღვაწეობის ქართული ეტაპი. უმძიმეს და ურთულეს წლებში მის მიერ გაწეულ ქველმოქმედებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, ქართველი და ამერიკელი ჟურნალისტების გაცვლის დაწყებაზე, მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტების უშურველ მოწოდებაზე, ქართველი ბავშვების ამერიკაში მკურნალობაზე სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი: ამ ყველაფრის გამო მას საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა.**

**მაგრამ დღეს ამაზე არ ვისაუბრებთ.**

**დღეს სხვა პრობლემები აწუხებს ჩვენს საზოგადოებრიობას.**

**— რამ ჩამოგიყვანათ, ბატონო ბობ, დაულაგებელ, პრობლემებით დატვირთულ საქართველოში?**

— წლების განმავლობაში საქართველოს ხშირად ვსტუმრობდი. ერთი პერიოდი, პაუზა მქონდა, არა ჩემი მიზეზით. დღეს იმიტომ ჩამოვედი, რომ მსურს, საკუთარი თვალით ვნახო, რა ხდება ამ ქვეყანაში, დავუკვირდე მიმდინარე პროცესებს და მხარში ამოვუდგე საქართველოს.

**— რა დაინახეთ?**

— დავინახე გარკვეული სიძნელეები, რომლებიც პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარეობს. **პირველი დასკვნა ისაა, რომ არ შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო ამჟერად, აი ახლა, ამ პერიოდისთვის არის ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა, განსაკუთრებით, რთულ წინასაარჩევნო პერიოდში.**

**— როგორ ფიქრობთ, ამ რთულ პერიოდს დაძლევს, გაარღვევს ის პოლიტიკური ოპოზიცია, ის ძალა, რომელიც ხელისუფლებაში აპირებს მოსვლას?**

— მჯერა ამისი, თუ არჩევნები ნორმალურად ჩატარდება.

**— ეს „თუ“ ვის ხელშია?**

— რეალური ძალა აქვს მთავრობას.

**— საერთაშორისო ასპარეზზე აშშ და რუსეთი ე. წ. გადატვირთვის პოლიტიკას განახორციელებენ, ე. ი. არა კონფრონტაცია, არამედ — კონსესუსი, საერთო ენის გამონახვა. ამ სიტუაციაში რუსეთი საქართველოში უპირველეს მტრად არის გამოცხადებული, „ოკუპანტების“ ვერსია ამერიკამაც გაიზიარა, მაგრამ აქედან არავითარი მოგება არ ჩანს.**

**უნდა დავრჩეთ „ფეხზე შეყენებული ჩახმახის“ პოლიტიკის იმედად?**

— ჩემი პირადი შეხედულება ასეთია: **საქართველომ სერიოზულად უნდა იფიქროს რუსეთთან ურთიერთობის მშვიდობიანი გზით რეგულირებაზე.**

მხოლოდ ერთ მაგალითზე ვილაპარაკებ ჩემი პირადი გამოცდილებიდან. საბჭოთა კავშირში პირველად რომ ჩამოვედი, მოსკოვსა და ლენინგრადში ვნახე ქართული ღვინოები, რომლებიც თავისუფლად იყიდებოდა. **იმ პოლიტიკით, რომელსაც დღეს საქართველო განახორციელებს, იმ პოზიციით, რომელიც დღეს საქართველოს რუსეთის მიმართ აქვს, მან პირველმა გადაკეტა რუსეთიდან ინვესტირების გზები, მეორე მხრივ, დაკარგა რუსეთის ბაზარი, საერთოდ და, კერძოდ, ქართული ღვინისთვის.**

**რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა, თქვენი უდიდესი მეზობელია, რომელიც, თუ კარგად წაიყვანთ საქმეს, ბევრ რამეში გამოგადგებათ, ბევრ სიკეთეს მოგიტანთ, რა თქმა უნდა, თუ თქვენი ურთიერთობა აეწყობა. დღეს თქვენ ამაზე უარს ამბობთ.**

მაგალითებს დაგისახელებთ ისტორიიდან და კარგად გამოჩნდება — კი თუ არა.

ყველას ახსოვს, რომ იაპონიამ ამერიკას ომი გამოუცხადა და ბევრი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დახოცა...

**— პერლ-ჰარბორი...**

— დიახ. ფაშისტური გერმანია ეომებოდა ინგლისს, მთელ ანტიფაშისტურ კოალიციას. ადამიანური მსხვერპლი უდიდესი იყო.

მიუხედავად ამ პლანეტარული ტრაგედიისა, დღეს აშშ, იაპონია, გერმანია, ინგლისი, რუსეთი ნორმალურად ურთიერთობენ, ვაჭრობენ, იმდენად არიან ურთიერთგადაჯაჭვულნი, რომ ბევრად არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ ურთიერთობებს, არა პოლიტიკას.

**— ურთიერთობათა ამ სფეროში უნდა ვეძებოთ საქართველოს ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტის გზა?**

— ასეთი შეიძლება იყოს ერთ-ერთი გზა, რომლითაც გადაწყვეტთ პრობლემას. თორემ დღეს რაც არის, არაფერი არის. არ წყდება ეს პრობლემა არც ისე, არც ასე.

**— ხედავთ, ბატონო უოლშ, ამერიკის ადგილს ამ სიტუაციაში? რა შეიძლება გააკეთოს ამერიკამ იმ რეალობაში, რომელიც თქვენ დაახასიათეთ როგორც უმოქმედობა — პრობლემა არ წყდება არც ისე, არც — ასე.**

— მე ვერ ვხედავ ამერიკის ადმინისტრაციის პრაქტიკულ ნაბიჯებს. **ამერიკის მთავრობა არ არის მართალი, როცა აცხადებს, რომ გეხმარებათ. რადგან დე ფაქტო არაფერს აკეთებს.** ამერიკელებმა იციან, რომ მათი ქვეყნის მთავრობა მხოლოდ ენას იქავებს. მე პირადად არ ვეთანხმები ჩვენი მთავრობის ასეთ განწყობილებას.

**— ბატონო ბობ, დამეთანხმებით, რომ ამერიკა სულ რამდენიმე წლის წინათ, საბჭოთა პერიოდზე არაფერი რომ არ ვთქვათ, ძალიან პოპულარული იყო, მათ შორის, საქართველოშიც. მაგრამ დღეს ისეთი ვითარება ჩამოყალიბდა — თუნდაც აშშ-ის ელჩების მოღვაწეობით საქართველოში, მათი პოზიციით, შეფასებების ორმაგი სტანდარტით და ა. შ., რომ თქვენს ქვეყანას სახელი გაუტყდა.**

**ანტიამერიკული განწყობილება დღეს საქართველოში ფაქტია, სამწუხაროდ. ტენდენცია მას შემდეგ გაძლიერდა, რაც უკვე ყოფილი ელჩი ჯონ ბასი შეეცადა, გაემართლებია 26 მაისის თბილისის აქციის სისხლიანი დარბევა. ექსპერტებმა, საქართველოს ოპოზიციურმა სპექტრმა, შეიძლება ითქვას, ხალხმაც მიიჩნია, რომ მან თავისი პოზიციით მწვანე შუქი აუნთო ხელისუფლების ძალადობრივ პოლიტიკას. ამის გამოძახილს დღესაც ვხედავთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში — მოსახლეობასთან ოპოზიციის შეხვედრების ძალადობრივი გზით ჩაშლის, დარბევის მცდელობას — ქვების სროლა, ფიზიკური დაპირისპირება, ცემა-ტყეპა.**

— არ ვეთანხმები ბატონ ელჩს. არა მგონია, ჯონ ბასმა იცოდა, რაზე ლაპარაკობდა. მე მაქვს საქართველოსთან მეგობრული კავშირის 25-წლიანი პრაქტიკა და დაგეთანხმებით, რომ უწინ ამერიკისადმი სულ სხვა განწყობილება იყო. **დღეს ვხედავ, რომ ამერიკა საქართველოს მოსახლეობაში პოპულარული არ არის.** მესმის რატომაც, მაგრამ ამაზე, ნება მიბოძეთ, სიტყვა არ გავაგრძელო, თუნდაც იმიტომ, რომ... თქვენც კარგად იცით, რატომაც.

თქვენთვის, ჩემი აზრით, უფრო აქტუალურია ის, რასაც აკეთებს თქვენი ხელისუფლება.

ჩემთვის, როგორც ამერიკელისთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია, როცა ოპოზიციისთვის მხარდაჭერის ბრალდებით, თქვენი მთავრობა ახდენს ანტენების — „თეფშების“ ექსპროპრიაციას იმ ფირმისგან, რომელიც განვადებით უდგამდა ამ „თეფშებს“ მოქალაქეებს, რომელთაც შესაძლებლობა მიეცემოდათ მიეღოთ იმ ტელეარხების გადაცემები, რომლებიც მაინც და მაინც პროსახელისუფლო არ არის.

ასევე გაუგებარი და მიუღებელია ჩემთვის, როცა თქვენი მთავრობა „პოტიომკინის სოფელს“ აშენებს.

რატომ ვერ ხედავს ამერიკის მთავრობა, რომ თქვენი ხელისუფლება „პოტიომკინის სოფელს“ აშენებს, ობიექტურად ვერ აფასებს რეალობას, არ ვიცი.

აქ, საქართველოში ვისაც კი ველაპარაკე — ისინი იყვნენ უბრალო ადამიანები, ტაქსისტები თუ სასტუმროების მომსახურე პერსონალი, მიმტანები თუ თქვენი ელიტის წარმომადგენლები, ყველა მეუბნებოდა, რომ უნდა შეიცვალოს პარლამენტი, ყველა! ამ ხალხისთვის მე ვიყავი აბსოლუტურად უცნობი ადამიანი, ამერიკის უბრალო მოქალაქე, სხვა ენაზე მოლაპარაკე, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდა, უცხო კაცისთვის თავიანთი სიმპათია-ანტიპათია გაემჟღავნებიათ.

ვეუბნებოდი, რომ ეს მათი გადასაწყვეტია ხმის მიცემა-არმიცემის გზით.

იცით, რას მიპასუხებდნენ?

**— ვხვდები.**

— ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ჩვენი ხმა მოპარული იქნება.

**— მაგრამ ხალხი არ დათმობს ასე იოლად...**

— მე ვნახე ფილმი 26 მაისის შესახებ. ხალხის დარბევა — ხანდაზმულების, ქალების, ყმაწვილების უმოწყალოდ ცემა, სროლები.

შემაძრწუნა.

თუ არჩევნების დროს თქვენი ხელისუფლება ძალას გამოიყენებს, ეს მიგიყვანთ ახალ 26 მაისამდე და უარეს სისხლისღვრამდეც. ამის აღკვეთა კი არჩევნების მხოლოდ დემოკრატიულად ჩატარებით შეიძლება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## «ამერიკის მთავრობა არ არის მართალი, როცა აცხადებს, რომ გეხმარებათ, რადგან დე ფაქტო არაფერს აკეთებს»

## რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა, თქვენი უდიდესი მეზობელია, რომელიც, თუ კარგად წაიყვანთ საქმეს, ბევრ რამეში გამოგადგებათ, ბევრ სიკეთეს მოგიტანთ, რა თქმა უნდა, თუ თქვენი ურთიერთობა აეწყობა. დღეს თქვენ ამაზე უარს ამბობთ

**P.S. ამ ინტერვიუს ბატონი ბობ უოლში უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში წაიკითხავს. არ გეგონოთ, რომ ის კაცია, სიტყვა დააგდო და გაგვეცალა.**

**ჩამოვა. მალე. ყველა გარდატეხის ჟამს საქართველოში იყო და, დარწმუნებული ვარ, ტრადიციას არც ამჯერად ულალატებს.**

**— Wellcome, Bob!**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ 18 დღეში სამხედრო კომისარიატებიდან მოყვანილი სამოქალაქო პირები იმაშიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ომი არ დაიწყებოდა, თორემ საერთოდ არც მოვიდოდნენ. ჯარისკაცს 18 დღეში ნაბიჯით მწყობრად სიარულსაც ვერ შეასწავლი, არა თუ სამხედრო საქმეს. მაგრამ ეს მაშინ ვის აინტერესებდა! ათასნაირ სულელურ რეკლამებს უკეთებდნენ რეზერვისტებს და ისე წარმოაჩენდნენ, თითქოს რეზერვისტების იმედზე იყო მთელი საქართველო.“**

# თადარიგის კაპიტნის სკანდალური ნაამბობი

**ოც წელზე მეტია, რაც ქართულ ჯარში ვმსახურობ ოფიცრად და შემიძლია გარკვეული დასკვნების გამოტანა იმის თაობაზე, თუ რა არის სამხედრო სამსახური, რა ძირითად კომპონენტებზეა იგი აგებული და საერთოდ როგორი უნდა იყოს სამხედრო საქმის ხელმძღვანელი. საკითხავია ისიც, არსებული სიტუაციის მიხედვით, თუ როგორ ყალიბდებიან ლიდერები და როგორ ახდენენ ზეგავლენას მოვლენებზე ინდივიდები. ამდენი გამოცდილების შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სიტუაციები და ინდივიდუალური, პირადი თვისებების ერთობლიობა ქმნის მოვლენებსა და შედეგებს, მაგრამ ხშირად ხდება ისეც, რომ ლიდერები ქმნიან ისტორიას და არა ისტორია — ლიდერებს.**



ჩვენს უახლოეს ისტორიას რომ გადავხედოთ, საკმაოდ ბუნდოვან სურათს ვიხილავთ. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სამხედრო უმაღლესი ხელმძღვანელები ხდებოდნენ, ძირითადად, შემთხვევითი ადამიანები. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველი, რაც გაკეთდა სამხედრო სფეროში, ის იყო, რომ შსს-ს შინაგანი ჯარის სარდლად დაინიშნა გოგი თათუხაშვილი, რომელიც მანამდე მიხეილ სააკაშვილის დაცვის უფროსი იყო. უფრო ადრე კი შინაგან ჯარში მსახურობდა და სამსახურიდან დაითხოვეს გაუგებარი მიზეზების გამო. ყოველი შემთხვევისთვის, წარჩინებული სამსახურისთვის არ უნდა დაეთხოვათ და ამის გამორკვევა, თუ საინტერესო იქნება, არ არის ძნელი. იმ დროს მიხეილ სააკაშვილი ჯერ პრეზიდენტობის კანდიდატი იყო და პრეზიდენტის მოვალეობას ნინო ბურჯანაძე ასრულებდა. რალაცნაირად მოხდა ისე, რომ შინაგანი ჯარებიდან დათხოვნილი მაიორი გოგი თათუხაშვილი უცბად გენერალ-მაიორი გახდა და მერე რამდენიმე დღეში გენერალ-ლეიტენანტის წოდებამდე აამაღლეს. მოგვეხსენება, რომ გენერალ-ლეიტენანტი საქართველოში უმაღლესი სამხედრო წოდებაა დღესდღეობით და ამაზე მაღლა ვერავინ ადის. **საკვირველია, რატომ და რა დამსახურებით მიანიჭა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ამ პიროვნებას ასე ზედიზედ ამხელა წოდებები. მიუხედავად ასეთი დიდი დაფასებისა ხელისუფლების მხრიდან, გენერალი გოგი თათუხაშვილი ლიდერი მაინც ვერ გახდა და ამისი მიზეზიც ნამდვილად არსებობდა.**

გოგი თათუხაშვილმა არათუ ლიდერის ხასიათი ვერ გამოამჟღავნა, არამედ, როგორც ჩანს, საერთოდ არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებია. მან მოსვლისთანავე, ანუ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ყველა პროფესიონალი და ნამდვილი მებრძოლი ოფიცრები სამსახურიდან დაითხოვა. მათ გამოცდილებაც ჰქონდათ, ცოდნაც და განათლებაც, მაგრამ ამით თათუხაშვილი არ დაინტერესებულა. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ იმ ადამიანებმა კარგად იცოდნენ გოგი თათუხაშვილის, როგორც სამსახურიდან გათავისუფლებული კაცის ბიოგრაფია, ანუ კარგად იცნობდნენ მას. სწორედ ეს „კარგად ცნობა“ უკარგავდა მოსვენებას უკვე გენერალსა და შინაგანი ჯარების ძლევამოსილ სარდალს. სამსახურებში მან დანიშნა სრულიად უვიცი ადამიანები, რომლებმაც სამხედრო საქმის ინჩიბინჩი არ იცოდნენ, ზოგიერთი მათგანი ადრე სამსახურიდან „მგლის ბილეთით“ იყო გაგდებული, მაგრამ თათუხაშვილს სწორედ ასეთები სჭირდებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ყველა უაზრო დავალება მონური მორჩილებით შეესრულებიათ.

**შინაგანი ჯარის რიგებში იმ დროს, დაახლოებით იანვარში (მაშინ უკვე მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად არჩეული იყო), შეიქმნა შინაგანი ჯარის სპეცდანიშნულების ბატალიონი. ბატალიონის მეთაურად დაინიშნა სამთავრობო დაცვის რიგებიდან გამოძევებული ზაზა ჩუტკერაშვილი, რომელიც გოგი თათუხაშვილის ახლო მეგობარი იყო, მაგრამ სამთავრობო დაცვიდან, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქურდობისთვის იყო გამოგდებული და თან მეტსახელიც გამოჰყვა — „კრისა“.** მან ისე გაამწარა მცირე დროის მანძილზე თანამშრომლები, რომ დღესაც, რვა წლის შემდეგაც, აგინებენ. გარდა ამისა, თათუხაშვილმა სამსახურში შემოყარა მისი მეზობლები, ნათესავები, ცოლისა და საყვარლის ნათესავები, მათი შვილები, ნათლულები, ბავშვების ნათლიები და, ერთი სიტყვით, სპეცდანიშნულების ბატალიონი გახდა თათუხაშვილის პირადი კანტორა.

## რატომ დანიშნეს «კრისა» შინაგანი ჯარის სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაურად?

**მე ეროვნული მოძრაობიდან მოვდივარ და ჩემს თავზე ვიწვნიე ყველა ის უბედურება, რომელიც საქართველოში 1991-92 წლებში დატრიალდა. დაემხო ეროვნული ხელისუფლება, დავკარგეთ ჯერ ცხინვალი და შემდეგ აფხაზეთი. ამ ყველაფრის უშუალო მონაწილე სამხედრო ოფიცერი დიდად განვიცდიდი იმას, რაც საქართველოში 2003 წლამდე ხდებოდა.** მაშინდელი ხელისუფლების უმაღლესი პირები, ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, ყოველდღე უკან ექაჩებოდნენ ქვეყანას. ხალხში იმედი 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ დროს გაჩნდა, რომლის უშუალო მონაწილე ვარ და დიდი იმედით ვუყურებდი მეც ამ მოვლენას ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი. **ხალხში ასეთი განწყობა იყო, ოღონდ ეს ურჩხული შევარდნაძე წავიდეს და ნებისმიერი მოვიდესო. იყო ძალიან დიდი იმედი, რომ ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი ქვეყანას გააერთიანებდა და გააძლიერებდა. სამწუხაროდ, ეს დიდი იმედი შემდეგ ძალიან დიდ იმედგაცრუებაში გადაიზარდა. დიდ თანამდებობებზე დანიშნულმა ხალხმა მაშინვე პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა დაიწყეს და ქვეყნის უბედურება დაივიწყეს.** ამის ერთ-ერთი მაგალითია გოგი თათუხაშვილის თანამდებობისათვის შეუფერებელი მოქმედება.

სპეცდანიშნულების ბატალიონის ჩამოყალიბება კარგად მიმდინარეობდა მანამ, სანამ ამ საქმეს ჩვენ, ძველი მებრძოლები ვხელმძღვანელობდით. სიტუაცია იმის შემდეგ აირია, რა დღესაც ბატალიონის მეთაურად ზაზა ჩუტკერაშვილი დაინიშნა. საერთოდ რევოლუციიდან ცოტა ხანშივე ახალ მთავრობაში ასეთი ტენდენცია დამკვიდრდა — თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო აუცილებლად უვიცი, მლიქვნელი და მხდალი ადამიანი. ასეთებს დაუწყეს ძებნა და, სამწუხაროდ, ბევრი ძებნა არ დასჭირვებიათ და ახლაც ასე გრძელდება. ბატალიონის მომზადებისა და კადრების შერჩევაში ისეთი სისულელეები ხდებოდა და ისეთი ადამიანები მოჰყავდათ, რომელთაც არანაირი გამოცდილება, ცოდნა და ავტორიტეტი არ ჰქონდათ არსად, მაგრამ სამაგიეროდ იყვნენ კარგი მლიქვნელები და ჭორების მიმტანები. მათი სიმხდალე პირველად ბათუმში გამოჩნდა. **ჯერ ერთი და, ბათუმში 5000 სამხედრო მოსამსახურის შეყვანა რა საჭირო იყო, როცა ასლან აბაშიძე ისედაც მიდიოდა და ეს საქმე პოლიტიკურად მოგვარებული იყო?! სამაგიეროდ, გოგი თათუხაშვილს თავი რომ უნდა გამოეჩინა, ვითომ ბათუმი აიღო და „მოწყვეტილი აჭარა“ დედასაქართველოს შემოუერთა.**

## «ბათუმში 5000 სამხედრო მოსამსახურის შეყვანა რა საჭირო იყო, როცა ასლან აბაშიძე ისედაც მიდიოდა და ეს საქმე პოლიტიკურად მოგვარებული იყო?!»

**ბათუმში შევედით 2004 წლის 6 მაისს, გიორგობის დღეს, დილის 5 საათზე. მთელი შინაგანი ჯარების კოლონები მიემართებოდა ბათუმისკენ. იმ დროს მე მოიერიშე ასეულის პირველი ოცეულის მეთაური ვიყავი და სარდლის ბრძანებით მის მანქანას მივყვებოდით უკან მოიერიშე ასეულის მთელი პირადი შემადგენლობა. მანამდე ინფორმაცია გვქონდა, რომ თითქოს აბაშიძის შეიარაღებული რაზმები აჭარის მისადგომებთან ტყეებში იყვნენ ჩასაფრებულნი და ჩვენზე თავდასხმას აპირებდნენ. ყველაფერი ტყუილი გამოდგა. ბათუმში წყნარად შევედით.** ქალაქის ცენტრში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ჩვენ დაგვევალა იარაღის ამოღება. ზღვის ნაპირზე უამრავი იარაღი ეყარა. დილიდან დაღამებამდე მთელი ასეული ავტომატებს ვკრეფდით და მანქანებში ვალაგებდით. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ტირანისგან გავთავისუფლდითო, ასე ამბობდნენ. იარაღის ამოღება მოსახლეობიდან დაახლოებით 15 დღე გაგრძელდა. პარალელურად ქალაქში, წესრიგის აღდგენის მიზნით, ვპატრულირებდით. 26 მაისამდე ბათუმში დავრჩით და 26-ისთვის აღლუმში მონაწილეობის მისაღებად თბილისში დავბრუნდით. ამ ხნის მანძილზე, სანამ იქ ვიყავით და ვპატრულირებდით, არც ერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. უნდა აღვნიშნო, რომ ამ ხნის მანძილზე ვერ მოგვიძებნეს ყაზარმა, ნორმალური დისლოკაციის ადგილი. ყოველ კვირა ადგილს გვიცვლიდნენ და ასე დაგვარბენინებდნენ აქეთ-იქით.

**გარდა ამისა, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს ხელფასს 400 ლარს გვაძლევდნენ და მასზე დამატებით სოროსის ფონდიდან დაგვენიშნა 150 ამერიკული დოლარი ყოველთვიურად; იმ მოტივით, რომ ყაზარმა უნდა შევაკეთოთო, 50 ლარს გვიკავებდნენ ხელფასიდან. როდის იყო, ყაზარმის რემონტს სამხედრო მოსამსახურის ხარჯზე ახორციელებდნენ?! ვინც უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდა, იმას ან სამსახურიდან აგდებდნენ, ან სცემდნენ თათუხაშვილის ხელის ბიჭები.** ასეთი რამდენიმე ფაქტი მოხდა და მერე შეშინებული ხალხი ხმას ვერ იღებდა. კიდევ ერთი ფაქტი ის იყო, რომ **სოროსის ფონდიდან გამოყოფილი 150 დოლარი ჩვენამდე არ მოდიოდა. მოიტანდნენ სარდლის ლაქიები უწყისს, ხელს მოგვაწერინებდნენ და მერე ფულს არ გვაძლევდნენ. დრო გადიოდა ამ უთავბოლობასა და უსამართლობაში, ხალხში უკმაყოფილების ტალღა ნელ-ნელა იზრდებოდა და ერთ დღესაც აზვირთდა.**

ერთად შევიკრიბეთ უკმაყოფილო ხალხი, მოვითათბირეთ, რომ მივსულიყავით სარდალთან და ჩვენი უკმაყოფილების მიზეზი მოგვეხსენებია. სანამ ჩვენ მასთან მივიდოდით, მისმა ლაქიებმა: ზაზა ბიჩინაშვილმა, ზაზა ჩუტკერაშვილმა და სხვებმა მობილურით აცნობეს თათუხაშვილს, თითქოს ჩვენ ამბოხს ვაწყობდით და ჩვენი კანონიერი უფლებების დასაცავად მისულებს შეხვედრაზე უარი განგვიცხადა. მერე ამ საქმეს სხვა მიმართულება მისცეს. არ გამოიძიეს და ისე დაუწყეს ხალხს დასჯა. ზოგი გაათავისუფლეს სამსახურიდან და ზოგი ჩამოაქვეითეს, მე ასმეთაურობიდან — ათმეთაურამდე. ლაქიები მომიჩინეს და მათი ჭკუით მაკონტროლებდნენ. იმას კი ვერ ხვდებოდნენ, რომ იქით ვაკონტროლებდი იმ ლაქიების მეშვეობით. ამდენი სისულელის ჩამდენი ადამიანი ლიდერი და ავტორიტეტი ვერაფრით ვერ გახდებოდა, ცხადია, და მისი შექმნილი სპეცდანიშნულების ბატალიონი ერთ წელიწადში დაიშალა.

**აქვე უნდა აღვნიშნო, თუ როგორ მოხდა 2004 წელს ჩვენი სამაჩაბლოში შეყვანა.** საერთოდ, თათუხაშვილის მოქმედების მეთოდი იყო ასეთი: გამოგვიძახებდნენ, ავისხამდით იარაღს, ჩავსხდებოდით მანქანებში და არ ვიცოდით, სად მივდიოდით. ასე მოხდა ჩვენი ცხინვალისკენ დაძვრაც. სოფელ ერედვის ზემოთ არის სოფელი არგვისი. ამ არგვისში შეიყვანეს ჩვენი მოიერიშე ასეული, რომელსაც იმ დროს უკვე ჩემ მაგივრად ზაზა ბიჩინაშვილი მეთაურობდა, **გამთენიისას, 4 საათზე, 20 ივლისი იყო, როგორც მახსოვს. ჩამოგვსვეს ტრიალ მინდორზე, სადაც ქვაც არ ეგდო, რომ ამოვფარებოდით. არც ის ვიცოდით, რა ვითარება იყო და მოწინააღმდეგე სად იდგა. როგორც ირიჟრაჟა, ასე დაუგეგმავად და უთავბოლოდ აღმოვჩნდით ოსური ფორმირებების ცეცხლქვეშ.** ▶

## «სოროსის ფონდიდან გამოყოფილი 150 დოლარი ჩვენამდე არ მოდიოდა. მოიტანდნენ სარდლის ლაქიები უწყისს, ხელს მოგვაწერინებდნენ და მერე ფულს არ გვაძლევდნენ»

„არავის უნდა ჯარში ყოფნა, ყველა გასაქცევადაა შემართული, მაგრამ ბანკებიდან აქვთ გამოტანილი კრედიტები და ამით არიან ამ სამსახურს იძულებით მიჯაჭვულები. ესეც ერთ-ერთი ფანდი იყო — ბანკების მეშვეობით იძულებითი სამხედრო სამსახური. ეს არის ადამიანის აბუჩად აგდება.“

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ისინი ტყეში იყვნენ, სანგრებში, ზემოთა მხარეს და ჩვენ ქვემოთ ტრიალ მინდორზე ყოველგვარი ამოფარების გარეშე. თავდასხმა და მოგერიება დაახლოებით სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. საბედნიეროდ, ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ ყოფილა. ოთხი ჯარისკაცი დაგვეჭრა. იმათი მხრიდან 8 დაღუპული გაასვენეს. იმ დილით უფალმა გვიხსნა, თორემ ჩვენ ისეთი პოზიციები გვეკავა, რომ ოსების საფარიდან, უბრალოდ, შეიძლებოდა ჩვენი ამოხოცვა. ამას მოწმობს ის დაუგეგმავი ოპერაცია, რომელიც მაშინ გოგი თათუხაშვილის მეთაურობით განხორციელდა. თვეზე მეტხანს იმ ადგილზე ვიდექით, სადაც მერე ჩვენ გავთხარეთ სანგრები და მიწისქვეშა ბლინდაჟებიც გავაკეთეთ, მაგრამ მოწინააღმდეგეს მაინც ბევრად უკეთესი პოზიციები ეკავა. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ **იქ, სადაც ჩვენ ვიდექით და ხშირად გვიწევდა მტერთან დაპირისპირება, სარდალი თათუხაშვილი და მაშინდელი ბატალიონის მეთაური დათო პაქსაშვილი ერთხელაც არ ამოსულან.** აი, ეს არის ის, რაც ლიდერის თვისებებს ავლენს ან ცუდად, ან კარგად. ერთი თვის შემდეგ ჩვენ შეგვცვალეს თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ბატალიონის მებრძოლებმა. ერთი სიტყვით, სამხედრო ხელმძღვანელობის უნარი ნულზე იყო დასული და ეს მათ ცოდნასა და ვაჟკაცობაზე აისახებოდა.

ისმის კითხვა: **შესაძლებელია თუ არა ადამიანი იყოს მეთაური, თუ მას თავისი ქმედების მორალური და ეთიკური შედეგები არ აინტერესებს?**

ძველი ბერძნები ცდილობდნენ, ისე ჩამოეყალიბებიათ ძირითადი პრინციპები, რომ მათი გამოყენებით მეთაურს სწორად ემოქმედა. ისინი მკაცრად კი არ განსაზღვრავდნენ მოქმედების წესს, არამედ ცდილობდნენ, დაედგინათ სტანდარტი, როგორი უნდა ყოფილიყო მეთაური.

2008 წლის 1 თებერვალს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის სენაკის 213-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მეთაურად დავინიშნე. დეპარტამენტის უფროსი იყო პოლკოვნიკი დავით აფციაური, რომელიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ბრძოლებში დიდად გამოცდილი პიროვნება გახლდათ და მებრძოლებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. იმ დროს თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი იყო. საერთოდ, **„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულ ხელისუფლებას ასეთი ზნე დასჩემდა, რაც უფრო დილეტანტია იმ საქმეში და რაც უფრო მეტად აქვს ხალხში ცუდი ავტორიტეტი, მით უფრო უნდა აამაღლონ ასეთი ადამიანი და რაც შეიძლება მაღალ პოსტზე წამოასკუპონ.**

რაც შეეხება იმდროინდელ ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის განლაგებებს, სულ იყო 5 ბაზა: ორი — დასავლეთ საქართველოში და სამი — აღმოსავლეთ საქართველოში. **ეროვნული გვარდიის ერთადერთი ფუნქცია-მოვალეობა რეზერვისტების გაწვევა და მომზადება იყო.** თითოეულ რაიონში თითო ბატალიონი უნდა ყოფილიყო საბრძოლო მოქმედებების დროს ზურგის გასამაგრებლად. მომზადების დრო 18 დღე იყო. **ამ 18 დღეში სამხედრო კომისარიატებიდან მოყვანილი სამოქალაქო პირები (რომელთა უდიდეს ნაწილს საერთოდ არ აინტერესებდა არანაირი სამხედრო მომზადება და არც სურვილი ჰქონდა, რომ სამშობლო დაეცვა, მაგრამ იძულებით და რაღაც პრობლემების შიშით მოდიოდა, რომ ეს 18 დღე როგორმე გაეყვანა და მერე შინ დაბრუნებულიყო) იმაშიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ომი არ დაიწყებოდა, თორემ საერთოდ არც მოვიდოდნენ. ჯარისკაცს 18 დღეში ნაბიჯით მწყობრად სიარულსაც ვერ შეასწავლი, არა თუ სამხედრო საქმეს. მაგრამ ეს მაშინ ვის აინტერესებდა! ათასნაირ სულელურ რეკლამებს უკეთებდნენ რეზერვისტებს და ისე წარმოაჩენდნენ, თითქოს რეზერვისტების იმედზე იყო მთელი საქართველო.**

რეზერვისტებად ისეთი ხალხი მოჰყავდათ, რომ სასაცილო იყო ხშირ შემთხვევაში. სენაკში ერთ რეზერვისტს კოლომ უკბინა და ამის გამო პანიკაში ჩავარდნილმა ხელმძღვანელობა აიძულა, რომ სასწრაფო დახმარება გამოეძახებიათ. **არ იყო რეზერვისტების სამსახურის შესახებ შექმნილი კანონი. საერთოდ არანაირი წესდება არ არსებობდა, რომ ურჩებზე რამენაირი ბერკეტი გამოგვეყენებია.** გარდა ამისა, რეზერვისტების ბატალიონების მეთაურები და შტაბის უფროსები — თითქმის ყველანი ყოფილი კომისრები და მათი მოადგილეები იყვნენ. მათ სამხედრო საქმის არაფერი ესმოდათ და არც კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათ არ იცოდნენ ელემენტარულად, როგორ უნდა ემართათ ხალხი. ამის გამოცდილება მთელი ცხოვრების მანძილზე კაბინეტებში ნაჯდომ კომისრებს არ ჰქონდათ, ამიტომ ხშირად რეზერვისტებსა და მეთაურებს შორის შეხლა-შემოხლა და ჩხუბი ხდებოდა. იყო კიდევ ერთი სულელური გამოგონილი სტრუქტურა: ბატალიონში შტატზე ირიცხებოდა 5 სამხედრო მოსამსახურე — ბატალიონის მეთაური, შტაბის უფროსი, კადრებში სერჟანტი, ზურგში სერჟანტი და შეიარაღების სერჟანტი. ბატალიონში იყო 5 ასეული. ასეულის, ოცეულისა და ათეულის მეთაურები იყვნენ თვით რეზერვისტებიდან შერჩეულები, რომელთაც აღმოაჩნდებოდა ლიდერის თვისებები. **ასეთი სისულელეების გამოგონება მხოლოდ საქართველოში ხდება.**

**ვინც ჯარში არ ყოფილა, შეუძლებელია 18 დღეში შეისწავლოს იარაღი, ტაქტიკა, საცეცხლე, ტოპოგრაფია, სამწყობრო და კიდევ ბევრი რამ, რომელთა ჩამოთვლას აზრი არ აქვს. მიუხედავად ამისა, საკვირველი ის იყო, რომ რეზერვისტებს ბევრად უკეთეს პირობებში უხდებოდათ ყოფნა, ვიდრე ნამდვილ ჯარისკაცებს. ეს იყო ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი დამღუპველი და უაზრო პროექტი, რომელმაც დიდი დაღი დაასვა საქართველოს.**

**რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს სამდღიან ომს და როგორ შევხვდით სენაკში ამ სამარცხვინო სიტუაციას:** 6 აგვისტოს ჩემი ბატალიონით გამომაგზავნეს მუხროვანისკენ ბატალიონის მომზადების მიზნით. იმ დღეს ქუთაისამდე ჩამოვაღწიეთ და ქუთაისის მე-3 ბრიგადაში დავრჩით. შუაღამე იქნებოდა, რომ განგაში გამოაცხადეს. ჯარი აყარეს და საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანეს. როგორც გავარკვიეთ, ცხინვალში ომი დაიწყო და ჩვენი ჯარები უტევდნენ.

**«იქ, სადაც ჩვენ ვიდექით და ხშირად გვიწევდა მტერთან დაპირისპირება, სარდალი თათუხაშვილი და მაშინდელი ბატალიონის მეთაური დათო პაქსაშვილი ერთხელაც არ ამოსულან»**

**ჩვენ უკან დაბრუნების ბრძანება მივიღეთ და დილის 5 საათზე სენაკისკენ წავედით. სენაკის ბაზაზე რომ შევედით, არეული სიტუაცია დაგვხვდა. მობილიზაცია გამოცხადებული იყო და რეზერვისტები მოჰყავდათ რაიონებიდან ავტობუსებით. რეზერვისტების 5 ბატალიონის მიღებას, ჩაცმასა და იარაღის დარიგებას ღამის 11 საათამდე მოვუნდით.** ერთი ბატალიონი, ბრძანებისამებრ, ცხინვალისკენ დაიძრა ყვითელი ავტობუსებით. ბატალიონს მეთაურობდა ვიცე-პოლკოვნიკი ნუკრი აბულაძე. ეს ბატალიონი ზუგდიდის რაიონის იყო. ორი ბატალიონი ბაზიდან კიდევ გავიდა და ბაზის მახლობლად აეროპორტის ტერიტორიაზე დაბანაკდა.

ღამის 11 საათსა და 25 წუთზე ბაზას თვითმფრინავმა გადაუფრინა. 12 საათზე ბაზიდან ჩრდილოეთის მხარეს მდებარე გორაზე ორი მაშხალა ვნახეთ. ბიჭებმა თქვეს, ცხინვალი აიღეს ჩვენებმა და იმას აღნიშნავს ვიღაც იმ გორაზეო. იმ დროს ცხინვალის აღებისთვის სასიხარულო მაშხალებს იმ გორაზე ვინ გაუშვებდა. ეს იყო ნიშანი, რომ ბაზის დაბომბვის დრო დადგა. მაშხლების გაშვებიდან ზუსტად 20 წუთში თვითმფრინავის ხმა შემოგვესმა. ამ დროს ბაზაზე იმყოფებოდა დაახლოებით 2000 კაცი. მაშხალების გაშვების გამო და მანამდე, თვითმფრინავის გადაფრენის შემდეგ, გუმანით ვიგრძენი, რომ აუცილებლად დაგვარტყამდნენ. მანამდე ინფორმაცია გვქონდა, რომ დაბომბეს მარნეულის ბაზა, შემდეგ ვაზიანისა და გორის. ჩვენს ბაზას, რომელიც ყველაზე დიდი იყო მოცულობით და სტრატეგიულად ყველაზე საინტერესო, ვინ დატოვებდა. **დარტყმის ტალღა ისეთი ძლიერი იყო, რომ იქით-აქეთ გაგვფანტა. ჭურვი აეროპორტის ტერიტორიაზე დაეცა.** მივხვდი, რომ **ბიჭები იქ იყვნენ და ცუდ დღეში ჩაცვივდებოდნენ. ბაზაზე მყოფი ხალხი დაფეთებული ყველა მხარეს გარბოდა... გარბოდნენ თავქუდმოგლეჯილები და იარაღსა და ტანსაცმელს გზადაგზა ყრიდნენ.** უნდა აღვნიშნო ისიც, რომ სენაკის ბაზა ზედ ჭაობზეა აშენებული. საბჭოთა კავშირის დროს იქ საბჭოთა არმიის სამხედრო ნაწილი იდგა. იმ ღამით ბევრი ჭაობში ჩაცვივდა და მერე იქიდან ძლივს მოხერხდა მათი ამოყვანა. პირველი დაბომბვის შემდეგ, დაახლოებით 20 წუთში, თბილისიდან მეუღლემ დამირეკა, რა ხდება, რადიომ გადმოსცა, რომ სენაკის ბაზა დაბომბესო. მე ვუთხარი მშვიდობა არის-მეთქი, ამის თქმა ვერ მოვასწარი და მეორედ დაგვარტყეს და ძლიერმა ტალღამ კედელს მიმანარცხა. ტელეფონი ხელიდან გამივარდა და ცოტა ხნის შემდეგ ძლივს ვიპოვე. **იმ ღამეს დაღუპულების რიცხვი 7-მდე ავიდა და 53 კაცი მძიმედ დაიჭრა. მთელი ღამე დაღუპულები და დაჭრილები გადაგვყავდა სენაკის საავადმყოფოში.** გათენდა. ბაზაზე რამდენიმე კაციღა ვიყავით. ბაზის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ნუგზარ სუხაშვილი ძველი მეომარია, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნაბრძოლი, და ბოლომდე ღირსეულად იდგა.

**მეორე დილით დავიწყე დაყრილ-დაფანტული იარაღის მოგროვება, რასაც მთელი დღე მოვუნდი. „ჰაილუქსის“ მანქანით გავიდოდი, ავავსებდი ქუჩებში და ჭაობში დაყრილი ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით მანქანას, შემოვიტანდი და პლაცზე დავყრიდი. ძალიან ბევრი იარაღი დაიკარგა საერთოდ. ზოგი ჭაობში ჩაიძირა და ზოგიც, ალბათ, ვიღაცამ ნახა და სახლში წაიღო. ოჯახების ჩხრეკას მაშინ ვინ დაიწყებდა. იმ დროს ველოდებოდით ხელმძღვანელობისგან მითითებებს, მაგრამ მათი მხრიდან არაფერი ისმოდა.** ბაზა კი პერიოდულად იბომბებოდა, ანუ ბაზის მიმდებარე აეროპორტის ტერიტორია კიდევ რამდენჯერმე დაბომბეს და აეროპორტი საერთოდ მწყობრიდან გამოიყვანეს. **ერთი პერიოდი ბაზის მეთაურს შევთავაზე, იარაღი ჩემს სოფელში, რომელიც ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ განაპირა მხარეს მდებარეობს, ჩემს სახლში დაემალათ, მაგრამ მეთაურმა ზემდგომების ნებართვის გარეშე ვერ გარისკა და მერე ისე მოხდა, რომ 2000-მდე ავტომატი და ტყვიამფრქვევი რუსების ხელში აღმოჩნდა.** ჩვენ მოულოდნელად ჯერ აჭარაში ჩაგვიყვანეს ყვითელი ავტობუსებით, აჭარიდან კი — ოზურგეთში, სადაც დავიშალეთ. სამხედრო ფორმა გამოგვაცვლევინეს და სამოქალაქო ტანსაცმლით სხვადასხვა მხარეს გაგვიშვეს. მე როგორღაც ხან ფეხით, ხან მანქანით და ბოლოს სატვირთო მანქანით თბილისში ჩამოვედი. ჩემი ოჯახი თბილისში მყავდა. ცოტა ხნის შემდეგ დაგვიკავშირდნენ და კოჯრის სამხედრო ბაზაზე შევიკრიბეთ. რუსულმა ვერტმფრენებმა იქაც მალე მოგვაგნეს და მერე ისევ ყვითელი ავტობუსებით თელავის ბაზაზე ჩაგვიყვანეს. ერთი სიტყვით, თავიდან ბოლომდე ყველაფერი კეთდებოდა გაუაზრებლად და უთავბოლოდ. ისიც უნდა ვთქვა, რომ **ომის კვალი თბილისში და განსაკუთრებით კოჯრის გზებზე არსებულ რესტორნებში მოქეიფე ვითომ ქართველებს ნამდვილად არ ეტყობოდათ. ყველა რესტორანი გადაჭედილი იყო ხალხით და ხმამაღლა ჰქონდათ მუსიკა ჩართული. იმ დროს ცხინვალში დაღუპული ბიჭები ჯერ კიდევ გადმოსვენებული არ იყვნენ და, რომ არა უწმინდესისა და უნეტარესის მაშინდელი ძალისხმევა, ალბათ, სამუდამოდ იქ დარჩებოდნენ და საფლავიც არ ელირსებოდათ.**

**ჩვენი „სასიქადულო და საამაყო“ მთავარსარდალი და მისი ამალა მთავრობის სახლთან ზეიმობდნენ, ომი მოვიგეთო. ალბათ, ომის მოგებას იმას ექახდა მიხეილ სააკაშვილი, რომ გორში თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მიწაზე სამარცხვინოდ ფორთხვის დროს ცხვირი არ აიგლიჯა.**

**«ჰაილუქსის» მანქანით გავიდოდი, ავავსებდი ქუჩებში და ჭაობში დაყრილი ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით მანქანას, შემოვიტანდი და პლაცზე დავყრიდი. ძალიან ბევრი იარაღი დაიკარგა საერთოდ. ზოგი ჭაობში ჩაიძირა და ზოგიც, ალბათ, ვიღაცამ ნახა და სახლში წაიღო»**

**ჩვენი «სასიქადულო და საამაყო» მთავარსარდალი და მისი ამალა მთავრობის სახლთან ზეიმობდნენ, ომი მოვიგეთო. ალბათ, ომის მოგებას იმას ექახდა მიხეილ სააკაშვილი, რომ გორში თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მიწაზე სამარცხვინოდ ფორთხვის დროს ცხვირი არ აიგლიჯა**

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ექცევა მეთაური ჯარისკაცებს. არ უნდა მოატყუო ჯარისკაცი, არ უნდა შეჰპირდე იმას, რისი გაკეთებაც მერე გაგიჭირდება ან სულ ვერ შეძლებ. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი, ანუ უმცროს ოფიცერთა შემადგენლობის კონტრაქტები დადებული თავდაცვის სამინისტროსთან. ამ კონტრაქტში წერია, რომ ოთხი წლის სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ დაგვაკმაყოფილებდნენ თბილისში ბინით. ეს კონტრაქტები დაიდო 2007 წელს, ოღონდ თავდაცვის სამინისტრომ ამ კონტრაქტს ხელი ერთი წელი არ მოაწერა. ერთი წლის შემდეგ, 2008 წლის ბოლოს, მოგვიტანეს ახალი კონტრაქტები და ხელახლა მოგვაწერინეს ხელი. კონტრაქტი დამტკიცებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №221 ბრძანებით. ამ კონტრაქტს ხელი სამინისტროს მხრიდან მოეწერა 2009 წლის 14 იანვარს. **ამ კონტრაქტში არის 5.1.9 მუხლი, რომელშიც წერია: სამხედრო მოსამსახურე ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე დააკმაყოფილოს საცხოვრებელი ბინით, რომელიც მას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით, გადაეცემა ამ კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული სამხედრო სამსახურის ვადის დასრულების შემდეგ.**

**ამ ვადის ამოწურვამდე, როგორც კი მიხვდნენ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები, რომ დადებული კონტრაქტი აუცილებლად უნდა შესრულებულიყო, რადგან ამ კონტრაქტის შეუსრულებლობას სერიოზული სკანდალი შეიძლებოდა მოჰყოლოდა, იოლ ხერხს მიმართეს: იმ ოფიცერთა ძირითადი ნაწილი, რომელთა ხასიათიც შესწავლილი ჰქონდათ და იცოდნენ, კონტრაქტში დაწერილი პირობების შესრულებას აუცილებლად მოითხოვდნენ, სხვადასხვა აბსურდული მიზეზით, სრულიად უდანაშაულონი, სამსახურიდან დაითხოვეს.** იმ მცირე პროცენტს, რომლებიც ჯერ კიდევ შემოვრჩით სამხედრო სამსახურში, ჩვენგან დამოუკიდებლად და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, კონტრაქტები გაგვიუქმეს. ერთი სიტყვით, დღეს სამხედრო მოსამსახურე, მნიშვნელობა არა აქვს, ის ოფიცერია თუ რიგითი, ვინც არ არის თავდაცვის მინისტრის ახლობელი ან ნათესავი, იმყოფება მონურ მდგომარეობაში. არანაირ უსამართლობაზე არავინ ხმა არ უნდა ამოიღოს, თორემ უკეთეს შემთხვევაში დაკარგავს სამსახურს, უარეს შემთხვევაში — ჩაუდებენ ან ნარკოტიკს, ან იარაღს და ციხეში გაუშვებენ. ასეთი შიშის, შეურაცხყოფის, დამცირების, ღირსების შელახვისა და ათასი უბედურების ატანით უწევთ დღეს სამხედრო მოსამსახურეებს სამსახურის გავლა. **არავის უნდა ჯარში ყოფნა, ყველა გასაქცევადაა შემართული, მაგრამ ბანკებიდან აქვთ გამოტანილი კრედიტები და ამით არიან ამ სამსახურს იძულებით მიჯაჭვულები. ესეც ერთ-ერთი ფანდი იყო — ბანკების მეშვეობით იძულებითი სამხედრო სამსახური. ეს არის ადამიანის აბუჩად აგდება.**

**მაიზერ გელოვანი,**
აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე,
თადარიგის კაპიტანი

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„30-მდე სასტუმრო, რომელთა მფლობელებიც თურქი ეროვნების მოქალაქეები არიან, არაოფიციალურ ბორდელებს წარმოადგენს, რომლებშიც შუა აზიის ქვეყნებიდან, უმეტესწილად კი უზბეკეთიდან, ჩამოსული 500-მდე ქალბატონი მუშაობს. ტრეფიკინგის მსხვერპლთა შორის არიან თურქეთიდან დეპორტირებული ყაზახი, უზბეკი, ტაჯიკი, დაღესტნელი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი ქალბატონები. მათ აიძულებენ, მომსახურება მხოლოდ თურქი ეროვნების მოქალაქეებს გაუწიონ, რომლებიც აღნიშნულ სასტუმროებს მოსასვენებელ ადგილად იყენებენ. აჭარაში თითქოს სამუშაოდ ჩამოსულ შუააზიელ ქალბატონებს სასტუმროს თურქი მეპატრონეები პასპორტს ართმევენ და დოკუმენტების უკან დაბრუნებისთვის კონკრეტულ თანხებს უწესებენ.“**



**არჩილ კაიკაციშვილი:**

# აჭარაში ძირითადად ყაზახი, უზბეკი, ტაჯიკი, დაღესტნელი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი ქალბატონების ტრეფიკინგი ხორციელდება

**საქართველოს შავიზღვისპირეთის ზოლში არსებულ პროსტიტუციისა და ტრეფიკინგის ფაქტებზე ინფორმაციას ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლები ავრცელებენ და ხელისუფლებას დაუყოვნებლივ რეაგირებისკენ მოუწოდებენ. თუ რა შედეგი მოჰყვა „ახალგაზრდა ადვოკატების“ საგანგებო პრესკონფერენციას და ხელისუფლებისადმი მიმართვას, ასევე ამჟამად აჭარაში შექმნილ ვითარებაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი ესაუბრა.**

**— რა რეაგირება მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან თქვენს მოწოდებას და თუ მიაღწიეთ რაიმე შედეგს?**

— შედეგი ის სასურველი მდგომარეობა იქნებოდა, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობაც მოიგებდა და ქვეყანაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს მოწოდებას რეაგირება არ მოჰყოლია, რეგიონში ვითარება კვლავ უცვლელია. საქართველოს შავიზღვისპირეთში ტრეფიკინგის ფაქტები რეალურია. თუ პრობლემას განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი ქმნის დამატებით საფრთხეს და წინაპირობას, რომ საქართველოში საუბარი პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე დაიწყოს. ჩემი დამოკიდებულება აჭარაში შექმნილი რეალობისადმი ასეთია: **თუკი საქართველოს სახელმწიფო დროულად არ გამოიჩენს პრინციპულ პოზიციას და არ გამოიძიებს აღნიშნულ ფაქტებს, მედიით გაშუქებულ და ადგილობრივი მოქალაქეების ჩვენებების საფუძველზე, საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვები პროსტიტუციის ლეგალიზაციის წინაპირობების შექმნის შესახებ რეალური იქნება.**

ამ ფაქტების შესახებ ინფორმირებულია ადგილობრივი ხელისუფლება. მოსახლეობამ არაერთი საჩივარი დაწერა, მაგრამ ხალხთან საკომუნიკაციოდ მხოლოდ ბათუმის მერი გამოუშვეს. სხვათა შორის, თემას რატომღაც გვერდს უვლიან როგორც აჭარის ტელევიზია, ასევე სხვა ცენტრალური არხები. ყოველივე ამის ფონზე, მით უფრო მაინტერესებს საქართველოში საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციები. სახელდება კონკრეტული ეროვნების ადამიანები, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლნი გახდნენ. ნუთუ მათი სახელმწიფოების საელჩოებს საქართველოში არ ადარდებთ საკუთარი მოქალაქეების გათავისუფლება და დახსნა? ნუთუ მხოლოდ ანგარიშებისა და რეკომენდაციებისთვის ჭირდებათ შექმნილი ვითარება საერთაშორისო ორგანიზაციებს?!

**— საიდან გახდა ცნობილი აღნიშნული ინფორმაცია თქვენთვის და რა ვითარება დაგხვდათ რეგიონში?**

— ივნისის ბოლოს ორგანიზაციამ აჭარაში, გონიოსა და ბათუმში, შეხვედრები გამართა ადგილობრივ მცხოვრებლებთან. **ყველა შექმნილ, გაუსაძლის ვითარებაზე საუბრობს. ადგილობრივების განცხადებით, საღამოს 8 საათიდან მთელი ღამის განმავლობაში მათი გადაადგილების უსაფრთხოება დაუცველია. აჭარაში შექმნილი ვითარება უზნეობის გაუგონარ მაგალითს წარმოადგენს. ყოველდღიური ხასიათი აქვს ღრეობას, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ცემას. ცოტა ხნის წინ ტრეფიკინგში ჩაბმული მსხვერპლთა მკვლელობისა და თვითმკვლელობის შემთხვევებიც დაფიქსირდა.** ორგანიზაციის ადვოკატმა აჭარაში — ლელა ბჟალავამ უშუალოდ შეისწავლა ბათუმში არსებული ვითარება. განსაკუთრებით კრიტიკული ვითარებაა შექმნილი ჭავჭავაძისა და ქუთაისის ქუჩებზე. აღნიშნულ ტერიტორიებზე მრავლადაა ე. წ. ლოკონტები – თურქული სასადილოები, სადაც საღამოს 10 საათის შემდეგ ქართველ მამაკაცებს არ უშვებენ და დილამდე დისკოთეკაა. ერთი ასეთი ღამის გასართობი – ჰარამხანა — ჭავჭავაძის ქუჩაზე ცნობილი რესტორანი „აფსაროსია“, ქუთაისის ქუჩაზე კი ათეულობით ღამის გასართობია. მათი სტუმარი მხოლოდ თურქი ეროვნების მამაკაცები არიან. მოსახლეობა ბათუმშიც და გონიოშიც იმაზე წუხს, რომ მათ განცხადებებს შედეგი არ მოჰყოლია. საქმეში ბათუმის მერი კი ჩაერთო, მაგრამ მისი მისვლა მოსახლეობასთან, ხალხის დაშოშმინების მცდელობას უფრო ჰგავდა. **კვარიათში თვალს მოჰკრავთ ასეთ წარწერა-ტრაფარეტსაც: „უზბეკისტანი“. თუნდაც ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ვითარება საგანგაშოა.**

ტრეფიკინგის კერის ბოლო ასეთი შემთხვევა საზოგადოებისთვის ცნობილი მედიაჰოლდინგ „აჭარა PS“-ის ჟურნალისტური მოკვლევის შედეგად გახდა ცნობილი. გაზეთმა ამხილა ჩოლოქთან მდებარე, თურქის მფლობელობაში არსებული ობიექტის — „ვიქტორიას“ ფარული დანიშნულება და ჟურნალისტმა სულხან მესხიძემ ფაქტის დასაზუსტებლად ადგილობრივების მოსაზრებებიც მოიშველია, რომელთა თანხმადაც, შენობის მეორე სართულზე ტრეფიკინგის მსხვერპლნი ჰყავთ. ობიექტის პირველ სართულზე ბენზინგასამართი სადგურია, მეორე სართული კი სასტუმროს ეთმობა, სადაც თურქი მძღოლები მუდმივად ჩერდებიან და „აკრძალული სერვისითაც“ სარგებლობენ.

**— როგორ ფიქრობთ, ვინ არის დაინტერესებული აჭარაში მსგავსი ვითარების არსებობით და, მიუხედავად ცალკეული ორგანიზაციებისა თუ პოლიტიკოსების პროტესტისა, რატომ არ ხდება შესაბამისი რეაგირება?**

— ცხადია, ეს ყველაფერი ვიღაცის კერძო ინტერესშია, მაგრამ არა მგონია, სახელმწიფოების მიერ იყოს წახალისებული. ეს ბიზნესია, ოღონდ შავი ბიზნესი. ფაქტია ისიც, რომ **SMILING TRAFFICKING-მა თურქეთიდან ახლა საქართველოში გადმოინაცვლა. ჯერ კიდევ 1998 წელს თურქეთში კაზინოები მასობრივად მხოლოდ იმიტომ დაიხურა, რომ არალეგალურად ნაშოვნი ფულის გათეთრების საშუალება იყო და მასში პოლიტიკოსებიც იყვნენ ჩართულნი. ახლა თურქეთის პოლიციამ მასობრივი ბრძოლა გამოუცხადა პროსტიტუციას. ყველაზე მეტად ეს კრიმინალური ბიზნესი ტრაპიზონში იყო ფეხმოდგმული, მაგრამ ახლადდანიშნულმა ქალაქის პოლიციის უფროსმა კანონი მთელი სიმკაცრით აამოქმედა და ტრეფიკინგმა და პროსტიტუციამ გეოგრაფიული არეალი შეიცვალა — აჭარა ამისთვის საუკეთესო ადგილად იქცა.**

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ისევ მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ **ერთ-ერთმა მსხვერპლმა განაცხადა, რომ მომსახურება გაუწია ტრაპიზონის მერს. გონიოში ყვებიან, რომ თურქი მაღალჩინოსნები ამ მიზნით ხშირად ჩამოდიან და სასტუმროებში ჩერდებიან. ვფიქრობ, გამოსავალი მხოლოდ ის იქნება, რომ საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიწყონ დროული მოქმედება და გამოძიება.** საქართველო წარმოადგენს ტრეფიკინგის წინააღმდეგ საერთაშორისო შეთანხმებების მონაწილე ქვეყანას და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 143-1, მუხლი 143-2, მუხლი 143-3) სანქცირებას უკეთებს დანაშაულს საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ უკვე ვართ სამწუხარო რეალობის წინაშე, ვინაიდან **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, 2012 წლის ანგარიშის მიხედვით** (მოიცავს 186 ქვეყანას), **საქართველო დასახელდა ტრეფიკინგის წყაროდ და ტრანზიტ ქვეყნად,** რაც 2011 წლის მონაცემთან შედარებით განსხვავებული შეფასებაა, რა დროსაც, საქართველო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ კალათაში ინარჩუნებდა პოზიციებს (ქვეყანა სრულად აკმაყოფილებდა ტრეფიკინგის მძიმე ფორმების აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტს). საქართველოს მიმართ ცოტა ხნის წინ ევროპული კონვენციის მონიტორინგის ჯგუფმაც კრიტიკული რეკომენდაცია შეიმუშავა.

**— ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალბატონები ძირითადად საიდან ჩამოჰყავთ?**

— მოსახლეობა გვატყობინებდა, რომ გონიოს სასტუმროებში ცხოვრობენ ქალები, რომლებსაც ფიზიკურად შეურაცხყოფენ და კლიენტების უფასოდ მომსახურებას აიძულებენ. დღისით ისეთი სიტუაციაა, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. სამაგიეროდ, ადგილობრივები გვატყობინებდნენ, რომ დაახლოებით **30-მდე სასტუმრო, რომელთა მფლობელებიც თურქი ეროვნების მოქალაქეები არიან, არაოფიციალურ ბორდელებს წარმოადგენს, რომლებშიც შუა აზიის ქვეყნებიდან, უმეტესწილად კი უზბეკეთიდან, ჩამოსული 500-მდე ქალბატონი მუშაობს. ტრეფიკინგის მსხვერპლთა შორის არიან თურქეთიდან დეპორტირებული ყაზახი, უზბეკი, ტაჯიკი, დაღესტნელი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი ქალბატონები.**

მათ აიძულებენ, მომსახურება მხოლოდ თურქი ეროვნების მოქალაქეებს გაუწიონ, რომლებიც აღნიშნულ სასტუმროებს მოსასვენებელ ადგილად იყენებენ. აჭარაში თითქოს სამუშაოდ ჩამოსულ შუააზიელ ქალბატონებს სასტუმროს თურქი მეპატრონეები პასპორტს ართმევენ და დოკუმენტების უკან დაბრუნებისთვის კონკრეტულ თანხებს უწესებენ, საუბარია კლიენტთან მომსახურებიდან შემოსული თანხის გაყოფაზეც. ამიტომაც **ცემა, იძულება და შანტაჟი ჩვეულებრივ მოვლენაა. ადგილობრივები საუბრობენ, რომ არაერთმა ქალბატონმა თვითმკვლელობაც კი სცადა, იყო თვითმკვლელობის ერთი კონკრეტული ფაქტიც.**

**— ტრეფიკინგის ფაქტები რა ზიანს მოუტანს აჭარას ტურიზმის კუთხით?**

— სწორი შეკითხვაა. გონიოს მაგალითზე წარმოჩენილმა ფაქტებმა აჭარის ტურისტული მიმზიდველობა, შესაძლებელია, დარტყმის ქვეშ დააყენოს, რაც ეკონომიკურ ზარალში გამოიხატება. ეს ცალსახაა.

**— კიდევ ერთი თემა, რომელსაც თქვენ შეეხეთ, სასჯელაღსრულების სისტემაა. ქართველი უფლებადამცველები გამუდმებით აპროტესტებთ სასჯელაღსულების დაწესებულებებში პატიმრების უფლებების დარღვევის ფაქტებს. ცოტა ხნის წინ, კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა.**

— 2012 წლის მაისის მონაცემებით, ქართულ ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობა ძალიან მაღალია. გარდაცვლილია დაახლოებით 40-მდე პატიმარი, რაც წინა წლებთან შედარებით, შესაბამისი პერიოდის მონაცემით, საგანგაშოა. **სასჯელაღსრულების სისტემა, ფაქტობრივად, არასამთავრობო სექტორისთვის დაკეტილი უწყებაა. თითქმის მიუღწეველია საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.** ყველა ფაქტი, რომელიც წარმოადგენს ციხეებში პატიმართა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს, უნდა გახდეს საჯარო და დაიწყოს სათანადო მოკვლევა.

**— უმძიმესი პირობების მიუხედავად, თანამდებობა არ დატოვა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ, რომლის მიმართაც უფლებადამცველებს საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები აქვთ...**

— საზოგადოება მართლაც ელოდა, რომ განახლებული მთავრობა მინისტრად ახალ კანდიდატურას განიხილავდა, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო სისტემაში არსებული კრიტიკული მდგომარეობით, საერთაშორისო და ადგილობრივი უფლებადაცვითი ორგანიზაციებისა და მისიების მკაცრი შეფასებებითა და ყველა იმ პრობლემის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს ციხეებში სადღეისოდ პატიმართა მდგომარეობას გაუსაძლისს, არასათანადოს, შეუფერებელსა და ადამიანის ღირსების შემლახველს ხდის. მაგრამ **მოქმედი მინისტრის მიმართ გამოჩენილმა ერთგულებამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფოს არ სურს სასჯელაღსრულების სისტემაში გადახედოს საკუთარ მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას და „ნულოვანი ტოლერანტობა“ კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.**

**— თქვენ ხუთი კითხვით მიმართეთ ხათუნა კალმახელიძეს, ერთი კითხვა ეხებოდა პოლიტპატიმრებს, თუმცა ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველოს არ ჰყავს პოლიტპატიმრები. რა ინფორმაციას ფლობთ და რით ადასტურებთ მათ არსებობას?**

— ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) კვლევით, საქართველოს ჰყავს პოლიტიკური პატიმრები. ჩვენი კითხვა უფლებამოსილების ახალ მანდატში მყოფი მინისტრის მიმართ იყო ის, რომ აპირებს თუ არა, გადახედოს პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთა საქმეებს და მიიღოს მათი ვადამდე ადრე გათავისუფლების გადაწყვეტილება.

ამას გარდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების ცნობით, „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე ციხეებში 113 ადვოკატი იხდის სასჯელს. არაერთი ორგანიზაცია და უფლებადამცველი მიუთითებს, რომ ადვოკატების პასუხისგება ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციური დევნის გამო ხდება. **თუ აპირებს მინისტრი, გადახედოს დაკავებული ადვოკატების საქმეებს და მიიღოს მათი ვადამდე ადრე გათავისუფლების გადაწყვეტილება? ემხრობა თუ არა მინისტრი ქვეყანაში ფართომასშტაბიანი ამნისტიის იდეას ან ვადამდე ადრე გათავისუფლების შესახებ ფართომასშტაბიანი გათავისუფლების წინადადებას?**

აგრეთვე, გვაინტერესებს **იქნება მინისტრის ახალი უფლებამოსილების მანდატში ახალი პრიორიტეტები ან არის თუ არა მიმდინარე ცვლილებებში რაიმე სიახლე, რომელიც უკვე რეფორმის სახით გაგრძელდება?**

**— რამდენადაც ვიცი, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ციხეში მომავალი საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალობასაც მოითხოვთ...**

— დიახ, მინისტრისადმი ჩვენს მიმართვაში ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო: **საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, 2012 წლის არჩევნებისთვის მსუბუქი და ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე პირები თუ ისარგებლებენ საარჩევნო ხმის უფლებით? რას აპირებს სამინისტრო, რათა არჩევნები ციხეებში იყოს გამჭვირვალე, წინასაარჩევნო კამპანია იყოს დაშვებული და არასამთავრობო სექტორს მიეცეს შესაძლებლობა, განახორციელოს დაკვირვება და მონიტორინგი?** ჩვენ ეს მიმართვა სამინისტროს 5 ივლისს გავუგზავნეთ და პასუხი საჯარო ინფორმაციისთვის დადგენილ 10-დღიან ვადაში მოვითხოვეთ, მაგრამ უწყება საჯარო ინფორმაციაზე ჯერჯერობით უარს გვეუბნება.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**„პირადად მე არაერთხელ მქონია ამერიკელ სპეციალისტებთან საუბარი და ისინი ზუსტად იმავე აზრის არიან განათლების კუთხით აქ არსებულ მდგომარეობაზე, რა აზრიც ჩვენ გაგვაჩნია. იმის თქმა მინდა, რომ მათ ძალიან კარგად იციან, რა ხდება საქართველოში, მაგრამ ცხადია, ისინი ოფიციალურ დასკვნას ვერ დადებენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავიანთი მთავრობის წინააღმდეგ ვერ წავლენ და მეორეც, ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების ფონზე, როცა საქართველო, ფაქტობრივად, სატელიტია ამერიკის, რა თქმა უნდა, არც ერთი სპეციალისტი ამაზე არ წავა“.**

განათლება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მანანა ნიკოლეიშვილი: მალე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაგვჭირდება

**განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებსა და მის სამომავლო შედეგებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება განათლების ლიგის ხელმძღვანელი მანანა ნიკოლეიშვილი.**

**— ქალბატონო მანანა, რამდენიმე დღის წინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განათლების პროგრამებისთვის საქართველოს 2,7 მილიონი დოლარის გრანტი გამოუყო, რომელიც ქვეყანაში ზოგადი განათლების დონის ზრდას უნდა მოხმარდეს. თქვენი აზრით, რაში იხარჯება რეალურად ეს თანხები? რა მიზანს ემსახურება აღნიშნული დაფინანსება?**

— მსგავსი გრანტები რა მიმართულებით გამოიყოფა ხოლმე და რა მიზნებისთვის იხარჯება, საყოველთაოდ ცნობილია. მაგალითად, ადრე თავისუფლების ინსტიტუტს მიეცა საკმაოდ სოლიდური გრანტი, რომელიც სკოლის დეცენტრალიზაციის პროექტზე უნდა დახარჯულიყო და მოგეხსენებათ, მაშინ მიღებულ იქნა აბსურდული კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომელმაც მთლიანად დაანგრია სკოლის სისტემა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი მართვის მოდელი საერთოდ არ არსებობს მსოფლიოში და **საქართველო, ფაქტობრივად, იყო ერთგვარი საცდელი ლაბორატორია, რომელშიც დღემდე ხდება ანალოგიური პროგრამების გამოცდა. რაც შეეხება, კერძოდ, ამერიკის მთავრობის მიერ გამოყოფილ გრანტებს, პირველივე დღიდან, რაც ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ, სწორედ ეს გრანტები ასაზრდოებდა სააკაშვილის ე. წ. რეფორმებს, ამიტომ ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ბოლოსდაბოლოს უნდა გაიგონ ამერიკელებმა, ფულს რაში ხარჯავენ. ეს ზოგადი განათლების კანონი არის რაღაც აბდაუბდა, დანაშაულებრივი და ანტიმეცნიერული პროექტი, რომელიც პედაგოგიკის ძირითად დებულებებს ეწინააღმდეგება.**

**— კონკრეტულად რა არის ამ კანონში ცუდი და მიუღებელი?**

— ამაზე არაერთხელ მისაუბრია და ბევრჯერ დავაფიქსირე ჩემი პოზიცია. ეს ე. წ. კანონი თავიდან ბოლომდე დანაშაულებრივია. მეტიც, იქიდან ერთი თავიც, მუხლიც კი არ შეიძლება დატოვო, იმდენად აბსურდულია. მიმაჩნია, რომ პასუხი უნდა აგებინონ ამ კანონმდებლობის ავტორებს, როგორც განათლების დამანგრევლებსა და მომსპობებს.

**— ერთის მხრივ, როცა ამერიკის მხრიდან სხვადასხვა პროექტში ამხელა თანხები იხარჯება, რამდენად აკონტროლებენ ისინი ხარჯვის პროცესს? იქნებ არ აქვთ ინფორმაცია, რას ხმარდება ეს გრანტები?**

— პირადად მე არაერთხელ მქონია ამერიკელ სპეციალისტებთან საუბარი და ისინი ზუსტად იმავე აზრის არიან განათლების კუთხით აქ არსებულ მდგომარეობაზე, რა აზრიც ჩვენ გაგვაჩნია. იმის თქმა მინდა, რომ მათ ძალიან კარგად იციან, რა ხდება საქართველოში, მაგრამ ცხადია, ისინი ოფიციალურ დასკვნას ვერ დადებენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავიანთი მთავრობის წინააღმდეგ ვერ წავლენ და მეორეც, ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების ფონზე, როცა საქართველო ფაქტობრივად სატელიტია ამერიკის, რა თქმა უნდა, არც ერთი სპეციალისტი ამაზე არ წავა.

**— ამერიკის საელჩოს პოზიციაზე რა აზრის ხართ? ისინი ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერენ განათლების რეფორმებს და ეს 2,7-მილიონიანი გრანტიც ამის ნათელი დასტურია.**

— ამერიკის საელჩო ამბობს იმას, რასაც ეუბნებიან, მათ არ აინტერესებს, სინამდვილეში რა ხდება. ელემენტარული ამბავია, მათ რომ რეალური სურათის დანახვა უნდოდეთ, პრობლემა არ ექნებოდათ, იმიტომ, რომ ამ მხრივ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შედარებით მეტია.

**ის, რომ განათლების ზოგადი დონე წლიდან წლამდე კატასტროფულად ეცემა, ამაზე უამრავი კონკრეტული ფაქტი მეტყველებს. არაერთი დოკუმენტი და კვლევის შედეგი არსებობს.** ასე რომ, ეს არ არის ისეთი საკითხი, რაზეც შეიძლება, პოლემიკა გამართო, ეს არის რეალობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რომ **ქვეყანაში განათლების დონე პრაქტიკულად ნულია, ეს სისტემა ფაქტობრივად არ არსებობს...**

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— მისაღები გამოცდები ავიღოთ. ამათი შეფასების სისტემის მიხედვით, იღებ ორიანს ყველა საგანში და ხდები სტუდენტი. ეს არის მინიმალური ზღვარი, რომლის გადალახვის შემთხვევაშიც გამოცდა ჩაბარებული გაქვს. ხვდებით, რა დონეზეა საუბარი? ანუ, იმდენად დაბალია სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც ზოგადი განათლების მაჩვენებელი, რომ ქვედა ზღვარი ორ ქულამდეა დაწეული. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ, უფრო მაღალი ბარიერის შემთხვევაში, უბრალოდ, ყველა ჩაიჭრებოდა და შესაბამისად რეფორმა ჩავარდებოდა... აი, ესაა ამ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ე. წ. პროგრამებისა და ამერიკის მიერ დაფინანსებული პროექტების შედეგი.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება ეს პოლიტიკა?**

— მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელისუფლებამ არ იცის და ვერ ხედავს, რა შედეგი მოიტანა ქვეყანაში მისმა ე. წ. რეფორმებმა. ძალიან კარგად იციან ყველაფერი. ასე რომ, რა თქმა უნდა, მიზანმიმართულად ხორციელდება ეს პროგრამებიც და მიზანმიმართულად მოქმედებს განათლების სამინისტროც. ნახეთ, სკოლებში რა ხდება: **წელს ორჯერ უფრო მეტ მოსწავლეს არ მისცეს სატესტატო გამოცდების ჩაბარების უფლება, ვიდრე შარშან.** მაგალითად, მეთვრამეტე სკოლაში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პატარა სკოლაა თბილისში, 21 ბავშვი არ დაუშვეს გამოცდაზე. იგივე მდგომარეობა იყო სხვა სკოლებშიც. ერთი სიტყვით, **ხელისუფლება ებრძვის ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს, რაც არის განათლების მასობრიობა. შესაბამისად, შედეგიც სახეზეა: ნულოვანი ცოდნა გააჩნია დღესდღეობით მოსწავლეებისა და აბიტურიენტების 99%-ს. ამაზე უარესი მაჩვენებლის მქონე ქვეყანა მე დღეს მსოფლიოში არ მეგულება, მითუმეტეს ცივილიზებულ სამყაროში, სადაც სახელმწიფოებს დემოკრატიულ განვითარებაზე აქვთ პრეტენზია.**

**— მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებზე რა აზრის ხართ, რომელიც ახლა ტარდება?**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის აბსოლუტური უკანონობა, რითაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელყოფილია დიპლომის სტატუსი, ანუ, გასაგებ ენაზე თუ ვიტყვით, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ყველას გააუქმა დიპლომი, არა მარტო მოქმედ მასწავლებლებს, ნებისმიერ ქვეყანაში, პროფესორია ეს, აკადემიკოსი თუ სხვა. გარდა ამისა, **ამგვარი გამოცდები არის კორუმპირებული და მოძველებული მეთოდი მსოფლიოში, რომელიც უკვე არც ერთი ცივილიზებული ქვეყნის განათლების სისტემაში არ გამოიყენება**. აქედან გამომდინარე, როცა საუბარია ამ გამოცდების შედეგიანობაზე, ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ფული, რომელიც აღნიშნულ პროგრამას ხმარდება, ფაქტობრივად წყალში იყრება...

**— რამდენიმე დღის წინ, როცა დიმიტრი შაშკინი თავდაცვის მინისტრად დაინიშნა, სააკაშვილმა განაცხადა, რომ განათლების მინისტრის პოსტზე დაკისრებულ მოვალეობას თავი ღირსეულად გაართვაო. თავის მხრივ, შაშკინი მუდმივად ხაზს უსვამდა იმას, რომ პედაგოგებს უფრო მეტი მოტივაცია უნდა მიეცეთ, რათა სწავლების დონე ამაღლდეს. თქვენი აზრით, სასერთიფიკატო გამოცდები საპირისპირო შედეგს მოიტანს?**

— მოდი, ამ შემთხვევაში ფაქტებით ვიმსჯელოთ, ხელისუფლებას თითქოს პრიორიტეტად ჰქონდა მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესება დასახული და მუდმივად ამით მანიპულირებდა, რა გაკეთდა კონკრეტულად, ვინმეს შეუძლია, ამიხსნას?! კომფორტი უნდა შევქმნათო, რომ იძახდნენ, წარმოიდგინეთ, ელემენტარული პროცედურული პირობები ისეა გართულებული, მასწავლებელი რომ გავიდეს ამ უკანონო, დამანგრეველ, ღირსებისშემლახველ გამოცდაზე, რეგისტრაცია არის სამ საფეხურიანი. ამასაც თავი დავანებოთ, **9 ათასი მასწავლებელი საერთოდ არ გაატარეს რეგისტრაციაზე და არც კი აკეთებენ განმარტებებს, რა არის მიზეზი.** კულუარულად გაავრცელეს ინფორმაცია, საბუთები არ ჰქონდათ წესრიგშიო, ეს ხომ აბსურდია?! სინამდვილეში ყველამ ვიცით, რაც ხდება, — **ხელს არ აძლევთ 41 ათასი მასწავლებელი, ვინაიდან ბიუჯეტში ფინანსური კრიზისია და საჭირო იყო შემცირება.** რაც შეეხება გამოცდების შინაარსობრივ მხარეს, ტესტები, რომლებიც მანამდე იყო უხარისხო და ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად გაუგებარი, კიდევ უფრო გაართულეს, უფრო მეტი არაპროგრამული მასალები შეიტანეს მასში და, ფაქტობრივად, შექმნეს ისეთი გარემო, რომ პედაგოგი, რომელიც გადის გამოცდაზე, ფსიქოლოგიურად უკვე დათრგუნულია. აი, ასე უმასპინძლდება ხელისუფლება მასწავლებლებს და ამას გულისხმობენ ესენი კომფორტში.

**— თქვენი აზრით, ის ვითარება, რაც დღეს გვაქვს, რეფორმების მაქსიმალური შედეგია თუ მომავალში უარესს უნდა ველოდეთ?**

— მე არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ ნგრევა ჯერ არ დამთავრებულა, ამიტომაც აგორებს ეს რეჟიმი რეფორმების ახალ-ახალ ტალღებს და ასე გაგრძელდება მომავალშიც, სანამ მთლიანად არ მოსპობენ განათლებას. რა იქნება საბოლოო შედეგი, ამაზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრე და არ მინდა ერთი და იგივე ვიმეორო, მაგრამ რეალურად ამ ყველაფრის მიზანი ნათელია: **ხალხს ნელ-ნელა უნდა წაართვან განათლების უფლება და მოსახლეობა ნახირს დაამსგავსონ. ეს არის საზოგადოებრივი მოწყობის რაღაც ფსევდოლიბერალური, ვითომ ამერიკული მოდელი, რისკენაც სააკაშვილი ისწრაფვის.** ასე რომ, დასაკარგი ჯერ ბევრია და ხალხმა ეს არ უნდა დათმოს, თორემ შედეგი იქნება ბევრად უფრო მძიმე. ადრეც განვაცხადე თქვენი გაზეთის მეშვეობით და ახლაც ვიტყვი, რომ **მალე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დასჭირდება საქართველოს...**



**«ხელისუფლება ებრძვის ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს, რაც არის განათლების მასობრიობა. შესაბამისად, შედეგიც სახეზეა: ნულოვანი ცოდნა გააჩნია დღესდღეობით მოსწავლეებისა და აბიტურიენტების 99%-ს. ამაზე უარესი მაჩვენებლის მქონე ქვეყანა მე დღეს მსოფლიოში არ მეგულება, მითუმეტეს ცივილიზებულ სამყაროში, სადაც სახელმწიფოებს დემოკრატიულ განვითარებაზე აქვთ პრეტენზია»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საქართველო და მსოფლიო
მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




აშშ-ში ექვს მილიონზე მეტი მოსწავლე და სტუდენტი იღებს რიტალინს. აშშ, რომლის მოქალაქეთა რაოდენობა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ ხუთ პროცენტს შეადგენს, ამ პრეპარატის 85 პროცენტს მოიხმარს. და, მიაქციეთ ყურადღება, უგნურება, როგორც ასეთი, ამერიკელების შეგნებაში სულაც არ არის სამარცხვინო, პირიქით — მისი კულტივირება ხდება.



## სენაში 40-კილოგრამიანი პითონი იპოვეს

**პარიზის პოლიციამ მდინარე სენაში 40-კილოგრამიანი პითონის გვამი იპოვა.** პოლიციის ინფორმაციით, სავარაუდოდ, მისმა პატრონმა, რომელიც არ ელოდა, რომ ქვეწარმავალი ასეთ ზომებს მიაღწევდა, პითონი მოკლა და მდინარეში გადააგდო. „ვიდრე ასეთი სახის ცხოველებს შეიძენთ, მასზე უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიიღოთ“, — გაუბრაზდა პარიზის პოლიცია თანაქალაქელებს.



## ბერლუსკონი ბრუნდება

**იტალიის მთავრობის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი 2013 წლის გაზაფხულზე დაგეგმილ არჩევნებზე ქვეყნის პრემიერის თანამდებობისათვის ბრძოლას აპირებს.** ბერლუსკონის ამ განზრახვის შესახებ განცხადება მისი საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ ფაბრიციო ჩიკიტომ გააკეთა. სილვიო ბერლუსკონის იტალიის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა უკვე სამჯერ ეკავა და გასული წლის ნოემბერში იგი გადადგა.

## «წინასწარმეტყველი» ბიოკამერა

**დევისში კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აღმოაჩინეს ბიოკამერა, რომელიც „წინასწარმეტყველებს“, იქნება თუ არა ეფექტური ძვლის კიბოს (ოსტეოსარკომა) მკურნალობა ქიმიოთერაპიის დახმარებით.** სიმსივნის უჯრედები, რომელიც გამოიმუშავებს ცილას, სახელწოდებით P16, უკეთ ექვემდებარება ქიმიოთერაპიის მოქმედებას. ეს ცილა მონაწილეობს უჯრედის სასიცოცხლო ციკლში, აკონტროლებს უჯრედების ზრდას და შეუძლია ჩაახშოს ავთვისებიანი წარმონაქმნის განვითარება.

# შეშლილი, შეშლილი ამერიკა

## ვიქტორ ფრიდმანი: პატიოსანი არჩევნები ამერიკაში ასპროცენტიანი მითია




**ვიქტორ ფრიდმანი არეულ 1991 წელს ოჯახთან ერთად ამერიკაში გადასახლდა: არც პირველი იყო, არც უკანასკნელი, მაგრამ, უამრავი ემიგრანტისგან განსხვავებით, შესანიშნავად მოეწყო: დიდი ხელფასი, კომფორტული ბინა, პრესტიჟული მანქანა. მაგრამ ზუსტად 10 წლის წინათ დაბრუნდა რუსეთში და დარწმუნებულია, რომ ამაზე კარგი საქმე ცხოვრებაში არაფერი გაუკეთებია. კაცია და გუნება!**
**მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ ფრიდმანი უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე სკანდალური წიგნის ავტორია, რომელშიც მისი თვალით დანახული ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაა გადმოცემული.**

**ერთი — ეს და მეორე — ილფის და პეტროვის „ერთსართულიანი ამერიკა“ — თავისი დროის ბესტსელერი:**

**„ნიუ იორკს ეძინა და მილიონობით ელექტრონათურა დარაჯობდა მის ძილს. ეძინათ შოტლანდიელებს, ირლანდიელებს, ჰამბურგიდან და ვენიდან, კოვნოდან და ბელოსტოკიდან, ნეაპოლიდან და მადრიდიდან აყრილ ადამიანებს, ტეხასიდან, დაკოტიდან და არიზონიდან, ლათინური ამერიკიდან, ავსტრალიიდან, აფრიკიდან და ჩინეთიდან ჩამოსულებს. ეძინათ შავ, თეთრ და ყვითელ ადამიანებს. ვუცქერდით ნათურებს, რომლებიც ოდნავ ირხეოდნენ და გვინდოდა, რაც შეიძლება მალე გაგვეგო, როგორ მუშაობენ ეს ადამიანები, როგორ ერთობიან, რაზე ოცნებობენ, რისი იმედი აქვთ, რას ჭამენ“.**

**უნდოდა ეს ვიქტორ ფრიდმანსაც, აკვირდებოდა, ინიშნავდა, წერდა და შედეგად საზოგადოებამ მიიღო ის წიგნი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.**

**ამ წიგნის ავტორთან საუბარს ვთავაზობთ დღეს „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს.**

**საუბარი 4 ივლისს ჩაიწერა, აშშ-ის დამოუკიდებლობის, ერის დაბადების დღეს.**

### ყავა – სამ მილიონად

**— ამერიკაში კარგად მიგიღეს? — შეკითხვა ფრიდმანს.**

— ვერ გეტყვით, რომ — ცუდად, თუმცა, პრაქტიკულად, იმთავითვე უცნაურ რამეს გადავეყარე. ბევრ აბორიგენს გულწრფელად უკვირდა, რომ ტელეფონით სარგებლობა შემეძლო, მობილურით კი არა, ჩვეულებრივით! ვიღაცას არ სჯეროდა, რომ რუსეთში მაღლივ სახლებს აშენებენ. ამერიკელებს თავიანთ მასაში ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მათ გარშემო არსებულ დანარჩენ მსოფლიოზე. საშუალო სკოლის ბევრ კურსდამთავრებულს უშეცდომოდ თავისი საცხოვრისის მისამართის დაწერაც არ შეუძლია, ხოლო ოთხის ორზე გასამრავლებლად კალკულატორი სჭირდება. „ბავშვის ფსიქიკის ტრავმირებისგან დასაცავად“ სასკოლო ამოცანებს ბუკვალურად დებილებისთვის, გონებაჩლუნგებისთვის ადგენენ. **პუბლიცისტმა ჯერემი რივკინმა გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსთან“ ერთად ფუნდამენტური კვლევა ჩაატარა და დაადგინა, რომ, განათლების დონის თვალსაზრისით, აშშ მსოფლიოში 49-ე ადგილზეა.**

**(ჩვენი მკითხველი ამას არ გაიკვირვებს, რადგან თავად არის მომსწრე ამერიკული განათლების სისტემის საქართველოში გადმონერგვის დამანგრეველი შედეგების.**

**გაიხსენეთ ერთ-ერთი ქართული ტელევიზიის სპეციალური რეპორტაჟი, რომლის გმირმა რესპონდენტებმა — სტუდენტებმა იდიოტური პასუხებით ისახელეს თავი.**

**არ იცოდნენ, ვინ იყო პეტრე მელიქიშვილი — უნივერსიტეტის პირველი რექტორი. არადა, ამ უმაღლეს სასწავლებელის სტუდენტები იყვნენ. არაფერი გაეგოთ იოსებ ჯუღაშვილზე. სამაგიეროდ იცოდნენ ვინ იყო ბიჭოლა — ბალიშების მკერავი; კონსტანტინე გამსახურდია კი — საქართველოს პირველი პრეზიდენტი; დარწმუნებით უპასუხებდნენ, რომ შოთა რუსთაველი XII საუკუნეში მეფობდა, თუმცა ერთი მაინც შეყოყმანდა XIX საუკუნეში ან — V-შიო, თქვა. „მტკიცე ცოდნა“ გამოამჟღავნეს ზუსტ მეცნიერებაში — სამკუთხედს 2 კუთხე აქვსო, ისტორიაში — ვიეტნამ-საქართველოს ომში გაიმარჯვა ამერიკამო; რელიგიათმცოდნეობაში — ბუდისტები მუსლიმები არიან, ებრაელების ნახევარი მაჰმადიანია, მეორე ნახევარი — ქრისტიანიო; შესანიშნავად ერკვეოდნენ თანამედროვე მსოფლიოში: „ალ ჯაზირა“ არის ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია, „ალ ქაიდა“ — რელიგია და ა. შ.).**

**— თავიანთი ქვეყნის ისტორია, უეჭველია, კარგად იციან...**

— მაგრამ სწორედ ეს არ სჭირდება მთავრობას. რამდენი „სასარგებლო“ მითი ჩაიფუშება უცებ. მაგალითად, 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შესახებ. ასწავლიან, რომ ეს იყო „კარგი“ ჩრდილოეთის ბრძოლა „ცუდი“ სამხრეთის წინააღმდეგ მონათმფლობელური წყობილების გასაუქმებლად, მაგრამ „კეთილშობილი ჩრდილოელები“ თავდაპირველად არც ფიქრობდნენ მონობის გაუქმებას. ჩრდილოელთა ლიდერი ლინკოლნი იმთავითვე აცხადებდა: „მიმაჩნია, რომ არ მაქვს კანონიერი უფლება, პირდაპირ ან ირიბად ჩავერიო მონათმფლობელური ინსტიტუტების ფუნქციონირებაში იმ შტატებში, სადაც იგი (მონათმფლობელობა) არსებობს“. ეს ომი წმინდა ეკონომიკური კონფლიქტი იყო. მონობა კი ამ ომის შემდეგ მრავალ სამხრეთულ შტატში ათეული წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, კვლავ არსებობდა.

სამოქალაქო ომი კი არა, მეორე მსოფლიო ომიც თავისებურად ესმით. ფაქტობრივად, ყველა მაღალი რანგის ამერიკელი სამხედრო დარწმუნებულია, რომ აუცილებელი არ იყო ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ატომური ბომბების ჩამოგდება, მაგრამ რუზველტმა და ტრუმენმა „მოითხოვეს უსიტყვო კაპიტულაცია“ და იმპერატორის ჩამოგდება. შედეგად დაიღუპა 200 ათასზე მეტი იაპონელი, იმპერატორი კი ქვეყნის სათავეში დარჩა. ვინმემ აღიარა ეს გენოციდი?

**— გონიერი ადამიანები ოდესმე გაიგებენ ჭეშმარიტებას.**

— საქმეც ეგაა. ვის სჭირდება მოაზროვნე ადამიანები? ფსიქიატრიისა და ფსიქოლოგიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა, დოქტორმა პიტერ ბრეგინმა გამაოგნებელი ფაქტები გამოაქვეყნა. სწავლების პროცესის შემსუბუქების მიზნით, მასწავლებლები აიძულებენ მშობლებს, თავიანთ შვილებს მიაღებინონ ისეთი წამლები, რომლებიც ფსიქიკაზე მოქმედებს. ასეთებია, მაგალითად, **რიტალინი** და **დექსედრინი**, რომლებიც მოსწავლეებს დამჯერებსა და დამყოლებს ხდის. ამ პრეპარატების ხანგრძლივად მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი გონებრივი ცვლილებები, მაგრამ ეს არავის აღელვებს, რადგან მიღწეულია მთავარი მიზანი — კონტროლდება ქცევა.

**აშშ-ში ექვს მილიონზე მეტი მოსწავლე და სტუდენტი იღებს რიტალინს, აშშ, რომლის მოქალაქეთა რაოდენობა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ ხუთ პროცენტს შეადგენს, ამ პრეპარატის 85 პროცენტს მოიხმარს.** და, მიაქციეთ ყურადღება, უგნურება, როგორც ასეთი, ამერიკელების შეგნებაში სულაც არ არის სამარცხვინო, პირიქით — მისი კულტივირება ხდება.

**(ამიტომ არც ჰკვირობდნენ და მაინც და მაინც არც აღშფოთდებოდნენ ხოლმე ამერიკელები, როცა თავიანთი პრეზიდენტის — უმცროსი ბუშის ტუტუცურ გამონათქვამებს ისმენდნენ, რაც მისი გაუნათლებლობის დემონსტრირება იყო.**

**ან — უგნურების ხარისხის მაჩვენებელი.**

**ღმერთო, შეგცოდე, და, მგონი, მიხეილ სააკაშვილიც ამერიკელების** ▶

მოკლედ

## აფრიკის 16 პროცენტი შიმშილობს

**დედამიწის მოსახლეობა 7 მილიარდ 57 მილიონ 608 ათასამდე გაიზარდა.** ამის შესახებ მოსახლეობის მსოფლიო ფონდის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ute Stalmaister-მა განაცხადა. მისი თქმით, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის მამოძრავებელი განვითარებადი ქვეყნებია. აფრიკაში ამ ასწლეულში მოსახლეობის რაოდენობა 3,5 მილიარდ ადამიანამდე გაიზრდება. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ აფრიკის მრავალმა სახელმწიფომ შიმშილობასთან ბრძოლაში წარმატებას მიაღწია, განვითარებად ქვეყნებში მოშიმშილეთა რაოდენობა 16 პროცენტზე გაიყინა.



## ყველაზე მაღალი პენსიები

**საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია და პორტუგალია ის ქვეყნებია, სადაც კრიზისის გავლენა ყველაზე მაღალია, რის ფონზეც ამ ქვეყნებში ყველაზე მაღალი პენსიებია.** რეიტინგში, სადაც ყველაზე მაღალი პენსიებია, მოხვდნენ არა მხოლოდ კრიზისში მყოფი ქვეყნები, არამედ ისეთი ქვეყნებიც, რომლებშიც კრიზისის გავლენა მიზერულია. ასეთ ქვეყნებს კი მიეკუთვნებიან AAA საკრედიტო სუვერენული რეიტინგის მქონე ლუქსემბურგი, ფინეთი და ავსტრია.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელებს თავიანთ მასაში ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მათ გარშემო არსებულ დანარჩენ მსოფლიოზე. საშუალო სკოლის ბევრ კურსდამთავრებულს უშეცდომოდ თავისი საცხოვრისის მისამართის დაწერაც არ შეუძლია, ხოლო ოთხის ორზე გასამრავლებლად კალკულატორი სჭირდება. „ბავშვის ფსიქიკის ტრავმირებისგან დასაცავად“ სასკოლო ამოცანებს ბუკვალურად დებილებისთვის, გონებაჩლუნგებისთვის ადგენენ.**




**◀ კვალშია ჩამდგარი, როცა სისულელეს სისულელეზე გვთავაზობს ნაცტელეარხებზე შტატგარეშე თანამშრომელივით მოწადინებული ხშირ-ხშირი გამოსვლების დროს.**

**მეტყველების სასიკვდილო აპარატი-იარაღი პეპეშა — Пистолет-пулемет Шпагина!**

**ან, იქნებ, ჩვენს გასართობად ირჯება ასე?**

**ვერ დავიჩემებ.**

**მაგრამ ინტერვიუ ვიქტორ ფრიდმანთან სწორედ ამ ჭრილში გრძელდება — გვართობს).**

— ჩემს წიგნში, — **ბრძანებს ფრიდმანი,** — დაფიქსირებული მაქვს დედნისეული ამონარიდები მასობრივი მოხმარების საქონლის ამერიკული ინსტრუქციებიდან.

**და დევიზად გვთავაზობს ცხონებული გენერლის — ლებედის ერთ ფრთიან გამონათქვამს: „უგნურებაც ჭკუაა“.**

**Dial**-ის საპნის კოლოფს აწერია: „გამოიყენეთ, როგორც ჩვეულებრივი საპონი“.

წარწერა **Seazs**-ის ფირმის ფენის შეფუთვაზე: „არ გამოიყენოთ ძილის დროს“.

ფირმა **Swann**-ის გაყინული სადილების მომხმარებელს ინსტრუქცია აფრთხილებს: „რჩევა მომზადებისთვის: გაადნეთ...“

გაყინულ **რავიოლებს** ისეთი წარწერა აქვს, როგორიც ჩვენში ერთ დროს ელექტროჯიხურების კარებს ამშვენებდა — „ფრთხილად, სასიკვდილოა!“ ამერიკული ვარიანტი ასეთია: „ფრთხილად, მოხარშვის შემდეგ რავიოლი ცხელი იქნება!“

**Rowenta**-ს ფირმის უთოზე: „ტანსაცმელი ტანზე არ გაიუთაოთ“.

ძილის საწინააღმდეგო პრეპარატ **Nitol**-ის კოლოფზე: „გაფრთხილება: შეიძლება მძინარობა გამოიწვიოს“.

შამპანიურის **„Moet Wite Star**“-ს ბოთლზე: „მოაცილეთ ეტიკეტი, სანამ მიკროტალღოვან ღუმელში მოათავსებთ“.

**Sainsbuzy**-ის მიწის თხილის შეკვრას მიწერილი აქვს: „გაფრთხილება: შეკვრაში თხილია“.

ბავშვის სათამაშო სუპერმენის ტანსაცმელს თან მოსდევს კატეგორიული გაფრთხილება: „ტანსაცმლის ჩაცმა არ ნიშნავს, რომ თქვენ ფრენას შეძლებთ“.

**Energizer**-ის ბატარეების შეკვრას ასეთი რჩევით ყიდიან: „თუ გადაყლაპავთ ბატარეებს, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს!“

ბოთლს, რომელშიც უნიტაზების გასაწმენდი სითხე **Bowl Fresh** ასხია, აწერია: „უსაფრთხოა ბავშვების და ცხოველთა თანდასწრებით გამოსაყენებლად, მაგრამ უნიტაზიდან წყლის დალევა რეკომენდებული არ არის“.

**(ეს ყველაფერი ქართულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“ დიდი ხნის წინათ გამოქვეყნებულ ერთ კარიკატურაზე მინაწერს ჰგავს: კაცი ზოოპარკში ლომის გალიასთან დგას. გისოსებზე ფირნიში ჰკიდია:**

**„ხელის შეყოფა აკრძალულია!“ თვითკმაყოფილი კაცის რეაქცია: „კიდევ კარგი წერა-კითხვა ვიცი!“).**

**სასწაული ინსტრუქციები: 1. სარეცხ მანქანაში ცოცხალი ადამიანების შეტენვა დაუშვებელია; 2. ნემსები პენისში არ უნდა შეირჭოთ; 3. ძაღლების ტაბლეტები მანქანის მართვისას არ უნდა მიიღოთ!**

დიდი ხანია, სისულელე მრისხანე ძალად იქცა. ამერიკაში ბევრს ახსოვს 79 წლის სტელა ლიბეკის სკანდალური ისტორია, რომელსაც „მაკდონალდსის“ რესტორანში ცხელი ყავა ლაჯებშუა ჩაესხა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მას სამ მილიონამდე დოლარი კომპენსაციის სახით მიაკუთვნა... **მრავალი აპელაციის შედეგად ხანდაზმულ ქალბატონს „მხოლოდ“ ნახევარი მილიონი დოლარი დაუტოვეს.**

საინტერესოა, თავში რა ედოთ მოსამართლეებს, რომლებმაც ასეთი გადაწყვეტილებები მიიღეს?!

კიდევ ერთი, ნიშანდობლივი მაგალითი. 2007 წელს მოსამართლემ ვაშინგტონიდან როი პერსონ-უმცროსმა სასამართლოში უჩივლა ქიმწმენდის პატარა საწარმოს მფლობელებს იმის გამო, რომ... ქიმწმენდაში მიტანილი მისი შარვალი დაიკარგა! მოსამართლის შარვალს ფანტასტიკური ფასი დაედო 65 მილიონი დოლარი! საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა. და მიუხედავად იმისა, რომ სარჩელზე უარი თქვა, მოუსვენარი როი დღემდე „ეძებს სამართალს“.

**(არ გაუჩნდა სადარდებელი?! ამ ფასის შარვლებს, საკაშვილი კი არა, ბრუნეის სულთანიც არ ყიდულობს მილანის ფეშენებულ მაღაზიებში).**

## გადაღებილი ეროვნული გმირები

**— ბევრი ამერიკელი დაიზაფრა, როცა ოფიციალურ დოკუმენტებში აიკრძალა ისეთ მცნებათა ჩაწერა, როგორიცაა „დედა“ და „მამა“.**

**ესო, აგვიხსნეს, შეურაცხყოფს სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს (ცნობისთვის: ამ ფაქტის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოში“ რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნდა ნანა დევდარიანის მწვავე პუბლიცისტური წერილი).**

— საქმე დიდი ხანია, ამისკენ მიდიოდა. მოგიყვებით რეალურ ისტორიას. აშშ-ში იყიდება ტანსაცმელი, რომელზეც აღბეჭდილია ორი ხელიხელჩაკიდებული მამაკაცი წარწერით „Gay Pride“ („ჰომოსექსუალური სიამაყე“). ეს ტანსაცმელი პედერასტებს შორისაა გავრცელებული და მათაც ეამაყებათ ასეთი გამორჩეულობის ტარება. მეორე მაგალითი. მინესოტას შტატის ქალაქ ვუდბერის 16 წლის მოსწავლე სკოლაში მივიდა სვიტერით, რომელზეც ხელიხელჩაკიდებული გოგო და ბიჭი ეხატა. სვიტერს წარწერილი ჰქონდა: „Straight Pride“ („ჰეტეროსექსუალური სიამაყე“). ელიოტი ჯერ სკოლის დირექტორის მოადგილე ქალმა გამოიძახა და სერიოზულად გააფრთხილა. მას ენა მიუტანა სექსუალურ უმცირესობათა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელმა: ასეთი წარწერა შეურაცხმყოფსო! ელიოტმა „გაფრთხილებას“ ყური არ ათხოვა. მეორე დღეს იგი უკვე სკოლის დირექტორმა გამოიძახა და კატეგორიულად აუკრძალა ამ სვიტერის ტარება. მშობლების აღშფოთებამაც ვერ შეცვალა სიტუაცია!

**— მართალია, რომ წინადადება „თავი თეთრკანიანად ვიგრძენი“ აშშ-ში ბოროტ დაცინვასავით ჟღერს?**

— ამის თაობაზე ერთ გამაოგნებელ მაგალითს დაგისახელებთ, მაგრამ არა ადგილობრივ, არამედ ეროვნული მასშტაბისას.

11 სექტემბრის მოვლენებმა შეძრა ამერიკელები. ახლა ნუ განვიხილავთ საკითხს, თუ ვინ განახორციელა ეს ტერაქტები: არაბების შესახებ ვერსია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

სავსებით გასაგებია მოქალაქეთა გრძნობები, რომლებმაც მეხანძრე მაშველები ეროვნულ გმირებად შერაცხეს. არსებობს კლასიკური ფოტო ფოტოგრაფ თომას ფრანკლინისა, რომელიც 2001 წლის 12 სექტემბერსაა გადაღებული და რომელზეც სამი ნიუიორკელი მეხანძრეა აღბეჭდილი, რომლებიც აშშ დროშას ცათამბჯენების ნანგრევებზე აღმართავენ. ფოტოკადრი იმდენად სიმბოლურად იქნა აღქმული, რომ გადაწყვიტეს ექვსმეტრიან ბრინჯაოს სკულპტურულ კომპოზიციაში ამ გმირების უკვდავყოფა. მაგრამ უცებ გაჩნდა პრობლემა: გმირების ტრიო — დენ მაკვილიამსი, ჯორჯ ჯონსონი და ბილ აიზენგრეინი თეთრკანიანები აღმოჩნდნენ. არაპოლიტკორექტულიაო, განაცხადა და ჩინოვნიკებმა „ბრწყინვალე“ გადაწყვეტილება იპოვეს: მეხანძრეთაგან ერთ-ერთი შავკანიანად ექციათ, მეორე — მექსიკელად!

ამერიკის არმიაშიც, როგორც სიკვდილის, ისე ეშინიათ ცისფერების უფლების დარღვევისა, რითაც პედერასტები სიამოვნებით სარგებლობენ.

ის ფაქტი, რომ ქალაქის მეხანძრეთა რაზმში 90 პროცენტი თეთრკანიანები მუშაობენ, არავის აღელვებდა. ასეთი საშინელი შეურაცხყოფა სამეულმა ვერ გადაყლაპა და წერილით მიმართა ქალაქის მერს. შედეგად პროექტი „უკეთესი დროების“ დადგომამდე გადადეს. კიდევ კარგი, თორემ ხომ შეიძლება სწყენოდათ ქალებს, სექსუმცირესობებს, აზიელებს, ინვალიდებს, მსუქნებს, დაუნის სინდრომით დაავადებულებს...

**(ჩვენს დაკვირვებულ მკითხველს დიდი დაფიქრება არ დასჭირდება, მიხვდეს, რომ ნაცტელეარხების ეკრანების „ცხელ“ და „უფრო ცხელ“ თოკშოუებში ქალაბიჭების, ჰეტეროსექსუალების, ტრანსსექსუალების და მათთა მსგავსთა „ვარსკვლავური გამობრწყინების“ სიხშირე იმის უტყუარი მაჩვენებელია, თუ საით მივყავართ ცუდად გაგებულ ამერიკანიზაციას და რა მომავალს უქადის იგი ახალ თაობებს.**

**რას იტყვით ამაზე, პარლამენტარო ნაზიბროლა ბიჭებო?).**

**— მითხარით, გეთაყვა, შეიძლება თუ არა, აშშ-ის ოფიციალურ სახელმწიფო წყაროებიდან ობიექტური ინფორმაციის მიღება?**

— არ გაგიკვირდეთ და — კი, შეიძლება. მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს საიტზე, ჩემდა გასაოცრად, აღმოვაჩინე ასეთი „არაპოლიტკორექტული“ სტატისტიკა: იარაღის უკანონოდ ტარებისათვის დაპატიმრებულთა შორის 58 პროცენტი ზანგია; განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულის 64 პროცენტი ზანგების მიერაა ჩადენილი; ყაჩაღურ თავდასხმათა შეფარდება, რომლებიც ზანგებისა და თეთრკანიანების მიერაა ჩადენილი არის 8:1; გაუპატიურებათა შეფარდება — 9:1; მკვლელობების შეფარდება — 14:1; შეიარაღებული თავდასხმების შეფარდება ზანგებისა და თეთრკანიანთა მიერ — 19:1... **მაგრამ წაიკითხეთ აშშ-ის თავისუფალი პრესა და სულ სხვა სურათს ნახავთ. როცა ორმა თეთრკანიანმა მანქანას გამოაბა ზანგი და მანამდე ათრია, სანამ არ მოკვდა, ეს ამბავი მთავარ თემად იყო მოწოდებული ყველა საინფორმაციო გამოშვებაში.**

აი, კიდევ ასეთი ფაქტი, რომელიც კანზასის შტატის ქალაქ უჩიტაში მოხდა. ორი ბანდიტი შეიჭრა სახლში, გაძარცვეს 5 ადამიანი, გააუპატიურეს ქალები, შემდეგ ყველას ზურგში ესროლეს. გადარჩა მხოლოდ ერთი ქალი, რომელიც მძიმედ დაჭრილი ქუჩაში გამოვარდა და საშველად მოუხმო თანაქალაქელებს. **გგონიათ, რომ ამით დაინტერესდა საინფორმაციო სამსახურები ქვეყნის მასშტაბით? არა და არა! რადგან მკვლელები ზანგები იყვნენ — ძმები რეჯინალდ და ჯონათან კარები, გარდაცვლილები — თეთრკანიანები!**

ეს ამბავი ქალაქის საზღვრებს არ გასცილებია.

კარგად გამიგეთ: საუბარი შავკანიანთა წინააღმდეგ კი არ მიმყავს. არავითარ შემთხვევაში! ობიექტურ ინფორმაციას გაწვდით!

**— თქვენ წიგნში მკაცრად აკრიტიკებთ აშშ პოლიტიკურ სისტემას.**

— საყოველთაოდ ხელმისაწვდომ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ცალსახა დასკვნის გაკეთება შეიძლება: **პატიოსანი არჩევნები ამერიკაში ასპროცენტიანი მითია.** მაგრამ ეს თემა ცალკე საუბრის თემაა. შემიძლია ვთქვა მხოლოდ, რომ აშშ-ის გენიალური კონსტიტუციის შემქმნელი მამები შეძრწუნდებოდნენ, როცა დაინახავდნენ, რად იქცა მათი საყვარელი ქვეყანა. საეჭვოა, რომ 4 ივლისს საზეიმო სუფრაზე პრეზიდენტ ობამას გვერდით დამსხდარიყვნენ. **(ჯორჯ ბუშის გვერდით ადგილის მოსაპოვებლად ხომ დიდი გაწევ-გამოწევა ექნებოდათ).**

**EG.RU**

**„საქართველო და მსოფლიოს“ რეპლიკებით**



## 500 პინგვინი მოკვდა

**გავრცელებული ინფორმაციით, ბრაზილიაში, რიუ-გრანდი-დუ-სულის შტატის სანაპიროზე, ოკეანემ 500 მკვდარი პინგვინი გამორიყა.** უცხოური მედიის ცნობით, აღნიშნულ მოვლენას ბიოლოგები შეისწავლიან. პინგვინების მასობრივი განადგურების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.



## 84 წლის ჩინელმა სქესი შეიცვალა

**84 წლის ჩინელმა პენსიონერმა ცან ჯინფანმა სქესი შეიცვალა.** ჯინფანის განცხადებით, რომელმაც ახლა ქალის სახელი ი ლინი დაირქვა, ის თავს ქალად ყოველთვის გრძნობდა, მას შემდეგ კი, რაც შეიტყო, რომ მას სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთება შეუძლია, ფული შეაგროვა და ოპერაცია გაიკეთა. გასულ წელს სქესი 2000 ჩინელმა შეიცვალა, ი ლინი კი მსოფლიოში ყველაზე მოხუცი ტრანსსექსუალი გახდა.



## ინდოელ ქალებს სიყვარულით გათხოვება ეკრძალებათ

**ინდოეთში კიდევ ერთი უცნაური კანონი მიიღეს — ქალებს სიყვარულით გათხოვება ეკრძალებათ, ხოლო ის, ვინც ამ კანონს არ დაემორჩილება, სოფლიდან გააძევებენ.** ინდოეთში კიდევ ბევრი უჩვეული კანონი მოქმედებს. მაგალითად, სუსტი სქესის 40 წელს გადაცილებულ წარმომადგენლებს საჯარო ადგილებში მამაკაცის გარეშე მისვლა ეკრძალებათ.

## რუსეთმა წინააღმდეგობისგან თავი შეიკავა

**რუსულმა დელეგაციამ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე „საქართველოში მდგომარეობის შესახებ“ რეზოლუციის კენჭისყრისას რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა არ მისცა. მან თავი შეიკავა.** რუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა ნიკოლაი კოვალიოვმა რუსეთის დელეგაციის ეს ქმედება იმით ახსნა, რომ „რეზოლუციაში გონივრული რაღაცებიც იყო“. მართალია, კოვალიოვი ასევე აღნიშნავს, რომ ეუთოს სესია მთლიანობაში ტენდენციური, მისი პოზიცია მრავალ შემთხვევაში, უბრალოდ, ანტირუსული და რუსეთის საზიანოდ მიმართული იყო, მან მაინც აღნიშნა, რომ რეზოლუციის წინააღმდეგ ხმის მიცემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას არ არგებდა.

## საკვები არ გაიაფდება

**საკვებზე მაღალი ფასები და წარმოების შემცირება — ასეთია სოფლის მეურნეობის გლობალური ტენდენცია მომავალი ათი წლის განმავლობაში.** ამ საკითხზე კვლევა გაეროს ორმა სააგენტომ ერთობლივად ჩაატარა. არსებული მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წარმოება მომდევნო ოთხი დეკადის მანძილზე 60 პროცენტით უნდა გაიზარდოს, რათა მსოფლიოს მზარდი მოსახლეობა გამოიკვებოს. რომში გამართულ პრესკონფერენციაზე, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ჟოზე გრაზიანო და სილვამ განაცხადა, რომ ამ დარტყმას ყველაზე მეტად ღარიბები იგრძნობენ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენ უნდა შევამციროთ მოსახლეობის რაოდენობა. მთავრობები ამას ან ჩვენი კარნახით შეასრულებენ კარგი და სუფთა მეთოდების საშუალებით, ან მიიღებენ უსიამოვნებებს, რომლებიც მსგავსი იქნება იმისა, რაც სალვადორში ან ირანში, ან ბეირუთში გაგვაჩნია. მოსახლეობა პოლიტიკური პრობლემაა. რახან მოსახლეობა კონტროლს აღარ ექვემდებარება, მას ავტორიტარული მთავრობა სჭირდება, ფაშისტურიც კი, რათა შეამციროს მისი რაოდენობა“.

## ეგვიპტე ირანული ნავთობის ტრანზიტს აგრძელებს

**აკრძალვის მიუხედავად, კაირო ირანული ნავთობის ტრანზიტს აგრძელებს. ეგვიპტის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საკუთარ ტერიტორიაზე ირანული ნავთობის ტრანსპორტირების ბლოკირებას არ აპირებს იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა მასზე ემბარგო დააწესეს.** „ემბარგო მხოლოდ ევროკავშირის სახელმწიფოებს ეხება. ჩვენ კი მასთან კავშირი არ გვაქვს“, – იუწყება ეგვიპტური გაზეთი „ალ-აჰრამი“ ენერგეტიკის სექტორში საკუთარ წყაროზე დაყრდნობით. ირანული ნავთობის ტრანზიტი კომპანია „SUMED“-ის მეშვეობით გრძელდება.



## პოლონეთი კატინის დოკუმენტების გამოთხოვას აპირებს

**პოლონეთი რუსეთისაგან კატინის ტრაგედიასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის გამოთხოვას აპირებს. შესაბამისი განცხადება ქვეყნის სამხედრო ატაშემ პოლკოვნიკმა იაროსლავ ნავროტეკმა გაკეთა.** „ჩვენ ისტორიული სიმართლის ცოდნა გვინდა. ამისათვის კი ყველა ის დოკუმენტი გვჭირდება, რომლებიც კატინის ტრაგედიის მსხვერპლს ეხება. ჩვენ ვითხოვთ, რომ ეს დოკუმენტები წარმოგვიდგინონ“, – განაცხადა იაროსლავ ნავროტეკმა. აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ აღიარა, რომ კატინთან პოლონელი სამხედროების მასობრივი დახვრეტა სამხედრო დანაშაულია. გარდა ამისა, სასამართლოში განაცხადეს, რომ რუსეთის მხარემ დახვრეტილი ჯარისკაცების ნათესავებს დაღუპულებზე საკმარისი ინფორმაცია არ გააცნო.

მიხეილ გორბაჩოვი:

# შეამცირეთ მოსახლეობა 90 პროცენტით და უკვე აღარ იქნება საკმარისი ოდენობის ადამიანები ეკოლოგიური კატასტროფის გამოსაწვევად

**„შავი ფილოსოფია“ კათმოძულეობას ეფუძნება, მანიაკალურ რწმენას იმისა, რომ თითქოს კაცობრიობა ავთვისებიან სიმსივნედ იქცა და ანგრევს ჩვენს პლანეტას. დღეს მსოფლიოში ბევრი ლიდერი მოიძებნება, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ მსოფლიოში მოსახლეობის მკვეთრი ზრდა ისეთ ეპიდემიად ან ვირუსად იქცა, რომ მასთან შესაბამისი ბრძოლაა საჭირო. საქმე შობადობის შეზღუდვას ეხება: გაერო გამოსცემს მემორანდუმებს, უნივერსიტეტებში სასწავლო კურსებს კითხულობენ.**



მიხეილ გორბაჩოვი

ისინი, ვისაც ამ ფილოსოფიის სჯერა, გამუდმებით ლაპარაკობენ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის აუცილებლობაზე, კონტრაცეფციასა და „ოჯახის დაგეგმვის“ სხვა საშუალებებზე... და, ყველაფრის მიუხედავად, მოსახლეობის რაოდენობა დედამიწაზე განუხრელად მატულობს. პრინც ჩარლზს, მაგალითად, მიაჩნია, რომ „მსოფლიო მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება იმ ოდენობით, რომელიც დიდი ბრიტანეთის მოქალაქეთა საერთო რაოდენობას უდრის. თუ ასე გაგრძელდა, 50 წლის შემდეგ ჩვენს პლანეტას, რომელიც დღეს 6,8 მილიარდ ადამიანს ასე თუ ისე აუდის, 9 მილიარდის გამოკვების პრობლემა დაუდგება“.

**მსოფლიო ელიტის ერთი ნაწილის აზრით, მოსახლეობის სიჭარბე „კლიმატის შეცვლის“ მთავარი მიზეზია, რაც ჩვენს გარემომცველ სამყაროს გაანადგურებს და ქვეყნიერებას უზარმაზარ ჯურღმულად აქცევს. ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მათ ამ „შავი ფილოსოფიის“ სჯერათ, უარესი კი ისაა, რომ მათ ხელშია ძალაუფლება, რომლის ამოქმედებით თავიანთი ვერაგული გეგმების შესრულება შეუძლიათ.**

დღეს გთავაზობთ მსოფლიო ელიტის წარმომადგენელთა 22 გამაოგნებელ წინადადებას შობადობის რეგულირების თემაზე, რომელთა წაკითხვამ შეიძლება გულისრევა გამოიწვიოს.

**1. მსოფლიოს მოსახლეობის რეგულირების პოლიტიკის საკითხებზე გაეროს ქვეგანყოფილების რეზიუმედან:**

„რა უნდა ვიღონოთ, რათა დავაჩქაროთ შობადობის შეკვეცა ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნებში?“

**2. ბილ გეიტსი — „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი:**

„მსოფლიოში დღეს 6.8 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად უახლოვდება 9 მილიარდს. თუ დღეს ჩვენ კარგად ვიმუშავებთ ახალ ვაქცინებზე, მედიკო-სანიტარულ დახმარებაზე, რეპროდუქტიული ჯანმრთელობის საკითხებზე, შეიძლება შევამციროთ იგი 10-15 პროცენტამდე“.

**3. ჯონ ჰოლდრენი — პრეზიდენტ ბარაკ ობამას მრჩეველი მეცნიერების საკითხებში“:**

„გაცილებით იოლი იქნებოდა, განგვეხორციელებია ქალების სტერილიზაცია პირველი ან მეორე მშობიარობის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერაცია კაცების სტერილიზაციაზე შედარებით რთულია...“

**4. პოლ ერლიხი — აშშ-ის ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მრჩეველი მეცნიერების საკითხებში:**

„თითოეულ ადამიანს, რომელიც ახლა იბადება, დისპროპორცია შეაქვს გარემოსა და პლანეტის სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემაში“.

**5. რუთ ბეიდერ გინზბურგი — აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე :**

„გულახდილად ვიტყვი, რომ, როცა ვიღებდით გადაწყვეტილებას რაუს საქმეზე, მეგონა, შეშფოთებული ვიყავით მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პრობლემით, კერძოდ, იქ, სადაც ეს ყველაზე ნაკლებად იყო სასურველი“.

**6. გაეროს მოსახლეობის ფონდის „ცვალებად სამყაროსთან პირისპირ: ქალები, მოსახლეობა და** ▶



ზედმეტი ადამიანები



დევიდ როკფელერი

## მადონას ფრანგი ნაციონალისტები უჩივიან

**საფრანგეთში მადონას მიერ გამართულ კონცერტებს სკანდალი მოჰყვა. ფრანგი ნაციონალისტები აღაშფოთა მომღერლის მიერ მათი ლიდერის — მარინ ლე პენის გამოსახულების გამოყენებამ.** აღნიშნულ ფაქტზე სპეციალური განცხადება პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ისინი მადონას უჩივლებენ. „ჩვენ ასეთ შედარებას ვერ მივიღებთ. ახლა არამხოლოდ ჩვენი, არამედ ჩვენი ყველა მომხრის ინტერესი უნდა დავიცვათ“, — განაცხადა პარტიის წარმომადგენელმა. მადონამ სიმღერის „nobadi nous mi“ ვიდეოფონად ლე პენის გამოსახულება გამოიყენა, შუბლზე კი მას სვასტიკა ჰქონდა.



## რუსეთსა და ყაზახეთს ერთობლივი სარაკეტო სისტემა ექნებათ

**ყაზახეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურის — ნურჟან მუკანოვის განცხადებით, რუსეთი და ყაზახეთი მომდევნო წლიდან ერთობლივი ანტისაჰაერო სარაკეტო სისტემის მშნებლობას აპირებენ.** საკითხი უკვე შეთანხმებულია. ამჟამად მხარეები დოკუმენტებს ხელმოსაწერად ამზადებენ. მისივე თქმით, ამ პროექტში, შესაძლოა, მონაწილეობა სომხეთმაც მიიღოს. მხარეები პროექტში რუსული საზენიტო-სარაკეტო სისტემის — C-300-ის გამოყენებას აპირებენ.

**„წლეულს აშშ-მა განაახლა რეპროდუქტიული ჯანდაცვის დაფინანსება გაეროს მოსახლეობის ფონდის მეშვეობით, მოსალოდნელია კაპიტალდაბანდების გაზრდა. ამასწინათ აშშ კონგრესმა 648 მილიონ დოლარზე მეტი გამოჰყო მთელ მსოფლიოში ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამებისთვის. უნდა დავუმატო, რომ ეს არის ფულადი სახსრების ყველაზე დიდი გამოყოფა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დემოკრატი პრეზიდენტი გვყავდა“.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ბილ გეიტსი


ტედ ტერნერი

◀ კლიმატი“ მოხსენებიდან:

„სინამდვილეში არც ერთი ადამიანი ნახშირბადისადმი ნეიტრალური არ არის, განსაკუთრებით, როცა ყველა სათბურის გაზი გაწონასწორებულია“.

**7. დევიდ როკფელერი:**

„მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ნეგატიური გავლენა ყველა ჩვენს პლანეტარულ სისტემაზე საშინელი რეალობაა“.

**8. ჟაკ კუსტო:**

„მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციისთვის, ყოველდღიურად 350 ათასი ადამიანი უნდა გავანადგუროთ“.

**9. ტედ ტერნერი — საინფორმაციო სააგენტო „სი-ენ-ენ“-ის დამფუძნებელი:**

„მთელი მოსახლეობის 250-300 მილიონით შემცირება იდეალური იქნებოდა“.

**10. დევიდ ფორმანი — ორგანიზაცია „დედამიწა, უწინარეს ყოვლისა“ თანადამფუძნებელი:**

„ჩემს მთავარ სამ ამოცანად წარმომიდგენია: მთელ მსოფლიოში ადამიანების პოპულაციის 100 მილიონამდე შემცირება; სამრეწველო ინფრასტრუქტურის განადგურება და უდაბნოს დაბრუნება მისი პირველყოფილი მრავალსახეობით“.

**11. პრინცი ფილიპი — ედინბურგის ჰერცოგი:**

„რომ შემეძლოს, **დედამიწას მკვლელი ვირუსის სახით დავუბრუნდებოდი,** რათა შემემცირებია კაცობრიობის პოპულაცია“.

**12. დევიდ ბრაუერი — ბუნების დაცვითი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „კლუბ „სიერას“ პირველი აღმასრულებელი დირექტორი:**

„შობადობა საზოგადოებრიობის საწინააღმდეგოდ ჩადენილ დანაშაულად უნდა ითვლებოდეს, თუ მშობლებს მთავრობის ლიცენზია არ აქვთ. ყველა პოტენციური მშობელი ვალდებული უნდა იყოს, გამოიყენოს კონტრაცეფტული ქიმიური პრეპარატები, ხოლო მთავრობა შხამსაწინააღმდეგო პრეპარატებს მისცემს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ბავშვის გასაჩენად ამოარჩევს“.

**13. მარგარეტ სენჯერი — ოჯახის დაგეგმვის ამერიკის ფედერაციის დამაარსებელი:**

„გულმოწყალების უმაღლესი გამოვლენა, რომელიც ოჯახმა თავისი ერთ-ერთი შვილის მიმართ შეიძლება გამოიჩინოს, მისი მოკვდინებაა“.

**14. იგივე მარგარეტ სენჯერი:**

„შობადობის რეგულირებამ შედეგად უფრო სუფთა რასამდე უნდა მიგვიყვანოს“.

**15. პიტერ სინგერი — პრინსტონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ლექტორი:**

„მაშ, რატომ არ უნდა გავხდეთ პლანეტის უკანასკნელი თაობა? ყველა რომ დავთანხმდეთ ჩვენს სტერილიზაციაზე, მაშინ არავითარი მსხვერპლშეწირვა აღარ დაგვჭირდება — პირდაპირ ვიზეიმებდით ჩვენს გაქრობს!“

**16. თომას ფერგიუსონი — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი ჩინოვნიკი მოსახლეობის საქმეთა საკითხებში:**

„არსებობს მთელი ჩვენი მუშაობის მხოლოდ ერთი თემა — ჩვენ უნდა შევამციროთ მოსახლეობის რაოდენობა. მთავრობები ამას ან ჩვენი კარნახით შეასრულებენ კარგი და სუფთა მეთოდების საშუალებით, ან მიიღებენ უსიამოვნებებს, რომლებიც მსგავსი იქნება იმისა, რაც სალვადორში ან ირანში, ან ბეირუთში გაგვაჩნია. **მოსახლეობა პოლიტიკური პრობლემაა.** რახან მოსახლეობა კონტროლს აღარ ექვემდებარება, **მას ავტორიტარული მთავრობა სჭირდება, ფაშისტურიც კი, რათა შეამციროს მისი რაოდენობა“.**

**17. მიხეილ გორბაჩოვი — სსრკ პირველი პრეზიდენტი:**

„ჩვენ უფრო ღიად უნდა ვისაუბროთ სექსუალურ ცხოვრებაზე, კონტრაცეფციებზე, აბორტებზე, შობადობის რეგულირების მნიშვნელობაზე, იმიტომ, რომ ეკოლოგიური კრიზისი, მოკლედ რომ ვთქვათ, დემოგრაფიული კრიზისია. შეამცირეთ მოსახლეობა 90 პროცენტით და უკვე აღარ იქნება საკმარისი ოდენობის ადამიანები ეკოლოგიური კატასტროფის გამოსაწვევად“.

**18. ჯონ გვილებოდი — ლონდონის კოლეჯის პროფესორი:**

„პლანეტარულ მასშტაბში იმის ეფექტი, რომ ოჯახში ერთი შვილით ნაკლები იქნება, გაცილებით მეტია, ვიდრე ყველა სხვა ღონისძიებიდან მიღებული შედეგი. კიდევ ერთი შვილი მთელ პლანეტაზე ავიაგადაფრენების დიდი რაოდენობის ეკვივალენტურია“.

**19. ერიკ პიანკა — ტეხასის უნივერსიტეტის ბიოლოგიის მასწავლებელი:**

„ამ პლანეტას შეეძლო შეენახა ნახევარი მილიარდი ადამიანი, რომლებიც გარკვეულ კომფორტში იცხოვრებდნენ და არავითარ ზიანს არ მიაყენებდნენ ბუნებას. ადამიანების რაოდენობა ძალიან უნდა შემცირდეს და რაც შეიძლება მალე, რათა შემცირდეს გარემოსთვის ზიანის მიყენების მოცულობა“.

**20. ჰილარი კლინტონი — აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**

„წლეულს აშშ-მა განაახლა რეპროდუქტიული ჯანდაცვის დაფინანსება გაეროს მოსახლეობის ფონდის მეშვეობით, მოსალოდნელია კაპიტალდაბანდების გაზრდა. ამასწინათ აშშ-ის კონგრესმა 648 მილიონ დოლარზე მეტი გამოყო მთელ მსოფლიოში ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამებისთვის. უნდა დავუმატო, რომ ეს არის ფულადი სახსრების ყველაზე დიდი გამოყოფა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დემოკრატი პრეზიდენტი გვყავდა“.

**21. ნინა ფიოდოროვა — ჰილარი კლინტონის მრჩეველი:**

„ჩვენ უნდა განვაგრძოთ მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის ტემპის შემცირება; პლანეტა ველარ შეძლებს ადამიანების რჩენას“.

**22. პირველი „10 ახალი მცნებიდან“:**

„დაე, დედამიწის მოსახლეობა არასოდეს აღემატოს 500 000 000 და მუდმივად იყოს ბუნებასთან გაწონასწორებული“.

News.bcm.ru

# წინ — ამოწყვეტისკენ!

აი ასეთია „შავი ფილოსოფია“, რომელიც მსოფლიო ელიტას ადარდებს: ფიქრობენ, შფოთავენ, წინადადებებს გვთავაზობენ.

ზოგჯერ აშკარად არაადამიანურს, როგორც **ჟაკ კუსტო: „მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციისთვის ყოველდღიურად 350 ათასი ადამიანი უნდა გავანადგუროთ“.**

ან ოცნებობს, როგორც **ედინბურგის ჰერცოგი, პრინცი ფილიპი: „რომ შემეძლოს, დედამიწას მკვლელი ვირუსის სახით დავუბრუნდებოდი, რათა შემემცირებია კაცობრიობის პოპულაცია“.**

ინკარნაცია ინატრო და — ასეთი?!

ან იმ დედას რა ვუთხარი, ვინაც ყურს ათხოვებს ოჯახის დაგეგმვის ამერიკის ფედერაციის დამაარსებელ ქალბატონ **მარგარეტ სენჯერს: „გულმოწყალების უმაღლესი გამოვლენა, რომელიც ოჯახმა თავისი ერთ-ერთი შვილის მიმართ შეიძლება გამოიჩინოს, მისი მოკვდინებაა“.**

ამ დედაკაცს ან ყველა თავისი შვილი დახოცილი ჰყავს, ან მედეას სინდრომით არის დაავადებული.

**შფოთავენ, გვთავაზობენ ადამიანების საჯოჯოხეთოდ გამწესებას ახალი ლიუციფერები, რომელთა რიცხვი ლეგიონია.**

**მიშა სააკაშვილი კი ამათ საქმეს აკეთებს, ერთ ქვაბში ყრის, აადუღებს, გადახარშავს და ახალი და ახალი რეფორმების ტელეულუფებით უმასპინძლდება თავის ხალხს:**

**„ხუთვარსკვლავიანი საავადმყოფოებით“, რომლებშიც მკურნალობა ხალხისთვის მიუწვდომელია;**

**ასლარიანი პენსიებით, რომლებიც კვირის ბოლომდეც ვერ გყოფნის;**

**ეკოსისტემის ველური ექსპლუატაციით;**

**უმუშევრობით, დემოგრაფიული კრიზისით, სოფლის ამოძირკვით, არნახული სიძვირით, ეკონომიკური არმაგედონით.**

შედეგად კი ვიღებთ ადამიანის განვითარების უმთავრესი მაჩვენებლის — სიცოცხლის ხანგრძლივობის კატასტროფულ ვარდნას. პროფესორმა დავით იაკობიძემ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში (№26) შემაშფოთებელი ციფრები დაასახელა: სიცოცხლის შესაძლო ხანგრძლივობა სულ ათიოდ წლის წინათ საქართველოში 71,5 წელიწადი იყო — ვუსწრებდით თუნდაც ჩვენს მეზობელ სომხეთს, სადაც ეს მაჩვენებელი — 68,5 წელიწადს არ სცილდებოდა. 2011 წლის მონაცემებით, სომხეთმა გაგვისწრო: იქ 69,5-ია, ჩვენთან — 69,2.

**ასე თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ და მიზანმიმართულად ხორციელდება საქართველოში „ოქროს მილიარდის“ პლანეტარული პრინციპი, დედამიწის მოსახლეობის ერთ მილიარდამდე დაყვანის ამოცანა, ოღონდ არა „მსოფლიო მთავრობის“ მიერ, არა მისი ძალისხმევით, არამედ ჩვენი მშობლიური ხელისუფლების კაცმოყვარული რეფორმების წყალობით.**

თუ ასე გაგრძელდა და ამ ხელისუფლების თვალებში შემყურე თუ დავრჩით, სულ მალე დამთავრდება საქართველო, ამოვწყდებით და ჩვენს წონად წვლილს შევიტანთ დედამიწაზე ადამიანების პოპულაციის გადარჩენის საერთოსაკაცობრიო საქმეში.

**არმაზ სანებლიძე**



# ესპანეთში ხარების რბოლის დროს 37 ადამიანი დაშავდა

**ესპანეთში ფესტივალ სან-ფერმინის დროს 37 ადამიანი დაშავდა, მათგან 4-მა დაზიანება ხარის რქების დარტყმით მიიღო.** ხარებთან ბოლო რბოლა ორ-ნახევარ წუთს გაგრძელდა. რბოლის შემდეგ ექიმებმა დახმარება 59 ადამიანს აღმოუჩინეს, მათგან ოთხს საავადმყოფოში გადაყვანა დასჭირდა. ბოლო რბოლაში მონაწილეობა ფერმა ტორეანდილია-ტორებრეროსის ხარებმა მიიღეს, ისინი სან-ფერმინში პირველად მონაწილეობდნენ. ხარები საკმაოდ აგრესიულად იქცეოდნენ, ერთ-ერთი მათგანი წინ გაიჭრა და მთლიანი დისტანცია (845 მეტრი) 2 წუთზე ნაკლებ დროში დაფარა.



# ჰილარი კლინტონი ისრაელში ჩავიდა

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ეგვიპტეში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ ისრაელში ჩავიდა.** ჰილარი კლინტონმა ისრაელის ხელისუფლებას ეგვიპტის პრეზიდენტის მიერ ორ ქვეყანას შორის არსებული შეთანხმების შესრულების პირობა გადასცა, რადგან ისრაელში გარკვეული შიში არსებობს ეგვიპტის ხელისუფლებაში ისლამისტების მოსვლის გამო. ამავე დროს გაიმართა მოლაპარაკებები ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ, რომელიც ასევე წარმოადგენს ისრაელის შეშფოთების მიზეზს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ისრაელის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებისას ასევე შეეხება ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი დარეგულირების პროცესის განახლების საკითხს.

# «კოსტა კონკორდიას» ტრაგედიის მიზეზი

**იტალიაში სამგზავრო ლაინერის — „კოსტა კონკორდიას“ კაპიტნის — ფრანჩესკო სკეტინოს სასამართლო პროცესი გაიმართება. 2012 წლის 14 იანვარს საზღვაო ლაინერის კატასტროფამ 32 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ძიება ნახევარი წლის მანძილზე მიმდინარეობდა.** სიტუაციაში გარკვევას ისიც ართულებდა, რომ შავი ყუთები ავარიის მომენტში არ მუშაობდა. მხოლოდ ახლა გაირკვა, რომ ერთ-ერთ მათგანს მაინც ჩაუწერია იმ ტრაგიკული წუთების ამსახველი ისტორია. ჩანაწერმა კაპიტნის სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტები გამოამზეურა. როგორც აღმოჩნდა, კაპიტანმა განზრახ მიმართა ლაინერი სანაპიროს გასწვრივ, რათა რაც შეიძლება ახლოდან მისალმებოდა ხმელეთზე მყოფ მეგობარს — გადამდგარ კაპიტან მარიო პალომბოს. ისიც ცნობილი გახდა, რომ კაპიტანმა ნახევრადჩაძირული გემი მგზავრებზე ადრე დატოვა. კაპიტნისთვის მიუტევებელი ამ საქციელის გამართლებასაც ფრანჩესკო სკეტინო შემთხვევას უკავშირებს — არეულობის დროს ვილაცამ ხელი მკრა, სამაშველო ნავში ჩავვარდი და უკან ველარ ამოვძვერიო.



ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თუ ამ ბიზნესით ადრე სარგებელს იღებდა სამი მხარე: მიკროავტობუსის მეპატრონე, სამარშრუტო ხაზის მეპატრონე და მძღოლი, დღეს უკვე მთლიანად სარგებლობს სატრანსპორტო კომპანია. მძღოლებს რჩებათ მიზერული შემოსავალი იმ დიდი ხარჯების დაფარვის შემდეგ, რომელთა დაფარვაც უწევთ. ამაში შედის საწვავისა და ავტომობილის განვადების ხარჯებიც.

# შარანგიებს ყვითელი სამარშრუტო ტაქსების ბიზნესს ახევენ?!

**USAID-ის ორგანიზებით გამართულ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სემინარზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (ყოფილი კონტროლის პალატის) უფროსმა ლევან ბეჟაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი უწყება, შესაძლოა, ყვითელი სამარშრუტო ტაქსების ტენდერით დაინტერესდეს.**

ჟურნალისტებმა ლევან ბეჟაშვილს ლოგიკური კითხვა დაუსვეს: **მაღალი საზოგადოებრივი ინტერსიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქამდე რატომ არ დაინტერესდა ყვითელი სამრშრუტო ტაქსების ტენდერში გამარჯვებული კომპანიების საქმიანობით, რომლებიც საჯარო რეესტრში ერთ დღეს, ხუთწუთიანი ინტერვალის დაშორებით დარეგისტრირდნენ, ახლა კი ერთ კომპანიად არიან გაერთიანებულნი?**

ბეჟაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2010 წლიდან თვითმმართველ ორგანოებს აღარ ამოწმებს, თუმცა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, შესაძლოა, ამ საქმით მომავალში დაინტერესდეს.

კითხვაზე — **როდესაც კომპანიების ხელოვნურად შექმნის ფაქტი დასტურდება, მაშინ სახელმწიფო აუდიტის სამსახური რა რეაგირებას ახდენს?** — გენერალურმა აუდიტორმა განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში მათი უწყების მიერ მოძიებული მასალები პროკურატურას ეგზავნება.

შეგახსენებთ, რომ **სამარშრუტო ტაქსების ტენდერი 2010 წლის ბოლოს გამოცხადდა. ტენდერში გამარჯვებულად მერიამ ოთხი კომპანია — შპს „თბილლაინი", შპს „კაპიტალგრუპი", შპს „თბილქარი" და შპს „ფაბლიქქარი" დაასახელა. ტენდერის დასრულებისთანავე ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა წარადგინეს დოკუმენტაცია, რომლის თანახმად, აღნიშნული კომპანიები ტენდერამდე ცოტა ხნით ადრე ერთ ნოტარიუსთან, ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე მისამართზე ხუთწუთიანი ინტერვალით დარეგისტრირდნენ. ამასთან, ოთხივეს წესდება ინდეტური იყო. მათი საწყისი კაპიტალი კი 100 ლარს წარმოადგენდა.**

აღნიშნული მასალების საფუძველზე, **ოპოზიციამ თბილისის მერიის მაღალჩინოსნები მათთან დაახლოებული პირების მიერ კომპანიების ხელოვნურად შექმნასა და ტენდერის გაყალბებაში დაადანაშაულა.**

მოგვიანებით ტენდერში გამარჯვებული კომპანიები ერთ კომპანიად გაერთიანდნენ. ტენდერის პირობების თანხმად, მათ 2011 წლის ბოლომდე დედაქალაქის მასშტაბით ყველა ხაზზე კომფორტული ყვითელი მიკროავტობუსები უნდა შემოეყვანათ. მაგრამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები დაარღვიეს, რადგან მიკროავტობუსების შემოსაყვანად შესაბამისი კაპიტალი არ გააჩნდათ. აღსანიშნავია, რომ ყვითელი მიკროავტუბუსების გამოჩენისთანავე სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ფასი 50 თეთრიდან 80 თეთრამდე გაიზარდა.

**„საქართველო და მსოფლიო" გთავაზობთ რამდენიმე პოლიტიკოსის და ექსპერტის კომენტარს:**

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი:**

— გახსოვთ, ალბათ, შარშან, როდესაც ეს ტენდერი




ტარდებოდა, „თავისუფალი საქართველო" აქტიურად ვაპროტესტებდით და ვამბობდით, რომ ეს იყო კორუფციული ტენდერი, თუმცა მაშინ ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ ეს იყო ქალაქის სატრანსპორტო სისტემის გადარჩენის ერთადერთი შანსი. როცა ვამბობდი, რომ კორუფციული იყო, ციფრებსაც ვასახელებდი. ამ ბიზნესში ყოველთვიურად დაახლოებით 40 მილიონი ბრუნავს და ძალიან მსუყე ლუკმაა. ამიტომ, **როგორც თავის დროზე შარანგიებისთვის კონტრაქტების მინიჭება იყო მნიშვნელოვანი კორუფციული გადაწყვეტილება, ახლაც, როცა ართმევენ, იმავე კორუფციასთან გვაქვს საქმე.** ხელშეკრულება რომ არ სრულდებოდა, შარშან მაისში გამოიკვეთა, იმიტომაც ვერ შეძლეს ყვითელი მარშრუტკების შემოყვანა, მაგრამ მაშინ დედაქალაქის მერიასა და პროკურატურას ამაზე რეაგირება არ მოუხდენია. ახლა, როგორც ჩანს, მიიღეს გადაწყვეტილება შიდაკლანური მოტივებიდან გამომდინარე და კონტრაქტი სხვას უნდა მისცენ. ვითომ პროკურატურა აღმოაჩენს ახლა დარღვევებს?! ხელშეკრულების მოქმედების ყველა დედლაინი შარშან, მაისსა და ოქტომბერში, დამთავრდა და ამიტომ წელს, ივლისში, ამ გადაწყვეტილების მიღებას აბსოლუტურად არანაირი ლოგიკა არ გააჩნია.

**ჯაბა სამუშია, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, „ქრისტიან-დემოკრატი":**

— ტენდერის ირგვლივ ბევრი რამაა ბუნდოვანი და ეს გამოსაძიებელი რომ იყო, დიდი ხნის წინ დავიწყეთ ამაზე საუბარი. ყოველთვის ვამბობდი, რომ ხელისუფლება აუცილებლად უნდა დაინტერესებულიყო ამ ტენდერით. თბილისში არ ვიმყოფებოდი და ზუსტად არ ვიცი ლევან ბეჟაშვილის ინიციატივის შესახებ, თუმცა, თუ თქვა, რომ გამოსაძიებელია, ამას მხოლოდ მივესალმები. აუცილებელია, ეს საკითხი ძირფესვიანად გამოიძიონ. როგორც იქნა, გამოეხმაურნენ „ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივას და ეს საზოგადოებას მხოლოდ წაადგება.

აპრილში გამართულ პრეზენტაციაზე **„თბილისის მიკროავტობუსის" ხელმძღვანელობამ იცრუა, როდესაც თქვა, რომ ტენდერის პირობები უკვე შესრულებულიაო. საქმე გვაქვს ლობირებასთან, ტენდერის დროს სხვებს წააგებინეს ამ მონოპოლისტის გამო და ეს ერთი მონოპოლისტი არღვევს კანონს უკვე წელიწადნახევარია.**

**ზაზა გაბუნია, თბილისის საკრებულოს წევრი:**

— ზოგადად, მერიის სატენდერო პოლიტიკა ბევრ ეჭვს, კითხვის ნიშანს აჩენს. ჩატარებულ ტენდერებს შორის სამარშრუტო ტაქსების საკითხი კი ერთ-ერთია მათ შორის, რომლის ირგვლივ ბუნდოვანებაა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დაინტერესება ამ საკითხით, ცხადია, დადებითი პრეცენდენტი იქნება არა მხოლოდ ამ საქმის გამოძიებისთვის, არამედ შემდგომში ტენდერების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის წინაპირობისთვისაც. დიდი ხანია, ამ საკითხის გამოძიებას აქტიურად ვითხოვდით, თუმცა უშედეგოდ. არ ვიცი, რატომ დაინტერესდა აუდიტის სამსახური მაინცდამაინც ახლა ამ საკითხით, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა კიდეც.

**ნოდარ ჭიჭინაძე, ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი:**

— ძნელი სათქმელია, რატომ გადაწყვიტეს მაინცდამაინც ახლა ამ საკითხის შესწავლა, რადგან ამის ობიექტური მიზეზი არ არსებობს. **თუ რამე დარღვევა იყო, იყო ტენდერის ჩატარებამდე და ჩატარების შემდეგაც. ასე რომ, დაგვიანებით ამ ტენდერით დაინტერესება, ჩემი აზრით, ალოგიკურია. ლოგიკური საფუძველი გაცილებით ადრე დაფიქსირდა და გაცილებით ადრე უნდა მოჰყოლოდა რეაგირება.** თუმცა თუ რაიმე გამოსწორდება, რა თქმა უნდა, მივესალმები. ვგულისხმობ სამართლიანობის აღდგენას სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებით. ტენდერი თავიდანაა ჩასატარებელი, სამართლიან გარემოში, და მასში თანაბარი უფლებებით უნდა მიიღონ მონაწილეობა ყველამ, ვისაც ამის სურვილი აქვს და შესაძლებლობა. **თავიდანვე ეს ტენდერი ძალიან ბევრი ხელოვნური ბარიერით იყო შეზღუდული. თუნდაც ის, რომ მასში მონაწილეობის მსურველს საბანკო ანგარიშზე, თუ არ ვცდები, 5 მილიონი ლარი უნდა ჰქონოდა საგარანტიო თანხად.** გარდა ამისა, მოგეხსენებათ, რომ ტენდერში გაიმარჯვა ოთხმა კომპანიამ, რომლებიც ერთსა და იმავე მისამართზე დარეგისტრირდნენ რამდენიმეწუთიანი შუალედით. სერიოზული ეჭვი გაჩნდა, რომ ეს იყო, ფაქტობრივად, ერთი კომპანია სხვადასხვა სახელებით. გარდა ამისა, **დაირღვა სამარშრუტო ხაზებისა და სამარშრუტო ტაქსების მეპატრონეთა უფლებებიც. ისინი, ფაქტობრივად, შემოსავლების გარეშე დარჩნენ.** თუ ამ ბიზნესით ადრე სარგებელს იღებდა სამი მხარე: მიკროავტობუსის მეპატრონე, სამარშრუტო ხაზის მეპატრონე და მძღოლი, დღეს უკვე მთლიანად სარგებლობს სატრანსპორტო კომპანია. მძღოლებს რჩებათ მიზერული შემოსავალი იმ დიდი ხარჯების დაფარვის შემდეგ, რომელთა დაფარვაც უწევთ. ამაში შედის საწვავისა და ავტომობილის განვადების ხარჯებიც. მოგეხსენებათ, რომ განვადებით ჰყავთ ეს მანქანები და რაღაც პერიოდის შემდეგ მათ საკუთრებაში გადავა. დღე და ღამე მუშაობენ მძღოლები. 14-საათიანი სამუშაო გრაფიკი აქვთ და მათი ანაზღაურება დღიურად 20-30 ლარს შეადგენს.

მოამზადა
**ლილი მიროტაძემ**

## «ოცნების» მაჟორიტარები

**კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მაჟორიტარობის კიდევ 12 კანდიდატი წარადგინა.**

კოალიციის სახელით პარლამენტის მაჟორიტარული კანდიდატები ბათუმში — **მურმან დუმბაძე,** ქედაში — იურისტი **დავით ანანიძე,** ქობულეთში — ქიბარ ხალვაშის და — პედაგოგი **ფატი ხალვაში,** შუახევში — მწერალი **შოთა ზოიძე,** ხულოში — **გია საგინაძე,** ხელვაჩაურში — აგრონომი **როსტომ ხალვაში,** გურჯაანში — მსახიობ გივი ბერიკაშვილის ქალიშვილი **მანანა ბერიკაშვილი,** თელავში — ეკონომისტი **გელა სამხარაული,** აბაშაში — **ირაკლი საბულუა,** სენაკში — მწერალი **გურამ ოდიშარია,** ფოთში — იურისტი და უფლებადამცველი **ეკა ბესელია,** ლენტეხში — ბიზნესმენი **გია გაზდელიანი.**

თბილისსა და სხვა რეგიონებში მაჟორიტარობის კანდიდატებს ბიძინა ივანიშვილი უახლოეს მომავალში დაასახელებს.

## საარჩევნოდ რეპრესიებს ელოდებიან

**შინაგან საქმეთა მინისტრის ცვლილებას საკადრო გადაადგილებები გურიაშიც მოჰყვა. სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ბაჩო ახალაიამ გამინისტრების მესამე დღეს შეცვალა, რასაც რამდენიმე დღეში მუნიციპალიტეტების პოლიციის უფროსების ცვლილება მოჰყვა. ჩოხატაურში პოლიციის უფროსად ტატო ვასაძე დანიშნეს, რომელიც მანამდე სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გურიის განყოფილების ხელმძღვანელი იყო. თუმცა, მერაბიშვილის გადადგომამდე სამი დღით ადრე, დააქვეითეს და ჩოხატაურის პოლიციის უფროსის მოადგილედ დანიშნეს რწმუნებულების ხაზით.**

ვასაძის პოლიციის უფროსად დანიშვნამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ **ახალაია ხელმძღვანელ თანამდებობაზე ცემასა და ხალხის დატერორებაში დახელოვნებულ ადამიანებს ნიშნავს.**

ტატო ვასაძე ის კადრია, რომელიც ჟურნალისტს ფიზიკურად მხოლოდ იმიტომ გაუსწორდა, რომ იგი პოლი-



ციის შენობაში შესვლას, პოლიციის უფროსთან შეუთანხმებლად (მაშინ პოლიციის უფროსი, ტატო ვასაძის მამა, გულთმისან ვასაძე გახლდათ) **აპირებდა.** იყო შემთხვევა, როცა ვასაძე სასურველი ჩვენების მიღებას იარაღის მუქარითაც ცდილობდა და უფრო მეტიც, ჩოხატაურში, რესტორან „ბახმაროსთან" ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, იარაღის ტრიალით ცდილობდა ხალხის დაშინებას.

ტატო ვასაძეს საარჩევნო გამოცდილებაც აქვს — გასულ არჩევნებზე, თანამოაზრეებთან ერთად, ე.წ. „ძველ ბიჭებთან" კარდაკარ დადიოდა და ხელისუფლების მხარდაჭერას აიძულებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ციხით ემუქრებოდა.

„გურია ნიუსის" ინფორმაციით, ჩოხატაურელების ნაწილი, პოლიციის ახალი უფროსის წარსულის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ ადვილი სავარაუდოა, მალე საარჩევნო რეპრესიები დაიწყოს.

„არგადამხდელებისადმი სასტიკი პოლიციური ზომების გამოყენება“ კი არ არის „ქვეყნის რეფორმირებისათვის გადადგმული თამამი ნაბიჯები“, რისთვისაც მიშამ „საერთაშორისო საზოგადოების ხმამაღალი ქება დაიმსახურა“, არამედ...
რა „არამედ“, არ ვიცი, რადგან „საარამედო“ არაფერი გაუკეთებია აღზევებულ არარაობას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ჰქვია.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მასხარის ჩაჩი და დაცურებული სახურავები

**თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ყოფილი კორტების ადგილზე მშენებარე იუსტიციის გრანდიოზულ სახლთან თუ ჩაივლით და დააკვირდებით, დამეთანხმებით, რომ სახლი კი არა, სახურავდაცურებულთა უზარმაზარი ძეგლი შენდება, ყველასი თუ არა, სამისა მაინც: დამკვეთის, ავტორისა და მშენებლის, რომელიც ხარაჩოების ჩამონგრევის საშიშროებისგან გარანტირებული სულაც არ არის.**



სპეციალურად წავედი სანახავად მას შემდეგ, რაც „ჰერალდ ტრიბუნში“ ჰეილი სვითლენდ ედვარდსის წერილი წავიკითხე: **„იუსტიციის სახლი — მარგალიტი საქართველოს გვირგვინში“.**

წავედი, ვნახე და დავრწმუნდი, რომ მართალს წერს „ჰერალდის“ კორესპონდენტი ჰეილი — სწორედ ასეთი უნდა იყოს **„მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას საქართველოს დრამატული და ასიმეტრიული განვითარების იდეალური სიმბოლო...“**

**სახურავდაცურებულთა სიმბოლო.**

ამერიკაში ასე არ არის, ამერიკისთვის „მრავალფუნქციური ადმინისტრაციული სამსახურების“ ერთი „სუპერმარკეტის“ ერთ სახურავქვეშ თავმოყრა პრიორიტეტულ მიმართულებად არ ითვლება.

მით უფრო, როცა სახურავი დაცურებულია. საქართველოში კი უკვე ექვს ასეთ კვარაკუნჩხას შეხვდებით, „მიმობნეულს მინდორ-ველად“. ერთსაც ჭაობში აშენებენ — არარსებულ ქალაქ ლაზიკაში.

სახურავის დაცურება ამას ჰქვია: მოსახლეობა — ნული, იუსტიციის სახლი — ერთი. ერთით ნული სააკაშვილის სასარგებლოდ!

სწორედ მისი და მისთვის, თორემ უცხოელი კოლეგისა არ იყოს, მეც იმ განწყობაზე ვარ, რომლითაც მან **„რუსთავში, მტვრიან სამრეწველო ქალაქში, რომელიც დედაქალაქთან ახლოს მდებარეობს, იუსტიციის ახალ შენობაში შეიარა“:**

**„...იმისთვის არ მივსულვარ, რომ ან პასპორტი განმეახლებია, ან ქონება დამერეგისტრირებია, ან ახალი კომპანიის დაარსება გამეფორმებია. მე არ მჭირდებოდა არც ერთი იმ 250 სახეობის მომსახურებიდან, რომელიც ამ ერთ ჭერქვეშაა შესაძლებელი“.**

ჭერქვეშ, რომლის სახურავი დაცურებულია.

არც მე მჭირდება, არც თქვენ, რადგან არც ქონება გვაქვს, რომ დავარეგისტრიროთ, არც ახალი კომპანიის დაარსების გაფორმებას ვაპირებთ, რადგან, ამის საშუალება რომ გქონდეს, ან დავით კეზერაშვილის ნათესავი უნდა იყო, ან მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკი, ან, სულ ცოტა, „მიშა! მიშას!“ გამორჩეული მომკივანი.

მე და თქვენ ამ კასტაში არ შევდივართ, მაგრამ მაინც და მაინც **ჩვენი ფულით აშენებს ნაც-კასტის გურუ და ბელადი სახურავდაცურებულ შენობებს.**

თავისთვის და თავის გამოსაჩენად იმ უცხოელ დამკვირვებელთა წინაშე, როგორც „ჰერალდ ტრიბუნის“ პუბლიკაციაშია ნათქვამი, რომელთაც ამ სახლების დანახვაზე **„კმაყოფილების ჟრჟოლა უვლით“, „სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გაუჩერებლად ლაპარაკობს ასეთ შენობებზე და ერთ-ერთ მათგანს ზღვისპირა ბათუმში „შთამბეჭდავსა“ და „აღსანიშნავს“ უწოდებს, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საქართველოს „საჯარო მომსახურების გაუმჯობესებისთვის“ ჯილდოს გადასცემს“.**

დაიკიდონ ეს „მენდალი“ — ჩვენ რაში გვადგია!

ხვდება ამას ჰეილი ედვარდსი და ქირქილებს: **რატომ ხდებაო,** კითხულობს, **რომ რეფორმატორ მთავრობას, რომელმაც „იუსტიციის სახლების ისეთი ფლოტი ააშენა, რომელშიც თანამშრომლების უნიფორმა და ავეჯი ერთ ფერშია გადაწყვეტილი, ამავე დროს ისეთი სასამართლო სისტემა აქვს, რომელსაც ბრალდებულთა 98 პროცენტისთვის გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს?“**

იმიტომ ხდება, კოლეგა, ძმაო თუ დაო, თუ ამათ შორის საშუალოვ, რომ **სააკაშვილის რეფორმები ყალბია და მოჩვენებითი, ისეთივე ტყუილია, როგორიც ახლახან ჩვენთვის შემოთავაზებული ათასლარიანი წინასაარჩევნო ვაუჩერი, რომელიც, ფაქტობრივად, მხოლოდ ოცი ლარია თითო ოჯახზე!**

ასე იმიტომ ხდება, კოლეგა, რომ ბიომეტრიული პასპორტები კი არ სჭირდება ხალხს, არც ქუჩაში დადგმული საგადასახადო აპარატები ამაღლებს მოქალაქეთა ცხოვრების დონეს, არამედ უსაზღვროდ გაზრდილი გადასახადების შემცირება, მათ შორის, კურიოზული — ელექტროდენზე მიბმული ნაგვის გადასახადის. **„არგადამხდელებისადმი სასტიკი პოლიციური ზომების გამოყენება“** კი არ არის **„ქვეყნის რეფორმირებისათვის გადადგმული თამამი ნაბიჯები“,** რისთვისაც მიშამ **„საერთაშორისო საზოგადოების ხმამაღალი ქება დაიმსახურა“,** არამედ...

რა „არამედ“, არ ვიცი, რადგან „საარამედო“ არაფერი გაუკეთებია აღზევებულ არარაობას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ჰქვია.

თუმცა ეს „ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტს უჩემოდაც შეუმჩნევია და ასეთი ბეჭედი დაუსვამს თავისი რეპორტაჟისთვის „რეფორმირებული“ საქართველოდან:

**„საქართველოს იუსტიციის სახლები მარგალიტია მის გვირგვინში, მაგრამ მარტოდენ კაშკაშა მინის შენობებით, კრიალა მომწვანო-მოყვითალო მოსაცდელებითა და სენსორული კომპიუტერებით დემოკრატიას ვერ დაამყარებ“.**

მით უფრო, თუ მარგალიტი ყალბია, გვირგვინი ჩაჩია, რომელიც მასხარას ძარღვგაწყვეტილ შუბლზე ჩამოუფხატია.

და, საერთოდ, შორს დაიჭირეთ თავი, მოერიდეთ ამ სახლებს, აკი გითხარით, სახურავი დაცურებულია.

**ბენჟამენ იგარკა**

# პრეზიდენტის განცხადების მიუხედავად, ქობულეთის სასტუმროები ფასების შემცირებას არ აპირებენ

**ქობულეთში სეზონის პიკზე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რის გამოც კურორტზე პოტენციური დამსვენებლის 5 პროცენტიც არ ჩასულა.**

როგორც commersant-ს „საოჯახო სასტუმროს“ მეპატრონემ თამაზ გოგიბერიძემ განუცხადა, **ქობულეთი მოუგვარებელი პრობლემების გამო არაპრესტიჟული კურორტი ხდება.** ის იმ პრობლემებს ასახელებს, რომლებიც კურორტის განვითარებას ხელს უშლის, მათ შორისაა: განადგურებული სანაპირო ზოლი, გაწმენდითი ნაგებობისა და მწვანე ზოლის არარსებობა და პრივატიზების გამო გამხმარი ხეები.

**„სამჯერადი კვებით სასტუმროს ნომერი 12 ლარად გავაქირავე. სხვა რა ვუწოდო ამას, თუ არა ქველმოქმედება? ქობულეთში დამსვენებლის 5%-ც კი არაა ჩამოსული. რომელი ადამიანია ჩავა იქ, სადაც, დასასვენებელი ადგილის ნაცვლად, გადათხრილი ტერიტორიები და ტრაქტორის ხმაური დახვდება? ტურისტს დასვენება უნდა და არა ტრაქტორის ხმა სეზონის პიკზე“,** — აცხადებს გოგიბერიძე.

მისივე თქმით, **არასწორი პრივატიზაციის გამო ხეების 80% გაიჩეხა და ქობულეთში ჩასულ დამსვენებელს ელემენტარულ დასვენების პირობებს არ უქმნიან.** როგორც გოგიბერიძე commersant-თან საუბარში განმარტავს, ის უკვე წლებია, ადგილობრივ მთავრობას „დასვენების ნიშნების“ დადგმას და ტერიტორიის კეთილმოწყობას თხოვს. გოგიბერიძის თქმით, **ის, რომ ქობულეთი ტურისტულად კვლავ მიმზიდველი ადგილია, არა ხელისუფლების, არამედ ბუნების დამსახურებაა.** ის ფაქტი, რომ ქობულეთში უკვე 50 წელია, გამწმენდი ნაგებობა არ არსებობს, ჩოლოქიდან შავი ზღვის დაბინძურებას იწვევს, თუმცა გოგიბერიძის განმარტებით,



ქობულეთს გაუმართლა, ვინაიდან ზღვის მიქცევა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა და აქ დაბინძურებული წყალი არ ხვდება, თუმცა ურეკში ამ მხრივ მძიმე სიტუაციაა.

**ქობულეთში არსებულ პრობლემებს პრეზიდენტიც აღიარებს: „როცა ბათუმის მშენებლობა დაიწყო, ვერ მოვასწარით ქობულეთისთვისაც დროულად „ხელის შევლება“, ამის გამო ის ქვემოთ და ქვემოთ წამოვიდა...“**

მიხეილ სააკაშვილის თქმით, მიმდინარეობს მუშაობა, რომ სასტუმროებში დასვენება გაიაფდეს. თუმცა, როგორც კურორტის სანაპირო ზოლის სასტუმროებში commersant-თან საუბარში აცხადებენ, ფასების შემცირებას წელს არ გეგმავენ. როგორც სასტუმრო „სიმპათიაში“ ამბობენ, ფასები მათთან 50 ლარიდან იწყება, თუმცა დამსვენებლის სიმცირის გამო სასტუმრო სრული დატვირთვით მუშაობას ვერ ახერხებს. მიუხედავად ამისა, სასტუმროში ფასის შემცირებას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ ფასი წინა წლის ანალოგიურია.

# თეფშები ამომრჩევლის მოსყიდვაა, სადაზღვევო პოლისები — არა!

**დღეიდან ნაციონალური ხელისუფლება სადაზღვევო პოლისების დარიგებას იწყებს. მათ გამოყენებას მფლობელები სწორედ არჩევნების წინ – 1 სექტემბრიდან შეძლებენ. სახელმწიფო აუდიტის (ყოფილი კონტროლის პალატის) პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური ამას, ცხადია, ამომრჩევლის მოსყიდვად არ მიიჩნევს, რადგან პოლისებს ჯანდაცვის სამინისტრო არიგებს და არა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. თუმცა, თუ რომელიმე სამინისტროში ან უწყებაში „ნაცმოს“ წევრების გარდა ვინმეს ნახავთ, მაშინ ამგვარ ლოგიკას შეიძლება დაეთანხმოთ კიდეც.**

გავრცელებული ინფორმაციით, პენსიონერებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომლებიც პენსიას „ლიბერთი ბანკში” იღებენ, პოლისი პენსიასთან ერთად გადაეცემათ.

ბავშვებსა და სტუდენტებს კი პოლისები საქართველოს ფოსტის მეშვეობით რეგისტრაციის მისამართზე გადაეგზავნებათ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე რეგისტრირებული მოქალაქეები დაზღვევის პოლისებს სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ რაიონულ სერვის-ცენტრებში მიიღებენ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოქალაქეებს შეუძლიათ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე დარეკონ — 15 05. ჯანდაცვის მინისტრი, „მედიანიუსის“ ინფორმაციით, დღეს პოლისების გაცემის პროცესს ფოთში დააკვირდება. სერვის-ცენტრში მივა, „ლიბერთი ბანკთან“ დადგება თუ კონკრეტულ ოჯახში მიაკითხავს ამომრჩეველს, ჯერჯერობით უცნობია. ამას ნაციონალური ტელეარხები საღამოს, „პრაიმ-ტაიმში“ გვამცნობენ.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახელმწიფოს, როგორც იმ სამართავი სისტემის გაფეტიშება, რომელიც მიისწრაფვის, დაალაგოს და აკონტროლოს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო თვით უმნიშვნელო დეტალების ჩათვლით, ისევე შორსაა რეალობისაგან, როგორც ნეოლიბერალური პოსტულატე იმის შესახებ, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკური და სოციალური დაგეგმარებისა თუ განვითარების პროცესებში.**

# ფასები ფასეულობების ნაცვლად

## ფინანსური ოლიგარქიის კორპორატიული სტანდარტები მსოფლიოს მრავალფეროვნებას ანადგურებს

**ფინანსური ოლიგარქიის კორპორატიული სტანდარტები მსოფლიოს მრავალფეროვნებას ანადგურებს და მას კრიზისიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევს. იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონფლიქტურობის ზრდის პირობებში გაჩნდა მთელი რიგი ასპექტებისა, რომლებიც შეშფოთებას იწვევს მსოფლიოს თანამედროვე ცივილიზაციური მოწყობის მდგრადობასთან დაკავშირებით. პირველ რიგში ეს არის პრაქტიკულად ყველგან გამძაფრებული უსამართლობის გრძნობა, რომელიც თან ახლავს მსოფლიო განვითარების დისპროპორციულობის ზრდას და არანაირად არ უწყობს ხელს პოზიტიურ გლობალურ ტრანსფორმაციებს. ამასთან, მიმდინარე მსოფლიოსისტემური ტრანსფორმაციები სულაც არ არის შემთხვევითი მოვლენა. ისინი მიანიშნებენ, რომ აუცილებელია სერიოზული ცვლილებები სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების საფუძვლებში როგორც ცივილიზაციისა და სახელმწიფოების, ისევე პიროვნებათა დონეზე. ეს ყველაფერი კვლევითი პროექტებით დასტურდება.**



**ამ კლასობრივი ფენის მართვის ობიექტები ხდებიან არა მხოლოდ ჩვეული სოციალური ჯგუფები და საზოგადოებები, არამედ მთელი სახელმწიფოები და რეგიონები სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ცივილიზაციური თავისებურებების სრული უგულებელყოფით**

### გლობალური ფინანსური ოლიგარქია

კრიზისმა კვლავ მწვავედ დააყენა საკითხი სახელმწიფოთა და საზოგადოებათა ურთიერთქმედებების შესახებ, სახელმწიფო მმართველობის ხარისხისა და საზღვრების შესახებ, სამართლიანობისა და მომავლის წინასწარმეტყველების შესახებ.

ნეოლიბერალური მიდგომის მომხრეები აცხადებენ, რომ თანამედროვე განვითარებული სახელმწიფო შეზღუდული უნდა იყოს იმ ფუნქციების კრებულთან შედარებით, რომელიც ტრადიციულად ახასიათებდა ნებისმიერ ისტორიულ სახელმწიფოს, რამდენადაც, მათი აზრით, განვითარებული დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების პირობებში სამოქალაქო საზოგადოება თავისი მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი კავშირებითა და თვითრეგულირების ორგანიზაციებით სახელმწიფოს მხრიდან არქაულ მეურვეობას არ საჭიროებს.

ძლიერი სახელმწიფო ძალაუფლების მომხრეები კი ათასწლოვან მმართველობით გამოცდილებაზე მიანიშნებენ და აბსოლუტურად სამართლიანად ირწმუნებიან, რომ სახელმწიფო მმართველობის ფუნქციონალის მკვეთრი შემჭიდროება განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობის პირობებში განაპირობებს სოციალური და ეკონომიკური დისბალანსების ზრდას და შესაძლოა, არასტაბილურობის ყველაზე უკიდურესი გამოვლინებების საბაბიც კი გახდეს.

**სახელმწიფოს, როგორც იმ სამართავი სისტემის გაფეტიშება, რომელიც მიისწრაფვის, დაალაგოს და აკონტროლოს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო თვით უმნიშვნელო დეტალების ჩათვლით, ისევე შორსაა რეალობისაგან, როგორც ნეოლიბერალური პოსტულატე იმის შესახებ, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკური და სოციალური დაგეგმარებისა თუ განვითარების პროცესებში.**

უფრო მეტიც, წესრიგის დაცვა, როგორც სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ორგანული ფუნქცია საზოგადოებრივი მართვის განუყოფელი ნაწილია და არამც თუ არ ქრება ახალ პირობებში, არამედ ხანდახან პრეროგატივაც კი ხდება, ძირითადად კი ის მომწიფებადი „გლობალური სახელმწიფოს“ იარაღია.

ეს „სახელმწიფო“ თავს უფლებას აძლევს, ცერემონიებით არ შეიწუხოს თავი არც ჩარევის ან ჩაურევლობის საკითხთან მიმართებაში, არც უსარგებლოდ ქცეული ნაციონალური სახელმწიფოების ან სახელმწიფოთა ნაციონალური ინსტიტუტების განადგურების უფლების მითვისებაში.

**მიდგომებში სხვაობა ისაა, რომ თანამედროვე ლიბერალიზმის აპოლოგეტები ათწლეულების მანძილზე შეგნებულად ნერგავდნენ საზოგადოებრივი მასების ცნობიერებაში ცალსახად შეზღუდული მოხმარების სტანდარტებს, რადგანაც იცავდნენ სრულად გაფორმებული სოციალური ფენომენის ინტერესებს. ეს ფენომენი ტრადიციული სოციოლოგიის ტერმინებში შეიძლება განისაზღვროს, როგორც „კორპორატიული ტრანსნაციონალური ფინანსური ოლიგარქია“, რომელიც დღეს განსაზღვრავს მსოფლიო საზოგადოების მდგომარეობასაც და მისი მართვის მეთოდებსაც.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთის მხრივ, ახლა მიმდინარე ტრანსფორმაციები, რომლებიც მძლავრი საპროტესტო მოძრაობების სახით ვლინდება და მოიცავს ცალკეულ რეგიონებსა თუ ქვეყნების ჯგუფებს, არის რეაქცია იმაზე, რასაც პოლიტიკოსები დიდ პოლიტიკასა და დიდ ბიზნესს შორის შეთქმულებას უწოდებენ ხოლმე.

**სწორედ ამან განაპირობა იმ განსაკუთრებული სისტემის შექმნა, რომელიც ახორციელებს შემოსავლების პრივატიზებას, დანაკარგების ნაციონალიზაციას და რისკებს მთლიანად საზოგადოებას აკისრებს. სისტემა კი, თავის მხრივ, მხოლოდ ამწვავებს მანამდეც უკვე არსებულ შემოსავალთა არათანაბარ გადანაწილებას და ქონებრივ უთანასწორობას, ზრდის სიღატაკეს განვითარებად ქვეყნებში.**

მეორე მხრივ, და ამას ადასტურებს უკანასკნელი წლების მსოფლიომეურნეობითი პრაქტიკა, **ამ კლასობრივი ფენის** (ტრანსნაციონალური ფინანსური ოლიგარქიის კორპორაცია) **მართვის ობიექტები ხდებიან არა მხოლოდ ჩვეული სოციალური ჯგუფები და საზოგადოებები, არამედ მთელი სახელმწიფოები და რეგიონები სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ცივილიზაციური თავისებურებების სრული უგულებელყოფით.**

ამ ფენას აქვს ერთი სუსტი წერტილი — ფინანსები და მათი სახელმწიფოებრივი კუთვნილება. არავის შეუძლია გახდეს ფინანსური სისტემის მესაკუთრე გარდა სახელმწიფოსი, რომლის განმასხვავებელი ნიშნებიცაა გამოსახული ნებისმიერ მონეტასა თუ ბანკნოტზე.

თუმცა არსებობს ერთადერთი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ფულის ემისიასთან დაიშვება კერძო კომპანია — ფედერალური სარეზერვო სისტემა.

### ფინანსური ოლიგარქიის გლობალური კორპორაცია

**ფინანსური ოლიგარქიის გლობალური კორპორაციის დახასიათებისას, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ მის საკუთრებას წარმოადგენს ინტერნაციონალურ-გლობალისტური ხასიათი. როდესაც ზოგიერთი მკვლევარი ან პოლიტიკოსი ცდილობს, აშშ-ის ადმინისტრაციას დააკისროს სრული პასუხისმგებლობა 2008 წელს განვითარებული თანამედროვე მსოფლიო წყობის კრიზისის გამო (კრიზისი დაიწყო როგორც ფინანსური, შემდეგ გადაიზარდა ფინანსურ-ეკონომიკურში და ახლა მას მრავალი ექსპერტი აღიარებს, როგორც სისტემურს), ისინი ცდებიან.**

ამ შემთხვევაში გადამეტებულია აშშ-ის სახელმწიფო სისტემის პასუხისმგებლობა. სწორედ ასევე არაკორექტულია მცდელობები, გლობალიზატორებს მიეწეროთ საერთოსაკაცობრიო მოთხოვნილება მსოფლიოს ათვისების, ახალ გეოგრაფიულ და სოციალურ სივრცეში საკუთარი კულტურის გავრცელების კუთხით. მაგრამ ამგვარი მოთხოვნილება მუდამ დგას მიღწევათა ინტეგრაციისა და საერთო-საპლანეტო სიკეთისათვის ღირებულებების ზოგადსაკაცობრიო აუხდენელი ოცნების უკან.

მიუხედავად ამისა, **XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ფინანსურმა საზოგადოებამ საკუთარ ხელში მოუყარა თავი მსოფლიო სიმდიდრის, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური კაპიტალის კრიტიკულზე მეტ მასას. სწორედ მისი კონკრეტული გეგმებითა და მხოლოდ მისი ინტერესებით ხორციელდება რეალური ეკონომიკის გლობალური მიგრაცია, რომელიც განაპირობებს დიდი დეპრესიის დროიდან მოყოლებულ ყველაზე გლობალურ გაღატაკებას დასავლეთის ქვეყნების საშუალო ფენაში, სოციალური დაძაბულობის ზრდას და მრავალრიცხოვან ეთნიკურ კონფლიქტს.**

სწორედ ამ ფინანსურმა საქმოსნებმა მოახდინეს ჭეშმარიტების მონოპოლიზება თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში, რათა განემტკიცებიათ ნეოლიბერალური კონცეპტების ურყეობა.

მრავალტომიანი შრომის „მომავლის შესაძლო სცენარები“ მკვლევარი, ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის ხელმძღვანელი, ახლახან ლონდონის ეკონომიკის სკოლის რექტორად არჩეული კრეიგ კალხუნი წერს:

„როგორ შეძლეს ნეოკლასიკურმა და სხვა ეკონომიკურმა სკოლებმა ასე დიდხანს იმ მოდელებზე, რომელთა საფუძველშიც დევს რეპრეზენტატიულობა და მოთამაშეთა რაციონალობა, სწორი გრაფიკები და ხანგრძლივი უპრობლემო ზრდა? ნუთუ მართლა სჯეროდათ ამ უოლ-სტრიტელ მაკლერებსა და მენეჯერებს იმ ყველაფრის რისკების შემცირების ახალი ინსტრუმენტების შესახებ? თუ სინამდვილეში მშვენივრად იცოდნენ მოახლოებული კრახის შესახებ, მაგრამ სჯეროდათ, რომ საკუთარი ზემოქნილობის წყალობით სხვებზე წარმატებულად გამოცურავდნენ ფონს?

ბუშტის გაბერვის პერიოდის ერთ-ერთი შტრიხი უდავოდ იყო საინვესტიციო ბანკებში საუკეთესო უნივერსიტეტების ნიჭიერი სტუდენტების მასიური დაქირავება და მათი ჩართვა მთელი ღამის მანძილზე პოკერის თამაშში, სიამოვნებად ქცეულ რისკში, რისკ-მენეჯმენტისა და დარეგულირებისადმი სიძულვილსა და უსასრულო სასიამოვნო თავდაჯერებაში, რომ ისინი საკმარისად ჭკვიანნი არიან არა მხოლოდ იმ- ▶

**XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ფინანსურმა საზოგადოებამ საკუთარ ხელში მოუყარა თავი მსოფლიო სიმდიდრის, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური კაპიტალის კრიტიკულზე მეტ მასას. სწორედ მისი კონკრეტული გეგმებითა და მხოლოდ მისი ინტერესებით ხორციელდება რეალური ეკონომიკის გლობალური მიგრაცია, რომელიც განაპირობებს დიდი დეპრესიის დროიდან მოყოლებულ ყველაზე გლობალურ გაღატაკებას დასავლეთის ქვეყნების საშუალო ფენაში, სოციალური დაძაბულობის ზრდას და მრავალრიცხოვან ეთნიკურ კონფლიქტს**

საზოგადოების ფენებს შორის ეკონომიკური დამოკიდებულება მხოლოდ ადრეული კოლონიზაციის პერიოდს თუ შეედრება, როდესაც განვითარებადი ქვეყნების ღირებულებები დასავლური სამყაროს შუშის მძივებზე იცვლებოდა. თუმცა, რამდენადაც არ უნდა იტანჯებოდეს მდიდარი ქვეყნების საშუალო ფენა, გლობალიზაციის მიერ შექმნილი უთანასწორობის მთელი ტვირთი მაინც კაცობრიობის ულატაკეს ფენას აწევება.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ისთვის, რომ დამსახურებულად მიიღონ აბსურდულად დიდი ხელფასები მინიმალურად პროდუქტიული საქმიანობისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ დროულად გავიდნენ ფინანსური პირამიდიდან“.

**გლობალურმა ფინანსურმა კორპორაციამ პრაქტიკულად სრულად მიითვისა საინფორმაციო-სამართავი სისტემები (ტრადიციული მასმედია, ინტერნეტი, სპეციალური და საზოგადოებრივი ქსელები), რომელთაც უკანასკნელ პერიოდში უკვე აღიქვამენ როგორც არამავნე ინფორმაციის მატარებლებს თვით ინტერნეტის სამშობლო აშშ-შიც კი.**

„მეხუთე ხელისუფლების“ ერთდროს გულწრფელი და კეთილსინდისიერი ქცევის პრინციპები დღეს ემსახურება იმის ნათელ მაგალითსა და შეხსენებას, რაც დაემართება ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის უკლებლივ ყველა სხვა სფეროს, როდესაც ისინი შეფასდებიან მხოლოდ კლიენტის ახირებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ამ კვაზიკლასმა მოახერხა ფინანსური კაპიტალის ვირტუალური დინებების არხების უზურპირება, ზუსტად ისევე, როგორც ოდესღაც იმპერიულმა ბრიტანეთმა მიითვისა მსოფლიო სავაჭრო გზების კონტროლი. ჯადოსნური კვერთხის ერთი დაქნევით ფინანსური ოპერაციები შეიძლება შეჩერდეს ან განხორციელდეს ელვისებური სისწრაფით „ცარიელი დამატებითი ღირებულების“ შესაქმნელად.

**ახლა უკვე შეიძლება საუბარი „ბედის განმკარგველთა“ შედარებით მომცრო (არამც და არამც მილიარდის) გაერთიანების დიქტატურის დამყარების შესახებ. ამ დიქტატურისათვის ოდესღაც ხალხის ბედის განმსაზღვრელი ბირთვული ღილაკი ჩაანაცვლა მსოფლიო სინანსური ნაკადების რეგულირების ელექტრონული სისტემის კოდმა.**

დღეს გლობალური ფინანსური ლობი, რომელმაც აბსოლუტურად ყველანაირი პასუხისმგებლობა მოიხსნა, წარუმატებლებად შერაცხავს მთელ სახელმწიფოებს არა იმდენად ეკონომიკური პოტენციალებისა და მაჩვენებლების რეიტინგების მიხედვით, რამდენადაც მორიგ ფინანსურ სქემასთან ფორმალური სტატისტიკის შესაბამისობით.

**კლასობრივი ფინანსური შრეები XIX-XX საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ, საკუთარ კონტროლქვეშ მოექციათ (ფარულად ან ცხადად) განვითარებული და მრავალი განვითარებადი ქვეყნის სახელმწიფო სისტემები. მათ შორის არ იყვნენ ისინი, ვინც ალტერნატიული სოციალისტური სისტემა აირჩიეს: საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, სოციალური ბანაკის ქვეყნები, ასევე აღმოსავლეთის ტრადიციული რეჟიმების მთელი რიგი ქვეყნები.**

სწორედ ამ საერთაშორისო ფინანსურმა ფენამ მის ცონტროლს დაქვემდებარებული სახელმწიფო და სპეციალურად ამ საქმისთვის შექმნილი ფორმალურად არასახელმწიფო სისტემებით მიაღწია ცივ ომში გამარჯვებას — საბჭოთა კავშირის დაშლას.

## ფინანსური ოლიგარქიის მთავარი მიზნები

**მისი მთავარი მიზანია „მომხმარებელთა მსოფლიოს“, როგორც მომავლის გლობალური სამოქალაქო საზოგადოების უნიფიცირებული მასალის სრული და უდავო გამარჯვება. დიდწილად ეს მსოფლიო უკვე შექმნილია. მასში ლოზუნგით „მოხმარება ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელია“ ხორციელდება გლობალური მანიპულაცია საზოგადოების ცნობიერებით, ნადგურდება სულიერების უმცირესი ნაზარდებიც კი, ისტორიული ტრადიციები, ნაციონალური კულტურები და თვითმყოფადობა, რაც ხელს უშლის ფინანსური მერკანტილობის გლობალიზაციას.**

აგრესიული კონსიუმერიზმის ობიექტები გახდნენ მოქალაქეთა ყველა კატეგორიის წარმომადგენლები თინეიჯერებიდან მოხუცებამდე. მომხმარებელზე ტოტალური ზემოქმედება მიანიშნებს საზოგადოების გლობალური კომერციალიზაციის პროცესზე, ზოგიერთი ავტორის მტკიცებით კი, სწორედ ამის შედეგად წარმოიშვა კაპიტალისტური ეკონომიკა, და სწორედ ამან დათესა გლობალური კრიზისის თესლი.

ადამიანის ცნობიერებაში საბაზო, მათ შორის ადამიანის სოციალური ბუნებით განპირობებული, ღირებულებები იცვლება მანიპულირებისათვის მოსახერხებელი სუროგატი ღირებულებებით.

**ადამიანის განვითარების მნიშვნელოვანი ტრადიციები, ოჯახის ღირებულება და თაობათა კავშირი, დედობის სიწმინდე, ადამიანის საზოგადოებრივ არსებად აღიარება, რეალური თავისუფლების აღიარება და პიროვნების ღირსების დაცვა იცვლება ბუნებრივის საწინააღმდეგო გადახრების პროპაგანდით. ეს უკანასკნელნი კი მუდმივი მედიაჩიჩინის შედეგად სოციალურ მანკიერებებად ყალიბდებიან, თუმცა მათ ასეთად არ აღიქვამენ და არც აღიარებენ. ამ პროპაგანდას განეკუთვნება უკიდეგანო ინდივიდუალიზმისა და სხვათა ინტერესების გაუთვალისწინებლობის პროპაგანდაც.**

უკიდურესი ინდივიდუალიზმის პროპაგანდით ატომიზირებული დასავლური საზოგადოება ყლაპავს ნებისმიერ ტყუილს მხოლოდ ანგლოსაქსური ცივილიზაციის კუთვნილი „ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების“ დაცვის საბაბით. **დასავლეთს ოდნავი შეშფოთება და ვინმესთვის პასუხისმგებლობის დაკისრების სურვილიც კი არ გამოუხატავს ერაყის ომის გამო, თუნდაც მას შემდეგ, რაც ომის საბაბად ქცეული მასობრივი განადგურების იარაღის არარსებობა ერაყში თვით ბუშმა და ბლერმა აღიარეს. ზუსტად ანალოგიური რეაქცია ჰქონდა დასავლეთს ლიბიის ომზეც.**

**თანამედროვე საზოგადოების კიდევ ერთი საჩვენებელი მახასიათებელი სულიერების დეფიციტი და მზარდი ამორალობაა. ადამიანის ყველა ინტერესისა და მისი სიცოცხლის არსის მხოლოდ მოგებასა და ინდივიდუალურ დომინირებამდე დაყვანა ადამიანთა საზოგადოების მორჩილ ფარად გადაკეთების კიდევ ერთი პროგრამაა.**

ყველა გავრცელებული და ცნობილი მსჯელობის პირობებში ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა პიროვნების თავისუფლება, კონკურენცია, როგორც თავისუფალი არჩევანის უფლება და ასე შემდეგ, გლობალურ საზოგადოებას მხოლოდ იმის ქადაგება მოუწევს, რაც მას მდგრადი სოციალური მართვის განხორციელების შესაძლებლობას მისცემს. ეს არის ის, რასაც ერთხელ უკვე უწოდეს, სავსებით სამართლიანად, შეიარაღებული ძალით დაცული მოხმარების საზოგადოება.

**ახალი გლობალური ღირებულებების შემთხზველთა პრაქტიკის თანახმად, „გლობალური სხვაგვარად აზროვნების“ დაძლევის ერთ-ერთი მეთოდი მართვადი ეკონომიკური კრიზისების შექმნაა.**

**დღეისათვის აქტუალურზე აქტუალურია ბრეტონ-ვუდსის იმ შეთანხმების განხილვასთან დაბრუნება, რომლის შედეგადაც საერთაშორისო ფინანსურ ანგარიშებში აღარაა აუცილებელი ოქროს ექვივალენტი და რომლის წყალობითაც ამ დრომდე აქვს ეკონომიკას განვითარების კოლოსალური სტიმული.**

თუნდაც უკანასკნელი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მიუკერძოებელი ანალიზი ადასტურებს, რომ სინამდვილეში ამ გადაწყვეტილებამ განაპირობა სარეზერვო ვალუტის ერთადერთი ცენტრის შექმნა და მისცა ზემოხსენებულ ფინანსურ ფენებს საშუალება, თავიანთი სურვილისამებრ დააფორმატონ გლობალური მსოფლიო.

**ფასისა და ღირებულების სასწაულებრივი დისპარიტეტის, გლობალური სარეზერვო ვალუტის საემისიო ცენტრის ფლობის, ვირტუალური ფულის გამოყენების შედეგად ფინანსურმა ოლიგარქიამ გლობალური ეკონომიკის მართვისა და საზოგადოებაში უთანასწორობის გაზრდის მძლავრი ინსტრუმენტი შექმნა.**

**ეს ეხება როგორც განვითარებად ქვეყნებს, ისე „ოქროს მილიარდის ქვეყნებსაც“. საზოგადოების ფენებს შორის ეკონომიკური დამოკიდებულება მხოლოდ ადრეული კოლონიზაციის პერიოდს თუ შეედრება, როდესაც განვითარებადი ქვეყნების ღირებულებები დასავლური სამყაროს შუშის მძივებზე იცვლებოდა. თუმცა რამდენადაც არ უნდა იტანჯებოდეს მდიდარი ქვეყნების საშუალო ფენა, გლობალიზაციის მიერ შექმნილი უთანასწორების მთელი ტვირთი მაინც კაცობრიობის ულატაკეს ფენას აწვება.**

## მთავარი შედეგია

**ამ ფსევდოკლასის აქტივაციის კიდევ ერთი ნიშანი გლობალურ მასშტაბში „გარემოს დაცვის“ ერთგვარი პოლიტიკის გატარების უფლების უზურპაციაა. ოზონის ხვრელები, ადამიანის საარსებო გარემოს დაბინძურება და ბუნებრივი კატაკლიზმები ნამდვილად უქმნის საფრთხეს ადამიანის არსებობას. როგორ გვთავაზობენ ამ ყველაფერთან ბრძოლას?**

ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის შემცირებით და ასე შემდეგ, რაც გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთმა ბუნებაზე ძალადობის მავნე შედეგები გააცნობიერა, მაგრამ თუ ეს ასეა, **რატომ არ მიუერთდა აშშ კიოტის პროტოკოლს, რომლის თანახმადაც, უნდა შეიზღუდოს ატმოსფეროში ინდუსტრიული მრეწველობის მავნე გამონაბოლქვები? და როგორ გადაწყვეტენ განვითარებადი ქვეყნები ენერგიის უკმარობის პრობლემას?**

**ძალიან მარტივად! შეიძენენ დასავლელი მფლობელებისგან ყველაზე თანამედროვე და მოწინავე ტექნოლოგიებს. ამ ძვირადღირებული ტექნოლოგიებისთვის დასავლეთი თავად გამოყოფს კრედიტებს, რომლითაც თავადვე გაიუმჯობესებს მდგომარეობას, განვითარებადი ქვეყნები კი კიდევ უფრო დამოკიდებულნი გახდებიან მათზე. ეს გლობალური მართვის კიდევ ერთი მძლავრი ბერკეტია.**

რა არის ეს: დემოკრატიის დაცვა, „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების“ გაფრთხილება სამხედრო აგრესიის მეთოდებით თუ კიდევ რაიმე სხვა, არა აქვს მნიშვნელობა. ყველაფერი გამოდგება. მთავარია, აშშ-ის მეთაურობით „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებმა დომინირება შეინარჩუნონ. მნიშვნელოვანი მხოლოდ შედეგია!

expert.ru



**გლობალურმა ფინანსურმა კორპორაციამ პრაქტიკულად სრულად მიითვისა საინფორმაციო-სამართავი სისტემები (ტრადიციული მასმედია, ინტერნეტი, სპეციალური და საზოგადოებრივი ქსელები), რომელთაც უკანასკნელ პერიოდში უკვე აღიქვამენ როგორც არამავნე ინფორმაციის მატარებლებს თვით ინტერნეტის სამშობლო აშშ-შიც კი**





**ადამიანის ყველა ინტერესისა და მისი სიცოცხლის არსის მხოლოდ მოგებასა და ინდივიდუალურ დომინირებამდე დაყვანა ადამიანთა საზოგადოების მორჩილ ფარად გადაკეთების კიდევ ერთი პროგრამაა**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანამედროვე დემოკრატია ნიშნავს ნებისმიერი ქვეყნის მაქსიმალურ გამჭვირვალობას მსოფლიო მთავრობისათვის. ამას ეწოდება ტრანსპარენტობა, საჯაროობა, ადამიანის უფლებები და სხვა ყველაფერი, მაგრამ შინაარსი ერთადერთია: ტერიტორია, რომელიც უკავია ამა თუ იმ საზოგადოებას, არ უნდა წარმოადგენდეს რაიმე დაბრკოლებას საერთაშორისო კორპორატიული სტრუქტურების პოლიტიკური ნებისთვის.**

# დემოკრატიის ფრთებზე

**ასწლეულების მანძილზე მსოფლიო ხელისუფლების თემა პოლიტიკური ფანტაზიების საგანი იყო. მსოფლიო ხელისუფლება მრავალ მოაზროვნეს კაცობრიობის მტანჯველი ყველა უბედურებიდან გამოსავლად ეჩვენებოდა. თავად მსოფლიო ცენტრალიზებული მმართველობის კონცეფციის წარმოშობა ნიშნავდა შუა საუკუნეებთან კავშირის გაწყვეტას და გზას უხსნიდა ინიციატივებს, რომლებიც შემდგომ იწოდებოდა „მოდერნად“.**




**მსოფლიო ხელისუფლების პროექტის უკან მუდამ იყო მონარქისტული იდეა, რაც ბუნებრივიცაა, თუ მის ოკულტურ-სიმბოლურ ხასიათს გავითვალისწინებთ. ტრადიციული ცნობიერების მატარებელთა თვალთახედვით, კაცობრიობა ისედაც იმართება რაღაც ფარული ცენტრიდან, რომელიც ასე თუ ისე აკონტროლებს ხილვად ხელმძღვანელებსა და ეროვნულ ლიდერებს**

მსოფლიოს მართვის იდეა, უფრო ზუსტად, „მსოფლიო მეფის“ იდეა სავსებით ტრადიციული ოკულტური თემაა, რომელიც ძალიან ბევრ სიმბოლურ სისტემას ახასიათებდა. ხილული სახით მსოფლიო მმართველი ჩანს ბუდიზმის მეტაფიზიკასა და კათოლიციზმის თეოლოგიაში. რომის იმპერიას ასევე ახასიათებდა იდეა, გაეერთიანებინა მსოფლიოს ყველა ხალხები ერთი იმპერიული ცენტრის მმართველობის ქვეშ.

**რომამდე მსოფლიო მმართველობის შექმნის ყველაზე კაშკაშა მაგალითი შექმნა ალექსანდრე მაკედონელმა — იესო ქრისტეს მოვლინებამდე 300 წლით ადრე.** ამ მიმართულებით კიდევ უფრო წარმატებული აღმოჩნდა ჩინგისხანი, რომლის იმპერიამ უფრო დიდხანს გაძლო... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი მმართველის მიერ მართული ერთიანი მსოფლიოს კონცეფცია ჩადებულია სხვადასხვა რელიგიურ ცნობიერებაში და ისტორიულ პრაქტიკაშიც. სხვათა შორის, კოლონიალური იმპერიებიც, რომლებიც მსოფლიოს ინაწილებდნენ, რაღაც სახის მსოფლიო ხელისუფლებებს აყალიბებდნენ, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთ მათგანს სათავეში ნათესავები ედგათ.

**მსოფლიო ხელისუფლების პროექტის უკან მუდამ იყო მონარქისტული იდეა, რაც ბუნებრივიცაა, თუ მის ოკულტურ-სიმბოლურ ხასიათს გავითვალისწინებთ. ტრადიციული ცნობიერების მატარებელთა თვალთახედვით, კაცობრიობა ისედაც იმართება რაღაც ფარული ცენტრიდან, რომელიც ასე თუ ისე აკონტროლებს ხილვად ხელმძღვანელებსა და ეროვნულ ლიდერებს.**

უდავოა, რომ მმართველებმა ჩაიფიქრეს, პირველი მსოფლიო ომის წინ ევროპელთა შეიარაღებული კონფლიქტი გამოეყენებიათ და შოკისათვის — თავი დაეღწიათ საპარლამენტო დემოკრატიისათვის, რომელიც მონარქიული ისტებლიშმენტის შემდეგ მთელ დასავლეთ მსოფლიოს მოედო. მონარქები — თავიანთი ხალხის მამები, ამ ჩანაფიქრის განხრციელების შემთხვევაში მართვას საკუთარ თავზე აიღებდნენ, დაითხოვდნენ პარლამენტებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებსა და დეპუტატებს კი სამხედრო ტრიბუნალებს გადასცემდნენ, როგორც კაცობრიობის მტრებს.

**XX საუკუნის დასაწყისში მონარქების ამ გეგმამ ვერ იმუშავა. ომის მსვლელობა მათ კონტროლს აღარ ემორჩილებოდა და სინამდვილეში გამარჯვებულ მხარეს აღმოჩნდნენ ნაციონალ-ლიბერალები. რამდენიმე ქვეყანაში მონარქიული შეთქმულების ჩაშლამ ძველი რეჟიმის აღსასრულიც კი განაპირობა.**

მსოფლიო მთავრობის სახელი ახალი ძალით „გაბრწყინდა“ ერთა ლიგისა და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და გაეროს შექმნის შემდეგ. თუმცა ამ ეტაპზე თემა გადაეჯაჭვა პოლიტიკურ არენაზე ახალი კლასის — საერთაშორისო ბიუროკრატიის გამოსვლას. მანამდე ეს უკანასკნელი თითქმის უცნობი რეალობა იყო.

მსოფლიო ბიუროკრატიის გამოჩენით აღინიშნა ლიბერალიზმის არსებობის დასასრული მისი კლასიკური ფორმებით, პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის სტრუქტურები გაივსო ნეოლიბერალებით და დაიწყო ელექტორალური დემოკრატიის დაისი. არადა, ის ახალი დროის ურყევ მიღწევად ითვლებოდა.

**თავად დემოკრატიის კონცეფცია რადიკალურად იცვლებოდა უკანასკნელი 200 წლის მანძილზე. ამ იდეის ევოლუციაში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი.** XIX საუკუნეში, რომელიც შეარყიეს ნაპოლეონის მებრძოლებმა და რევოლუციურმა მოძრაობებმა, მონარქები იძულებულნი გახდნენ, მასობრივ ცნობიერებაში თავისი პოზიციონირება შეეცვალათ. ლიბერალიზმმა ეკლესია აიძულა, დისტანცია დაეჭირა მონარქიული ისტებლიშმენტის მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე საკუთარ თავზე აღებული პირდაპირი პასუხისმგებლობისაგან. ერი კი ნელ-ნელა იღებდა რაღაც მისტიური ერთობის ფორმას და **საზოგადოებაში დაბრუნდა ქრისტიანობამდელი ეგრეთ წოდებული პოლიტიკური კერპთაყვანისცემა. ეს უკანასკნელი კი მოითხოვდა დემოკრატიის, როგორც მისტიური საფუძვლის რიტუალურ გამოხატულებას.**

**ამ სიტუაციაში მონარქია არის ზემოდან იმის ლეგალიზაცია, რაც ქვემოდან სამართლის რეალური წყაროა. ეს არის სწორედ ის, რასაც ბურჟუაზიულ მონარქიას უწოდებდნენ. მის სოციალურ სივრცეში ხორციელდება ტრადიციული ფეოდალური კლასის მარგინალიზაცია. ავანსცენაზე გამოდის სასახლის კარის არისტოკრატია, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ნაციონალურად მოაზროვნე მესამე ფენასთან. მონარქი მედიატორი ხდება სამკუთხედში — ეკლესია-არისტოკრატია-ხალხი.**

მდაბიოთა პოლიტიკური კერპთაყვანისცემისგან გაჩენილი „სამოქალაქო ეკლესია“ მალე ტრანსფორმირდა ეგრეთ წოდებულ საზოგადოებად, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ძველი ისტებლიშმენტისთვის მძიმე ტვირთად იქცა. საზოგადოება ახდენს აზრების გენერირებას, ამზადებს წინაპირობებს აგრესიულ-ლიბერალური მენტალიტეტის განვითარებისათვის და რაღაც მომენტში ინიციატივა სასახლიდან პარლამენტში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში, მსხვილი გაზეთების რედაქციებში ინაცვლებს და **სწორედ ესაა თანამედროვე დემოკრატიის ადრეული სტადია.**

დემოკრატიული იდეის განვითარების მეორე ეტაპი იწყება მას შემდეგ, რაც წინა ეტაპი ლოგიკურ კულმინაციამდე მიდის. ნაციონალური იდენტურობის გამტკიცების საფუძველზე ჩნდება ულტრა მემარჯვენე ნაციონალური ლიბერალიზმი, რომელიც მონარქების ალტერნატიულ ლიდერებს ბადებს. ამის კლასიკური მაგალითი მუსოლინი იყო. მუსოლინის მეფისა და ეკლესიისგან თავის დასაღწევად არჩევანი არ ჰქონდა, ამიტომაც მიიღო კონკორდატი, სხვა ლიდერებს კი უფრო მეტად გაუმართლა. ჰიტლერი ხელისუფლებაში არჩევნების შედეგად მოვიდა.

ფიურერის პრინციპებმა გაიმარჯვა არა მხოლოდ რადიკალურად მემარჯვენე ევროპაში, არამედ მის რადიკალურად მემარცხენე ფლანგზეც. **ამიტომაც 1945 წლიდან დაწყებული მეორე პერიოდის შინაარსი მთავრდება ისტებლიშმენტის მთავარი საზრუნავით — აღარ დაუშვან ახალი ჰიტლერის, ანტონესკუს, მუსოლინის, ხორტის და თუნდაც სტალინის გაჩენა.**

**ამის შემდგომი პერიოდი ხასიათდება ტყუპებივით მსგავსი პარტიებით, რომელთაგან ყველას სათავეში ნაცრისფერი არარაობები ედგნენ.** ამ უკანასკნელთ არ შეეძლოთ არანაირი დესტაბილიზირებადი ავანტიურის განხორციელება. ჩერჩილი და დე გოლი დემოკრატიისათვის საშიში და ძალზე ქარიზმატული ფიგურები აღმოჩნდნენ. აშშ-ში პრეზიდენტობის მესამე ვადა გაუქმდა, სსრკ-ში კი „კოლეგიალური ხელმძღვანელობა“ დამტკიცდა. იმ პერიოდში ნაციის დემოკრატიის განვითარება უფლებამოსილია, მხოლოდ ფრთხილი უნიჭობის საშუალებით გამოიხატოს. „სახალხო სული“ დეკონსტრუქციას დაემქვემდებარა, ერის იდეა კი დავიდა ერთნაირი მოქალაქეობის მქონე პირთა ერთობლიობამდე.

**დემოკრატიის ნამდვილი ტრიუმფი მაშინ დადგა, როდესაც ზესახელმწიფოების იმპერიული დიქტატიდან ნეოლიბერალები და საერთაშორისო ემანსიპირებული ბიუროკრატები მოვიდნენ და დააარსეს გაერო. ამ პირობებში მკაცრად იყოფა ლეგიტიმურობისა და უფლებამოსილების სფეროები. ერთის მხრივ, არის ნაციონალური სახელმწიფო, რომლისგანაც ასე იოლი არაა თავის დახსნა, რადგან მის შიგნით საკუთარი ბიუროკრატიის საკმაოდ მძლავრი კორპორაციაა ჩაბუდებული; მეორე მხრივ კი, დგას საერთაშორისო შეთანხმებების, მოლაპარაკებებისა და კონვენციების ლეგიტიმურობა.**

ქვეყნების უდიდესი რაოდენობა უერთდება ყველანაირ შესაძლო კონვენციას, რომლებიც, პირველ რიგში, აწესებენ ნაციონალურ კანონებზე საკუთარ უპირატესობას. ნებისმიერი მათგანი სამართლებრივ ჰეგემონიას ფლობს და ნებისმიერი ქვეყნის კანონებზე მაღლა დგას.

ეს იმას ნიშნავს, რომ **საერთაშორისო ბიუროკრატია, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ყველა ამ შეთანხმების გამოყენების პრაქტიკასთან, უფრო ლეგიტიმურია, ვიდრე ნაციონალური ბიუროკრატიის კორპორაციის წარმომადგენელი მათი კოლეგები.**

რა არის ახლა, ამ ეტაპზე დემოკრატია, რომელსაც გაერო, ევროკავშირი და ნატო თავიანთი ბომბდამშენების ფრთებით დაატარებენ და მთელ კაცობრიობას ურიგებენ?

**თანამედროვე დემოკრატია ნიშნავს ნებისმიერი ქვეყნის მაქსიმალურ გამჭვირვალობას მსოფლიო მთავრობისათვის. ამას ეწოდება ტრანსპარენტობა, საჯაროობა, ადამიანის უფლებები და სხვა ყველაფერი, მაგრამ შინაარსი ერთადერთია: ტერიტორია, რომელიც უკავია ამა თუ იმ საზოგადოებას, არ უნდა წარმოადგენდეს რაიმე დაბრკოლებას საერთაშორისო კორპორატიული სტრუქტურების პოლიტიკური ნებისათვის. ამის სრულად უზრუნველყოფისათვის საჭიროა, რომ თავად ამ საზოგადოებამ შეწყვიტოს არსებობა, როგორც საზოგადოებამ, და ატომიზირებული ინდივიდების მოძრაობად იქცეს.**

ეთნიკური სოლიდარობის დეკონსტრუირების ოპტიმალური ინსტრუმენტებია ფემინიზმი, გეიმოძრაობა, ყველანაირი უმცირესობების უმრავლესობასთან დაპირისპირება და ასე შემდეგ. ასე რომ, თუ არსებობის დასაწყისში დემოკრატია უმეტესობის ნებას გამოხატავდა, ახლა ის აბსოლუტურად საპირისპირო რამაა. ის წარმოადგენს ერთობის დემონტაჟისა და მარგინალებისა და აუტსაიდერების ალვირახსნილობის სინონიმს. ესეც გარდამავალი ეტაპია. მალე უმრავლესობა აღარ იარსებებს, იმიტომ, რომ განადგურებულია მისი სოლიდარობის მექანიზმი და თავისთავად აღარ იარსებებს უმცირესობათა საჭიროებაც. ახლა უკვე სახეზეა „ადამიანის უფლებების“ მრავალგვარი გარდასახვა უუფლებობის სახეობებად, რასაც აღარ ეწინააღმდეგება მუხლებზე დაყენებული ორგანიზებული ერი, იდეოლოგიური პროტესტი, რომელიც აღარ არსებობს. სულ ცოტაღა დარჩა: განადგურდეს ნაციონალური ბიუროკრატიის უკანასკნელი ერთობები, რომელთაც ხელი მიუწვდებათ თანამედროვე თავდაცვით ტექნოლოგიებზე. ამის შემდეგ უკვე შესაძლებელი იქნება მსოფლიო მთავრობას შემდგარი ფაქტი ეწოდოს.

odnako.org

გერმანიის დანაწილების ალტერნატიული მეთოდი ამერიკამ ჰიტლერისეულ „ახალ წესრიგზე“ დაკვირვებით აღმოაჩინა. ამერიკამ გადაწყვიტა, ომის შემდგომ არა თუ არ დაენგრია გერმანიაში ჰიტლერის მიერ დამყარებული ცენტრალიზებული კონტროლის სისტემა, არამედ საკუთარ ხელში აეღო ამ კონტროლის სადავეები, ჩამოეშორებია ნაცისტი წარმომადგენლები, მათ ადგილას სხვები დაესვა და ეს უნიფიკაცია ახალ ევროპულ ფედერალურ ხელისუფლებად ექცია.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ იქცა ჰიტლერისეული «Neuordnung»-ი «Pax Americana»-ად





**ორი მსოფლიო ომის შედეგად ევროპა იქცა აშშ-ისა და სსრკ-ის გლობალური პოლიტიკის ობიექტად. ეს აშშ-ის ახალი მსოფლიო იმპერიის მშენებლობა იყო, რომლის ნაწილადაც იქცა დასავლეთ ევროპაზე ამერიკული პატრონაჟის სისტემა**

**8 ივლისს საფრანგეთის ქალაქ რეიმსის სახელგანთქმულ საკათედრო ტაძარში, სადაც ფრანგი მეფეების კურთხევის რიტუალი იმართებოდა, საზეიმო ვითარებაში, გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელისა და საფრანგეთის პრეზიდენტის — ფრანსუა ოლანდის თანდასწრებით დაიწყო ფრანკო-გერმანული ერთობის ორმოცდაათი წლისთავის ზეიმი. ამ დღეს რეიმსის ტაძარში მესამ დაუდო სათავე საფრანგეთისა და გერმანიის ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობის აღსანიშნავი ღონისძიებების მთელ რიგს.**

იუბილეს საბაბი გახდა ზუსტად 50 წლის წინ, 1962 წლის 8 ივლისს, რეიმსის ტაძარში გამართული საფრანგეთისა და გერმანიის „შერიგების მესა“. მაშინ ცერემონიას ესწრებოდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერი კონრად ადენაუერი. რამდენიმე თვის შემდეგ, 1963 წლის 22 იანვარს, მათ „ფრანკო-გერმანული შერიგება“ ელისეის სასახლეში გერმანულ ფრანგულ თანამშრომლობაზე ხელმოწერით გაამყარეს.

ახლანდელი საიუბილეო ღონისძიება დაჩრდილა ერთმა არასასიამოვნო ფაქტმა. უცნობმა პირებმა წინა საღამოს დაარბიეს 40 საფლავი პირველი მსოფლიო ომის დროინდელ გერმანულ სამხედრო სასაფლაოზე, რომელიც სენტ-ეტიენ-არენში მდებარეობს. პრეზიდენტმა ოლანდმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ფრანკო-გერმანულ მეგობრობას ვერანაირი ბნელი ძალები ვერ მიაყენებენ ზიანს.

**წინა დღეს მიცემულ ინტერვიუში ოლანდმა აღნიშნა, რომ საფრანგეთისა და გერმანიის საერთო ინტერესები უნდა ემსახუროს ევროპის კეთილდღეობას, თუმცა ბერლინმა და პარიზმა მთელი ევროკავშირის ნაცვლად არ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები. როგორც ჩანს, გერმანიისა და საფრანგეთის განვითარებადი ფინანსური კრიზისის საწინააღმდეგოდ საჭიროა ცოტა ხნის წინ წარმოშობილი უთანხმოების აღმოფხვრა.**

ცერემონიის დროს გერმანიის კანცლერმა ანგელა მარკელმა დე გოლისა და ადენაუერის მოღვაწეობა ფრანკო-გერმანული კავშირის შექმნისათვის შემდეგნაირად შეაფასა: „მათ ახალი თავი დაიწყეს. ამ ორმა სახელმწიფო მოღვაწემ ამ ტაძარში საფუძველი დაუდეს ახალ სიდიდეს“. მაგრამ რა იყო მანამდე? როგორი იყო გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთობის წინა თავი? ნათელია, რომ ფრანკო-გერმანული კავშირი ევროკავშირის მთავარი ღერძია. მაგრამ ფორმალურად ევროპული კავშირი გაჩნდა დე გოლისა და ადენაუერის მიერ ფრანკო-გერმანული მეგობრობის გამოცხადებამდე. ამოსავალი წერტილი და ევროკავშირის შექმნა კი ახლანდელ იუბილეს, სულ მცირე, 20 წლით ჩამორჩება.

მარშლის გეგმა, ნატოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ევროპული კავშირის შექმნის გეგმა 1948-1951 წლებში იყო ევროპის ომისშემგომი გადაკეთების თაობაზე ამერიკული სტრატეგიის თანმიმდევრული მოჩვენებითობა. ამ პროცესის თავისებურება იყო ის, რომ ხორციელდებოდა სსრკ-თან დაპირისპირების პირობებში. **ორი მსოფლიო ომის შედეგად ევროპა იქცა აშშ-ისა და სსრკ-ის გლობალური პოლიტიკის ობიექტად. ეს აშშ-ის ახალი მსოფლიო იმპერიის მშენებლობა იყო, რომლის ნაწილადაც იქცა დასავლეთ ევროპაზე ამერიკული პატრონაჟის სისტემა.**

დასავლეთევროპელები მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამერიკის დახმარებას საჭიროებდნენ. ამ დახმარების გაწევის პირობა გახდა დასავლეთევროპელთა კონსტრუქციული მონაწილეობა ამერიკელების მიერ შეთავაზებულ ევროპის აღორძინების პროგრამებში. მაგრამ იმისათვის, რომ ევროპელებს თანხმობა განეცხადებიათ, ამერიკელებმა ზოგიერთი ევროპული ნაციის ინტერესები გაითვალისწინეს. გარანტად იქცა მარშალის გეგმა, რომელმაც წარადგინა საშუალებები დასავლეთ ევროპის ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის და რომელზეც ევროპელები უარს ველარ იტყოდნენ პროგრამის გაშვების შემდეგ.

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთევროპელები ფიქრობდნენ, რომ მათ სჭირდებოდათ სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების გარანტიები როგორც რუსეთთან, ასევე გერმანელებთან მიმართებაში და მიიღეს კიდეც ეს გარანტიები მას შემდეგ, რაც 1949 წლის 16 მარტს ხელი მოაწერეს ბრიუსელის სამხედრო პოლიტიკური კავშირის — ნატოს შექმნის შესახებ შეთანხმებას. მოკავშირეების მიერ ოკუპირებული და სუვერენიტეტდაკარგული გერმანია ამ კავშირის მიღმა დარჩა. ნატო, საბჭოთა კავშირის გარდა, მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგაც.**

გერმანია ამერიკის ევროპულ სტრატეგიაში ყველაზე რთული მარცვალი იყო. ამ ნაციასთან მიმართებაში ამერიკელებს უნდა გაეთვალისწინებიათ ბისმარკის მიერ გერმანული იმპერიის შექმნის გამოცდილება, პირველი მსოფლიო ომი და ვერსალის სისტემა. გერმანიის გაერთიანება XIX საუკუნეში მოხდა საერთოგერმანული ნაციონალიზმის ფონზე ევროპაში უფრო ადრე გაჩენილ ნაციებთან შეჯიბრში. აქ გერმანელებისთვის კონტინენტის ყველაზე ღირსეულ მოწინააღმდეგედ ფრანგები ითვლებოდნენ. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას გერმანია ევროპაში ეკონომიკურად უკვე ლიდერობდა. ვერსალის სისტემის შემქმნელთა დიდი შეცდომა იყო გერმანიის შეზღუდვა და მისთვის ნაციონალური საზღვრების გარეშე განვითარების ფართო შესაძლებლობების არმიცემა.

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა ეს გარემოება გაითვალისწინა. ისინი მიხვდნენ, რომ, ინგლისელების შეთავაზების მიხედვით, გერმანიის რამდენიმე ნაწილად დაყოფა არ შეიძლებოდა, რადგან გერმანული ნაციონაალიზმი დაანგრევდა ამ ხელოვნურ საზღვრებს. გერმანიის დანაწილების ალტერნატიული მეთოდი ამერიკამ ჰიტლერისეულ „ახალ წესრიგზე“ დაკვირვებით აღმოაჩინა. ამერიკამ გადაწყვიტა, ომის შემდგომ არ დაენგრია გერმანიაში ჰიტლერის მიერ დამყარებული ცენტრალიზებული კონტროლის სისტემა, არამედ საკუთარ ხელში აეღო ამ კონტროლის სადავეები, ჩამოეშორებია ნაცისტი წარმომადგენლები, მათ ადგილას სხვები დაესვა და ეს უნიფიკაცია ახალ ევროპულ ფედერალურ ხელისუფლებად ექცია.**

თუ გერმანიის საბოლოოდ მოტეხვა შეუძლებელი იყო და მისი ნაციონალიზმის პრობლემაც ვერ გადაიჭრებოდა, ამერიკელებს მხოლოდ ერთადერთი რამ რჩებოდათ — შეექმნათ ერთგვარი **კვაზიფედერალური ევროპა,** რომელშიც შევიდოდა გაერთიანებული გერმანია. ამ უკანასკნელის წინაშე გადაიშლებოდა მოღვაწეობის უზარმაზარი არეალი, რაც უძრუნველყოფდა აშშ-ის ლოიალობას.

ამ ვარიანტში გერმანია თავს მშვენივრად იგრძნობდა, როგორც აშშ-ის მიერ პატრონირებული ევროპის ინტეგრალური ნაწილი. **ჰიტლერისეულ ახალ წესრიგზე დაკვირვებამ ამერიკული იმპერიის შემოქმედებს მეორე იდეაც უკარნახა — უნიფიკაციისაკენ მოძრაობის ძირითადი ძალა კონტინენტზე უნდა გამხდარიყო საფრანგეთი და სწორედ მას უნდა ჰქონოდა შესაქმნელ ევროპულ კავშირში გადამწყვეტი გავლენა.**

**ამრიგად, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ევროპული კავშირის საფუძველში ჩაიდო გერმანულ-ფრანგული თანამშრომლობის გამოცდილება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაგროვდა. თავად ტერმინი „კოლაბორაცია“ ეკუთვნის „ფრანგული სახელმწიფოს შეფს“ — მარშალ ანრი-ფილიპ პეტენს. მან ეს ტერმინი პირველად წარმოთქვა 1940 წლის რადიომიმართვისას, 24 ოქტომბერს ჰიტლერთან პირადი შეხვედრის შემდეგ. ეს თანამშრომლობა არა მხოლოდ აღიარებული იყო, არამედ რეალურადაც არსებობდა ერთობლივად მომუშავე დაწესებულებების სახით. თავად სისტემა და მისი ფუნქციონირების გამოცდილება გამოყენებულ იქნა ევროკავშირის მშენებლობის დასაწყისში. ამრიგად, „Neuordnung“-ის ნიადაგზე ევროპაში „Pax Americana“ დამკვიდრდა.**

პირველი ნაბიჯი ამერიკელების გეგმის მიხედვით ევროკავშირის შექმნისაკენ 1951 წელს გადაიდგა. ბელგიამ, დასავლეთ გერმანიამ, ნიდერლანდებმა, ლუქსემბურგმა, საფრანგეთმა და იტალიამ ხელი მოაწერეს ევროპის გაერთიანებული ნახშირისა და ფოლადის დაარსებას. მის საფუძველზე დასავლეთევროპელებმა დააარსეს ევროპის ეკონომიკური სივრცე და ატომური ენერგეტიკის ევროპული საზოგადოება.

**ევროკავშირის ახლანდელი პოლიტიკური ლიდერები: საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ფრანკო-გერმანული თანამშრომლობის 50 წლის იუბილეს ზეიმობენ. არადა, ამ თანამშრომლობას საფუძველი ოცი წლით ადრე ჩაეყარა. უმაღლესი სახელმწიფო მოღვაწეების მხრიდან ამაზე საუბარი არაპოლიტკორექტულია. თავად დე გოლსაც მშვენივრად ესმოდა, თუ როდის ჩაეყარა საფუძველი ფრანკო-გერმანულ თანამშრომლობას.**

ახლა ფრანკო-გერმანული კავშირი ცოტა მოიშალა. ნაწილობრივ ეს შეიძლება განპირობებული იყოს პოლიტიკური პროცესების ასინქრონიზაციით საფრანგეთსა და გერმანიაში, მაგრამ აღნიშნული მოვლენა, შესაძლოა, სხვა რამესაც ნიშნავდეს — გერმანიისათვის ძველებურ დონეზე მოქმედებისათვის ფართობის ამოწურვას. ევროკავშირის შემდგომი ფედერალიზაციის პროცესი გერმანიისა და ევროკავშირში მის მოკავშირეებს შორის ურთიერთობის პირობების ცვლას ნიშნავს. მომავალ ევროპულ ფედერაციაში გერმანიის როლი მისი ეკონომიკური და ფინანსური შემადგენლის გამო გაიზრდება. სჭირდებათ კი ეს თანამედროვე სახის ევროკავშირის საიდუმლო არქიტექტორებს? **ახლა ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ევროკავშირის ამჟამინდელი პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესი იბლოკება გადაწყვეტილების მიღების იმ არსებული მექანიზმის წყალობით, რომელიც ევროკავშირში ამერიკელებმა ჩადეს.**



regnum.ru

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეგრეთ წოდებული ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელები და ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებასთან შეთანხმებულად აკრიტიკებს, ლანძღავს და აგინებს „ხელისუფლებას“, აწყობს ხალხის თვალის ასახვევ ქუჩის აქციებს, მოძალადე ხელისუფლებას უჩვენებს აქციის მონაწილეთა უსუსურობას, მის სუსტ ადგილებს და აწრთობს დარბევის ძალოვან სტრუქტურებს ისე, როგორც მჭედელი რკინას.**

## ფრანსუა ოლანდი ისრაელს ირანზე თავდასხმისკენ უბიძგებს

**ისრაელს, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ირანზე ეფექტური დარტყმის განხორციელების შესაძლებლობა აქვს.** შესაბამისი განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ბასტილიის დღისადმი მიძღვნილ მიღებაზე გააკეთა. ამასთან, ფრანსუა ოლანდმა დასძინა, რომ ამ შესაძლებლობის გამოყენება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციას გამოიწვევს. საფრანგეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ირანის მიმართ ის ორმაგი პოლიტიკის მომხრეა – ერთის მხრივ, აუცილებელია თეირანის მიმართ სანქციების გამკაცრება, მეორე მხრივ კი, საჭიროა ირანის საერთაშორისო საზოგადოებაში მიღებისთვის მზადება, იმ შემთხვევაში, თუ ის ბირთვულ პროგრამაზე იტყვის უარს.



## ყველაზე დიდი ქრისტიანული მოვლენა

**სან-პაულოში გამართულ მსვლელობაში „იესო ქრისტეს სახელით“, ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.** მსვლელობაში მონაწილეობდა სხვადასხვა პროტესტანტული ეკლესიის მრევლმა. ბრაზილიაში კათოლიკეთა ყველაზე დიდი რაოდენობაა, თუმცა ქრისტიანობის სხვადასხვა შტომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი პოპულარობა მოიპოვა. „იესო ქრისტეს სახელით მსვლელობას“ უკვე ეწოდა მსოფლიოში ყველაზე დიდი ქრისტიანული მოვლენა. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, მარშს 5-6 მილიონი ადამიანი ესწრებოდა.

„იესო ქრისტეს სახელით მსვლელობა“ ყოველწლიური აქციაა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში იმართება. პირველი ასეთი მარში 1987 წელს ინგლისის დედაქალაქში გაიმართა.

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

მე გახლავართ ქრისტიანი მართლმადიდებელი, ცამეტ დედმამიშვილთაგან რიგით მეთერთმეტე, გავლილი მაქვს ცხოვრების მძიმე გზა, მაგრამ ერთხელ ვიყავი უკვე ამქვეყნიურ სამოთხეში. ეს იყო სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დროს — 1957-60 წლებში. მას შემდეგ, რაც სამჯერ ვცადე ბედი უმაღლეს სასწავლებელში და სულ „გამსვლელი ქულა მაკლდებოდა“, გუშაგი მილიციელიდან ლეგიონის მეთაური გავხდი — რიგითი მილიციელი პოლკოვნიკი გავხდი, დავამთავრე მილიციის ორწლიანი სკოლა, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ჩაბარებული მაქვს საკანდიდატო მინიმუმის საგნები. ათი წელი ვასწავლიდი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1990 წლიდან პოლიციის აკადემიაში ვიყავი, საიდანაც კათედრის უფროსის თანამდებობიდან გამიშვეს პენსიაზე, მაშინ, როცა ქართულ ენაზე პირველად მე მოვამზადე სახელმძღვანელო „სამხედრო მომზადებისა და ექსტრემალურ სიტუაციებში შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა გაუვნებლობისა და შეპყრობის „სპეციალური ტაქტიკა“.

ვარ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ყველა ღონისძიების მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი. აი ჩემი მოკლე ბიოგრაფია.



# მხოლოდ ხალხის აზვირთება გადაარჩენს ქვეყანას!

**პირველ ყოვლისა, მე, ერთ-ერთ რიგით ქართველს, მინდა, უდიდესი მადლიერების გრძნობა გამოვხატო დღევანდელი მდგომარეობისათვის მეტად საჭირო გაზეთის — „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის, ბატონ ირაკლი თოდუასა და გაზეთის მთელი შემოქმედებითი ჯგუფისადმი, რომელთა მთელი ძალისხმევა მიმართულია ქართველი ერის გამოღვიძება-გამოფხიზლებისკენ, ქართველი ერისა და ჩვენი სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად.**



ამ წერილის დაწერისაკენ მიბიძგა ამა წლის 4-10 ივლისის გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულმა ბატონ დიმიტრი მონიავას ძალზედ საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანმა წერილმა „ბოიდის “დოგმა“ და გამარჯვების ალგორითმი“. ეს დროული შეხსენებაა მათთვის, ვინც სერიოზული ღონისძიებების განსახორციელებლად ემზადება ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მომიტევეთ ჩემი სუბიექტური აზრის გამოხატვისათვის და ვიტყვი, რომ ნებისმიერ დროში, ნებისმიერ გარემოში, ნებისმიერ სიტუაციაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მოწინააღმდეგის დაძლევისა და წარმატების მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ოთხი პირობა: 1. ქრისტესმიერი სიყვარული; 2. გონიერება; 3. ფიზიკური ძალა და 4. მატერიალური შესაძლებლობა.

**ადამიანი, რომელიც განუდგა ღმერთის მიერ ადამიანისათვის დადგენილი ზნეობრივი კანონების შესრულებას, იგი ამქვეყნად ნებისმიერ ძლიერ მტაცებელ ცხოველზე საშიშია, თუ სახელმწიფოს სამართლიანი კანონების ჩარჩოში არ არის მოქცეული;**

**გონიერება — ღვთის მიერ ბოძებული ნიჭია, რომელიც დადებით შედეგს მხოლოდ მაშინ იძლევა, თუ იგი გაჯერებულია ქრისტესმიერი სიყვარულითა და ბუნებასთან განუშორებელი სიახლოვით. მსოფლიოში დიდ მოაზროვნეთა აბსოლუტური უმრავლესობა სოფელში დაბადებული და გაზრდილია;**

**ფიზიკური ძალის გარეშე რაიმე წარმატების მიღწევაზე საუბარი ზედმეტია;**

**მატერიალური შესაძლებლობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ საკმარისია, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი დიდი აკაკის ლექსს „ცხოვრება“.**

საქართველოში დატრიალებული უბედურებებისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების აშკარა საფრთხის მიზეზი უნდა ვეძებოთ 1965 წლიდან ალენ დალესის დოქტრინით შეიარაღებული „დიდი პოლიტიკოსის“ ანტიეროვნულ „მოძღვაწეობაში“, რომელმაც დაწყებული ბნელი საქმიანობის ბოლომდე მისაყვანად:

ნაცვლად იმისა, რომ „მეორედ მოსვლისას“ ერისა და ქვეყნის გადასარჩენად შეეთავაზებინა „საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხსნისა და განვითარების საგარეო და საშინაო პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის სტრატეგიული დარგების აღორძინება-განვითარების ძირითად მიმართულებათა ისეთი მიმდინარე და პერსპექტიული გეგმის კომპლექსური პროექტი, რომელიც, ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტის გათვალისწინებით, ერთნაირად ხელსაყრელი და მისაღები იქნებოდა არამარტო მეზობელი, არამედ შორეული დაინტერესებული სახელმწიფოებისათვისაც კი, რომლის ამოსავალი წერტილი, ქვაკუთხედი იქნებოდა ის, რომ საქართველო გაეროს, ევროსაბჭოს (რომლის წევრიც ჩვენც ვარ), ფხენიანის ჯგუფისა და საქართველოს მეგობარი სხვა ქვეყნების მხარდაჭერით არ დაუშვებდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალებს (რაც თითქმის მიღწეული იყო), რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნებოდა გამოყენებული უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების მიერ მესამის საზიანოდ და რომ თვით საქართველოს სახელმწიფო არ შეუქმნიდა სხვას რაიმე საფრთხეს და ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან დაამყარებდა ურთიერთხელსაყრელ, თანასწორუფლებიან, მეგობრულ, მშვიდობისმოყვარულ ურთიერთობებს. **მან, „მსოფლიო პოლიტიკოსმა“, ხალხის უკეთ მართვისა და ქვეყნის განადგურების მიზნით, აირჩია ხალხის დაბრმავების გზა — შემნახველი სა-** ▶

**ნებისმიერ დროში, ნებისმიერ გარემოში, ნებისმიერ სიტუაციაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მოწინააღმდეგის დაძლევისა და წარმატების მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ოთხი პირობა: 1. ქრისტესმიერი სიყვარული; 2. გონიერება; 3. ფიზიკური ძალა და 4. მატერიალური შესაძლებლობა**

მოკლედ

## ტეილორ სვიფტი ყველაზე შემოსავლიანი მომღერალია

**ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ ყველაზე მაღალბიუჯეტიანი სელებრითების სია წარმოადგინა. სიაში სულ 30 სელებრითია.** მომღერალ სელებრითთა რეიტინგს ამერიკელი ვარსკვლავი ტეილორ სვიფტი ლიდერობს. „ფორბსმა“ მომღერლის შემოსავალი (2011 წლის მაისიდან 2012 წლის მაისამდე) გამოიანგარიშა. მუსიკალური ალბომების გაყიდვიდან, კონცერტებიდან და შოუებიდან შემოსულმა თანხამ საერთო ჯამში რეკორდულ ციფრს — 57 მილიონ დოლარს მიაღწია. სიაში სვიფტს მოჰყვებიან ჯასტინ ბიბერი (55 მლნ დოლარი), რიანა (53 მლნ დოლარი), ლედი გაგა (52 მლნ დოლარი), კეტი პერი (45 მლნ დოლარი). საპატიო მეექვსე ადგილი მომღერალმა ადელმა დაიკავა. მისი შემოსავალი 35 მლნ დოლარს შეადგენს.

## ახალ გვინეაში 29 კანიბალი დააკავეს

**პაპუა-ახალი გვინეას პოლიციამ პროვინცია მადანგში დააპატიმრა 29 ადამიანი, რომლებსაც კანიბალიზმში ედებათ ბრალი.** პოლიციის კომისრის — ენტონი ვაგამბის თქმით, ბრალდებულებმა აღიარეს, რომ შვიდი ადამიანი მოკლეს და შეჭამეს. „ბრალდებულები დარწმუნებულნი არიან, რომ ცუდი არაფერი უქნიათ, მათ ნამოქმედარი ღიად აღიარეს“, — ყვება პოლიციელი. მისი თქმით, მკვლელებს სჯერათ, რომ საკუთარი მსხვერპლის უმი ტვინის და მათი ორგანოებით დამზადებული წვნიანის ჭამის შემდეგ „ტყვია ვეღარაფერს დააკლებთ“. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ კანიბალიზმს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის შიდა რაიონების 1000-მდე მცხოვრები მისდევს.

**„მსოფლიო პოლიტიკოსმა", ხალხის უკეთ მართვისა და ქვეყნის განადგურების მიზნით, აირჩია ხალხის დაბრმავების გზა — შემნახველი სალაროებიდან ხალხის ოფლით მოპოვებული ფულადი სახსრები მიიტაცა, ამასაც არ დასჯერდა: ხალხს მოუწოდა, გაეყიდათ ყველაფერი, ფული სალაროებში შეეტანათ, საიდანაც ისინი გაორმაგებულ თანხებს მიიღებდნენ. ამ თაღლითური გზით მან საქართველოს მოსახლეობას წარსტაცა ოცდაათ მილიარდამდე მანეთი, რომელიც მაშინ დოლარზე ძვირი იყო.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლაროებიდან ხალხის ოფლით მოპოვებული ფულადი სახსრები მიიტაცა, ამასაც არ დასჯერდა: ხალხს მოუწოდა, გაეყიდათ ყველაფერი, ფული სალაროებში შეეტანათ, საიდანაც ისინი გაორმაგებულ თანხებს მიიღებდნენ. ამ თაღლითური გზით მან საქართველოს მოსახლეობას წარსტაცა ოცდაათ მილიარდამდე მანეთი, რომელიც მაშინ დოლარზე ძვირი იყო.** და რაც შემდეგ ჩაიდინა და რასაც მოქმედი ხელისუფლება სჩადის, მთელმა მსოფლიომ იცის. დიახ, სწორედ მან ჩაუგდო ხელში ბრბოდქცეული ხალხი მის მოყვანილ დღევანდელ ხელისუფლებას. არავის ეგონოს, რომ იგი „სახლში წავიდა". იგი დღესაც გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს მიშას „მოღვაწეობას" და თან ცდილობს ბიძინას სხეულში „შეძრომას", როგორც შხამიანი გველი;

**საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის უმეტესობა, მსოფლიო გლობალიზაციის „წყალობითა" და ხელისუფლების დიდი მონდომებით, წიგნს მოწყვეტილი და არ სწავლობს ან ივიწყებს ჩვენი სამშობლოს ისტორიულ ქარტეხილებს, მის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის, რაღაც ანგარების გამო უარს ამბობს ბრძნულ, ჭეშმარიტ ისტორიულ გამოცდილებაზე და არ იყენებს მას დღევანდელი მდგომარეობიდან თავდასაღწევად.** თითქოს ჩვენზეა ნათქვამი: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა". თითქოს ჩვენ, ქართველებს არ გვყოლია: აიეტი, ფარნავაზი, გორგასალი, აღმაშენებელი, ჭყონდიდელი, თამარი, რუსთაველი, ცოტნე დადიანი, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი სააკაძე, ერეკლე მეორე, გიორგი, ექვთიმე და იოანე მთაწმინდელები, იოანე პეტრიწი და სხვა მრავალი სახელოვანი ადამიანი. მათი ნაღვაწის განქიქებას და ყოველივე ქართული ეროვნული ტრადიციების, მასთან ერთად, ერისა და სახელმწიფოებრიობის მიწის პირისაგან საბოლოოდ აღსაგველად ემზადება შავ-ბნელი ძალები, ამიტომ **ხალხის არა მხოლოდ გამოსვლა, არამედ ხალხის აზვირთება, მხოლოდ აზვირთება გადაარჩენს ქვეყანას!**

**ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ, ᲐᲜᲢᲘᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ, ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲑᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲗᲐᲕᲡ „ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ" ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ, ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲨᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲩᲔᲮᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲯᲕᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲙᲠᲣᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ. ᲛᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲜᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ "ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ" ᲓᲐ "ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ" ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲓᲐᲚᲔᲡᲘᲚᲘ ᲛᲒᲚᲔᲑᲘᲕᲘᲗ ᲩᲐᲡᲐᲤᲠᲔᲑᲣᲚᲐᲜ ᲠᲐᲗᲐ ᲓᲐᲒᲚᲘᲯᲝᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲜᲐᲬᲘᲚᲝᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲥ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲭᲙᲣᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲣᲐᲠᲡ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲓ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲔᲡᲘ ᲦᲕᲔᲖᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲜᲔᲑᲝ ᲜᲐᲭᲠᲘᲡ ᲓᲐᲗᲠᲔᲕᲐᲖᲔ?..**



**ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ, ᲐᲜᲢᲘᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ, ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲑᲐᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲗᲐᲕᲡ «ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ» ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ, ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲨᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲩᲔᲮᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲯᲕᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲙᲠᲣᲚᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ**

საქართველოში მიმდინარე დამღუპველ პროცესებს ოლიმპიური სიმშვიდით უყურებს საქართველოს სამოციქულო ეკლესია და სინოდიც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, აგრძელებს თავის საქმეს.

ეგრეთ წოდებული ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელები და ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებასთან შეთანხმებულად აკრიტიკებს, ლანძღავს და აგინებს „ხელისუფლებას", აწყობს ხალხის თვალის ასახვევ ქუჩის აქციებს, მოძალადე ხელისუფლებას უჩვენებს აქციის მონაწილეთა უსუსურობას, მის სუსტ ადგილებს და აწრთობს დარბევის ძალოვან სტრუქტურებს ისე, როგორც მჭედელი რკინას.

ამ, უკაცრავად პასუხია, ოპოზიციური პარტიების ლიდერებს, ინტელიგენციის „აქტიურ" წარმომადგენლებს, მეცნიერებს, ექსპერტებს, პოლიტოლოგებს, რომლებიც პრესის ფურცლებზე თუ ტელეეკრანებთან თავიანთი „ერუდირებულობით კეკლუცობენ", ან წარმოდგენა არ აქვთ, როგორი სახელმწიფოს აშენება სურთ, ან არაფერი გაეგებათ სახელმწიფო მშენებლობისა და მართვის საქმეში. ამიტომ ისინი თავს გაუთავებელი უაზრო დისკუსიებით, ე. წ. ბრიფინგებითა და უთავბოლო პოლიტიკური ლაყბობით ირთობენ, ან კიდევ ისე კარგად აქვთ მოწყობილი საკუთარი ცხოვრება — სახლკარი, აგარაკები, ძვირადღირებული ავტომანქანები, თანამდებობები, ხელფასები ოჯახის ყველა წევრისა და მეგობრების დასაქმება, პრესითა თუ ტელევიზიით კვირაში ერთი-ორჯერ ხალხის დაბოლება და თავის მოწონება, საზღვარგარეთ შეუზღუდავი გასეირნება, და სხვა მრავალი პრივილეგია, რომ აღარ რჩებათ დრო ქვეყნის კატასტროფიდან გამოყვანისთვის, ხელისუფლების შეცვლის მშვიდობიანი, რეალური გზების ძიებისა. ისე იქცევიან, რომ არც მწვადი დამწვან და არც შამფური. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათი უმრავლესობა ცდილობს, სიცოცხლის წლები ისე განვლონ, რომ საერო წარმომადგენლებმა სამუდამო განსასვენებელი მოიპოვონ „საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში", ხოლო სასულიერო პირებმა, თუ ეკლესიის შიგნით არა, — ეკლესიის ეზოში მაინც.



**ᲐᲛ, ᲣᲙᲐᲪᲠᲐᲕᲐᲓ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲐ, ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲡ, ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ «ᲐᲥᲢᲘᲣᲠ» ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ, ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲡ, ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲗᲣ ᲢᲔᲚᲔᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ «ᲔᲠᲣᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲙᲔᲙᲚᲣᲪᲝᲑᲔᲜ», ᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲗ, ᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲔᲒᲔᲑᲐᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ**

**ᲐᲡᲔᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲑᲔᲓᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ, „ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲘᲨᲘᲨᲕᲚᲔᲑᲔᲜ ᲮᲛᲐᲚᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲘᲓᲔᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲡᲐᲮᲨᲘᲕᲔ ᲩᲐᲮᲨᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ.**

**თუ ვინმეს გაუჩნდება სურვილი ქვეყნის უფსკრულიდან ამოყვანისა და გადარჩენის და არ უნდა, რომ ქვეყანა „ვაის" მდგომარეობიდან „უის" მდგომარეობაში აღმოჩნდეს, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს საქართველოს ათასწლოვანი ისტორიის შუქჩრდილები, სტალინური ეპოქის ავი და კარგი, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოში დატრიალებული უბედურებების გამომწვევი მიზეზები და ქართველი ერის დღევანდელი მორალურ-ზნეობრივი დეგრადაცია და ბოლოს, ქართველთა მავნე ამბიციები პირველობისათვის დაუოკებელი სწრაფვისა, რაც საუკუნეობრივი მოუშუშებელი ჭრილობაა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.**

თუ ყოველივე ეს გადავხარშეთ გონებაში, ქვეყნის გადასარჩენად მოსულ ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც, გამორიცხული არ არის, რომ ჩააყენებენ უხერხულ მდგომარეობაში — **ცილს დასწამებენ, სასაცილოდ აიგდებენ და ნაძირალად გამოაცხადებენ, სათანადოდ ვერ შევაფასებთ, დავიღუპებით ისევ იმ გადაგვარებული ელემენტების წყალობით, როგორც ეს გათვალისწინებულია წყეული ალენ დალესის საყოველთაოდ ცნობილი პროგრამით.**

**ᲠᲔᲕᲐᲖ ᲙᲘᲑᲝᲠᲫᲐᲚᲘᲫᲔ,**
შრომის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი,
გადამდგარი პოლკოვნიკი,
იურისტი

## ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

**ნაცისტური რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დამნაშავე 97 წლის ვლადისლაუს ჩიჟიკ-ჩატარი, რომელსაც დაუსწრებლად მიესაჯა სიკვდილით დასჯა, მშვიდად ცხოვრობს ბუდაპეშტში.** ამის შესახებ ჟურნალისტური გამოძიების საფუძველზე ინფორმაციის მოპოვება ბრიტანულ გაზეთ „სანის" ჟურნალისტებმა შეძლეს. არსებული ინფორმაციის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის დროს ჩიჟიკ-ჩატარი ქალაქ კასში არსებული გეტოს დაცვის პოლიციის უფროსის მოვალეობას ასრულებდა. აღნიშნულ გეტოში, სულ მცირე, 15 700 ათასი ებრაელი დახოცეს. ეს ადამიანი სიამოვნებას იღებდა ქალების გაროზგვით, აიძულებდა ტყვეებს, შიშველი ხელებით გაეთხარათ გაყინული მიწა, სასტიკად აწამებდა მათ. ომის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის სასამართლომ მას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა, თუმცა, რამდენადაც ცნობილია, იგი სხვისი სახელითა და გვარით სახცოვრებლად კანადაში გადავიდა, სადაც ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობდა. 1997 წელს კანადის ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა მისი ნამდვილი ვინაობის შესახებ, თუმცა უნგრელმა დამალვა მოახერხა. ამჟამად დადასტურებულია, რომ ნაცისტი დამნაშავე ბუდაპეშტში — ოროთახიან სახლში ცხოვრობს.

## «Porsche» ᲐᲕᲢᲝᲠᲑᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲰᲘᲑᲠᲘᲓᲣᲚ ᲡᲣᲞᲔᲠᲥᲐᲠᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ

**კომპანია „Porsche" ავტორბოლისათვის ჰიბრიდულ სუპერქარს შექმნის. ავტომანქან „Porsche 918 Spyder"-ს ტრეკის ოფციური სპორტული პაკეტი ექნება, რომლის თანახმადაც, ახალი ავტომანქანის წონა შემცირდება და ძარა შეუფერადებელი იქნება.** მანქანის საბაზო ვარიანტი 1 700 კილოგრამს შეადგენს. სპორტული პაკეტის მინიჭების შემდეგ კი მისი წონა 30 კილოგრამით შემცირდება. კომპანიაში მიიჩნევენ, რომ ავტოტრეკის პაკეტის მქონე სუპერქარს მყიდველთა 20 პროცენტი შეუკვეთავს. ამ მოდელის სულ 918 ავტომანქანას გამოუშვებენ. აქედან 90 პროცენტი სერიული გამოშვების დაწყებამდე გაიყიდება.

## ᲰᲘᲚᲐᲠᲘ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲡ ᲞᲝᲛᲘᲓᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲨᲘᲜᲔᲡ

**აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს ეგვიპტეში ვიზიტისას ქალაქ ალექსანდრიაში შეკრებილმა ხალხმა პომიდვრები და ფეხსაცმელები ესროლა. კლინტონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე შეკრებილი ხალხი მას უყვიროდა „მონიკა! მონიკა!".** აღნიშნულით ისინი ცდილობდნენ მისთვის ბილ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის „რომანი" გაეხსენებინათ. საპროტესტო აქციაზე, ძირითადად, ქვეყნის პრეზიდენტად მუჰამედ მუსრის არჩევის მოწინააღმდეგეები იყვნენ შეკრებილნი. მოსახლეობა აშშ-ის არჩევნებზე მუსრის მხარდაჭერაში ადანაშაულებს. ალექსანდრიაში სიტყვით გამოსვლისას ჰილარი კლინტონმა აღნიშნა, რომ აშშ არ ჩარეულა ეგვიპტის საარჩევნო პროცესში და მასზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. თუმცა, როგორც ანალიტიკოსები აცხადებენ, ეს არგუმენტი მოსრის მოწინააღმდეგეებისთვის დამაჯერებელი ვერ გამოდგა.



კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოთა შორის იდეოლოგიური განსხვავება გადამწყვეტ როლს არ თამაშობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სტალინმა უარი თქვა მსოფლიო რევოლუციის იდეაზე და მთელი ძალისხმევა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისკენ მიმართა.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-26 (139-164)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

**1933 და 1934 წლები, საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის გარკვეული დაახლოებისა და ურთიერთგაგების პერიოდად არის მიჩნეული. მაგრამ შუა ოცდაათიან წლებში პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ იაპონიასთან მოლაპარაკება ორმხრივი კონტაქტებითაც არის შესაძლებელი. მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობა გაცივდა. ერთ-ერთი მიზეზი აშშ ელჩის უკმაყოფილებაც იყო, რომელიც მან გამოთქვა ამერიკის კომპარტიის დელეგაციის მიწვევის გამო კომინტერნის (კომუნისტური ინტერნაციონალის) VII კონგრესზე „მასთან შეუთანხმებლად". მაგრამ მალე რუზველტმა სრულად გაითვითცნობიერა, თუ რამდენად დიდი მადა ჰქონდა იაპონიას ჩინეთის მიმართ, რის გამოც „ამომავალი მზის ქვეყანასთან" მოლაპარაკება ორმხრივ საფუძველზე შეუძლებელი იყო.**

1937 წლის დასაწყისში ელჩი ბულიტი დევისმა შეცვალა (ამასობაში იაპონიამ ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყო ჩინეთის ტერიტორიაზე). რუზველტმა ახალ ელჩს მოსთხოვა ყოფილიყო პრაგმატიკოსი და „მთავრობისთვის ინფორმაციის აკურატულად გადაცემით კი არ შემოფარგლულიყო, არამედ სტალინის ნდობა მოეპოვებინა". დევისმა, შეიძლება ითქვას, შეძლო ამ დავალების შესრულება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სტალინს არ შეეძლო დიდი დრო დაეთმო მისთვის, რადგან ქვეყნის საშინაო და საგარეოპოლიტიკური სიტუაცია უაღრესად გართულებული იყო. ამასთან, რუზველტი იზოლაციონისტების ძლიერ გავლენას განიცდიდა და ევროპულ საქმეებს აშკარად ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. არადა, სწორედ ეს საქმეები იყო სტალინისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

სსრ კავშირისა და აშშ-ის დაახლოებას მეორე მსოფლიო ომის წინ, უწინარეს ყოვლისა, განაპირობებდა ორივე ქვეყნის ურთიერთსაწინააღმდეგო ეკონომიკური მდგომარეობა. შეერთებული შტატების მოწინავე სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალი დამუხრუჭებული იყო, ინდუსტრიულად ჩამორჩენილი საბჭოთა კავშირი კი აქტიურად ვითარდებოდა — ემზადებოდა ფაშისტურ გერმანიასთან გარდუვალი დაპირისპირებისთვის.

ორივე მხარეს ერთმანეთი ძალიან სჭირდებოდა და კონტაქტებიც აქტიური იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტალინის და რუზველტის დიპლომატიური ურთიერთობა ნულზე იყო.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოთა შორის იდეოლოგიური განსხვავება გადამწყვეტ როლს არ თამაშობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სტალინმა უარი თქვა მსოფლიო რევოლუციის იდეაზე და მთელი ძალისხმევა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისკენ მიმართა, აშშ შეეცადა მოგება მიეღო მასთან პარტნიორული ურთიერთობის მეშვეობით. თუმცა გაუცხოებისა და ეჭვიანობის დიდი დოზა დარჩა, უპირატესად, — აშშ მთავრობის მხრიდან, რომელმაც, როგორც იქნა, დაძლია და დაამშვიდა სოციალური მღელვარება თავის ქვეყანაში.

### დაუსწრებელი კონტაქტები

რუზველტის რეაქცია საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის გამო ფრიად თავისებური იყო.

„ორი დღის შემდეგ, — წერს საბჭოთა ისტორიკოსი ა. უტკინი, — პრეზიდენტმა თადარიგი დაიჭირა იმაზე მითითებით, რომ საბჭოთა მთავრობას ოფიციალურად არაფერი უთხოვია და ამერიკის დახმარების მთავარ მიმღებად ინგლისი რჩებოდა. როცა 24 ივნისის პრესკონფერენციაზე ერთმა ჟურნალისტმა რუზველტს ჰკითხა, დაეხმარება თუ არა საბჭოთა კავშირს, რუზველტმა უპასუხა:

— რომელიმე სხვა შეკითხვა დამისვით".

წინა დღეს კი სენატორმა და მომავალმა პრეზიდენტმა **ჰარი ტრუმენმა** „ნიუ იორკ ტაიმსის" კორესპონდენტს გულახდილად განუცხადა:

**„— თუ ჩვენ დავინახავთ, რომ გერმანია იმარჯვებს, ჩვენ უნდა დავეხმაროთ რუსეთს, თუ შევატყობთ, რომ იმარჯვებს რუსეთი, ჩვენ უნდა დავეხმაროთ გერმანიას, და ამრიგად, დაე რაც შეიძლება უფრო მეტად დახოცონ ერთმანეთი!"**

ცინიკური, მაგრამ სავსებით ბუნებრივი აღიარებაა. ჯერ ერთი, მხედველობაშია მისაღები, რომ არცერთი ამ ორი ქვეყნიდან აშშ-ს მეგობრებში არ ირიცხებოდა; მეორე, ორივე საშიში კონკურენტი იყო მსოფლიო ასპარეზზე. როცა ერთმანეთს ეჯახება ორი კონტინენტური გიგანტი, უმჯობესია, დრომდე გვერდზე იდგე, თუ საიმედოდ ხარ დაცული ზღვებითა და ოკეანეებით (ინგლისისთვის, როგორც ცნობილია, ერთი სრუტეც საკმარისი აღმოჩნდა, კარგა ხანს ომში რომ არ ჩართულიყო).

რუზველტი აშკარად იმყოფებოდა აშშ იმ გავლენიანი წრეების წნეხის ქვეშ, რომელთაც მიაჩნდა, რომ გაცილებით მიზანშეწონილი იყო, ამერიკა ამ კონფლიქტში არ ჩარეულიყო, ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირს არ დახმარებოდა ისეთივე დოზით, როგორც ეხმარებოდა ინგლისს. ამას ემატებოდა ამერიკელი გენერლების თვალსაზრისი, რომ წითელი არმია ვერმახტის შემოტევას 3 თვეზე მეტს ვერ გაუძლებდა.

რუზველტი თვითონაც მიიჩნევდა, რომ „რუსები ამ ზაფხულს ვერ გაუძლებენ".

**მაგრამ უკვე ერთი თვის შემდეგ აშკარა გახდა: საბჭოთა კავშირი უცებ არ დამარცხდება, იბრძოლებს ბოლომდე თავისი ყველა რესურსის გამოყენებით. გერმანელთა „ბლიცკრიგი" ჩავარდა, თუმცა შეტევა გრძელდებოდა. სწორედ იმ დღეებში დევისმა უთხრა პრეზიდენტს, რომ წითელი არმია „გააოცებს მთელ მსოფლიოს". გამოკითხვის თანახმად ამერიკელების სამი მეოთხედი სსრ კავშირისთვის დახმარების გაწევას ემხრობოდა.**

1941 წლის შემოდგომაზე, ისე ჩანდა, რომ საბჭოთა კავშირის ბედი ბეწვზე ეკიდა. კიევისთვის ბრძოლაში გერმანელებმა ათობით ათასი საბჭოთა ჯარისკაცი დაატყვევეს, ალყაში მოაქციეს ლენინგრადი. და მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის მიერ მოსკოვში გაგზავნილი თავისი უახლოესი მრჩეველი ჰარი ჰოპკინსი აშშ-ში გამარჯვების მტკიცე რწმენით დაბრუნდა: წინააღმდეგობის გაწევის უნარი რუსებს არ ამოწურვიათ, საბჭოთა კავშირი გაუძლებს; საბჭოთა კავშირისთვის გაგზავნილი ამერიკული დახმარება ძალიან ეფექტიანი იქნება. მან რუზველტს აცნობა, რომ სტალინმა შექმნილი მდგომარეობა გულახდილად შეაფასა, შელამაზება არც უცდია. პრეზიდენტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტალინის მიერ თქმულმა წინადადებამ: „მოგვეცით საზენიტო ქვემეხები და ალუმინი და ჩვენ სამ და ოთხ წელიწადს შევძლებთ ვიბრძოლოთ".

ჰოპკინსთან საუბარი სტალინმა დაამთავრა იმით, რომ აშშ-ს ომში ჩაბმისკენ მოუწოდა. მან თქვა, რომ მიესალმებოდა „ამერიკის ჯარების მოსვლას რუსეთის ფრონტის ნებისმიერ უბანზე ამერიკელთა სარდლობით".

უეჭველია, რომ სტალინს შეგნებული ჰქონდა ამერიკული მხარის უარყოფითი რეაქცია ამ შეთავაზებაზე, რადგან მისი განხორციელება უეჭველად გამოიწვევდა ამერიკელი ჯარისკაცების დიდ დანაკარგს, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ შედეგად — კომპენსაციის სახით გაიზრდებოდა მატერიალური დახმარება საბჭოთა კავშირისათვის. სამწუხაროდ, ეს იმედი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა.

**ჰარი ჰოპკინსი** ლაპარაკობდა აშშ გავლენიან წრეებში ანტისაბჭოთა ოპოზიციის სიძლიერეზე: **„საოცრად დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც არ სურთ დაეხმარონ რუსეთს, და რომლებიც, როგორც ჩანს, თავიანთი სქელშუბლა თავებით ვერ აცნობიერებენ ამ ფრონტის სტრატეგიულ მნიშვნელობას".** 1941 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დაგეგმილი 41 ხომალდის ნაცვლად, რომლებზეც უნდა ყოფილიყო სსრ კავშირისთვის მისაწოდებელი ტვირთი, ზღვაში მხოლოდ 12 გავიდა.

**1941 წლის 13 საათსა და 10 წუთზე იაპონელმა მფრინავებმა დაბომბეს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზა პერლ-ჰარბორი: აშშ ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში, ნაწილობრივ იძულებით, ასეც შეიძლება შეფასდეს.**

16 დეკემბერს სტალინმა რუზველტისგან მიიღო წერილი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, კერძოდ, ნათქვამი იყო:

„მე შევთავაზე გენერალისიმუს ჩან კაიშის დაუყოვნებლივ მოიწვიოს ჩუნცინში ჩინეთის, საბჭოთა კავშირის, ბრიტანეთის, ჰოლანდიისა და ამერიკის წარმომადგენლების კონფერენცია. ეს ჯგუფი შეიკრიბებოდა არა უგვიანეს 17 დეკემბრისა და შედეგებს თავიანთ მთავრობებს მოახსენებდნენ შაბათს, 20 დეკემბრისთვის...

...კიდევ ერთხელ მსურს გაცნობოთ საყოველთაო, ჭეშმარიტი ენთუზიაზმის შესახებ, რომელიც სუფევს შეერთებულ შტატებში თქვენი არმიების წარმატებათა გამო თქვენი დიადი ერის თავდაცვის საქმეში. ვიმედოვნებ, რომ წინასწარი კონფერენციები, რომლებიც მე უახლოესი კვირისთვის შემოგთავაზეთ, ჩვენი ძალისხმევის დაგეგმვის უფრო მუდმივი ორგანიზების ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება..."

სტალინმა მეორე დღეს ზრდილობიანი უარით უპასუხა, რადგან არ იცნობდა დღის წესრიგს, და, რაც მთავარია, კონფერენცია ძალიან მოკლე ვადაში იყო დანიშნული. და დაამატა: „გისურვებთ წარმატებას წყნარ ოკეანეში აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში".

**სავარაუდოა, რომ რუზველტს სურდა მო-** ▶

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ომში ჩართვის შესახებ, მაგრამ არცთუ ცოტანი იყვნენ ისინიც, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ „ინგლისმა აშშ ომში ჩაითრია".

**◀ეწვია საბჭოთა კავშირი შორეულ აღმოსავლეთში გასამართ მოლაპარაკებაში იმ მიზნით, რათა ეჩვენებინა იაპონიისთვის, თუ რომელი სახელმწიფოები არიან მზად გაილაშქრონ მის წინააღმდეგ. მაგრამ სტალინს ხელს არ აძლევდა გაემწვავებინა ურთიერთობა იაპონიასთან, რადგან მასთან დადებული ჰქონდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელსაც ორივე მხარე პატიოსნად იცავდა. აშშ-ს წარმატება რომ უსურვა, სტალინმა ამით მიანიშნა, რომ იგი მზად არ არის, როგორც მან თქვა, ომისთვის წყნარ ოკეანეზე, ანუ შეერთებული შტატების ინტერესების ზონაში.**

სტალინის ამ წერილზე რუზველტს არ უპასუხია. 11 თებერვალს მან სტალინს აცნობა, რომ რუსეთში გააგზავნა თვითმფრინავები და ტანკები, თანაც დასძინა: „მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებსაც ამჟამად შორეულ აღმოსავლეთში განვიცდით, ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში ამ რაიონში იმდენად გავძლიერდებით, რომ შევძლებთ იაპონელების შეჩერებას. მაგრამ ჩვენ მზად ვართ ზოგიერთი შემდგომი წარუმატებლობისთვისაც".

ისტორიკოსებს, მათ შორის, ზემოთ ნახსენებ უტკინს მიაჩნიათ, რომ **მოსკოვისთვის ბრძოლის დღეებში კიდევ ერთი ფრონტის გახსნა საბჭოთა კავშირისათვის სულაც არ იყო მიმზიდველი იდეა,** მაგრამ კონფერენციის მოწყობის შესახებ წინადადება საბჭოთა მთავრობას არ უარყვია. „ამერიკის მხარე, — შენიშნავს უტკინი, — ამგვარ წინადადებებს აყენებდა იმ სასიკვდილო საშიშროების გაუთვალისწინებლად, რომელიც საბჭოთა კავშირს თავს დაატყდა".

ამერიკელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ომში ჩართვის შესახებ, მაგრამ არცთუ ცოტანი იყვნენ ისინიც, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ „ინგლისმა აშშ ომში ჩაითრია". აქედან მოყოლებული, ამერიკელები, მართლაც იმ ძირითად ძალად იქცა, რომელიც შეებრძოლა იაპონელებს.

ცუდად შეიარაღებული და ცუდად მართული ჩან კაიშის უაღრესად მრავალრიცხოვანი არმიები ვერ უმკლავდებოდნენ იაპონელებს ამერიკელების მრავალმხრივი დახმარების გარეშე. ავსტრალიამ, რომლის მთავარ ქალაქებს ბომბავდნენ იაპონელები, გაუძლო მხოლოდ ამერიკის იქ ჩასული სამხედრო შენაერთების წყალობით. ამასობაში ჩერჩილი მთავარ ყურადღებას უთმობდა ინდოეთისა და ახლო აღმოსავლეთის დაცვის პრობლემას.

1942 წლის პირველ დღეს ინგლისის პრემიერთან საბჭოთა კავშირთან მოკავშირეობის საკითხის განხილვისას ამერიკის პრეზიდენტმა თქვა, რომ **სტალინი სათავეში უდგას „ძალიან ჩამორჩენილ ხალხს" და ამით ბევრი რამ ნათელი ხდება.**

ა. უტკინი სამართლიანად შენიშნავს: „მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი მარტოდმარტო ებრძოდა გერმანიას, პრეზიდენტი რუზველტი დაკავებული იყო, უწინარეს ყოვლისა, ინგლის-ამერიკის ერთობლივი მოქმედების მექანიზმის შექმნითა და ჩერჩილთან პირადი ურთიერთობის განმტკიცებით".

**აშშ და ინგლისი ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას არ ჩქარობდნენ. 1942 წლის 6 ნოემბერს საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას სტალინმა განაცხადა: „ჩვენი მოკავშირეები არ უნდა შეცდნენ იმის შეფასებაში, რომ მეორე ფრონტის გაუხსნელობას შეიძლება მოჰყვეს ცუდი შედეგები ყველა მშვიდობიანი ქვეყნისთვის, მოკავშირეების ჩათვლით".**

მან გააგებინა რუზველტსა და ჩერჩილს, რომ მათი ჯარების გადასხმა ჩრდილოეთ აფრიკაში მეორე ფრონტის გახსნად ვერა და ვერ ჩაითვლება. მაგრამ რუზველტი კვლავ ერთგულებდა ჩერჩილის ტაქტიკას გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი დასუსტების შესახებ.

## სტალინის „გაცურების" მცდელობა

1942 წლის აგვისტოში რუზველტმა თავი აარიდა სტალინთან შეხვედრას მოსკოვში, სადაც შეიძლებოდა გამართულიყო სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა. ჩავიდა მხოლოდ ჩერჩილი, რომელიც (წინა პუბლიკაციებში ჩვენ ამაზე ვილაპარაკეთ) იძულებული იყო გაემართლებინა მოკავშირეთა უმოქმედობა დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სტალინს დაპირდნენ გაზაფხულზე ან ზაფხულში გადაედგათ ამ საქმის განსახორციელებლად პრაქტიკული ნაბიჯები. საბჭოთა ჯარებს უკიდურესად უჭირდათ გერმანელების შეტევის შეჩერება, რომლებიც სტალინგრადს მიუახლოვდნენ.

**ამ პერიოდში მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირს უმთავრესად წერილებით ეხმარებოდნენ. ამ წერილებს სტალინი ძალიან მოკლედ, ფორმალურად სცემდა პასუხს. აშკარა იყო, რომ გერმანია და საბჭოთა კავშირი სისხლისმღვრელ ბრძოლებში უნდა დასუსტებულიყვნენ მაშინ, როცა აშშ და ინგლისი დიდი ბრძოლების გარეშე და მსოფლიოს სხვა რეგიონებში თავიანთი ინტერესების დაცვას ამჯობინებდნენ, უწინარეს ყოვლისა, წყნარი ოკეანისა და ხმელთაშუაზღვის რეგიონებში. სავსებით გასაგებია, რომ მოკავშირეთა ასეთი პოზიციით სტალინი კმაყოფილი ვერ იქნებოდა.**

რუზველტისა და ჩერჩილის აზრით, იმ მომენტში შექმნილი იყო ხელსაყრელი პირობები სამი უდიდესი სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენციის მოსაწყობად. სტალინი სხვაგვარად ფიქრობდა. მან არ მიიღო მოკავშირეთა ეს წინადადება, რაც მიმდინარე სამხედრო საკითხებით უკიდურესი დაკავებულობით ახსნა. მალე რუზველტმა გაიმეორა თავისი წინადადება და კვლავ უარი მიიღო.

ჩვენს მკითხველებს ბუნებრივად დაებადებათ შეკითხვა: **რა იყო სტალინის მიერ დასავლელ მოკავშირეთა წინადადების ასეთი დაჟინებითი უარყოფის მიზეზი?** თავი ხომ არ იჩინა მისმა „ავადმყოფურმა ეჭვიანობამ"? თუ მან ვერ განსაზღვრა ის დადებითი შედეგები, რომლებიც ამ შეხვედრას მოჰყვებოდა? და ა.შ. ხელიდან ხომ არ გაუშვა საბჭოთა ბელადმა ვითარების გარდატეხის შესანიშნავი შესაძლებლობა?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო იქნება თვალი გადავავლოთ სტალინისა და რუზველტის მიმოწერას ამ პერიოდში.

უცნაურია, რომ მაშინ, როცა სტალინგრადში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, აშშ პრეზიდენტმა 1942 წლის 2 დეკემბრის წერილში, რომელიც სტალინს გაუგზავნა, საბჭოთა ლიდერს სამი ხელმძღვანელის შეხვედრის გამართვა შესთავაზა. ამასთან, თითქოს სასხვათაშორისოდ დაამატა: „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმ მოქმედებათა ერთგვარად წინასწარ შეთანხმებას, რომლებიც გერმანიის კრახის შემთხვევაში უნდა განვახორციელოთ".

სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუზველტმა შესთავაზა ევაჭრათ ომისშემდგომი ევროპის მოწყობაზე. რუზველტი სპეკულირებდა საბჭოთა კავშირის უდიდეს გაჭირვებაზე, რის გამოც, მისი გათვლით, სტალინს თავზე მოახვევდა ინგლის-ამერიკის წინადადებებს საბჭოთა კავშირისთვის აქტიური დახმარების გაწევის სანაცვლოდ.

უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ რუზველტმა დაიჟინა და კვლავ წერილით მიმართა საბჭოთა ბელადს (8 დეკემბერს):

**„უაღრესად გულგატეხილი ვარ იმით, რომ თქვენ შესაძლებლად არ მიიჩნევთ იანვარში გამოითავისუფლოთ დრო თათბირში მონაწილეობის მისაღებად. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბევრი საკითხი არის ისეთი, რომლებიც ჩვენს მიერ უნდა იყოს განხილული.** ეს ეხება არა მარტო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, არამედ ისეთ საგნებსაც, რომლებზეც უნდა მოვილაპარაკოთ წინასწარი წესით იმ მოქმედებათა შესახებ, რომლებიც ამთავითვე უნდა შევიმუშაოთ საგანგებო შემთხვევებისთვის და განვახორციელოთ, თუ და როცა ამის საშუალებას მოგვცემს გერმანიაში ჩამოყალიბებული პირობები. ეს საკითხები შეიძლება შეიცავდეს სხვა ასპექტებსაც, რომლებიც შეეხება მომავალ პოლიტიკას ჩრდილოეთ აფრიკისა და შორეული აღმოსავლეთის მიმართ..."

**ამას გარდა შეთავაზებული იყო წინადადება კავკასიაში ამერიკის სამხედრო საჰაერო ბაზის შექმნის შესახებ. სტალინმა კვლავ შეახსენა, რომ უაღრესად დაკავებულია: რომ გაურკვეველია, კერძოდ, რომელი საკითხების განხილვას სთავაზობენ მაშინ, როცა მეორე ფრონტი არ გაიხსნა 1942 წელს და არსებობს მოლაპარაკება მისი გახსნის შესახებ 1943 წლის გაზაფხულზე. კავკასიის ბაზის შესახებ კი შეახსენა, რომ მთავარი ბრძოლები მიმდინარეობს ცენტრალურ ფრონტზე და არა კავკასიაში, ამასთან, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ ამერიკელები თვითმფრინავებს მიაწვდიდნენ.**

დამატებით გამოგზავნილ წერილებში რუზველტი მიანიშნებდა, რომ დროა, საბჭოთა კავშირი გადავიდეს საომარ მოქმედებაზე იაპონიის წინააღმდეგ, რისთვისაც ამერიკის აქტიურ მხარდაჭერას მიიღებდა. სტალინმა უპასუხა, რომ დახმარება სჭირდება „არა შორეულ აღმოსავლეთში"... არამედ გერმანელებთან უმკაცრესი ომის ფრონტზე. წარუმატებელი იყო რუზველტის მცდელობა დაეთანხმებინა სტალინი შორეულ აღმოსავლეთში ამერიკული ავიაბაზის შექმნაზე. სტალინის პოზიცია გამართლებული იყო, რადგან რუზველტის წინადადების განხორციელებას შეიძლებოდა იაპონიასთან ომის დაწყება მოჰყოლოდა.

საინტერესოა, რომ 1943 წლის დასაწყისიდან რუზველტი ხშირად ეთათბირებოდა აშშ ყოფილ ელჩს საბჭოთა კავშირში ბულიტს. ეს უკანასკნელი ურჩევდა, რომ თუ სტალინი თავს არ შეიკავებდა ევროპის ქვეყნების ანექსიისგან, აშშ-მ ყურადღება ევროპულიდან წყნარი ოკეანის თეატრისკენ უნდა გადაიტანოს და წითელი არმია ვერმახტის პირისპირ დატოვოს. ამას გარდა, აშშ-ს უნდა შეემცირებინა საბჭოთა კავშირისთვის დახმარების მოცულობა და არც ეხსენებინა ომისშემდგომი სესხები, რაც მას დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად დასჭირდებოდა. ბულიტი განიხილავდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრის საკითხს, რითაც საბჭოთა ჯარებს ცენტრალური ევროპისკენ გზა გადაეკეტებოდა.

ექსპერტების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ბულიტის შეხედულებას რუზველტი გარკვეულად ითვალისწინებდა. მეორე ნაწილი საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას: **რუზველტი არ იყო იმ ტიპის მოღვაწე, რომელიც შეიძლებოდა ვინმეს გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. მისთვის მიცემულ რჩევასა და წინადადებებს იგი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ გადაწყვეტილებებს ყოველთვის დამოუკიდებლად იღებდა თავისი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე... აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საომარ მოქმედებათა ევროპული თეატრი ამერიკას იმ დროს ნაკლებად აწუხებდა.**

**1943 წლის შუა სექტემბრისთვის (გერმანელების ახალი დიდი შეტევის დაწყებისთვის) საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა, აშკარად არა საბჭოთა მხარის მიზეზით. ჩრდილოეთში, ბარენცის ზღვაში აღარ ჩანდა ხომალდების ქარავნები საბჭოთა კავშირისთვის განკუთვნილი სამხედრო ტვირთით. მეორე ფრონტი არ გაიხსნა მაშინ, როცა რაიხმა თითქმი მთელი თავისი შეიარაღებული ძალები აღმოსავლეთ ფრონტზე გადმოისროლა: ამერიკელებმა ამჯობინეს დახმარებოდნენ ინგლისელებს ტუნისში.**

რუზველტი მხარს უჭერდა პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობას, რომელიც ლონდონს იყო შეფარებული, რადგან ამერიკაში მცხოვრებ რამდენიმე მილიონ პოლონელ ამომრჩეველთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდა. რუზველტმა არ შეუსრულა თხოვნა სტალინს, რომელმაც ფინეთთან სამხედრო კამპანიის მიმდინარეობისას მანერგეიმის მთავრობასთან ურთიერთობის გაწყვეტის წინადადებით მიმართა. არადა, სტალინმა იმ პერიოდში დასავლეთს ანგარიში გაუწია და დაითხოვა კომინტერნი, რითაც კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ღია პოლიტიკური გამოსვლების შეწყვეტის დემონსტრირება მოახდინა.

სტალინმა ვაშინგტონიდან გამოიწვია საბჭოთა კავშირის ელჩი, ყოფილი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლიტვინოვი და რუზველტთან შეხვედრაზე უარი თქვა. იგი პერიოდულად აცნობებდა ამერიკის პრეზიდენტს, რამდენ დივიზიას გადმოისროდა ხოლმე ბერლინი დასავლეთიდან აღმოსავლეთ ფრონტზე.

სიცილიაში მოკავშირეთა ჯარების გადახმა და ბერლინის დაბომბვა მეორე ფრონტის გახსნის ეკვივალენტური არ იყო.

**1943 წლის კურსკთან და ორიოლთან ისტორიის ბედი კვლავ სასწორზე იქნა შეგდებული, მაგრამ რუზველტს, ისევე, როგორც ჩერჩილს იტალიის გავლით ცენტრალურ ევროპაში შეჭრა, ბერლინის და ბალკანეთის ხელში ჩაგდება უფრო აინტერესებდათ, ვიდრე აღმოსავლეთ ფრონტზე შექმნილი უაღრესად კრიტიკული სიტუაცია.**

1943 წელს იტალიაში მუსოლინის დამხობის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა მარშალ ბადოლიოს მთავრობა, ადამიანის, რომელმაც 1935-1937 წლებში სისხლის კალო დაატრიალა ეთიოპიაში და „სისხლიანიც" ამიტომ უწოდეს. მან სასწრაფოდ დაიწყო მოლაპარაკება კაპიტულაციის შესახებ ინგლისელებთან და ამერიკელებთან. სტალინმა უკმაყოფილება გამოთქვა თავისი დასავლეთელი მოკავშირეების ასეთი სეპარატული მოქმედების გამო. საბჭოთა ბელადმა განაცხადა, რომ უნდა შეწყდეს საბჭოთა კავშირისადმი იმგვარი დამოკიდებულება, როცა მას „მესამე პასიურ დამკვირვებლად მიიჩნევენ".

სტალინი სერიოზულად შეშფოთდა იმის გამო, რომ თუ აშშ ბადოლიოსთან დაზავებაზე წავიდა და არ გაითვალისწინა სსრკ ინტერესები, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ რომელიღაც ეტაპზე ასევე წარმატებით შეუთანხმდა ჰიტლერს სეპარატულ დაზავებაზე. ასეთი პერსპექტივა სულაც არ იყო ფანტასტიკის სფეროდან მოხმობილი დაშვება.

დღეს, როცა ვიცით, რომ ასეთი რამ არ მოხდა, ძნელია წარმოვიდგინოთ, რას ფიქრობდა სტალინი მოკავშირეთა მოქმედებაზე, რომლებმაც მეორედ მოატყუეს იგი საბჭოთა კავშირისთვის უმძიმეს პერიოდებში — 1942 და 1943 წლების ზაფხულში. აშკარა იყო, რომ ამერიკისა და ინგლისის მთავრობები თავს არიდებდნენ ვერმახტთან შეტაკებას, რითაც წითელი არმიის დანაკარგებს ზრდიდნენ.

იბადება შეკითხვა: რატომ ხდებოდა, რომ საბჭოთა კავშირისთვის ომის მაინც და მაინც უმძიმეს პერიოდებში სთავაზობდნენ ინგლისისა და ამერიკის ლიდერები მოლაპარაკების გამართვას, ნაცვლად იმისა, რომ მაქსიმალურად დახმარებოდნენ მოკავშირეს, რომელიც ფაქტობრივად მარტოდმარტო ებრძოდა ფაშიზმს?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემით დავიწყებთ ჩვენს მომდევნო პუბლიკაციას.

რუზველტი ოვალურ კაბინეტში



**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე ძვირადღირებული კატა

**კატები, უკვე ათას წელზეა მეტია, ადამიანის გვერდით ცხოვრობენ: ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტელებს ეს ლამაზი და მოხდენილი ცხოველები თავიანთ საცხოვრებლებში ჰყავდათ. დღესდღეობით მეცნიერები ცდილობენ, ახალი ჯიშები გამოიყვანონ. ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტის შედეგია აშერა. იგი ამერიკაში გამოიყვანეს და ყველაზე ძვირადღირებულ შინაურ ცხოველად იქცა.** კატის წონა 14 კილოგრამს აღწევს, სიმაღლე — 1 მეტრს. არიან ადამიანები, რომლებსაც უნდათ ასეთი საყვარელი „ლეოპარდი“ სახლში ჰყავდეთ. მართალია, აშერა ლეოპარდი არაა, მაგრამ ვიზუალურად ძალიან ჰგავს. მეორე მხრივ, გენეტიკის გამო ის კატასავით დამჯერია. ამ კატის წინაპრები არიან აფრიკული ველური კატა და აზიური ლეოპარდისებრი კატა. თუ აშერას ყიდვას გადაწყვეტთ, 25 ათასი დოლარი დაგჭირდებათ.

# ავტობუსი ნაბახუსევთათვის











**ლას-ვეგასის ერთ-ერთი ექიმის ინიციატივით, ქალაქის ქუჩებში გაუშვეს სპეციალური ავტობუსი სახელწოდებით HANGOVER HEAVEN, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ნაბახუსევთა ზეცას“. მისი მთავარი ამოცანაა, აღმოუჩინოს ოპერატიული დახმარება ნაბახუსევ ხალხს და ბოლო მოუღოს მათ „ტანჯვას“.** სპეციალურად მომზადებული ექთნები უდგამენ ავადმყოფებს წვეთოვანს ფიზიოლოგიური ხსნარითა და ვიტამინებით, რაც ხელს უწყობს ალკოჰოლის ნარჩენების გამოტანას ორგანიზმიდან. ვიტამინების ერთი პაკეტის ფასი 90 დოლარს შეადგენს.

# ყველაზე მაღალი ოჯახი

**52 წლის ინდოელი შარად კულკარნი, როგორც ოჯახის მეთაურს შეჰფერის, სახლში ყველაზე მაღალია. მისი სიმაღლე 2,19 მეტრია. მისი მეუღლის, 46 წლის სანჟოტის სიმაღლე კი 1,90 მეტრს შეადგენს. მშობლებს არაფრით ჩამორჩებიან მათი ქალიშვილები, რომლებიც მოდელობაზე ოცნებობენ: 22 წლის მრუგა სიმაღლეში 1,85 მეტრია, 16 წლის სანია კი — 1,93 მეტრი.**

კულკარნები ყველაზე მაღლები არიან არა მხოლოდ მშობლიურ პუნაში (ქალაქი აღმოსავლეთ ინდოეთში), არამედ მთელ ინდოეთში, რომლის მოსახლეობაც მილიარდს აჭარბებს. ისინი იმედოვნებენ, რომ მსოფლიოს ყველაზე მაღალი ოჯახის კატეგორიაში გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდებიან. ამ დროისთვის გინესის რეკორდების წიგნში ასეთი კატეგორია არ არსებობს, მაგრამ გამომცემლები მის დამატებას აპირებენ.

შარად და სანჟოტ კულკარნები 1989 წელს დაქორწინდნენ, მას შემდეგ წყვილი რეკორდების ინდურ წიგნ „ლიმკაშია“ შეტანილი. მათ იმედი ჰქონდათ, რომ პლანეტის ყველაზე მაღალი ცოლ-ქმრის ტიტულს მოიპოვებდნენ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კალიფორნიის ქალაქ სტოკტონში მცხოვრები უეინ და ლორი ჰოლკვისტები მათზე 2 სმ-ით მაღლები არიან.

შარადი ადრე სპორტით იყო დაკავებული. მან კალათბურთში საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია და საერთაშორისო შეჯიბრებებში ინდოეთის ნაკრებში თამაშობდა.

რეკორდსმენი ოჯახის ცხოვრება ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებისგან ძალიან განსხვავდება. ტანისამოსისა და ფეხსაცმლის შეძენა მათ სპეციალურ მაღაზიებში უხდებათ ან შეკვეთით აკერინებენ. ისინი ცხოვრობენ სახლში, რომელიც ოჯახის წევრების სიმაღლის გათვალისწინებით არის გადაკეთებული — ყველა კარის სიმაღლე 180 სმ-დან 240 სმ-მდეა გაზრდილი. იგივე სტანდარტები ვრცელდება ავეჯისა და ყველა ნივთის მიმართ.



**კულკარნები არასდროს სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ისინი იძულებულნი არიან, მოტოროლერით იმგზავრონ.** ხოლო როდესაც ავიატრანსპორტით სარგებლობა უწევთ, ადგილებს პირველ რიგში ყიდულობენ ან სათადარიგო გასასვლელებთან ახლოს, სადაც მეტი სივრცეა.

# ყველაზე დიდი თვითმფრინავი

**ეს გიგანტი მფრინავი — ANTONOV 225 გასული საუკუნის ბოლოს, 1988 წელს, შეიქმნა და პირველი გაფრენა ამავე წლის 21 დეკემბერს შეასრულა. მას შთამბეჭდავი მონაცემები აქვს: სიგრძე – 84 მეტრი; სიმაღლე – 18 მეტრი; მასა – 285 ტონა; მაქსიმალური მასა – 640 ტონა; მაქსიმალური სიჩქარე – 850კმ/სთ. სრული დატვირთვის შემთხვევაში, ასაფრენად 3500 მეტრი სჭირდება, დაფრენისას მისი 32 ბორბალი იშლება, ხოლო მის სამართავად ეკიპაჟის 6 წევრია აუცილებელი.**



Antonov 225 – სატვირთო თვითმფრინავია. მისი შექმნის შემდეგ 24 წელი გავიდა, თუმცა დღემდე არ ჰყავს შემცვლელი. ეს არის უდიდესი მფრინავი გადამზიდი, რისი საშუალებითაც ხდება ტანკების, ვერტმფრენებისა და სატვირთო ავტომობილების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა. უკრაინა უნდა ამაყობდეს ამ ქმნილებით, რადგან სწორედ უკრაინაშია აგებული ეს უზარმაზარი თვითმრინავი, რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება და რომლის ეკიპაჟის კაბინეტში მოხვედრაზე, ალბათ, ბევრი ოცნებობს.

მფრინავი გიგანტის ფასი 200 მილიონ დოლარს შეადგენს.

# გოთების ფესტივალი



გერმანიის ქალაქ ლეიპციგში ჩატარდა მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური გოთური ფესტივალი **Wave-Gotik Treffen.** ყოველწლიურად ამ ფესტივალს 20 ათასამდე გოთი ესწრება: ზოგი მათგანი საცეკვაოდ მიდის, ზოგი როკ-კონცერტს ესწრება, ზოგი კი სპეციალურად აჟღერებულ ორღანს უსმენს. ლეიპციგის ქუჩები ამ დღეებში გავსებულია გოთური სუბკულტურისადმი მიძღვნილი ნივთებითა და პერსონაჟებით.









# შეკიდული მატარებელი



**გერმანიის ქალაქ ვუპერტალში უნიკალური შეკიდული სარკინიგზო გზა არსებობს. ეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც მონორელსიან შეკიდულ მატარებელს წარმოადგენს. მას 20 სადგური აქვს. მისი საერთო სიგრძე 13,3 კმ-ია და აქედან 10 კმ მდინარე ვუპერზე გადის. დანარჩენი 3,3 კმ კი — ქალაქის ქუჩებზე. მატარებლების მაქსიმალური სიჩქარე 60კმ/სთ-ია.** გზის არსებობის ისტორიაში ყველაზე უჩვეულო შემთხვევა 1950 წელს მოხდა. მაშინ ცირკის დირექტორმა, რეკლამის მიზნით, გადაწყვიტა, სპილო სახელად ტუფი მონორელსით გაესეირნებინა. სპილო ვაგონში აიყვანეს, თუმცა, როგორც ჩანს, მას ტრანსპორტით მგზავრობა არ მოეწონა — კედელი გაანგრია და ვაგონიდან გადავარდა. ამ დროს მატარებელი მდინარეზე გადიოდა და სპილო მდინარეში ჩავარდა, ცხოველი სერიოზულად არ დაშავებულა. ინციდენტის შედეგად რამდენიმე მგზავრმა მსუბუქი დაზიანება მიიღო.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მზის სისტემის უცნაური თანამგზავრები



**განიმედი** ეს ყველაზე დიდი თანამგზავრია არა მხოლოდ იუპიტერის, არამედ მთლიანად მზის სისტემის მასშტაბით. იმდენად დიდია, რომ აქვს თავისი საკუთარი მაგნიტური ველი.



**ენცელადი-რგოლის მატარებელი**. ეს სატურნის შიდა თანამგზავრია, რომელიც ირეკლავს სინათლის თითქმის 100%-ს. ენცელადის ზედაპირი სავსეა გეიზერებით, რომლებიც გადაისვრიან კოსმოსში ყინულისა და მტვრის ნაწილაკებს, ეს უკანასკნელი კი ქმნის სატურნის რგოლს.



**იო** — ვულკანური ჯოჯოხეთი. პრაქტიკულად თანამგზავრის მთელი ზედაპირი, დაფარულია ვულკანებით, რომელთა ამოფრქვევაც ძალიან ხშირად ხდება. იოზე არ არის კრატერები, რადგანაც ლავა ავსებს და ასწორებს მის ზედაპირს.



**ევროპა დიდი ოკეანეებით.** იუპიტერის ამ თანამგზავრს აქვს ყველაზე სწორი, ბრტყელი ზედაპირი მზის სისტემაში. საქმე ისაა, რომ ეს თანამგზავრი წარმოადგენს ყინულით დაფარულ მთლიან ოკეანეს. წყალები აქ 2-3 ჯერ მეტია, ვიდრე დედამიწაზე.



**კალისტო** არის თანამგზავრი კრატერების ყველაზე დიდი რაოდენობით. სხვა ციური სხეულებისგან განსხვავებით, კალისტოს არ აქვს გეოლოგიური აქტივობა, რომლითაც ხდება ზედაპირის დაცვა, ამიტომ ის ყველაზე „ნაცემ“ თანამგზავრად გამოიყურება.



**დაკტილი** — თანამგზავრი-ასტეროიდი ყველაზე პატარა თანამგზავრია მთელ მზის სისტემაში, რადგან მისი სიგანე შეადგენს მხოლოდ ერთ მილს. ამ თანამგზავრის უნიკალურობა ის არის, რომ ბრუნავს არა პლანეტის გარშემო, არამედ ასტეროიდის გარშემო. ადრე მეცნიერები თვლიდნენ, რომ ასტეროიდები პატარები არიან იმისათვის, რომ ყოლოდათ თანამგზავრები, მაგრამ, როგორც ხედავთ, ისინი ცდებოდნენ.



**ტიტანი** — სახლი მოშორებით სახლიდან. ეს, ალბათ, ყველაზე უცნაური თანამგზავრია მზის სისტემაში. მხოლოდ მას აქვს ატმოსფერო, რომელიც რამდენიმეჯერ სქელია დედამიწაზე. რა იყო არაგამჭვირვალე ღრუბლების ქვეშ, უცნობი დარჩა მრავალი წლის განმავლობაში. ტიტანის ატმოსფეროს გულარში არის აზოტი, როგორც დედამიწაზე, მაგრამ ასევე შეიცავს სხვა აირებსაც, მაგალითად, მეთანს. თუ მეთანის დონე ტიტანზე გაცილებით დიდია, მაშინ თანამგზავრზე შეიძლება წამოვიდეს მეთანის წვიმა. დიდი ნათელი ლაქების არსებობა თანამგზავრზე ბადებს აზრს, რომ მის ზედაპირზე შეიძლება იყოს თხევადი ზღვა, რომლის შემადგენლობა შეიძლება შეიცავდეს მეთანს. უნდა აღინიშნოს, რომ ტიტანი ყველაზე მეტად შესაფერი ციური სხეულია სიცოცხლის საძიებლად.



**ეპიმეტეი** და **იანუსი** თანამგზავრებია, რომლებიც შეჯახებას სასწაულებრივად გადაურჩა. ორივე თანამგზავრი პლანეტა სატურნის ირგვლივ ბრუნავს ერთსა და იმავე ორბიტაზე. არსებობს მოსაზრება, რომ ადრე ისინი წარმოადგენდა ერთ კონკრეტულ თანამგზავრს. მაგრამ, რაც ყველაზე უცნაურია, ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, როგორც კი შეჯახების დრო დგება, ისინი ადგილებს ცვლიან.



**მირანდა** მახინჯი თანამგზავრია. თითქოს ვინმემ გააკეთა ნაწილებისაგან ეს თანამგზავრი და გააგზავნა პლანეტა ურანის გარშემო სატრიალოდ. მირანდას აქვს ყველაზე შთამბეჭდავი, წარმტაცი პეიზაჟები მთელ მზის სისტემაში: მთის ქედები და ხეობები ფანტასტიკურ, უცნაურ ფორმას აძლევს კანიონებს, რომლებიც იმდენად ღრმაა, რომ ჩაგდებულ ქვას ფსკერამდე მისაღწევად ათი წუთი სჭირდება.



**ტრიტონი ყინულოვანი ვულკანებით**. ეს ნეპტუნის ყველაზე დიდი თანამგზავრია. ის, აგრეთვე, წარმოადგენს მზის სისტემაში ერთადერთ თანამგზავრს, რომელიც ბრუნავს თვით პლანეტის ბრუნვის საპირისპირო მიმართულებით. ვულკანები ტრიტონზე მოქმედია, მაგრამ ლავას კი არ გამოსცემენ, არამედ წყალს და ამიაკს, რომლებიც ზედაპირზე იყინება.



# გოგონა 26 თითით



**წარმოშობით მიანმარელ გოგონას — ლი იადი მინს 26 თითი აქვს. ლი 1 წლის და 6 თვისაა. როგორც უცხოური მედია წერს, გოგონას დედამ გადაწყვიტა, გინესის რეკორდების წიგნში განაცხადი შეიტანოს. მის შვილს ხელზე — 12, ხოლო ფეხზე 14 თითი აქვს.**

დღემდე გინესის რეკორდსმენი 25-თითიანი ბავშვი იყო. ექიმების განცხადებით, ბავშვებს ხშირად აქვთ ზედმეტი თითი, თუმცა, როგორც წესი, ჩვილს ზედმეტი თითების ამპუტაციას დაბადებისთანავე უკეთებენ. სამწუხაროდ, ლის დედას ფული არ ჰქონდა ოპერაციისთვის. გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის შემდეგ კი გოგონას გარკვეულ თანხას გადასცემენ, რომელსაც ოჯახი ოპერაციისთვის გამოიყენებს.

# Flame — ახალი თაობა კიბერკრიმინალში

**მსოფლიო კიბერსივრცეში გავრცელდა კომპლექსური თავდასხმის ინსტრუმენტი სახელად „Flame“. რა არის იგი? ჭია? ტროიანი? ბექდორი? როგორც განმარტეს კასპერსკის ლაბორატორიისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის წარმომადგენლებმა, ახალ ვირუსს ახასიათებს ყველა ჩამოთვლილი კატეგორიის თვისებები.**

```
FROG.Payloads.ServiceBuffer
start /wait RunDll32.exe %windir%\temp\~ZFF042.ocx.DDEnum
del /q %windir%\temp\~ZFF042 ocxJ
FROG.Payloads.Flame0InstallationBat
InstallFlame
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame Description
AGENT
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame AgentIdentifier
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame ShouldRunCMD
T<&
%temp%\fib32.bat
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame CommandLine
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame ServiceTimeOut
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame AttackTimeOut
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame DeleteServicePayload
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame DeleteUploadedFiles
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame SampleInterval
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame MaxRetries
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame RetriesLeft
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame TTL
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame HomeID
FROG.DefaultAttacks.A InstallFlame FilesToUpload.size
```

Flame-ს შეუძლია მონაცემების შეგროვება ქსელის ტრაფიკის გაანალიზების, კლავიატურის ლოგირების, მიკროფონებისა თუ ვიდეო თვალების საუბრების ჩაწერითა და ბლუთუზმოწყობილობების კონტროლის საფუძველზე.

ახალი ვირუსის მახასიათებლების აღწერაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა კითხვა: რატომ დასჭირდა ამდენი დრო მის აღმოჩენას? **დღევანდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ FLAME „იპყრობდა“ და იპარავდა ინფორმაციას მსოფლიო კიბერ სივრციდან 2008 წლის შემდეგ.**

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ კიბერ ბაზარზე „ყვავის“ ანტივირუსული ინდუსტრია, ვერც ერთმა ვერ შეძლო ამ ვირუსის აღმოჩენა, რომელსაც მკვლევარები შვეიცარულ დანასაც ადარებენ, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

საქმე ისაა, რომ იგი არ იყენებს აქამდე ცნობილ „დამალვის“ არც ერთ მეთოდს. „სამწუხაროდ, არ არსებობს „მაგიური ტყვია“ ასეთ ვირუსებთან საბრძოლველად, უბრალოდ, უნდა დავხვეწოთ დღევანდელ კიბერ ბაზარზე არსებული უსაფრთხოების მექანიზმები, რათა თავიდან ავიცილოთ ასეთი ვირუსები, რომელთა აქტივობაცა და მრავალფეროვნებაც საგრძნობლად იზრდება“, — აცხადებს კასპერსკის ლაბორატორიის მთავარი მკვლევარი როელ შოუვენბერგი.

# ილუზიების მუზეუმი

**სამხრეთ კორეაში ილუზიების მუზეუმი გაიხსნა. მას Trick Eye Museum ჰქვია, რაც ქართულად ოპტიკური ილუზიის მუზეუმს ნიშნავს. აქ ყველა სტუმარს ეძლევა შანსი, ცნობილი ნახატების სიუჟეტის უშუალო მონაწილე გახდეს.**

თავად ნახატები ისეა შექმნილი, რომ მისი გმირები რეალურებს ჰგვანან. მთავარია, დამთვალიერებლებმა ფოტოები შესაბამისი რაკურსით გადაიღონ. ასეთი მუზეუმი კორეაში სულ სამი არსებობს: კუნძულ ჩეჟდუზე, სეულსა და ბუზანში. მუზეუმში შესვლა 10 დოლარი ღირს.





# «თბილისის საოპერო ფესტივალი» გრძელდება

**9 ივლისს გაიმართა პირველი საფესტივალო კონცერტი, რომლის პროგრამაში იყო პეტრე ჩაიკოვსკის „სერენადა“ სიმებიანი ორკესტრისთვის და კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის.**

მსმენელს უმასპინძლა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრმა, რომელსაც უძღვებოდა თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი, იტალიელი დირიჟორი **ჯანლუკა მარჩიანო.** აუდიტორიამ გაიცნო ფესტივალის სპეციალური სტუმარი, შესანიშნავი ახალგაზრდა მევიოლინე **ვალერი სოკოლოვი,** რომლის საშემსრულებლო ხელოვნება ნამდვილად უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. 15 ივლისს შესრულდა ვერდის „ნაბუქო“.

**„თბილისის საოპერო ფესტივალის“ შემდგომი ორი საღამოც ჯუზეპე ვერდის ოპერების აჟღერებას მიეძღვნება — 20 ივლისს შესრულდება „ატილა“, 25 ივლისს კი — „ტრუბადური“** (წარმოდგენილი იქნება ოპერების საკონცერტო ვერსიები).

**20 ივლისსაც სცენა დაეთმობა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდს, სიმფონიურ ორკესტრს.** სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ ფესტივალის სპეციალური სტუმრებიც — **ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი** (ლიბანი) და საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მომღერალი **რამაზ ჩიკვილაძე,** რომელიც ატილას პარტიას შეასრულებს ვერდის „ატილაში“. მას პარტნიორობას გაუწევენ თეატრის სოლისტები — **სულხან გველესიანი** (ეციო), **მაყვალა ასპანიძე** (ოდაბელა), **გიორგი მახარაძე** (ფორესტო), **თამაზ საგინაძე** (ულდინო), **ტარიელ ჭიჭინაძე** (პაპი ლეონ II). „ატილას“ **ჯანლუკა მარჩიანო** იდირიჟორებს.

გაგაცნობთ „თბილისის საოპერო ფესტივალის“ სპეციალური სტუმრების შემოქმედებით ბიოგრაფიებს: **ანტონინის უნივერსიტეტის გუნდს** (ქორმაისტერი — **ტუფიკ მაატუკი**) მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დიდი წვლილი შეაქვს ლიბანის კულტურულ ცხოვრებაში.

გუნდის რეპერტუარი ფოკუსირებულია წმ. ანტონინის ორდენის მუსიკალურ ტრადიციებზე, თუმცა მდიდარია კლასიკური და თანამედროვე მუსიკითაც. ანტონინის უნივერსიტეტის გუნდს კონცერტები გამართული აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნანასა და ქალაქში: რომი, ნიცა, ლიონი, მონაკო, სენტ-ეტიენი, დოჰა, დუბაი, ალ აინი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, იორდანია, კვიპროსი და სხვ. გუნდმა მონაწილეობა მიიღო ალ აინის კლასიკური მუსიკის VIII ფესტივალში მოცარტის ოპერით „დონ ჯოვანი“ და ალ აინის კლასიკური მუსიკის IX ფესტივალში მოცარტის ოპერით „ფიგაროს ქორწინება“. **2008 წლიდან გუნდი მონაწილეობს ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალში და ბეირუთის რელიგიური მუსიკის ფესტივალში „ბეირუთული გალობები“.** 2010 წელს ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი წარსდგა ნიუ იორკის კარნეგი-ჰოლში. 2010 და 2011 წლებში გუნდი მონაწილეობდა ბიბლოსის საერთაშორისო ფესტივალში, 2011 წელს ასევე მონაწილეობდა ბაალბეკის საერთაშორისო ფესტივალშიც. **გუნდი თანამშრომლობს ლიბანის ეროვნულ სიმფონიურ, სომხეთის ფილარმონიულ, ვარშავის ფილარმონიულ ორკესტრებთან, ახალი ინგლისის სიმფონიურ ანსამბლთან, „ოპერა რომანია ტიმიზორასთან“ და სხვ.**

ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი თანამშრომლობს ცნობილ დირიჟორებთან: **კრისტოფ სლოვინსკი, ფრანჩესკო ჩილუფო, დავიდ გრეჩენცი, ზბიგნევ გრაცკა, პაოლო ოლმი, ვალენტინო მიზერახსი, ვალიდ ღოლმიე, ჰარუთ ფაზლიანი, ვოიცეხ ცზეპიელი, რობ ვერმოლენი, ჯოანა ნეიჩეფი, მარკო ბერდონდინი, ჯანლუკა მარჩანო...**

**ანტონინის უნივერსიტეტის გუნდს გამოცემული აქვს მარონიტების რელიგიური მუსიკალური ტრადიციების მრავალრიცხოვანი ჩანაწერები. 2012 წლის ოქტომბერში გუნდი წარსდგება პარიზში ფესტივალზე „ილ დე ფრანს“.**

დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი მომღერალი **რამაზ ჩიკვილაძე** სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ნოდარ ანდღულაძის ხელმძღვანელობით. მომღერლის დებიუტი შედგა 1995 წელს თბილისის ოპერის თეატრში. 2003 წელს რამაზ ჩიკვილაძე მიიწვიეს ბავარიის ოპერის სახელმწიფო თეატრში. იგი შემოქმედებითი სტუმრის სტატუსით მიწვეული იყო პეზაროს ფესტივალზე. სხვადასხვა დროს მღეროდა თელავივის ოპერის თეატრში, 2005-2008 წლებში მოღვაწეობდა დორტმუნდის ოპერის თეატრში.

**ამჟამად რამაზ ჩიკვილაძე არის ბონის ოპერის თეატრის სოლისტი, სადაც მის რეპერტუარშია ზარასტროს, ოსმინის, დულკამარას და სხვა პარტიები, მომღერალი რეგულარულად მღერის იტალიაში: პალერმოს თეატრში — მღვდელ ფოტისს „ბერძნულ ვნებებში“, სპარაფუჩილეს პარტიას კატანიის ბელინის თეატრში.**

**რამაზ ჩიკვილაძის რეპერტუარი მოიცავს მრავალ საოპერო პარტიას, რომლებითაც მომღერალი არაერთხელ წარსდგა მსოფლიოს ცნობილ საოპერო თეატრებსა და საკონცერტო სცენებზე: ატილა, ზაქარია, დულკამარა, ოსმინი, სილვა, სპარაპუჩილე, ბარტოლო, მეფისტოფელი, ფერანდო, ზარასტრო, კომანდორი, მონტერონე, გრემინი, მაზეპა და მრავალი სხვა.**

„თბილისის საოპერო ფესტივალის“ დასკვნითი საღამო 25 ივლისს გაიმართება, საკონცერტოდ შესრულდება ვერდის „რიგოლეტო“. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდთან, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ და მთავარ პარტიებს იმღერებენ თეატრის სოლისტები — **ზაალ ხელაია** (გრაფი დი ლუნა), **მიშელინა ქობალიანი** (ლეონორა), **თეა დემურიშვილი** (აზუჩენა), **ანზორ ხიდაშელი** (მანრიკო), **ლევი იმედაშვილი** (ფერანდო), **მანანა იორდანიშვილი** (ინესი), **თამაზ საგინაძე** (რუიცი, მაცნე). „რიგოლეტოს“ **ჯანლუკა მარჩიანო** იდირიჟორებს.

**ეწვიეთ „თბილისის საოპერო ფესტივალს“!**


რამაზ ჩიკვილაძე




## ტაჯიკეთში რუსული სამხედრო ბაზა უფასოდ განლაგდება

**ტაჯიკეთის ხელმძღვანელობამ დასაშვებად მიიჩნია რუსული სამხედრო ბაზის საკუთარ ტერიტორიაზე განლაგება. ამის შესახებ განცხადება რუსეთის ქვეითი ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ვლადიმირ ჩირკინმა გააკეთა.**

**„შეთანხმების პროექტი, რომელიც 201-ე ბაზის ტაჯიკეთის ტერიტორიაზე 49 წლით განლაგებას ითვალისწინებს, ტაჯიკური მხარისთვის მთლიანობაში მისაღებია“,** — განაცხადა ჩირკინმა. მისივე სიტყვებით, ტაჯიკეთის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს უწყებათაშორისი შეთანხმების დაჩქარებას. შეთანხმების პროექტი ბაზის ანაზღაურების გარეშე განლაგებას ითვალისწინებს.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზა ტაჯიკეთში 2004 წელს 201-ე მოტომსროლელი დივიზიის საფუძველზე შეიქმნა, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე ურთიერთდახმარების ხელშეკრულების თანახმად იყო დისლოცირებული. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წელს იწურება. რუსეთი ბაზის იჯარის ფულს არ იხდის, მაგრამ ტაჯიკეთს შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკით ეხმარება.

## სერბმა ნარკობარონმა ყოფილი პრეზიდენტი «შეუკვეთა»

**სერბმა დამნაშავე ავტორიტეტმა დარკო შარიჩმა 10 მილიონი ევროს ჯილდო გამოაცხადა იმ ექვსი მოხელიდან ერთ-ერთის მკვლელობისთვის, რომელთაც საკუთარი ნარკოიმპერიის დაშლაში ადანაშაულებს.**

შარიჩმა, რომელიც მართლმსაჯულებას ემალება, ჯილდო ყოფილ პრეზიდენტ ბორის ტადიჩის, ეროვნული უშიშროების საბჭოს საკოორდინაციო ბიუროს თავმჯდომარე მოიდრაგ რაკიჩის, შინაგან საქმეთა მინისტრ ივიცა დაჩიჩის, უშიშროებისა და ინფორმაციის სააგენტოს ხელმძღვანელ საშა ვუკადინოვიჩის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პროკურორ მილკო რადისლავლევიჩის და იუსტიციის მინისტრ სნეჟანა მალოვიჩის მოკვლისთვის გამოაცხადა.

ინფორმაცია ნარკობარონის ინიციატივის შესახებ სერბეთში ევროპული სპეცსამსახურებიდან მიიღეს. მას უკვე გაეცნო სახელმწიფოს მეთაური ტომისლავ ნიკოლიჩი. 2012 წლის მარტში სერბეთის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი მოკლეს. ამ მკვლელობის შემკვეთად დამნაშავეთა სამყაროს ადგილობრივი ლიდერები მიიჩნევიან.

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894